ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 30 მაისი 2014 | № 11 (219)



ვაჟა და ნიცშე
ნინო ნადირაძის ლირიკა
თამაზ ხარაიშვილის ლექსები
ინტერვიუ გურანდა გაბუნიასთან
შეთე გულუხაიძის ფიროსმანული შარავანდი
„რიჩარდ მესამე“ თავისუფალი თეატრის სცენაზე
ქართული კალიგრაფიის სადარაჯოზე
ჯარჯი ფხოველის ჩანაწერები
სალომე შენგელიას ნოველები
პოლიტიკური თეატრის ექო
უჩა ზაქაშვილის ნოველა
ეჟენ დაბის დედაბერი

შინაარსი

რედაქტორის გვერდი	2	**პოლიტიკური თეატრის ექო** (ნანა დემეტრაშვილის ხსოვნად — ახალციხური დღეები)
როდესაც ხელობა ხელოვნებაა	4	**ნინო საბაშვილი ქართული კალიგრაფიის სადარაჯოზე**
სილუეტი	6	**ქარდა ქარდუხი ოდა ლადო სეიდიშვილს**
ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	8	**ილია ჯიბღაშვილი გავაფართოვოთ მხედველობის არე**
ექსპრეს-ინტერვიუ	10	**გურანდა გაბუნია „ვაკეთო ჩემი საქმე სიცოცხლის ბოლომდე!"** (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	11	**უჩა ზაქაშვილი წყალდიდობა**
პოეზია	16	**თამაზ ხარაიშვილი მოწყენილი მარტოობა და სხვა ლექსები**
მოგონებათა სკივრი	18	**ირაკლი ვაშაყმაძე „ფოტოლექსის" გახსენება**
პოეზია	20	**ნინო ნადირაძე მარვინი და სხვა ლექსები**
უცხოეთის ცხოვრებიდან	22	**ანა პოლიტკოვსკაია ტანია**
კულტურის ხიდები	27	**მაია იანტბელიძე ვაჟა და ნიცშე** („გველის-მჭამელისა" და „ესე იტყოდა ზარატუსტრას" ურთიერთმიმართებისათვის)
თეატრალური სიახლენი	31	**ლელა ოჩიაური მეფე მოკვდა! გაუმარჯოს რიჩარდს?!** (უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე" თავისუფალი თეატრის სცენაზე)
ლიტერატურული პორტრეტი	34	**ემზარ კვიტაიშვილი სიმონ ჩიქოვანი**
რეპორტაჟი	44	**ეკა ბუჯიაშვილი ...როცა ასეთი მსახიობი თამაშობს** (შეხვედრა დავით დვალიშვილთან)
გამოხმაურება	49	**ელგუჯა თავბერიძე გუშინდელი დღე** (რადვა აშურის ნარკვევი „არაბული ციხის ლიტერატურა")
კრიტიკა	51	**ნინო სადღობელაშვილი ამბოხიდან ტკბილღვინობამდე** (ნუკრი ბერეთელის პოეტური კრებული „ჩიხი")
წუთები და წლები	52	**როსტომ ჩხეიძე შეთე გულუხაიძის ფიროსმანული შარავანდი** (გიორგი ცოცანიძის ისტორიული ქრონიკა)
ახალი რომანი	57	**სოფიო წულაია გმირი — შემოქმედებით ჩიხში** (გურამ მეგრელიშვილის რომანი „მოდელი 8/12" მწერლის ბედზე)
ფიქრები	59	**ჯარჯი ფხოველი ხელის-გულის ანაბეჭდები**
იზარდე, მწვანე ჯეჯილო	62	**მაია ჯალიაშვილი ყავა და ქლიავის ნამცხვარი ნაღებით** (ახალ საბავშვო წიგნზე „ყაჩაღი ჰოცენპლოცი")
	63	**ჯადოსნური ელექსირი** (იზაბელ აბედის საბავშვო რომანი „მოჩვენებათა სახლქვეშ")
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ	65	**სალომე შენგელია ორი ნოველა**
უცხოური ნოველა	68	**ეჟენ დაბი დედაბერი**
ამ მთისა და იმ ბარისა	71	**დაუვიწყარი ხანძარი**

ჩვენი მწერლობა

ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერი გამოვა 13 ივნისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ОМЕГА ТЕГИ

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: დავით დვალიშვილი, თამარ ყალიჩავას ფოტო გერმანული პეიზაჟი

პოლიტიკური თეატრის ექო

(ნანა დემეტრაშვილის ხსოვნად — ახალციხური დღეები)

ცას პირი მოხსნოდა თუ რა იყო, კოკისპირულად კი იწვიმებდა იმ დღეს ახალციხეში — 26 აპრილს, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე თეატრის სცენაზე ნანა დემეტრაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართებოდა, თვალსაჩინო რეჟისორის, ვისაც ბედად ეწერა მეტად მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა არამარტო თეატრალურ და კულტურულ, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ჩვენი ქვეყნისა, თანაც საკმაოდ მძიმე ჟამს, XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან ორ ათეულ წელიწადს.

და ეს — ამ ქალაქსა და მხარეში თეატრის დაარსებით.

თეატრალური წარმონაქმნი მანამდეც ფოჟიალობდა აქ და თავისას ცდილობდა, მაგრამ სულ სხვა გახლდათ ნამდვილი თეატრი ნამდვილი რეჟისორის ხელში, ეროვნული სულისკვეთებით რომ აღავსებდა სცენასაც, ქალაქსაც, მთელ მხარესაც და თბილისისაგან მოწყვეტილად და თავის თავში ჩაკეტილად კი არა, არამედ საერთოქართული თეატრალურ-კულტურული პროცესის მონაწილედ, ეროვნული თვალსაზრისით კი სამაგალითოდაც წარმოდგებოდა — იმ დღეთა მდინარებაშიც და ისტორიის გადასახედიდანაც.

ახალციხესა და მესხეთის მხარეში მინავლებული ეროვნული და ჰეროიკული სული ერთბაშად აინთებოდა და ამოიფრქვეოდა — პირველივე დადგმით: **ოთარ ჩხეიძის** ტრაგედიით **„თედორე“**. და ისე მოხდებოდა, რომ ნანა დემეტრაშვილს უნდა მოესინჯა ოთარ ჩხეიძის თეატრის შექმნაც (თითქმის აკრძალული მწერლის, იტყვის საღამოზე **ვაჟა აზარაშვილი**), ყოველ შემთხვევაში — მისი საფუძვლისა... თუმც ეს უკვე სხვაგან მიეზიდება სიტყვას, თავისთავად მეტად საჭირბოროტო და დამაფიქრებელი თემისაკენ, მაგრამ ამჯერად ის წუთებია გასახსენებელი, თავზე რომ გადაგვდიოდა ღვართქაფი და თითქოს ეს არა კმაროდა, კაკლისოდენა სეტყვაც წამოუშენდა, და თავს კი არა ჩიოდი, არამედ ძალიან შეწუხდებოდი, განა რამდენი ადამიანი გამოიდებს თავს თეატრში მოსასვლელად, განა რამდენი გარისკავსო...

არას ვაზვიადებ — თავგამოსადებიც გახლდათ და გასარისკიც.

და თვალებს არ დაუჯერებდი, როდესაც ისე გადაივსებოდა დარბაზი, ნემსიც არ ჩავარდებოდა და ერთხელ კიდევ აგევსებოდა გული სიამაყით, რომ ახალციხეშიც დიდებული მაყურებელი გვყავს ჩვენი თეატრალური და კულტურული ცხოვრების გადამრჩენად; და საკუთარ თავს შეუწყრებოდი, ეს როგორ დამემართა, რომ დავეჭვდიო.

ამ მაყურებლის დახვეწილი პროფესიონალიზმი და სულიერი სიმაღლე მეორე დღესაც კიდევ ერთხელ უნდა დადასტურებულიყო, კვლავაც სულმოუთქმელად რომ მოელოდა რაღაც ახლისა და საგულისხმოს შეტყობას, რაც ყოველი თავყრილობის, მითუმეტეს — საიუბილეოსი, უშუალო მოვალეობაა, მაგრამ უნუგეშოდ გამქრალა მოვალეობის ეს შეგრძნებაც, როგორც სხვა არაერთი — სასიცოცხლოდ აუცილებელი — რამ, და იშვიათზე იშვიათად თუ გამოანათებს, რათა მთლად სასოწარკვეთილებაში არ ჩავიძიროთ და არ გვეგონოს, რომ თუნდაც საიუბილეო საღამო სხვა არაფერია, თუ არა სიყალბე და პომპეზურობა, ვალის მოსახდელად და სადღაც ჩასაწერად გამართული შეკრება, მაყურებელი იმედგაცრუებული რომ უნდა დაიშალოს, სიახლეს, სიმართლეს, ბუნებრიობას მოწყურებული მაყურებელი, რომელიც მაინც ყოველთვის ნამდვილი თავყრილობის მოლოდინშია... და ელის, ელის...

იმ დღეს კი სცენა სწორედაც ასეთი მაყურებლის შესაფერისი აღმოჩნდებოდა — ნანა დემეტრაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტიც რომ კანთიელად წარმოისახებოდა, მისი რეჟისორული და ეროვნული ღვაწლიც ზუსტად და მიუკერძოებლად შეფასდებოდა, ის მსახიობებიც ტრიუმფით შედგამდნენ ფეხს მონატრებულ სცენაზე, იმ ასერიგად მნიშვნელოვან კულტურულ და საზოგადოებრივ პროცესში რომ მონაწილეობდნენ, **ვასილ კიკნაძის** მიერ შეგულიანებულნი — თეატრალური ინსტიტუტის იმ წლის კურსდამთავრებულნი ერთობლივად წამოჰყოლოდნენ ნანა დემეტრაშვილს ახალციხეში თეატრის შესაქმნელად და მხრებით სატარებლად მესხეთის თეატრისა.

ჰოი, რას თქორავდა გარეთ წვიმა, ლამის წყლად წაეღო ქალაქი.

მანამდე საამისო არაფერი ეტყობოდა ამინდს, ისე კაშკაშებდა და ბრდღვიალებდა მზე:

ნანა დემეტრაშვილის საცხოვრებელ სახლზე მემორიალი რომ გამოიკვროდა.

ნინო ჩხიკვიშვილის ჩინებული მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის **„მესხური ოდისეა (ამბავი ნანა დემეტრაშვილისა)“** წარდგინება რომ გაიმართებოდა და საჩუქრადაც დარიგდებოდა მთელი ტირაჟი.

თეატრის ფოიეში გამოფენა რომ მოეწყობოდა.

„ნანა დემეტრაშვილის ფონდი“ მოაბამდა თავს ყველაფერს, რაც იმ ორ დღეს ახალციხის თეატრალურ-კულტურულ ცხოვრებაში მოხდებოდა, **ანა ნიკოლაშვილი** რომ დააფუძნებდა, მიხეილ თუმანიშვილის თეატრის კოლორიტული მსახიობი და... თურმე ჩინებული ორგანიზატორიც, ახლა სცენაზე რომ იდგა და თვითონვე უძღვებოდა ამ თავყრილობას თანაწამყვანებთან — **ეკატერინე დემეტრაძესა** და **ნიკა წერედიანთან** — ერთად, გემოვნება და დახვეწილობა რომ მსჭვალავდა ყველა ეპიზოდსა და რეალიას, დიდებული უბრალოებით რომ აღბეჭდილიყო და ამიტომაც მოიხიბლებოდა ასერიგად მაყურებელი, გარდა ნამდვილი საზეიმო მსვლელობისა, უამრავ საგულისხმო ამბავსა და დეტალს რომ შეიტყობდა და სულიერად და ინტელექტუალურად გამდიდრებული დაიშლებოდა იმ სიხარულის შეგნებით, რომ ხვალ თუ ზეგ ამ თეატრს ნანა დემეტრაშვილის სახელი მიენიჭება.

ეს სურვილი საერთო გულისთქმას გამოხატავდა, სცენიდან რამდენჯერმე რომ გახმიანდებოდა კომპოზიტორ **ვაჟა აზარაშვილისა** და რეჟისორების — **თემურ ფალავანდიშვილისა** და **ქეთი დოლიძის** მიერ, ვინც თავის დროზე **რევაზ ჩხეიძის** ფილმში **„მშობლიურო ჩემო მიწავ“** შეასრულებდა... ნანა დემეტრაშვილის როლს. მსახიობი და სასცენო მოძრაობის პედაგოგი **შოთა სხირტლაძე** იმასაც კი განაცხადებდა: ახალციხეში ნანას ძეგლი აუცილებლად უნდა დაიდგასო.

შთამბეჭდავი აღმოჩნდებოდა იმ პირველი დასის მსახიობთა — **გალინა პატარიძე, ლია სულუაშვილი, გალინა ხვიჩია, სოსო ბაკურაძე, გულად კოხრეიძე, პიერ ქადაგიშვილი, ვაჟა ნიკოლაშვილი, თემურ ჩერქეზიშვილი, თენგიზ ჯაფარიძე** — ასვლა სცენაზე, ქვეყნის ისტორიული ცხოვრების მონაწილეთა, სულიერად ასერიგად დამუხტული იმ დღეების, თავგანწირული სასცენო მოღვაწეობის სული და სუნთქვა ძალუმად რომ უნდა შემოეტანათ და... კიდეც ერთბაშად უნდა გამქრალიყო ოთხ ათეულზე მეტი ხნის შეგრძნება, რაც 1967 წლის სექტემბერს გვაშორებს, XX საუკუნის საქართველოს ზნეობრივ-ჰეროიკული ისტორიიდან ამოუშლელ თარიღს.

დრო თითქოს გაჩერებულიყო.

ან რაღა თითქოს, როდესაც არანაკლები სირთულის წინაშე ვდგავართ, ვიდრე იმხანად ვიდექით, ნანა დემეტრაშვილი ოთარ ჩხეიძის ტრაგედიებით რომ ლამობდა დაპირისპირებოდა სოციალისტურ გლობალიზმს, ამჟამად ლიბერალურ გლობალიზმად რომ გარდასახულა და ახლა აქედან გვიპირებს შთანთქმას ისტორია-ტრადიციებიანად.

ამ გაფრთხილების წარმოთქმა სცენიდანაც მომიწევდა, საერთოდ კი ერთიერთმანეთზე უკეთეს გამოსვლებს — თეატრის პირველი დასის მსახიობთაგან: **ლია სულუაშვილის, გალინა პატარიძისა** და **პიერ ქადაგიშვილის,** იმ მსახიობთა შვილთაგან: **ეკა ბაკურაძისა** და **მარიკა ქადაგიშვილის,** თე-

ატრმცოდნე **ნათელა არველაძის,** კულტურის დამსახურებული მუშაკის **ნათელა იაძის,** რეჟისორისა და ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **გიორგი სიხარულიძის,** მესხეთის თეატრის მსახიობის **მანანა ბერიძის,** გამგებლის მოვალეობის დროებით შემსრულებლის **მალხაზ ჟუჟუნაძის...** — არც ღრმა განსჯა რომ არ მოაკლდებოდა, არც ზეპირი ნოველის ხიბლი, არც იუმორი და ხალისი და არც სევდა, ურომლისოდაც მხიარულებასაც კი ეკარგება ფასი, არამცთუ ხსოვნის საღამოს, ხშირად ასერიგად ხეშეშსა და გულმიუკარებელს.

საზეიმო თავყრილობის სანახაობრივ მხარეს უდავოდ დაშვენდებოდა ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის **„მესხეთი“** (ხელმძღვანელი **ზაზა თამარაშვილი**) და ქორეოგრაფიული ანსამბლის **„სამცხე“** (ხელმძღვანელები **ზაზა ბერიძე** და **ზურაბ გოჩუანი**. სოლისტი — **ჯანო იზორია**) მონაწილეობა. აგრეთვე ახალციხის სამუსიკო სკოლის პედაგოგების — **ირმა დავლაშერიძისა** და **ციცო ბერიძის**. დაგვირგვინებით კი დააგვირგვინებდა ოჯახური ტრიო, მამა, შვილი, შვილიშვილი: **ვაჟა** და **ანა ნიკოლაშვილები** და **ელენე ბერაძე**, რომლებიც შეასრულებდნენ ნანა დემეტრაშვილის საყვარელ სიმღერებს.

და ისიც მშვენიერი ჩანაფიქრი და წამოწყება აღმოჩნდებოდა, „ნანა დემეტრაშვილის ფონდი“ მესხეთის თეატრის თანამდგომთაგან ორ პიროვნებას რომ დააჯილდოებდა: ჟურნალისტსა და გაზეთ **„წითელი დროშის“** რედაქტორს **იზოლდა წიქარიშვილსა** და თსუ ახალციხის ფილიალის რედაქტორს **მერაბ ბერაძეს.**

მეორე დღეს სემინარზე, სახელწოდებით **„თეატრი და მწერლობა“,** მეტად გულდამძიმებულთ მოგვიწევდა მისვლა რაბათის მონახულების შემდეგ — გარეგნულად პომპეზურის და მიამიტი ადამიანებისათვის ეგებ ეფექტურისაც და მომხიბლავისაც, მაგრამ... ყოვლად ამორფულისა და ეკლექტურის, უგემოვნოსი და უსიამოვნოსი, და რაც მთავარია, თავზარდამცემის იმის შეტყობითა და ხილვით, რომ მიწისქვეშ საგულდაგულოდ ჩაბეტონებულა ნამდვილი ისტორია ჩვენი ტრაგიკული ქვეყნისა, უშორესი წარსული, რომლის აღდგენაც ამ გარემოს ამოკლებით მეტად და მეტად ხარვეზიანი და ნაკლული იქნება, თუკი სრულიად არ გაგვიქრა ხელიდან.

ამიტომაც გადაუდებელია ამ სიმახინჯის გროვის დანგრევა და იმ ნამდვილი წარსულის გამოხსნა არტახებისაგან, რათა არქეოლოგიური კვლევა-შესწავლა მონდომებითა და პროფესიულად წარიმართოს და ამ მხარის ისტორიაც ვიცოდეთ ისეთი, ჭეშმარიტად როგორიც გახლდათ.

ძალზე ძვირი დაჯდება მიწისქვეშ ჩაკირული ისტორიის ამ უგვანი ზედაპირის მოშლა?

მაგრამ ჩვენი წარსული რომ ბევრად და ბევრად უფრო ძვირად გვიღირს?!.

სემინარში **თემურ ჩხეიძესთან** ერთად თეატრმცოდნე, თავისი შეუპოვრობით ცნობილი **ნათელა არველაძე** და თქვენი მონა-მორჩილიც მივიღებდით მონაწილეობას, ანა ნიკოლაშვილს მისი გადაქცევა ყოველწლიურ შეკრებად რომ აქვს ჩაფიქრებული, და უსათუოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სტუდენტებსა და პროფესურასთან ერთად, ბოლოსდაბოლოს, თეატრისა და უნივერსიტეტის შეკავშირებამ განსაზღვრა საბოლოოდ ამ ქალაქისა და მხარის ერთბაშად შენივთება ქართულ ენობრივ წიაღსა და სივრცეში.

ანა ნიკოლაშვილი

ქალბატონი ნათელა სხვა არაერთ საგულისხმო მოსაზრებასთან ერთად გამოთქვამდა სურვილს, რომ დაგვეზუსტებინა ტერმინი **„რომანტიკულ-ჰეროიკული“,** როგორც აქამდე იხსენიებენ **სანდრო ახმეტელის** სპექტაკლებს და შემდგომ უკვე **ნანა დემეტრაშვილის** დადგმებსაც. ბოლოსდაბოლოს, ეს იყო მხოლოდ პირობითი ტერმინი, ის კი არა, ერთგვარი საბურველიც ნამდვილი განზრახვის შესანიღბად — მაშინ ვერ იტყოდი, რომ **ერთიც და მეორეც არსებითად პოლიტიკურ თეატრს ქმნიდა.** ხოლო დღეს ამის თქმა თამამად შეგვიძლია და მაშ რატომღა არ უნდა დავაზუსტოთ და უფრო მარჯვედ არ განვსაზღვროთ ამ დადგმების თავისებურება?

და იმ სპექტაკლებისაც, რომელთაც დღეს არანაკლები მოუთმენლობითა და ცნობისწადილით მოველით — ამ სტილისტიკისას, რაკიღა პოლიტიკური თეატრი ამჟამადაც ასერიგად აუცილებელია.

ხოლო თემურ ჩხეიძეს ძლივს შეელეოდნენ, რაკიღა ისე გაიხსნებოდა და ისეთი იუმორითა და მგზნებარებით წარმართავდა საუბარს, ისეთი გრძნობა გიჩნდება, რომ შესაძლოა მოუწყინრად უსმინო და უსმინო... მაგრამ სხვა გზა არა გაქვს და უნდა შეელიო, რადგანაც რეპეტიცია აქვს ჩასატარებელი — **„გრომ-ჰოლმის მეთოდი“** ჩამოუტანია ნანა დემეტრაშვილის დღეების დამაგვირგვინებლად...

მართლაც ღირსეული დაგვირგვინება რომ აღმოჩნდებოდა.

და ეს არამარტო მსახიობთა **(ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი)** ხელოვნების წყალობით, არამედ იმ მაყურებლისა, არანაირ ავდარს რომ არ უშინდება და სიტყვის ფასიც ასე კარგად მოეხსენება, იმ სიტყვის, ლამის პირწმინდად რომ გამქრალა სცენიდან და მისი ადგილი სანახაობას (ხშირად ყოვლად უგემოვნოსა და უღირსებოს) დაუკავებია, და რეჟისორები თავს ამ მოტივით იმართლებენ: ხალხს ეს ურჩევნია და იმიტომო!..

არადა, ხალხს რაც ურჩევნია, თუნდ ის წარმოდგენაც ხელშესახებ და შთამბეჭდავად დაადასტურებდა, რთულ ფსიქოლოგიურ სპექტაკლს ზუსტი რეაქციებით ასე რომ აჰყვებოდა მაყურებელი და ბოლომდე შეიგრძნობდა მის სიღრმესაც და თავისებურებასაც, და ერთხელ კიდევ დაადასტურებდა მართალი სიტყვის ძალასაც, რეჟისორსაც და მსახიობებსაც.

აღფრთოვანდებოდა **ნოდარ მგალობლიშვილი:**

— ასეთი წრფელი და უშუალო მაყურებელი იშვიათად მინახავს.

ასე იცის სრულმა ჰარმონიამ სცენასა და დარბაზს შორის.

ამ დღეებს დედაქალაქიდანაც არაერთი ადამიანი (უმეტესად მიხეილ თუმანიშვილის თეატრის მსახიობები) დაესწრებოდა და ძალდაუტანებლად აღდგებოდა ის გაწყვეტილი ძაფები ახალციხესა და თბილისს შორის, ნანა დემეტრაშვილს ერთბაშად რომ გაება პირველივე სპექტაკლებით და კიდეც ინარჩუნებდა იმ ორ ათეულ წელიწადს.

სიმბოლურია, რომ ამ ძაფების აღდგენა მისი სახელით მოხდებოდა და მისი ქალიშვილის ხელით, ვის მიერ დაარსებულმა ფონდმაც ისე ენერგიულად და საიმედოდ დაიწყო მოღვაწეობა, მომავალში არაერთ საგულისხმო თავყრილობასა და აქციას გვპირდება იმ ძაფების განსამტკიცებლადაც.

თუნდაც წვიმდეს კოკისპირულად.

სეტყვაც უშენდეს თუგინდა.

აქ, ამ ქალაქში, ამ მხარეში სიტყვა სწყურიათ — ალალი და გულში ჩამწვდომი, ნამდვილი თეატრალური სანახაობისათვის თავს გადასდებენ და ჭეშმარიტ ხელოვანთა დაფასებაც არავისაგან ესწავლებათ, მითუმეტეს, თუ მათი მოღვაწეობის კვალი თავისებურ ნიშანსვეტად დაჩნევია ამ სინამდვილეს და საერთოქართულ კულტურას — ნანა დემეტრაშვილის პოლიტიკური თეატრისა და იმ წლების გაბრწყინებისა არ იყოს!..

ნინო საბაშვილი

ქართული კალიგრაფიის სადარაჯოზე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით პროკრედიტ ბანკის სათაო ოფისში კონკურსის „ქართული კალიგრაფია“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით 2013 წელს მეოთხედ ჩაატარა კონკურსი „ქართული კალიგრაფია“. შესარჩევ ტურში 1200-მდე კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა 5 კატეგორიაში (VII-IX კლასები, X-XII კლასები, სტუდენტები, ზრდასრულები და ემიგრანტები). II და III ტურების რთულ დავალებათა შესრულების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები და ნომინანტები. შერჩეული 198 ნამუშევრიდან გამოვლინდა 96 რჩეული ნაშრომი (პირველი შესარჩევი ეტაპის შემდეგ, 14 დეკემბერს ჩატარდა კონკურსის მეორე ტური, 22-23 დეკემბერს — მესამე, ხოლო 18 მარტს დაჯილდოების ცერემონია გაიმართა).



ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებშივე იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებში საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიურად იქმნებოდა ქართული წიგნი. მონასტრებში მოღვაწე მწიგნობართა შემოქმედებითი ჯგუფები ქმნიდნენ რა ხელნაწერ წიგნებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ქართული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობას, წიგნის შესამკობად გამოყენებულ მოხატულ ასოებსა და სხვა დეკორატიულ ელემენტებს, რომელთა მრავალფეროვნებაში მჟღავნდებოდა ცალკეული წიგნის შემქმნელის ინდივიდუალურობა.

მართალია, ბევრი ოსტატის სახელი დღეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მათი შემოქმედებითი ღვაწლით შექმნილი ასობით ხელნაწერი წიგნი ეროვნულ საუნჯედ იქცა.

ჩვენს რეალობაში ხელით წერის უძველესი მაღალმხატვრული ტრადიცია ნაკლებად ცნობილი და წახალისებულია. დღეს ბევრი ვერ ხვდება, რაში შეიძლება გამოიყენოს დახვეწილი კალიგრაფია მაშინ, როცა ხელით შესრულებული ნამუშევრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ფასობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დავალებით ვესაუბრები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, კონკურსის „ქართული კალიგრაფია“ ორგანიზატორს ნესტან ბაგაურს.

— კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ 2010 წელს ჩატარდა პირველად.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომელიც ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის ყველაზე დიდი საცავია, დიდი ხნის მანძილზე იყო სურვილი, რომ ქართული კალიგრაფია, როგორც ქართული კულტურის უძველესი მიმართულება, გამხდარიყო ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (ცარისტული რუსეთის პერიოდი და საბჭოთა ოკუპაცია) ისეთი ტრადიციული დარგები, როგორებიცაა: ქართული გალობა, მინანქრისა და ჭედური ხელოვნება, ხატწერა, კალიგრაფია და სხვა — მიზანმიმართულად იდევნებოდა. კალიგრაფიის შემთხვევაში ამას ემატებოდა ნაბეჭდი წიგნის კულტურის მიერ ხელით გადაწერილი წიგნის საჭიროების თანდათან გაქრობაც.

XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა კვლავ მოიპოვა, თვალს თუ გადავავლებთ, ქართული კულტურის რიგი მიმართულებებისა — ტიხრული მინანქარი, ხატწერა, ქართული გალობა, ფოლკლორი — მნიშვნელოვნად განვითარდა და ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად იქცა.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით კალიგრაფიის ხელოვნებაზე, მაშინ, როდესაც ორიგინალური ანბანისა და ტრადიციული სამწერლობო კულტურის მქონე ქვეყნებში (ირანი, თურქეთი, არაბული ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და განვითარებული ევროპული ქვეყნები) კალიგრაფია თანამედროვე ყოფისა და ხელოვნების შემადგენელი ნაწილია. ანბანი და კალიგრაფია ხშირად ამა თუ იმ ქვეყნის სავიზიტო ბარათია.

— **როგორ იქცა იდეა საქმედ?**

სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გადაწყდა, რომ კონკურსი კალიგრაფიის ხელოვნების აღორძინების რთული და ხანგრძლივი საქმისათვის კარგი დასაწყისი იქნებოდა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განზრახვისაგან დამოუკიდებლად კალიგრაფიის კონკურსის ჩატარების პროექტი 2010 წელს მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „წამი“, — ეს გახლავთ მუსიკოს **ზაზა კორინთელის**, იგივე **ზუმბას** დაარსებული ორგანიზაცია. ამ პროექტის განხორციელებაში თანამშრომლობისათვის ორგანიზაციამ ჩვენ მოგვმართა.

სწორედ ამ დროისათვის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მობრძანებული იყო **უწმინდესი და უნეტარესი ილია II**, რომელმაც თავისი სიტყვაში აღნიშნა კალიგრაფიის ტრადიციის აღორძინების მნიშვნელობის შესახებ.

ამის შემდეგ ეჭვი აღარ იყო, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა დაგვეწყო მოქმედება. იდეა აიტაცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ გამოცხადდა.

— **პირველი კონკურსი?**

— კონკურსი გამოცხადდა სასკოლო ასაკის მონაწილეებისათვის.

შესარჩევ ტურში მონაწილეთა რაოდენობა 10 000-ზე მეტი იყო. საზოგადოების აქტივობამ აჩვენა, რომ საქმე მართლაც დროული გახლდათ. ქართული ანბანის გრაფემების ლამაზად მოხაზვის შეჯიბრში ჩაერთო საქართველოს ყველა კუთხე, მათ შორის მაღალმთიანი და არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიც.

— **2010 წლის შემდგომ?**

— 2010 წელს, როგორც აღვნიშნე, კონკურსი მხოლოდ სასკოლო ასაკის მონაწილეთათვის გამოცხადდა. ამის შემდეგ მივიღეთ უამრავი საყვედური: ვინც სასკოლო ასაკს დიდი ხანია გადავცილდით და ლამაზად ვწერთ, მათ რა დავაშავეთო?

ამიტომ კონკურსს დაემატა 2 კატეგორიაც და საბოლოოდ კონკურსი ყოველწლიურად ტარდება შემდეგ კატეგორიებში:

VII-IX კლასები

X-XII კლასები

სტუდენტები

ზრდასრული დაინტერესებული პირები

უცხოეთში მცხოვრები დაინტერესებული პირები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზედა ასაკობრივი ზღვარი შეზღუდული არაა. გვქონდა შემთხვევა, როდესაც კონკურსის მონაწილე იყო 91 წლისა: ქალბატონი იოლანდა მარშევი, ქართველოლოგი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. საინტერესოა, რომ საქარ-

თველოის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ კონკურსანტებს შორის მხოლოდ ქართველი მონაწილენი არ არიან, ქალბატონი იოლანდას გარდა გვყავდა გერმანელი და იაპონელი კონკურსანტებიც.

ამ 4 წლის განმავლობაში კონკურსში არაერთი საინტერესო მონაწილე იყო. განსხვავებულია მონაწილეთა ასაკი თუ პროფესია, ეროვნება თუ გეოგრაფიული დასახლება.

მოგეხსენებათ, კალიგრაფია არის ხელოვნება, რომელიც მონასტრების წიაღში ვითარდებოდა. ცალკეული მონასტრები ქმნიდნენ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ კალიგრაფიულ სკოლას. სასიხარულოა, ჩვენს კონკურსში მონაწილეთა სტატუსით ჩაერთენ სასულიერო პირები: **დედა შუშანიკი** შარშანდელი კონკურსის ფინალისტი და პრიზიორი იყო, ხოლო წელს რჩეულთა შორის გახლდათ დეკანოზი **არჩილი (მინდიაშვილი).**

— **კონკურსის უცხოელი მონაწილეები?**

— უკვე მეოთხე წელია, საქართველოს გარეთ მცხოვრებ დაინტერესებულ პირებთან კოორდინაციის მიმართულებით წარმატებულად ვთანამშრომლობთ **დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან**. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს ამ კატეგორიაში გამარჯვებული სამეულის საპრიზო ფონდსაც.

ამ ხნის მანძილზე ჩვენ გვყავდა მონაწილეები შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (ჰერეთი), სომხეთი, თურქეთი, რუსეთის ფედერაცია (ჩრდილოეთ ოსეთი), ყაზახეთი, უკრაინა, ბელორუსი, საბერძნეთი, გერმანია, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატები. უცხოეთში მცხოვრებთა შორის უკვე მთელი ოჯახებია კალიგრაფებისა, რომლებიც ოჯახურად იღებენ კონკურსში მონაწილეობას: **ბაჩაშვილებისა** და **ცერცვაძეების** ოჯახები გერმანიაში, **ტყებუჩავების** ოჯახი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, **ჭოველიძე-ბაბახანოვების** ოჯახი სომხეთიდან.

— **ქართული კალიგრაფია — 2014?**

— 2014 წელს შესარჩევ ტურში მონაწილეობდა 1200-მდე მსურველი. ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: 2010 წლის შემდეგ შესარჩევ ტურში მონაწილეთა რიცხვი შემცირებულია. ეს აიხსნება შემდეგით: ამ წლებში საზოგადოებისათვის ნათელი გახდა, რომ „ქართული კალიგრაფია“ არ არის მხოლოდ სუფთად წერისა და სკოლაში მაღალი შეფასების შესაბამისად წერის კონკურსი. ეს არის კალიგრაფიის ხელოვნების კონკურსი. ეს მოხდა თავისთავად და ამაში დიდი წვლილი მიუძღვით თვით კონკურსანტებს. ისინი გვთავაზობენ ისეთ მაღალ დონეს, რომ კონკურსის შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად, თავისთავად ამაღლდა. წარმატებული კონკურსანტები არ ჯერდებიან უკვე მიღწეულს და ცდილობენ მიაღწიონ ახალ სიმაღლეს, შემოიტანონ ახალი დეკორაციები და მასალა კალიგრაფიული ნამუშევრის შესაქმნელად.

— **კალიგრაფია კომპიუტერის ეპოქაში?**

— სამართლიანი იქნება კითხვა: რა დროს კალიგრაფია და ხელით წერის კულტურაა, გარეთ 21-ე საუკუნეა და არათუ დახელოვნებულად, საერთოდ წერის აუცილებლობაც აღარაა...

ამ შეკითხვაზე მოკლე პასუხი ალბათ არ არსებობს...

პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენზე უფრო წარმატებული ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში, ქვეყნებში, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი და ეკონომიკური მაჩვენებელი ძნელად თუ შეიძლება შევადაროთ ჩვენი ქვეყნისას... იმის მიუხედავად, რომ ლათინური ანბანის სამწერლობო ტრადიციების მქონე ქვეყნებს ორიგინალური დამწერლობა არ გააჩნიათ, ორიგინალურ სამწერლობო და კალიგრაფიულ ტრადიციებს იმდენად უფრთხილდებიან, ყოველდღიურად წამოწევენ წინ, რომ იქ ეს დარგი თანამედროვე ხელოვნების რანგშია აყვანილი: გამოიცემა სქელტანიანი ალბომები და კალიგრაფიის სახელმძღვანელოები, მზადდება ათასგვარი კალიგრაფიული კალამი და ხელსაწყო — ტრადიციული თუ ინოვაციური სახით, არის მრავალი სკოლა-სახელოსნო თუ სტუდია და იმართება საერთაშორისო გამოფენები. ხშირად ცნობილი საერთაშორისო ფირმები სხვადასხვა სახის სარეკლამო აბრისა თუ ლოგოტიპის შექმნას სწორედ კალიგრაფებს ანდობენ.

ნინო საბაშვილი და მაია ბაკაშვილი

— **რა ხდება ქართულ სინამდვილეში?**

— ქართული კალიგრაფია რომ კონკურსის ფარგლებს გასცლოდა, ამ მიმართულებით პირველივე წელს გადაიდგა ნაბიჯი: ფესტივალ „**არტ-გენის**“ საჩუქარი გამარჯვებულ კონკურსანტთათვის იყო ის, რომ 2010 წლის ფესტივალის მთავარ თემად იქცა კალიგრაფია და კალიგრაფებს დაეთმო ერთი ეზო, სადაც მათ წარმოადგინეს კალიგრაფია უკვე არა მხოლოდ ქაღალდზე, არამედ კერამიკაზე, თიხასა და ტყავზეც. ფესტივალ „არტ-გენზე“ ეს უკვე ტრადიციად იქცა და ქართველ თუ უცხოელ სტუმრებს თავადაც აქვთ საშუალება მოსინჯონ ძალები მელნითა და კალმით კალიგრაფიულად წერაში. დამერწმუნეთ, ფესტივალის ფარგლებში კალიგრაფთა ეზო გამოირჩევა სტუმართა სიმრავლით... ამის შემდეგ იყო ლიტერატურული ფესტივალის „**საბა**“ მემორიალური წიგნის გაფორმება, კალიგრაფ **დავით მაისურაძის** ნამუშევრების მოხვედრა კალიგრაფიის საერთაშორისო გამოფენაზე.

უნდა აღვნიშნო **საქართველოს მხატვარ-კალიგრაფთა კავშირის** შესახებ, რომელიც 2010 წელს კონკურსის დროს დაფუძნდა, როგორც კავშირი. მისი დამფუძნებელია კალიგრაფი **ლევან ჩაგანავა**.

სწორედ ბატონი ლევანის მეშვეობით მოხვდა დავით მაისურაძის ნამუშევრები კალიგრაფიის საერთაშორისო გამოფენაზე, ხოლო ჩვენი პატარა კალიგრაფების ნამუშევრები იუნესკოში გაიგზავნა.

ამ ხნის მანძილზე კალიგრაფია ჩვენი ნიჭიერი კონკურსანტებისათვის იქცა ცხოვრების წესად. ის, რომ დავით მაისურაძის 10 მოსწავლე რუსთავის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიდან „**მთაწმინდელი**“ კონკურსის ფინალისტია, ის, რომ უკვე შესაძლებელია მსურველმა ამ კალიგრაფის შესანიშნავი მხედრულით გადაწერილი შვიდგზის ლოცვანი შეიძინოს, ის, რომ **გიორგი სისაური** თავის პოეტური და პროზაული ქმნილებების გარეკანის დიზაინზე თვითონ ზრუნავს და საკმარისია მისივე საოცარი კალიგრაფია გამოიყენოს გარეკანზე და უკვე ყველაზე უნიკალური წიგნები მივიღეთ, ის, რომ **ოთარ ჭაბაშვილი** ყოველგვარი დახმარების გარეშე თვითონ აქცევს ტყავის ნაგლეჯს კალიგრაფისათვის ვარგის ეტრატად, ის, რომ **სერგი ლაფაჩის** მიერ ჩაგვირისტებული კალიგრაფით ნაწერმა რუსთველის ან ვაჟას სტრიქონებმა უკვე ყავის ლამბაქიდან შეიძლება შემოგანათოთ, ვფიქრობ, წარმატებაა...

— **ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რჩეული?**

— ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ წელს დააჯილდოვა **მაია ბაკაშვილი** სიღნაღიდან. ჩვენი ურთიერთობა ქალბატონ მაიას-

თან 2010 წელს დაიწყო, კონკურსანტის მშობლის რანგში. მისი ქალიშვილი, **თეონა ტუხაშვილი** კონკურსის ერთადერთი წარმატებული ფინალისტი იყო კახეთიდან. თეონას საოცარი უნარი აღმოაჩნდა კალიგრაფიულ სტილთა სხვადასხვა სახეობა შემოეთავაზებინა ჩვენთვის: სასულიერი ტექსტისათვის — კლასიკური, ტრადიციული კალიგრაფია, თანამედროვე პოეზიისათვის კი — კლასიკურ ხელწერაში შეტანილი თანამედროვე შტრიხები.

წელს უკვე ქალბატონი მაია შეუერთდა ქალიშვილს: თეონა და ქალბატონი მაია ორივე წარმატებული ფინალისტები არიან. ვფიქრობთ, ქალბატონი მაია კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს თავისი კალიგრაფიული ნიმუშებით.

— **მხარდამჭერები?**

— დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ აღმოჩნდა ის ბირთვი, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორი. აქ თითქოს აღარ არსებობენ კონკურენტი კერძო კომპანიები და ერთმანეთის მეტოქე სამთავრობო სტრუქტურები. აქ მხოლოდ ერთი კონკურენციაა — ვინ უკეთეს რჩეულს გამოავლენს და უფრო დასამახსოვრებელ ჯილდოს გადასცემს ქართული ანბანის ოსტატებს.

* * *

დაბოლოს, გვესაუბრება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი **ბუბა კუდავა:**

„ქართველებს გვაქვს ძალიან დიდი კულტურული მონაპოვარი, ეს არის ქართული დამწერლობა, რომელიც ვიდრე ჩვენი ქვეყანა, კულტურა და ხალხი იარსებებს, ყოველთვის იქნება აქტუალური, მიუხედავად ტექნოლოგიების ცვლილებებისა. ძველ ხელნაწერზე დაკვირვებამ ცხადყო ხელითწერის კულტურის განვითარების დინამიკა, სწორედ მისი განვითარების შედეგად მივიღეთ ანბანის სამი სახეობა.

კონკურსმა აჩვენა, რომ ეს დარგი დაადგა აღორძინების გზას, იწყება ახალი ეტაპი. ეს არ არის მხოლოდ ხელოვნება და დამოკიდებულება ჩვენი ტრადიციისადმი. ვფიქრობ, დამწერლობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად უნდა იქცეს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის ძირითადი საცავია. ჩვენ ძალიან ბევრ საინტერესო პროექტს ვახორციელებთ და ვცდილობთ ყოველთვის აქტიურები ვიყოთ. თუმცა თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, რომელსაც მეოთხე წელია ვახორციელებთ. ამ პროექტს ყოველწლიურად მეტი თანამდგომი და მხარდამჭერი ჰყავს.

კალიგრაფია, ხელოვნების ეს არაჩვეულებრივი დარგი, ბოლო წლებში, უფრო სწორად, საუკუნეთა განმავლობაში, მივიწყეთ. საბედნიეროდ, დღეს ჩვენი დამწერლობისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, როდესაც პირველად ჩავატარეთ კონკურსი, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

იმედი მაქვს, ეს კონკურსი მკვეთრად შეცვლის საზოგადოების დამოკიდებულებას ქართული კალიგრაფიისადმი. გული მწყდება, რომ ჩვენი კულტურის მთავარი მონაპოვარი — ქართული დამწერლობა — მივიწყებული გვაქვს და მას მხოლოდ წერისა და კითხვისთვის ვიყენებთ. სამწუხაროა, რომ ქართული დამწერლობა არ გვიქცევია ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათად. არადა მოგეხსენებათ, რომ სამყაროში ძალიან ცოტაა ქვეყანა, რომელსაც აქვს დამწერლობა, მხოლოდ თვითონ რომ იყენებს. ჩვენ გვაქვს სამსახოვანი დამწერლობა და ერთი ქვეყანა ძალიან მდიდარი კულტურით. ვფიქრობ, ამას სათანადო დაფასება სჭირდება.

კალიგრაფისტთა კონკურსმა კიდევ ერთი რამ დამანახა — ქართულ დამწერლობას განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ეს არ არის მხოლოდ ძველთან მიბრუნება, იქმნება ამ ეპოქისათვის თვისობრივად დამახასიათებელი ნიმუშები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ეს არის ხელოვნების დარგი თავისი პრაქტიკული და ესთეტიკური მხარეებით.

მომავალ ეტაპზე კალიგრაფთა დახმარებით, ვგეგმავთ მონაწილეობის მიღებას, საერთაშორისო ფესტივალებსა და გამოფენებზე. ჩვენი დამწერლობა მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებებზე უნდა გავიტანოთ“.

* * *

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და პროკრედიტ ბანკმა ყველა ფინალისტს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს, ხოლო სხვადასხვა კომპანიამ, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციამ საკუთარ რჩეულს — პრიზები.

ქარდა ქარდუხი

ოდა ლადო სეიდიშვილს

ერთხელ ვუთხარი, ეს ის პერიოდი იყო, როცა ჯერაც უკარება, მკაცრი და საშიში მეჩვენებოდა, აკადემიურად ცივი და კლასიკოსივით შორეულად დასარჩენია- მეთქი რომ ვფიქრობდი; მორიდებით ვუთხარი, ამ სურათზე გოეთეს მაგონებთ-მეთქი. ერთ-ერთი მისი წიგნი „ზნენი და ვნებანი“ იყო, ლომივით მკაცრი გამოხედვა და თითქოს ფაფარივით გაშლილი თმა ჰქონდა. გოეთეს სურათი კიდევ, ეკერმანთან საუბრები რომ გამოვიდა ქართულად, თხელყდიანი წიგნი, იმას ვგულისხმობდი. ბავშვივით გაუხარდა. „მართლა კაცოო?“ აღმოხდა ბალღურად.

განსაკუთრებით დავუახლოვდი როდესაც გამომცემლობა "აჭარის" რედაქციის შენობის სარდაფში მოწყობილ ლიტერატურულ კაფეში (უფრო სწორად, ლიტერატორთა კაფეში) სალონი გავმართეთ; არ გაფორმებულა, მაგრამ რად უნდა გაფორმება, როდესაც არსებითად ეს სალონი იყო, ლადოს ირგვლივ ჩამოყალიბებული სალონი: კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით და ერთი სული მქონდა მეცა და სხვებსაც, როდის მოვიყრიდით თავს. ამ სალონის სული და გული რა თქმა უნდა ლადო იყო თავისი წონიანი სიტყვითა და შემოქმედებით. უამრავი ახალი ნაწარმოები წაგვიკითხა აქ და თვითონაც სიამოვნებით უსმენდა სხვების სულ ახალშექმნილ ლექსებსა თუ ნოველებს თუ თარგმანებს. მახსოვს ამ სალონში წაკითხული ჟუჟუნა ხაჯიშვილის თარგმანები (ცვეტაევასი) თუ საკუთარი ლექსები; ზურა ფირცხალაიშვილის სონეტები, — სწორედ იმხანად რომ იქმნებოდა; ბადრი თევზაძის ფრანგული პოეზიის ბრწყინვალე თარგმანები; ქეთევან გიორგაძის ლექსები; ჩვენი სალონის დიასახლისის ქალბატონ თამარ ჩიქოვანის მშვენიერი თარგმანები რუსული ლიტერატურიდან; ნატო ინგოროყვას თარგმანები გერმანულიდან; ევგენი თავდგირიძის, სანდრო ბერიძის ლექსები; რამდენიმე თარგმანისა და ნოველის წაკითხვა მეც მოვასწარი. საოცრად ცოცხალ მოგონებად წარმომიდგება თვალწინ როგორ სთხოვა ლადომ ბადრის ანა კალანდაძის ახალი ლექსების წაკითხვა რომელიღაც გაზეთიდან, და შემდეგ როგორი შინაგანი სიღრმითა და სინატიფით გვესაუბრებოდა ანას ადრინდელი და იმჟამინდელი (რა თქმა უნდა მაშინ ცოცხალი გახლდათ ანა კალანდაძე, სადღაც 15 წლის წინანდელ ამბავს ვგულისხმობ) ლექსების თავისებურებებზე, ნიუანსებზე. სიამოვნებდა რომ ვახერხებდით ასე ცოტახნით მაინც პოეზიის სამყაროში მისი წინამძღოლობით ხან ოდისეას, ხანაც ჩამოსვენებას.

მერე ის სარდაფიც დაიხურა, ის კაფეც გაქრა, შემდეგ ის შენობაც გარდალიტერატურულდა, შემდეგ უკვე სახლებში გადმოინაცვლა ჩვენმა ლიტერატურულმა შეკრებებმა, მართალია არც სითბო და არც სიღრმე არ დაუკარგავს, მაგრამ იმ სარდაფი-

სეული ერთობის ხიბლისა და იდუმალების რაღაც პეწი სადღაც მუზებშორის განიბნა. ყველაზე მეტად ლადო წუხდა; ის სარდაფი როგორღაც დაკარგული სამოთხის ალუზია იყო თითქოს.

ჟამი იდგა ისეთი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, სუსტებს ანუ „პატიოსან ადამიანებს“ ძლიერ რომ უძნელდებოდათ ამ მედროვეთა ასპარეზად ქცეულ მიწაზე არსებობა და ბორიალნებადართული დაფარფატებდნენ მხოლოდ. იდგა რა, — ისე რომ ვთქვათ, წავიდა სადმე ის ჟამი თუ რა, მაგრამ ლადო წავიდა და იმიტომ ვახსენე წარსულში.

შემდგომ უკვე ლადო ძირითადად თბილისში ცხოვრობდა.

როცა ბათუმში ჩამოვიდოდა, აუცილებლად შემოგვივლიდა, ისედაც გვეხმიანებოდა ტელეფონით. ერთგვარი კავშირი იყო ჩვენთვის რეალურ, მართლაც არსებულ სამყაროსთან, ლიტერატურა რომ ერქვა, ამ მოჩვენებითი საარსებოდან იშვიათად დამყარებული. აუცილებლად მოგვიყვებოდა თამაზ ჩხენკელსა და ზურაბ კიკნაძეზე, იცოდა, რომ მე და ქეთის ძალიან გვიყვარდა ისინი. ერთხელ ბათუმში მორიგი ჩამოსვლისას რაღაცნაირად გულგატეხილი და უსასოო მეჩვენა, წიგნის გამოცემას დაპირდნენ და ცინიკური უგულისყურობით დიდი ადამიანური ტკივილი მიაყენეს ისე, რომ ვერც წარმოედგინათ, — მათნაირ ჩია ჭანჭიკებს თუ ესოდენი დიდი ტკივილის მიყენება შეეძლოთ ასეთი ბრწყინვალე პოეტისთვის; ვერ წაართმევთ, ასე ეგონათ და შეძლეს კი.

ვიჩქარე! სწორედ მაშინ ტარდებოდა ერთ-ერთი ლიტერატურულ საიტზე კონკურსი, შევთავაზე, ბატონო ლადო, იქნებ მიიღოთ მონაწილეობა-მეთქი, რატომღაც მეგონა, აუცილებლად უარს იტყოდა, მაგრამ ძალიან დაინტერესდა და ყველაფერი გამომკითხა. მე შევეცადე უფრო რეალური ვყოფილიყავი და არ დავიშურე კონკურსებისადმი ჩემი უარყოფითი, ეჭვიანი და უნდო დამოკიდებულება, ვთხოვე, ძალიან დიდი იმედი ნუ გექნებათ და წინასწარ შეეგუეთ, რომ ძირითადად კუტოკურ-კლანურ-ძმაბიჭური ჟიურ-კონკურსანტები იქნებიან-მეთქი. მესმის, კაცოო. მაგი კი არა, აი რა ამბავია ჩვენ სასიქადულო პრემიაზე, სულ ზარებითა და მოსყიდვებით ურიგებენ ერთმანეთსო... ამაზე როგორ დამწყდება გულიო.

მახსოვს მთელი ერთი კვირა არ გამოჩენილა. შემდეგ მოგვიტანა გრაგნილი, რომელიც დღესაც ჩვენს ოჯახში ინახება, თვითონვე წაგვიკითხა. ძალიან საინტერესო და ჩინებული ნაწარმოები იყო. მევე დავბეჭდე ვორდში, გავუხსენი ელფოსტა და გავუგზავნე კონკურსს. დღესაც ვნანობ, რამ მათქმევინა-მეთქი, ძალიან ახლოს მიიტანა გულთან უგულოთა გადაწყვეტილება. შემდეგ ხუმრობით შემახსენებდა ხოლმე, ეს რა მოგვივიდა, კაცო, კონკურსზეო?

ტკბილად ჩამესმის ნანასავით ტყუილი, როცა
სიმართლე ყელში გაჩხერილი აღარ გადამდის...
ოღონდ თქვი რამე- ნუ იქნები მართალი ცამდი,
სიამოვნებით დავესწრები სიტყვების ხოცვას.

ჭეშმარიტებამ გვირგვინი ცრუს გადაულოცა.
ალბათ ცხოვრების სისასტიკეს მოსდგამს ადათი:
იყოს სულგრძელი, თუმცა მოკლე ფეხებით დადისტანჯული სული რომ გარდაქმნას საამო ლოცვად!

მე კი არადა, გასუსული უფალიც ისმენს
მისგან გამოთლილ კლავესინზე დარხეულ სიმებს
და ნირვანაში გადასული სი-ბემოლიდან

უკან მიბრუნებს რიოშ ბგერებს კონტრაპუნქტებით...
გამართული აქვთ ტყუილ-მართალს ჩემში კორიდა,
და თუ სიცრუემ დამამარცხა- აღარ მოვკვდები!

(„ისევ სიცოცხლის აპოლოგია“)

ხშირად მახსენდება მისი სიტყვები, „აქ შეიძლება ჩაგიაროს გვერდით ჰეგელმა“, და დავეძებ ბათუმის ქუჩებში, იწროებში, იქნებ ისევ წავაწყდე სადმე ჩაფიქრებით, დინჯად, ღირსებით მოსეირნე ლადო სეიდიშვილს, სიცოცხლეშივე უჩინარი და აღმოსაჩენი რომ იყო უზომო თავმდაბლობითა და უსაშველო თავმოყვარეობით; დადიოდა ბათუმის ქუჩებში, შეიძლება შენ გვერდით ჩაევლო და ვერ შეგემჩნია, მას კი შეეძლო, შეეძლო გვერდით ჩავლილი ჰეგელი არ გამოპარვოდა. არასოდეს დამავიწყდება როგორ გვიყვებოდა რუგოშელზე (არჩილ ტოტოჩავა). როგორ წაუკითხა მასზე დაწერილი ლექსი მის უახლოესს და რა ბავშვივით გაოცებულმა თქვა, **„მე რას ვიფიქრებდი, კაცო, მატარებელში არ ატეხა ტირილი, ვერაფრით ვერ შეიკავა ქვითინიო“.** რაღაცნაირად სახასიათო იყო მისთვის, გალაკტიონთან შეხვედრაზე გვიამბო ერთხელ და მერე ხშირად ვთხოვდი, სხვადასხვა სტუმრებთან, — მოწიწებით რომ უცქერდნენ, — მოყოლას. იხსენებდა როგორ შემოეხვივნენ მწერალთა სასახლის ბაღში პოეტს ახალგაზრდები ყოველი მხრიდან, ეს კიდევ მორიდებული და მორცხვი არ მივიდა ახლოს და დარჩა ასე ეული მისკენ მომზირალი. **„წარმოგიდგენიათ, კაცო, არ შემნიშნა უცებ?! მზერა გადმოატარა გარსშემოხვეულთ და მე მომაპყრო თვალები, მოულოდნელობისაგან გამაჟრჟოლა, ეტყობა, გაიფიქრა, ვინაა ეს, რომელიც არ მოდის ჩემთან, ვინაა, ასეთი თავხედობის უფლებას რომ აძლევს თავს, არად რომ მაგდებს?“** ხშირად წარმოვიდგენ ამ სურათს: მორიდებით, ბაღის კუთხეში მიყუჟული ყმაწვილი ლადო და თაყვანისმცემლებით გარშემოხვეული მეფე, და ვხვდები, რომ რაღაც დიდებული წამის შეჩერებას ვგრძნობ.



ლადო სეიდიშვილი

* * *

ამქვეყნიურით დაღლილი, ლადოს რომ შეხვდებოდი ორფიკოსებზე, ანტიკურ გმირებსა თუ მუსიკის უცნაურ ხმიანობებზე ხმამაღლა მოფიქრალს, შეუძლებელი იყო არ ზიარებოდი მარადიულს თუნდაც წამით, თუნდაც წამით არ გეგრძნო, რომ დიდის, უსასრულოს, განუყოფელის ნაწილი იყავი და არა გაქრობადი დროებითობა. მალარმესა და მატისზე დაფიქრებული, შენაც უთუოდ დაგაფიქრებდა, გადაგისვრიდა მარადმედინისგან განცალკევებით გატრუნულ მარადისობაში, თვითონ ჩუმი და უჩინარი, როგორც მისი ჩანახატის გმირი, მეთევზე სემი, ერთ მშვენიერ დღეს რომ შეცურა ზღვაში და გაუჩინარდა და დღესაც რომ ელიან. ერთ სონეტს, ზურაბ კიკნაძეს რომ მიუძღვნა, წამძღვანებული აქვს შუმერული მითოსიდან „იხილა სიბრძნე“, არ მახსოვს, ბილგამეშზე თუ სხვაზე მითოსში, მაგრამ ლადოს რომ შეესიტყვება ყველაზე ძლიერ, ეჭვი არ მეპარება. კაცი, რომელმაც სიღრმე იხილა, და თუ ოდნავი ხედვის უნარი მაინც მოგანიჭა გამჩენელმა, შენაც ჩაგახედებს სიღრმის ჭაში, ხოლო სანამდის მიაწვდენ თვალს ეს უკვე შენს ნიჭზეა დამოკიდებული...

დაღლილი სული შვებას ითხოვს... დრო მიზოზინობს
(აუღელვებლად) ხან წინ და ხან უკუდინებით.
სიკვდილის მოლზე მზის მდინარე აპოთეოზით
მიექანება — იქ ჩამოგსვამს, სადაც ინებებ (?)

დღის სათავესთან მოჩანს სულის საჩრდილობელი —
იქ დარჩა ჩემი სასურველი პირველი კოცნა.
დამათმობინეს თუ ალერსით დავთმე სოფელი —
დრომ ყველაფერი დავიწყებას გადაულოცა.

როცა მძაფრია წაყრუების გულმოდგინება,
რითი შევავსო დაკარგული დროის დინება?
დავხუჭავ თვალებს — მისი სახე წამში იელვებს...

მიდის და მიაქვს ქარბორბალას ფოთლების გროვა...
გამოლევია დღის მარაგი სიცარიელეს —
ამაზე კარგი ვერაფერი ვერ მოიგონა.

(„დაკარგული დროის დინება“)

* * *

ძნელია წერო ლადო სედიშვილზე, უფრო ძნელია წერო მის შემოქმედებაზე, ამიტომაც შემოვიფარგლე მცირე მოგონებებითა და შთაბეჭდილებებით; მასზე სულ რამდენიმე ადამიანსა აქვს დაწერილი.

ვახტანგ ღლონტის სიტყვებია: **„იგი შეურაცხყვეს დაუნახაობით. სალიტერატურო კრიტიკას შეუმჩნეველი დარჩა ეს თვალსაჩინო არისტოკრატი ქართული პოეტური სიტყვისა...“**

იმედია გარდაცვალების შემდგომ მაინც შევამჩნევთ ლადო სეიდიშვილს, მწამს, მას არ დაჭირდება კონკურსის გავლა და „უკონკურსოდ“ დაივანებს ბათუმის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის ეზოში, ახალგახსნილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ზურაბ გორგილაძისა და ფრიდონ ხალვაშის გვერდით. **„ეს მასზე მეტად ჩვენ გვჭირდება“** ამ წუთისოფელში დარჩენილთ.

გავაფართოვოთ მხედველობის არე

თბილისის 202-ე საჯარო სკოლა საქართველოში არსებული ერთადერთი სასწავლო დაწესებულებაა, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე უსინათლო და სუსტადმხედველი მოზარდები სწავლობენ.

სკოლაში დღეისათვის 49 მოსწავლე ირიცხება. პანსიონში სწავლება როგორც ჩვეულებრივი, ისე ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. სკოლაში არის ბიბლიოთეკა, სადაც ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ წიგნებთან ერთად საკმაოდ მდიდარი ფონოტეკაც არსებობს.

იმისათვის, რომ 202-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს თემში მცხოვრებ თანატოლებთან ურთიერთობის უფრო მეტი საშუალება მისცემოდათ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2009 წლიდან სკოლაში **„მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარების პროგრამა“** აამუშავა. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობათა შორის არის კითხვის კლუბის შექმნა, რაც, ერთი მხრივ, უსინათლო და სუსტადმხედველ მოზარდებს თემში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეებთან დამეგობრებისა და საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლინების საუკეთესო საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ კი ჩვეულებრივი სკოლების მოსწავლეები მათთან ურთიერთობითა და თანაარსებობით უფრო მეტად ტოლერანტები და შემწყნარებელნი ხდებიან. და, რაც მთავარია, კითხვის კლუბი უსინათლო და სუსტადმხედველ მოზარდებს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად გაეცნონ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ კლასგარეშე ლიტერატურას.

ყველაფერი კი 202-ე სკოლის მოსწავლეებთან **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარების პროგრამის“ კოორდინატორის, ლელა ცქიტიშვილის** ურთიერთობით დაიწყო. როგორც ქალბატონი ლელა იხსენებს, „ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ კლასგარეშე ნაწარმოებთა საჭიროება უსინათლო და სუსტადმხედველ მოზარდებთან რეგულარულმა შეხვედრებმა და მათთან საუბრებმა გამოკვეთა. კლასგარეშე ლიტერატურას სკოლის მოსწავლეები აღმზრდელთა დახმარებით ან სკოლაში არსებული აუდიო მასალის საშუალებით ეცნობიან. თავად მოზარდებს კი დიდი სურვილი აქვთ, ნაწარმოებები დამოუკიდებლად წაიკითხონ, ვინაიდან მათი მოსმენისას დიდწილად მსახიობთა და აღმზრდელთა განწყობაზე, ხმის ტემბრსა და მუსიკალურ გაფორმებაზე არიან დამოკიდებულნი. ეს კი, როგორც ისინი აღნიშნავენ, ხელს უშლით ნაწარმოებთა ობიექტურად აღქმაში.

პრობლემის მოგვარების მიზნით, 2013 წლიდან თბილისის 202-ე საჯარო სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში კითხვის კლუბი ამუშავდა. ხოლო იმისათვის, რომ უსინათლო მოზარდებს შემცირებოდათ სხვაზე დამოკიდებულების შეგრძნება, ამავე წლის ზაფხულში არასამთავრობო ორგანიზაციასთან — „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ — თანამშრომლობით მათთვის ბრაილის შრიფტით დავბეჭდეთ კლასგარეშე ლიტერატურა. წიგნებს, ჩემი ინიციატივით, დაერთო ტაქტილური ფორმის ნახატები, რომლებიც უსინათლო მოზარდს საშუალებას აძლევს, ხელის შეგრძნებით აღიქვას ნაწარმოებში გადმოცემული ესა თუ ის ეპიზოდი“.

ქალბატონი ლელა ცქიტიშვილისაგან წამოსული ინიციატივა — მოზარდებთან ერთად ვიკითხოთ ის ნაწარმოებები, რომლებიც უზრუნველყოფს მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, მართლაც ნაყოფიერი აღმოჩნდა. კლუბის წევრები დღითიდღე იცვლებიან. სხვათა პრობლემების მიმართ უფრო ყურადღებიანები და გულისხმიერნი ხდებიან.

„პირადად მე ხშირად დრო არ მრჩება, რომ ჩემთვის სასურველი და საინტერესო ნაწარმოები წავიკითხო, თუმცა, ამ პროექტის წყალობით უკვე არაერთი (როგორც ქართველი, ისე უცხოელი) მწერლის შემოქმედებას გავეცანი და ყოველ ოთხშაბათს დიდი სიხარულით ველოდები, რომ კიდევ ერთი ამბის გმირებთან ერთად ვიმოგზაურო მოულოდნელობებით აღსავსე სამყაროში.

თუმცა ეს ერთადერთი მიზეზი არაა, რის გამოც ასე მიმეჩქარება 202-ე სკოლაში. „კითხვის კლუბში“ შევიძინე ახალი მეგობრები, რომლებთანაც ძალიან მსიამოვნებს ურთიერთობა. მეტიც, მეც ისევე მჭირდება ისინი, როგორც მათ ვჭირდებით ჩვენ.

ამ პროექტმა ჩემი, ისევე როგორც სხვა ბავშვების ცხოვრება მთლიანად შეცვალა და მასწავლა, რომ სრულებითაც არ არის საჭირო ადამიანი შენი ნაცნობი, მეგობარი ან თუნდაც ნათესავი იყოს, სიკეთე გაუკეთო, უანგაროდ დაეხმარო და ამის ნაცვლად არაფერი მოითხოვო”, — აღნიშნავს 77-ე საჯარო სკოლის *X* კლასის მოსწავლე, კლუბის აქტიური წევრი ***ნიტა პაპაჩაშვილი***.

შეხვედრა ირაკლი სოლომანაშვილთან

კლუბში მოზარდთა მიერ მოწონებულ ნაწარმოებებს ვბეჭდავთ ბრაილის შრიფტით, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, ინოვაციურია. უსინათლო და სუსტადმხედველი მოზარდები თვითვე წყვეტენ, რომელი ნაწარმოების წაკითხვა გაუხარდებათ მსგავსი ტიპის პრობლემების მქონე თავიანთ პატარა მეგობრებს.

ამ პროგრამის მნიშვნელობას ჯეროვნად აფასებს და მაქსიმალურად გვიდგას მხარში **202-ე საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა ჯალაღონია**: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარების პროგრამისა“ და კავშირის „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ თანამშრომლობით სკოლის ბიბლიოთეკას ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი 7 ნაწარმოების 30-30 ეგზემპლარი გადაეცა. მინდა აღვნიშნო, რომ უსინათლო მოზარდებისათვის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კლასგარეშე ლიტერატურა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში აღარ გამოცემულა; რაც შეეხება ტაქტილურნახატებიან წიგნებს, ასეთი წიგნები საერთოდ არ დაბეჭდილა დღემდე.

ჩვენი სკოლის მოზარდებს შესანიშნავი შესაძლებლობა გაუჩნდათ, დამოუკიდებლად წაიკითხონ წიგნები. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ უსინათლო და სუსტადმხედველ მოზარდებთან ერთად კითხვის კლუბში ჩართულნი არიან საჯარო სკოლებიდან შერჩეული მოხალისე მოსწავლეებიც,რაც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციასა და დამეგობრებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის ბიბლიოთეკისათვის გადაცემული წიგნებით სარგებლობა შეუძლიათ არა მხოლოდ დღევანდელ მოსწავლეებს, არამედ მათს შემდგომ თაობებსაც“.

თბილისის 202-ე საჯარო სკოლის ბაზაზე ამუშავებულ კითხვის კლუბში ბრაილის შრიფტით დაბეჭდილმა კლასგარეშე ლიტერატურამ უსინათლო-სუსტადმხედველ მოზარდებს საშუალება მისცა კითხვის მოყვარულ სხვა თანატოლებთან ერთად დამოუკიდებლად წაეკითხათ ოსკარ უაილდის „ბედნიერი უფლისწული“, ვაჟა-ფშაველას „საშობაო ამბავი“, ო’ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“, ზიგფრიდ ლენცის „ღამე სასტუმროში“, ჯეკ ლონდონის „მაწანწალა და ფერია“, იაკობ გოგებაშვილის „გულკეთილი ქვრივი“, ირაკლი ლომოურის „ჩიჩილაკად ქცეული ქალის ზღაპარი“ და რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი”. კითხვის კლუბში გაერთიანებული ბავშვები ერთად სწავლობენ, როგორ იცხოვრონ სხვების საკეთილდღეოდ, როგორ დაეხმარონ ერთმანეთს და გარშემომყოფთათვის ჩუმად და უანგაროდ როგორ აკეთონ სიკეთე.

„ბავშვობიდან მიყვარს კითხვა, თუმცა მაინც არ ვკითხულობდი ისეთი ინტენსივობით, როგორც ახლა, კლუბში ყოფნისას, ვკითხულობ. კლუბის შექმნამდე ჩემს შთაბეჭდილებებს წაკითხულის გარშემო მხოლოდ სკოლის მეგობრებს ვუზიარებდი. ახლა კლუბის მეშვეობით მეტი მეგობარი მყავს და შთაბეჭდილებებსაც უფრო მეტს ვუზიარებ. ჩემი ახალი მეგობრები, რომლებიც სხვადასხვა სკოლაში სწავლობენ, ჩვენი კითხვის კლუბის წევრები არიან. ჩვენ სოციალურ ქსელში ერთად შევქმენით ვებგვერდიც (ვიზრუნოთ ერთმანეთზე/vizrunot ertmanetze), რამაც კვირის სხვა დღეებშიც თავისუფალი ურთიერთობის საშუალება მოგვცა”, — დათო ბიბილეიშვილი, 202-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

კლუბს ყოველ ოთხშაბათს სტუმრობენ ქართველი მწერლები, რომლებიც მოზარდებთან ერთად კითხულობენ საკუთარ ნაწარმოებებს, საუბრობენ ლიტერატურაზე, განიხილავენ ნაწარმოებების პერსონაჟთა ქცევის მოტივებსა და ღირებულებებს. აქ შეკრებილ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოზარდებს უკვე ჰქონდათ საშუალება, გასცნობოდნენ ირაკლი ლომოურის, ინგა მილორავას, მაკა მიქელაძისა და **ირაკლი სოლომანაშვილის** სიკეთით სავსე მოთხრობებს. იმედი მაქვს, პროექტის მომდევნო ეტაპზე კიდევ უფრო მეტი თანამედროვე ქართველი მწერალი ჩაერთვება ამ საქმიანობაში.

„უსინათლო და სუსტადმხედველ მოზარდებთან თანამშრომლობა ძალიან საინტერესოდ წარიმართა. მოზარდებთან ერთად წავიკითხეთ ჩემი ნაწარმოები, მინდა მადლობა გადავუხადო ორგანიზატორებს ჩემი ნაწარმოების ბრაილის შრიფტით დაბეჭდვისათვის“, — თავის მხრივ მადლიერებას ვერ მალავს მწერალი **ირაკლი ლომოური**.

გარდა წიგნების კითხვისა, კლუბმა კიდევ ერთ საინტერესო ინიციატივას დაუდო სათავე, კერძოდ, კლუბის წევრთა მონაწილეობით წაკითხულ ნაწარმოებთა მიხედვით სპექტაკლების დადგმა. ამჟამად კითხვის კლუბში, მოზარდების გადაწყვეტილებით, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის მოთხრობის („პატარა უფლისწული“) მიხედვით მზადდება სპექტაკლი. როლები თანაბრად გადანაწილდა როგორც უსინათლო და სუსტადმხედველ მოზარდებზე, ისე თბილისის 77-ე, 84-ე და მე-60 საჯარო სკოლების მოსწავლეებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გვიდგას მხარში რეჟისორი **ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი**.

„საქმიანობა გამოირჩევა იმ თვალსაზრისით, რომ თითოეულ აქტივობაში უსინათლო და სუსტადმხედველ მოზარდებთან ერთად ჩართულნი არიან მათი თანატოლები სხვადასხვა საჯარო სკოლიდან. სპექტაკლზე ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს უსინათლო მოზარდთა და საჯარო სკოლის თანატოლების გაერთიანებას საერთო ინტერესის გარშემო, მათში გუნდურობის შეგრძნების გამომუშავებასა და ინტეგრაციას. ერთი მხრივ, ხელი ეწყობა უსინათლო და სუსტადმხედველი მოზარდების შესაძლებლობათა რეალიზებას, თვითშეფასების გაზრდას, ხოლო, მეორე მხრივ — სხვა საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას“, — აცხადებს ბატონო ნიკოლოზი.

„მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარების პროგრამა” ხორციელდება კავშირის — „ვიზრუნოთ ერთმანეთზე” — მიერ შემუშავებული პროექტის — „გავაფართოვოთ მხედველობის არე” — ფარგლებში ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით. წიგნები ბრაილის შრიფტით კი იბეჭდება არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანთან” თანამშრომლობით.

ილია ჯიბღაშვილი

202-ე სკოლაში არსებული
კითხვის კლუბის ხელმძღვანელი,
სცენარისტი

გურანდა გაბუნია

„ვაკეთო ჩემი საქმე სიცოცხლის ბოლომდე!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უახლოესი ადამიანის წასვლა ამ ქვეყნიდან, ჩემთვის ეს იყო ოთარის წასვლა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იტალიაში და, რა თქმა უნდა, რომში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როდესაც შენს საქმეს აკეთებ და გყავს ჯანმრთელი შვილები და შვილიშვილები...

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ძალიან ბევრი, ყველას ვერ ჩამოვთვლი...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ალექსანდრე მაკედონელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია, როცა, ამდენი შესანიშნავი მხატვარი არსებობს, მაგრამ მაინც, ალბათ, გოგენი და მაიოლი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— რახმანინოვი, ჩაიკოვსკი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ყველა იმ თვისებას, რაც ჩემს მეუღლეს, ოთარს ჰქონდა: ვაჟკაცობა, ადამიანურობა, ბავშვების სიყვარული.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— პატიოსნებასა და სიყვარულს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— კეთილშობილება და ხელგაშლილობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემი პროფესიული საქმიანობა, როდესაც ჩემ საქმეს ვაკეთებ, ბედნიერი ვარ.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მე ვარ მე! სხვანაირი არც მინდა რომ ვიყო...

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიკეთის კეთება.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ძალიან ემოციური ვარ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ოთართან ერთად ძალიან ბედნიერი ვიყავი, განსაკუთრებით, ბოლო 25 წელიწადი.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ოთარს რომ ვერ შევხვედროდი...

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— როგორიც ვარ...

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ფირუზისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია, რომელიც ოთარმა მომართვა პირველ პაემანზე.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ბევრი მიყვარს, ყველას ვერ ჩამოვთვლი. აი, ახლა მომაგონდა ჰემინგუეი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ბროდსკი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ანა — ოთარ ჭილაძის რომანიდან — „ყოველმან ჩემმან პოვნელმან“ და ჩეხოვის „სამი დის“ პერსონაჟი ქალები.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ექვთიმე თაყაიშვილი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— გიორგი, ალექსანდრე, მარიამი, თამარი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ორპირობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ჰიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— ლენინგრადის განთავისუფლება.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ბატონყმობის გადავარდნა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— უეცრად... სიკვდილი რომ ვერ გავაცნობიერო.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ოთარის სულთან თანაცხოვრება: მგონია, რომ ოთარი ჩემს გვერდითაა და სულ ველი...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— თუ მშიერმა ბავშვმა პური მოიპარა, ან ავადმყოფი დედის გადასარჩენად წაუცდა ხელი, შემიძლია გავუგო... და ვაპატიო.

— თქვენი დევიზი?

— ვაკეთო ჩემი საქმე სიცოცხლის ბოლომდე!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის თქვა?

— ეთქვა, რომ ოთარი კარგადაა...

უჩა ზაქაშვილი

წყალდიდობა

დაღმართი ჩაიარეს. ღელეს ნაპირს გაუყვნენ. ყურადღებით ჩხრეკდნენ თითეულ გოჯს. შუადღე იდგა, ისინი კი გარიჟრაჟიდან შეუსვენებლად დადიოდნენ. საფრთხე ნებისმიერი მხრიდან იყო მოსალოდნელი. გარშემო ათასი ჯურის ხალხი ირეოდა. მათი ძიების მიზნის შესახებ არავის უნდა გაეგო. ამიტომ ბუჩქნარის საკრეჭი მაკრატელი გამოეყოლებინათ ხელს და ადამიანის გამოჩენისთანავე უახლოეს მცენარეს უმოწყალოდ კრეჭდნენ. აბა, ვის ეცალა მათთვის, თორემ მაყვლის უშნო ბუჩქის დეკორატიული შელამაზება როგორ არ დაეჭვებდა ვინმეს? დრო არ იცდიდა. ასლანი ათ წუთში ერთხელ უგზავნიდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებას: „იპოვეთ?“ „ვერა, ჯერ.“ — უპასუხებდნენ და უფრო მძაფრად გრძნობდნენ სუსხიან სუნთქვას, დამძიმებული გულის ბაგაბუგს, აწკმუტუნებულ მეორე მეს, რომელიც შიშისგან სადაცაა ამოხტებოდა და ჯანდაბის ჯანდაბაში გადაიხვეწებოდა. ეს წყალდიდობაც მათ ჭირად მოხდა. არადა, სულ რაღაც ორი დღის წინ გულმა ცუდი უგრძნო ასტამურს. არა, ნამდვილად წინასწარ იგუმანა მოსალოდნელი უსიამოვნება და სწორედ ამიტომ, ჯერ სულიკოს და მერე ასლანსაც სთხოვა მორღვეული ბეტონის კედლების გამაგრებითი სამუშაოების დაწყებისთვის ხარჯების გამოყოფა. უარი მიიღო. პატრონებმა იკითხონო, ჩვენ რა შუაში ვართო, ეგ ჩვენი პროფილი არააო, წყალსაც წაუღიაო... ეგრე აგიხდეს ყველაფერი! ისეთი წვიმა მოვიდა, კედლები რაა? ლამის მთელი ქალაქი მიწაში ჩაიყოლა... ამ ფიქრებში გართული ასტამური ადგილზე გაიყინა, სუნთქვა გაუხშირდა, სულიკოც შედგა. ჯერ მეწყვილეს მიაშტერდა, მერე იმ ადგილს, საითაც მზერა მიეპყრო აცახცახებულს... მოშლამული ღელის ნაპირას წყალდიდობის ნადავლი ლიცლიცებდა. ათასგვარი ხარახურით მოფენილ ნიადაგზე ზედ მათ ფეხებთან მიწიდან ოდნავ ამოზნექილიყო ის...

— ვიპოვეთ მგონი. — ჩაილუღლუღა სულიკომ და ასტამურს გადახედა.

— ჰო, — დაეთანხმა ჩურჩულით და იგრძნო როგორ დაეწინწკლა შუბლი ცივი ოფლით...

* * *

ასლან ცოცხალაშვილმა შორიდანვე შენიშნა, ოფისთან საპროტესტო აქცია გრძელდებოდა. თავი ჩახარა, ქურთუკის სახელოებში ღაჟღაჟა ლოყებით ჩაყვინთა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა საავარიო შესასვლელისკენ. „ძირს ჰადესი“, „არა — ელექტრონულ მონობას!“ „შენ ხარ დემონი, — მე ანგელოსი!“ — მოჩანდა ტრაფარეტები.

— მეორედ მოსვლა ახლოვდება, შვილებო, წუხელის ბეჟან რაისკიმ ზმანება ნახა, ვითომ შავი ზღვა ცეცხლისფერი იყო, გემები უკუღმა ცურავდნენ, თვითმფრინავები მიწაზე დასრიალებდნენ, მაიმუნები პარლამენტის შენობის წინ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. მეტი რა დასტური გინდათ, ურწმუნოებო? ღმერთი ელექტრონულ ფოსტაზე ვერ მოგწერთ — მოვდივარ და მოემზადეთო! გადაგვარება გვიახლოვდება. გადაგვარებას კარგები უყვარს. გადაგვარება კარგებს წაიყვანს! ამათ რა ენაღვლებათ? ჩვენ უნდა დავდგეთ მაგრად, ჩვენ უნდა დავიცვათ, ჩვენ უნდა გამოვიდეთ ქუჩაში, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ! — ღრიალებდა საშუალო ასაკზე ახალგაზრდა ბენდენიანი ბიჭი და სიგარეტიან ხელს ხმალივით იქნევდა.

„მართლა რა ცეცხლი მოწია ბეჟან რაისკიმ ასეთი, რომ ერთი კვირა ეს გულანთებული თუ წყალადუღებული სტუდენტობა სამსახურში ჩამისახლა“. — ფიქრობდა დირექტორი.

პოლიტიკოსებს მეტი რა უნდათ, სადაც ორი კაცი დგას, ხო იქ მირბიან პენსიაში გასული მეპურეებივით. ჰყვებიან ათას სისულელეს, აგინებენ ყველას, საკუთარი თავის გარდა და ბოლოს ბოჩოლას თვალებით გიწყებენ ყურებას. თუ უნამუსო არ ხარ, მიხვდები, რამ ააწყლიანა თუ გაანაწყლიანა მათი სულიერი სარკე, მათი სულიერი განზომილება ესოდენ და თუ მოწყალების უნარი კიდევ შეგრჩენია, უნდა თანაუგრძნო, უნდა აგრძნობინო, რომ მიხვალ და შემოხაზავ იმ ჯანდაბურ ციფრს, იმ უნიჭო დემოკრატიულ მონაპოვარს, რომელსაც ჩვენი ხმის უფლება ჰქვია და სამშობლოს, მაშასადამე, კონკრეტული სახელის და გვარის გაბახებულ სიამაყეს ანაცვალებ! ამგვარი მიტინგების მოგონებაში თვით პოლიტიკის ღმერთის ხელი ერია, თორემ: „ღმერთს ეხებიან! რწმენას გვართმევენ!“ — რა უნდა ყოფილიყო ამაზე ნეტარი საკითხი პოლიტიკოსისთვის? რა გახსენდებათ ამაზე ამგდები? რაღა დისკოთეკაზე ჰაერში უფასოდ გაქნეული ორი მუჭა ელესდე და რაღა მიტინგზე რწმენის დაცვისკენ მოწოდება! — იცოდა ასლანმა ეს და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ თვალში არ მოხვედროდა ვინმეს. კედელ-კედელ დაძვრებოდა საკუთარი ფირმის ტერიტორიაზე.

რა შუაში იყო, მაგრამ აქა-იქ ეგრეთ წოდებული საზოგადო მოღვაწე მეცენატი მილიარდერებიც მოირბენდნენ ხოლმე და ბავშვობიდან უკვე მოზრდილობაში გადაყოლილი შარდისშეუკავებლობისგან თუ უკვე დიდობაში სხვადასხვა უკანალში ქექვისგან ათვისებული სიღრმეების ხარჯზე შეძენილ სიბრძნის ნაზავს პირდაპირ ახმოვანებდნენ:

— არა პოლიტიკას, არა თანამდებობას, არა არჩევნებს, არა ევროკავშირს და სექტანტურ ორგანიზაციებს, არა პრეზიდენტს, არა პრემიერს, არა გლობალიზაციას, არა ამერიკას, არა ტუტუცებს... ვაშა მეფეს! ვაშა კონსტიტუციურ მონარქიას! დაე, დაგვლოცოს უფალმა, დაე, აღსდგეს თამარი და აღადგინოს სამართლიანობა! დაე, ჩვენი წმინდანები გაგვიძღვნენ, დაე, თამარის მადლი გადმოვიდეს მირონის სახით და წვიმად მოვიდეს, მირონის წვიმა მოვიდეს! — გაიძახოდნენ უემოციო თუ ფსევდოემოციური სახით.

ბრბოც უპრობლემოდ დრტვინავდა:

— მოვიდეს, მოვიდეს, მოვიდეს!

კომუნისტების დროიდან რა აღარ უნახავს ასლან ცოცხალაშვილს, რა შარს აღარ გადაყრია. 90-იანებში ავტომატიან მამულიშვილებთანაც უკაჩავიათ მის ბიჭებს და შუა ქალაქში ყუმბარებიც უბათქუნებიათ გვარდიის რომელიღაც ბატალიონის მებრძოლებისთვის, მაგრამ ახლა სრული გარინდება დაემართა, სრულ უგანცდობაში ამოყო თავი. ათასობით სიტყვიდან მხოლოდ ორი სიტყვა ატორღიალებოდა, ისიც ჩუმად, უხმოდ და იმგვარი მოკრძალებით, როგორც მიმდინარე მიტინგის თემას შეეფერებოდა... არც დაღრიალება უნდოდა არც ჩურჩული, თავისთვის გულში იმეორებდა, რაღაცნაირად მორჩილად, რაღაცნაირად შემწყნარებლურად: მოგისპეთ დემოკრატია, მოგისპეთ დემოკრატია, მოგისპეთ დემოკრატია!

ოთახში შევიდა თუ არა ყველა ფეხზე წამოიშალა და თავის დაკვრით მიესალმა დირექტორს.

მდივანმა რეგლამენტი მაგიდაზე დადო:

1. ფირმის სახელწოდების საკითხი.
2. გაფიცვა — მოხალისეთა რაზმი.
3. თეატრალური მაკიაჟის სპეციალისტის ვაკანსია.

(ნომრის გარეშე) ნიკიფორე ცერბეროვიჩი (სრულიად საიდუმლოდ).

ასლანმა დაკვირვებით ჩაიკითხა. ოთახს თვალი მოავლო. საგანგებო თათბირს კანცელარიის თანამშრომლიდან დაწყებული მხატვარ-დიზაინერით დამთავრებული ყველა ესწრებოდა, შემდეგ ტელეფონს დახედა, რომელზეც ტექსტური შეტყობინების შემოსვლის ზარი ახმიანდა: „უფროსო, მგონი ის არის...“ დირექტორს ისეთმა სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა, ლამის დაავიწყდა, სამსახურში გაუცინარი ხელმწიფის სახელი რომ ჰქონდა. ერთხანს გაღიმებულ-გაბრწყინებული იჯდა. შემდეგ ნიავმა მომიტინგეების ღრიანცელი მოაბნია ოთახში და მასაც ფერი ეცვალა. „მოიტანეთ!“ — მისწერა ბიჭებს და თანამშრომლებს მიუბრუნდა.

* * *

სულიკო სულნიაურმა ასლანის შეტყობინება წაიკითხა და გაცრა. ძვლებამოჩრილს რომ იმდენ ხალხში გაევლო, მერე გენახათ გახელება, მერე გენახათ შურისძიება, მერე გენახათ სატანიზმში მხილება. ასტამურ ყანჩელიც ავიშვიშდა, მაგრამ რა ექნათ?! ასლანის ამ ტერიტორიაზე გამოჩენა სახიფათო იყო. მათ ვინ იცნობდა? ან რომც ეცნოთ, დიდი ამბავი, ორი მუშა სასაფლაოს ტერიტორიაზე ბუჩქნარის საკრეჭი მაკრატლით დადის, ტომრით ფოთლები დააქვს და დიდი რამე, ერთი-ორი ძვალიც თუ ამოუჩრიათ იღლიაში, მერე რა მოხდა? სასაფლაოზე ძვლებით სიარული განა აკრძალულია?

— მოვიფიქრე, — წამოიძახა ასტამურმა.

— თქვი მერე.

— ამ ტომრით ავიტანოთ ოფისში!

— ჰა? ამითი?

— ჰო. ამითი.

— ტყუილად ისწავლე ლენინგრადში. არაფერი გეშველა რა. — ჩაიბურდღუნა სულნიაურმა.

— რატო?

— და არ იტყვიან ნაგავი ოფისში რატო შეაქვთო? უფრო აპასნი არაა?

— ააა.

— რო მოგიცვივდნენ და ნახონ. რას იტყვიან?

— ხოოო. მართალი ხარ.

— ისეთი რამე უნდა ვქნათ რაა, უფრო პროფესიული, უფრო დამაჯერებელი.

— პროფესიული?

— ჰო, მარტივი და ჩვეულებრივი.

* * *

— აბა, დავიწყოთ. იცით, რატომაც შეგკრიბეთ. ხალხი ფირმის სახელს აპროტესტებს, არადა, სახელი უბრალო რამე არაა! სახელით იწყება ყველაფერი. სახელით იწყება სიცოცხლე და სიკვდილის შემდეგაც მარტო სახელი რჩება. ჩვენი ფირმის სახელი, ჩვენი გამაერთიანებელი ნიშანია და ის უნდა დავიცვათ. მისთვის უნდა ვიბრძოლოთ, როგორც საკუთარი, პერსონალური იდენტიფიკატორი ნიშნებისთვის ვიბრძოლებდით. ეს ჩვენი პიროვნული სუვერენიტეტის საკითხია. მაგრამ დღეს საქმე ამას არ ეხება. დღეს საქმე ყოფნა-არყოფნას ეხება. ქალბატონმა ნელიკომ მომაწოდა თქვენი მოსაზრებები სახელწოდებასთან დაკავშირებით. — თქვა დირექტორმა და მდივანს გადახედა, რომელიც იქვე იდგა და თვალებში შესცი ცინებდა. — მოდი შევარჩიოთ საუკეთესო. — დაასრულა ასლან ცოცხალაშვილმა, ტუჩები მოამრგვალა, ორჯერ შეისუნთქა და მოხუც მდივანს თვალები დაუბრიალა. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ ნელიკოს საფერფლე მაგიდაზე დაედგა, ფანჯრები გაეღო და გამოეცხადებინა:

— პერეკური, ოთხი წუთი.

— ასლან-ეშმა, ასლან-ეშმა, ასლან-ეშმა, მონებო, მონებო, მონებო! — ოთახს ნიავთან ერთად მომიტინგეთა ღრიალმა დაუქროლა. ასლან ცოცხალაშვილს ცერბეროვიჩის საქმე გაახსენდა: „აქ როგორ მოიტანენ ნეტა?“ გაიფიქრა და შეაცი...

ნიკიფორე ცერბეროვიჩი ერთი გვამის დაშიფრული სახელი იყო, რომლის საფლავიც საამოდ მოჩუხჩუხე ნაკადულმა იმ წვიმიან ღამეს წალეკა, როცა ნახევარი ქალაქი ვენეციას დაემსგავსა. დაეჯერებინა ასტამურისთვის და გაემაგრებინა ღელის პირას მდგარი საფლავის კედლები, რა იქნებოდა? — ნანობდა ასლანი. ამ საქმეს კიდევ შეიძლებოდა შველებოდა რამე, რომ არა ეს მიტინგი, რომელიც კონსპირაციულად მოქმედების საშუალებას სპობდა.

დღეს სიტყვა თავისუფლების ურეცეპტო მოხმარებისგან დაყრუებული სტუდენტებისთვის სულ ერთი იყო რისთვის იომებდნენ, მთავარია ეომათ! დღეს თავისუფლების ლოზუნგებზე ამხედრებული ღრიანცელი გამხდარიყო უზესთაესი თვითილუზია ბრძოლის, რომ დიახაც, ვიბრძვით, დიახაც, გვეკუთვნის! არადა, ეს უბრალო ჩუჩუნი იყო. უჩუჩუნებდათ ბიძიკოებს! თორემ გამიბაიბურებია ეგეთი მიტინგი, სადაც სატანად გაცხადებენ, თავად საფლავების ქვებზე ჟიმაობენ, ერთ-ერთი ცნობილი კომუნისტის საფლავზე კი ტუალეტს აწყობენ. კარგი, ვიცით, რომ საფლავის შეურაცხყოფა სისხლის სამართლის დანაშაულია. გამოიძახებ პოლიციას. მოვა, უმცროსი ლეიტენანტი ვინმე ასლამაზაშვილი და უფროსის ბრძანების რეალური შინაარსის დასაფარად უპრობლემოდ დაილენჩებს თავს: „თუ ვიპოვეთ სასტიკად დავსჯით, მაგრამ რა იცით, რომ ეს განავალი ძაღლის არაა, ბატონო ჩემო? ან ეს შარდი, ამის გამო ელდარ ალხანაურის ექსპერტიზის ბიუროს ხო არ შევაწუხებთ? უხერხულია. რომ იყოს მკვლელობა, კიდე ხო, მაგრამ უკანონო მოშარდვა ნამეტანია!“ — იბაასებს უტიფრად. და რომ ჰკითხო: „შე ჩემის ბარბარელა, ეს პრეზერვატივიც დვარნიაშკებმა იხმარეს?“ რას გიპასუხებს? — ღირსი კია, მართლა უთხრა, მართლა მიახალო სიმართლე, მაგრამ ცხოვრებაში არსებობს ერთი სტოპი... როცა ოპონენტის მაგივრად გრცხვენია, იმის, რასაც ის უტიფრად გიმტკიცებს. ამას უკუსინდისიერება ეწოდება. ის ცრუობს და შენ ხარ უხერხულში, მისი ბლაგვი ტყუილის გამო და თავს აჩვენებ თითქოს გჯერა. — ფიქრობდა ასლანი და ნამწვებისგან გადავსებულ საფერფლეს მიშტერებოდა.

იმდენი ხალხი დაბორიალობდა სასაფლაოს ტერიტორიაზე, ქვას ვერ იპოვიდი, სადაც ჩამოჯდომა შეიძლებოდა. ზოგი მღვდელი იქვე იბარებდა აღსარებას. ერთმა წირვაც კი ჩაატარა, პირდაპირ ოფისსა და სასაფლაოს გამყოფ სკვერში. მომიტინგეების დაშლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, ასლანს რამდენიმე თვით საფლავების უფასო დარიგებაც აძლევდა ხელს. თუ ვინმე აღმოაჩენდა, რომ გვამი აბობოქრებულმა ნაკადულმა წაიღო დაიჭერდნენ, დაკოდავდნენ, ჩაქოლავდნენ... რამე უბედურებას მოსწევდნენ, თან განა ვინმე შეიცოდებდა?! პირიქით, მისი დასჯა გახდებოდა სამაგალითო. თანამედროვე ისტორიკოსები ამ მოვლენას პირველი კონსტიტუციის მიღების ფაქტს გაუტოლებდნენ დიდებულებით, დაფნის გვირგვინად აქცევდნენ რელიგიური თუ პოლიტიკური წინამძღოლების თავზე. ასეთი დრო იდგა — სა-

მართლიანობის სახელით ყველაფერი დაშვებული იყო. არადა, სამართლიანობა ძალიან სახიფათო გამოგონებაა! — იცოდა ასლანმა ეს და სწორედ ამიტომ კანკალებდა. გარეგნულად გამოხტული კი არა, შინაგანი, სულიერი კანკალი სჭირდა.

ცოცხალაშვილის კანკალს სამართლიანობის სახელით ნაკეთები საქმეები ასულდგმულებდა. სამართლიანობის დაცვის მოწოდებით ომები იწყებოდა, ადამიანები სასჯელს იხდიდნენ, ამ უდიადეს რამეზე მთელს მსოფლიოში მილიარდები იხარჯებოდა. — იცოდა ასლანმა ეს და ამიტომაც ნელიკო მდივნის უგერგილო ღიმილი ისე უსერავდა გულს, თითქოს მან დაუშავა რამე, თითქოს ეს სამოცდაათი წლის დედაკაცი მისგან იყო ფეხმძიმედ და ასლანი უკანონო ბავშვის მამა ხდებოდა!



მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

ცოცხალაშვილის კანკალს არაფერი ეშველებოდა, რადგან კანონებს ადამიანები ქმნიდნენ! ადამიანები ხომ გრძნობებით ცხოვრობენ და არა კონკრეტული ინსტინქტებით?! გრძნობა ცვალებადია. შესაბამისად, ადამიანების დადგენილი სამართლიანობაც არასტაბილური გამოდის. მას ყოველთვის ასულდგმულებს ადამიანური ემოცია, რომელიც ხშირად განსხვავებულ სტანდარტს ამყარებს. იცვლებიან ადამიანები და იცვლება სამართლიანობის აღქმა. დედობრივ და მამობრივ ინსტინქტებთან ერთად ადამიანს სამართლიანობის ინსტინქტიც რომ დაჰყოლოდა, ამდენს აღარ ინერვიულებდა ასლანი. არა, კი არ ბრაზობდა ადამიანებზე, პირიქით, უთანაგრძნობდა მათ! ისინი რა შუაში იყვნენ? არ წაიკითხავდნენ კანონს ისე, როგორც საჭიროა და მათივე კანონებით გატყეპდნენ სხვა ადამიანები! — იცოდა ასლანმა ეს და ამიტომ ეწეოდა ღერს ღერზე. ისე, მწეველობისგან კიბოთი სიკვდილი უფრო სამართლიანი არ იქნებოდა, ვიდრე ნიკიფორეს გვამის გამო ჩაქოლვა ან დაპატიმრება?

ასლანი ეძახდა გვამს, თორემ ეს გვამი ერთ დროს ქვეყანას აზანზარებდა. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ნეშტის ნაწილების მოძებნა და ისევ სამარეში დაბრუნება იყო! სწორედ ამიტომ დახეტიალობდნენ ასტამური და სულიკო, ასლანის ალალი დეიდაშვილები და უღალატო ხალხი. ესეც არ იკმარეს. ძებნის დაწყებამდე იმდენი ყვავილი მიიტანეს და დააწყვეს დაკარგული გარდაცვლილის სამარეზე, რომ წყალწაღებული მონაკვეთი სრულად დაიფარა. თუ ყვავილებს არავინ გაჩიჩქნიდა ვერავინ ნახავდა, რომ ქვეყნის მაზანზარებელი კაცის კუბოს ადგილზე ორი ფიცარი და მენჯის ძვლის ნატეხი ესვენა. ბედად, ნიკიფორეს მეუღლეც იმ დროს აჟრიამულდა, ობელისკი უნდა დავუდგა ჩემს ქმარსო. ასლანი კი არწმუნებდა, ობელისკი რაა, პანთეონში გადასვენებას ვაპირებდითო. ბოლოს შეხვედრაზე შეთანხმდნენ. როცა ნიკიფორეს თვალცრემლიანმა მეუღლემ ასლანის კაბინეტში შეაბიჯა, ცოცხალაშვილმა მთელი თეატრალური ნიჭი და თანდაყოლილი სიცრუე მოახმარა ფრაზას: „ქალბატონო გედი, თქვენი მეუღლე პანთეონში უნდა დაეკრძალათ, ეს იმდროინდელი მთავრობის უდიდესი შეცდომაა, ჩვენ, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, უფრო მეტიც, ავზომეთ კონკრეტულად თქვენი მეუღლის საფლავი და მივმართეთ მთავრობას, რომ ეს ტერიტორია პანთეონად გამოაცხადოს, გესმით? სწორედ ამიტომ შემოვავლეთ ლენტი საფლავს და ალბათ ამიტომ არ შეგიშვათ დაცვამ. საკითხის გადაწყვეტამდე სჯობს შორიდან მოიკითხოთ ხოლმე. ჩვენ კი ყვავილს და მოსახსენიებელს არ მოვაკლებთ. სხვათა შორის, ამასწინათ მის ავტობიოგრაფიას ვკითხულობდით და აღმოვაჩინეთ, რომ სწორედ დღეს, 17 მარტს, ზუსტად 17 წლის წინ ცეცხლითა და მახვილით გმირულად აუღიათ სოფელი გარღვეულა და დასახლებაში დაწყებული ანტიკონსტიტუციური მოქმედებები ჩაუცხრიათ თქვენს მეუღლეს და მის რაზმელებს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღნიშვნა. თითქმის ყველა ტელევიზია მოვიდა. გააშუქეს. ეს კი თქვენი გმირი მეუღლის უკვდავყოფას ემსახურება, რომლისკენაც მთელი სულით მივისწრაფით.“

ქალბატონ გედის ისე მოულბა გული, დირექტორს ჩაეკრა. მერე, ამ ემოციური სცენის სიმხურვალიდან გამომდინარე, გაუაზრებლად ჩაუცურა ხელი შარვლისკენ და იქვე კაბინეტში დანებდა. გედიზე ასლანს კი არა, მთვრალ მაჩვსაც არ აუდგებოდა, ისე გამოიყურებოდა. 55 წლის მაინც იქნებოდა. მაკიაჟის უთავბოლო მოხმარებისგან სახეზე ბევრად ხნიერს ჰგავდა. დაჩუტული ძუძუები მუცლამდე ეკიდა და სურვილის აღმძვრელი ვერ იყო, მაგრამ თვალებში ედგა რაღაც აფთრული, უდიერი მზერა, რომელიც ყოველგვარ სირცხვილის გრძნობას უქრობდა და ახელებდა ასლანს. როცა ქვრივი წავიდა, დირექტორი სინდისს არ შეუწუხებია, რადგან გადარჩენისთვის თვით ანუბისის ტურისთავიან ძაღლსაც არ დააყვედრიდა ერთ მიძუყვნას...

— ოთხი წუთი გავიდა, დავუბრუნდეთ მაგიდებს. — გამოაცხადა ნელიკო მდივანმა და ასლანი ფიქრიდან გამოარკვია.

* * *

— ასე პირდაპირ ავდგეთ და გავაკეთოთ? — ხმა აუკანკალდა სულიკოს.

— ხო, ასე პირდაპირ! — მერე რა მოხდა? დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები ვართ, მართლა მებაღეები ხო არა?

— არ ვუთხრათ ასლანს?

— დაანებე თავი. თათბირზე იქნება. დღეს დიდი დღეა სულიკო, სახელს გვიცვლიან. ახალი სახელი კიდე ახლიდან დაბადებას ნიშნავს!

* * *

თათბირი გრძელდებოდა. მომარაგების განყოფილების და მესუდარეების განყოფილების უაზრო ვერსიების მერე მხატვარ-დიზაინერების ჯერი დადგა.

— ბატონო დირექტორო, მხატვარ-დიზაინრებს საუკეთესო ვერსია აქვთ, ბალზამშიკები და კანცელარიის თანამშრომლები მხარს უჭერენ, დანარჩენებიც არ ეწინააღმდეგე-

ბიან. დავაყენოთ? — მიმართა ნელიკო მდივანმა ასლანს. დირექტორმა თავი დაუქნია. მდივანი შეტრიალდა და მხატვრებს ანიშნა დაეწყოთ.

— ჩვენ გვინდა ჩვენი როლი წამოვწიოთ და ამიტომ მოვიფიქრეთ ესა, უფრო კრეატიული, მეტად ვარიაციული, არსებული ტენდენციების საკადრისი პასუხი. ახლანდელი სახელი „ჰადესის ყრმები“ — მართლაც გამაღიზიანებელი და ბანალურია. თან სიტყვა „ჰადესის“ ბერძნული ძირი იწერება როგორც „აიდეს“, რაც ამ პირადობის მოწმობებს დაუკავშირეს და შარი მოგვდეს. ჩვენი ვერსიაა დავირქვათ ანუბისმასტერი, ვინაიდან ანუბისი ბალზამირებას დირექტორობდა ეგვიპტეში, ტურის თავი ება და მაგარი ვინმე იყო ღმერთებში. მაგის გარეშე სული საიქიოში ვერ გავიდოდა. თემატურად ეს ჯობია. ტურაც არაა საყვარელი ცხოველი, მარა უფრო პაპსაა, უფრო მასობრივია. ჰადესი ეშმაკს ჰგავს სიმბოლიკით — სამთავა ძაღლით, შავი ცხვრებით, გველის კუდით. თან სივიც არაპოპულარული აქვს — სულების საიქიოში წაყვანაში ფულს იღებდა. ანუბისზე ამას ვერავინ იტყვის. ჩვენი ფირმაც იღებს ფულს, მაგრამ ჩვენ ცერემონიაში ვითხოვთ ამას და არა უშუალოდ სულის გაცილებაში. ამაში დიდი სხვაობაა! — დაასრულა აზრი მხატვრების წარმომადგენელმა ბიცოლა გუდიაშვიალმა და სკამზე ჩამოჯდა.

— ბრწყინვალეა, კარგი მოფიქრებულია, ყოჩაღ თქვენ! — წამოიძახეს ყველა მხრიდან.

— დამტკიცებულია! — ჩაიბურტყუნა ასლანმა, მერე მდივანს მიუბრუნდა. — შემდეგი საკითხზე გადავიდეთ!

— იუ არ დემონ აიდესა, აი ემ ჰუმან, იუ არ ბიჩ, აი ამ გუუდ ბოი... — შემოაქროლა ნიავმა და ასლანს ისევ შეაცია. იოლი მისახვედრი იყო, რომ ეს ფრაზები ქართველი ემიგრანტების მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც სპეციალურად ამ მიტინგისთვის რომელიღაც ზეგაბრწყინებული ქვეყნიდან ჩამოფრინდნენ. ისინი ადგილობრივებივით განწირულად, მთელი შიგნეულის ჩაყოლებით ვერ ხაოდნენ, მაგრამ მასაზე მოსახდენი ეფექტისთვის ზომაზე კარგად გამოსდიოდათ...

* * *

— სად ვიშოვოთ ან რა ვუთხრათ იმათ? ზომები როგორ ავაღებინოთ? — ბურტყუნებდა სულიკო. ასტამური კი აღარ უსმენდა.

— დარჩი შენ! დამელოდე! — მოაძახა და უკანმოუხედავად გაქუსლა გზისკენ.

* * *

— განვაგრძოთ. — მიუბრუნდა დარბაზს ასლან ცოცხალაშვილი. — მიტინგის დაშლა მესაფლავეების გაფიცვას ავტომატურად დაარეგულირებს. მანამდე რამდენიმე დღე მოხალისეებით უნდა გავიდეთ ფონს. მოგვახსენეთ ბატონო სარკინოზ რა სიახლეა ამ კუთხით?

— აააამ, აააამ კუთხით, ააარის, სრიოზ, სრიოზ, ზუ ზუ უული პრ რო გრე გრესია ბა ბატო ტო ნო ნო ას ას ას ლა ლა ლან ნ ნ ნ ნ ჩეეე მო. — დაიწყო ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა, მაგრამ შეაწყვეტინეს.

„სხვა მოჰყვეს, თორემ თავბრუ გვეხვევა“, „ვერ გავიგეთ ვერაფერი“, „ბლუყუნზე წნევა მივარდება“ — აყაყანდნენ ოთახში.

— გმადლობთ, ბატონო სარკინოზ, ბატონმა კარლომ განაგრძოს. — მიმართა დირექტორმა სამსახურის ყველაზე შტატიან თანამშრომელს.

სა, სა, სა, სა... — კიდევ რაღაცის დამატება სურდა სარკინოზს.

— მადლობა, ბატონო ასლან. მოგახსენებთ. მოხალისე რაზმი უკვე შექმნილია. ისინი მზად არიან უფასოდ იმუშაონ, სანაცვლოდ ათ კვადრატულ საფლავის ფართის გამოყოფას ითხოვენ. ბუღალტერმა დათვალა და ეს ჩვენთვის წამგებიანი ოპერაციაა. თუმცა შეგვიძლია დავთანხმდეთ 4.5 კვადრატულზე და ამ შემთხვევაში მოგებაში წავალთ.

— რამდენი კაცია სულ?

— ექვსნი არიან. მეზურნეები. სამუშაო დაკარგეს. ოჯახის წევრები არ ჰყავთ და ასე ცდილობენ დამარხვის პრობლემის გადაჭრას.

— გასაგებია. ბატონო, სოლომონ, დაგვისაბუთეთ თუ შეიძლება 4.5 კვადრატულ მეტრზე როგორ შეიძლება ექვსი ადამიანის დაკრძალვა. — დირექტორი ახლა, საფლავის მოწყობის ტექნიკურ ინჟინერს მიუბრუნდა.

— პატივცემულო, ამ ფართზე მოეწყობა ორი დამოუკიდებელი სამარხი და ზემოდან დაკრძალვის მეთოდით თავისუფლად ჩაეტევა ექვსივე.

— ჭირისუფლის თანხმობა?

— სად ჰყავთ ჭირისუფლები მაგათ?

— იურისტი აქაა? — ასლანმა დარბაზს თვალი მოავლო.

— გახლავართ და სრულიად კანონშესაბამისი პროცედურაა. თუ არ იქნებიან ჭირისუფლები, არც თანხმობა დაგვჭირდება. თუ გინდათ ვისარგებლოთ იმ საკანონმდებლო ჩანაწერით, რომელიც მოუვლელი საფლავების მეორადი გამოყენების შესაძლებლობას გულისხმობს. ანუ მეზურნეებს გადავცეთ მოუვლელი საფლავი, უფრო მეტი ფართით და მოგვიანებით მოვახდინოთ მათი ზემოდან დამარხვა.

— კარგი აზრია, ჭკვიანურია. — გაისმა კანტიკუნტად.

— სულაც ძმათა სასაფლაო მოვუწყოთ. — გააჟღერა უფრო ეკონომიური იდეა ტექნიკოს-ინჟინერმა.

— საძმო სამარე არის სამარე, რომელშიც დაკრძალულია საომარი მოქმედებების, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის ან რაიმე ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად დაღუპული რამდენიმე გარდაცვლილის ნეშტი, საფლავებისათვის დადგენილი ნორმების დაცვის გარეშე. — ამას გვეუბნება კანონმდებლობა და რა ვიცი, რას დავაბრალოთ მეზურნეების სიკვდილი, როგორ ფიქრობთ? — ჩაერია იურისტი.

— მე, მე თუ მკი, თხხ, ავა, ავ ავ, სიკვ, კვ,დილი სწო, რე, სწორედა, ც, რ,რ ომ კატა, კატა, კატაა, კა, კლიზმაა. კლიზმაა! — არ ჩამორჩა სარკინოზი.

— მადლობა ბატონებო, არ გამოვეკიდეოთ წვრილმანებს. მივცეთ ამ ხალხს, რასაც ითხოვენ. იმუშაონ. თუ ენდომებათ საწყის ეტაპზე სტაჟიორ-მესაფლავეებად ავიყვანოთ. მერე შევხედოთ. — თქვა ასლან ცოცხალაშვილმა და მეზურნეების პრობლემაც გადაჭრა.

ოფისის ეზოში ღრიანცელი წამით ჩაჩუმდა. ეს იმდენად საგრძნობი გახდა ოთახში შეკრებილი საზოგადოებისთვის, რომ ყველა ერთბაშად წამოიშალა.

— არ გაიხედოთ! — თქვა ასლანმა.

თანამშრომლები ადგილს დაუბრუნდნენ. დირექტორი წამოდგა. ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან, ფარდა ფრთხილად გასწია და გაიჭყიტა.

ეზოში უცნაური სურათი დახვდა. მომიტინგეები ორად გაყოფილიყვნენ. თავდახრილები გზას უთმობდნენ კატაფალკას. ერთ-ერთ მღვდელს მოეფიქრებინა და საკმეველი აენთო. მანქანა ზუსტად ოფისის შესასვლელ კართან გაჩერდა, საიდანაც ასტამურა და სულიკო გადმოვიდნენ დამჟავებული სახეებით. საბარგული გახსნეს და თოთო ბავშვის ჩასასვენებელი მჩატედ ასწიეს. ასლანს თავბრუ დაეხვა. თვალთ დაუბნელდა. შებარბაცდა კიდეც. მომიტინგეები მონუსხულები იდგნენ. ასტამურმა და სულიკომ სასახლე მხარზე გაიდეს და შენობაში შემოვიდნენ. „დაიშლებიან! მიცვა-

ლებულთან ღრიალს არ დაუშვებენ!“ — გაიფიქრა დირექტორმა, მაგრამ ბენდენიანი მაინც აყვირდა:

— ყველამ ერთად წავიკითხოთ ლოცვა ხმამაღლა და მერე მდუმარე აქცია გამოვაცხადოთ. პატივი მივაგოთ პატარა ანგელოზს. იმან რა დააშავა. ის რა შუაშია? ჩვენ კი არ დავიშლებით. ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ. დაე, ეს მსხვერპლიც იყოს კიდევ ერთი ნიშანი იმისთვის, რომ ჩვენ სიმართლე გვალაპარაკებს. ჩვენ სიმართლის ხალხი ვართ! — თითქოს ძველებური შემართებით გაჰყვიროდა, ოღონდ იოლად შესამჩნევი ეჭვნარევი ტონით, იოლად მისახვედრი მარცხის გათავისებით. ზუსტად ამ დროს გაუნათდა გონება ასლანსაც:

— ჩადი, ნელიკო და უთხარი. სახელი შევიცვალეთ. თუ დაიშლებიან, შეჰპირდი, რომ შანდლები უფასო იქნება დღის პირველ სამ მიცვალებულზე, კიდე ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი იმუშავებს ოცდაოთხი საათი, ესეც უფასოდ, მხატვარ—დიზაინერები ჭირისუფლებთან შეთანხმების გარეშე თითს არ გაანძრევენ, ყველა დეტალს შეუთანხმებენ. — სხაპასხუპით მიაყარა. ისე მოუნდა ამ კოშმარის დასრულება, მზად იყო უფასოდაც ემუშავა, თან ესეთი მომენტი შეიძლება მეორედ აღარც დამდგარიყო! მომიტინგეებიც ხომ ადამიანები იყვნენ? იმათაც ხო ჰქონდათ გული?

— თეატრალური მაკიაჟი, უფროსო? — ჩაეკითხა ნელიკო მდივანი.

— რა დროს ეგაა?

— რატო, ბატონო. ზოგს უნდა, რომ მიცვალებული თავისი რომელიმე წინაპრის სახით გამოიყურებოდეს. ზოგს ცნობილი ადამიანის მსგავსება უნდა. ზოგი წმინდანებსაც ეპოტინება.

— კაი, თანახმა ვარ, მაგასაც უფასოდ შეჰპირდი.

მდივანი ოთახიდან გავიდა. ასლანი კი ასტამურის და სულიკოს სანახავად გაეშურა.

* * *

— რა გვექნა აბა, მეტი ვერაფერი მოვიფიქრეთ. რა გვექნა აბა. — ჰოლში დარცხვენილები იდგნენ და რიგრიგობით ლუღლუღებდნენ მეწყვილეები, სანამ ასლანი მიუახლოვდებოდათ. დირექტორმა კი აღფრთოვანება ვერ დამალა. ორივეს ჯერ სათითაოდ და მერე ერთად გადაეხვია, ხელი ჩამოართვა, მხარზეც დაუტყაპუნა ერთი-ორჯერ.

— გმირები ხართ! გაუგონარი საქციელია, ეს! ვაჟკაცობის ეტალონები ხართ! — ამბობდა ჩურჩულით დირექტორი და ბოლთას სცემდა.

— ჩემი მოფიქრებულია. — კიდევ უფრო ხმადაბლა წაიჩურჩულა ასტამურმა და თავი ოდნავ შესამჩნევად წამოწია.

ასლანი შედგა. მიაყურადა.

— „ნა-ხვა-მდის, მშვი-დო-ბით, ვი-ცო-დით, გვი-ყვარ-ხართ, გა-კო-ცეთ!“ — სუსხიან ნიავს თბილი სიო ცვლიდა. კმაყოფილი მომიტინგეების დაშლის ხმა ანუბის—მასტერის ოფისს იპყრობდა. მალე გახარებული სახეები, აკაშკაშებული თვალები, ოთახის სანათი ნათურები და ყველაფერი ერთმანეთში აიზილა. ასლანი იდგა განცალკევებით, ჩაფიქრებული და გრძნობდა, რომ ხანდახან ადამიანი თავადაა დედამიწის ღერძი, ხანდახან დედამიწას ერთი კონკრეტული ადამიანის სიხარული აბრუნებს წრეზე! ერთი კონკრეტული ადამიანის გამარჯვება ამარცხებს მთელი სამყაროს ბოროტებას! ერთი კონკრეტული ადამიანი ხდება უზენაესი! და ეს მომენტი მისთვის ზუსტად ახლა დადგა!

— ას-ლან, ას-ლან, ას-ლან. — მოულოდნელად წამოიწყო სულიკომ და მთელი დარბაზი აიყოლა. ლამის დაინგრა იქაურობა. ფანჯრები აზანზარდა. კედლები დაიბზარა, ჭერიდან ბათქაში ჩამოიყარა! და ასლანმა იგრძნო, რომ ყველაფერს ეშველებოდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა, აი ასე!

როცა მიტინგის ხალხი საბოლოოდ დაიშალა და დატბორილ ქალაქში ღამემ დაისადგურა, ასტამურმა და სულიკომ ღელის პირას ნაპოვნი ძვლები სასახლიდან ამოიღეს, შემდეგ წყალწაღებული საფლავი ამოთხარეს, გადარჩენილ ორ ფიცარს და მენჯის ძვალს ნაპოვნი ძვლები დაუმატეს და ნიკიფორე ცერბეროვიჩი ხელახლა დაასაფლავეს. სახელდახელოდ მოზელილი ბეტონით საფლავი ოთხივე მხრიდან კაპიტალური კედლებით შემორაგეს, მარმარილოს ფილებით მოაპირკეთეს, საფლავის ქვა ტალახისგან გაწმინდეს. მიწა მოფოცხეს და ბოლოს ყოჩივარდას ბოლქვებიც ჩარგეს. მხოლოდ განთიადზე ჩამოსხდნენ დასასვენებლად.

— ტურაც დავასაფლავეეთ! — ჩაილაპარაკა ასტამურმა, როცა გაოფლილი სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა.

— კი ვიცი რა საშინელებებიც უკეთებია, მარა მაინც მიცვალებულია და ნუ ამბობ ეგრე, ცოდვაა. — უსაყვედურა სულიკომ.

— რათა? დედალ ტურას ეწყინება?

— გაგიჟდი? რეებს ამბობ. — შეეპასუხა სულნიაური.

— შენ გაგიჟდი მგონი. აბა ის ძვლები მართლა ადამიანის გეგონა? ტურა თუ არა, ჰა ჰა მელა იქნება.

— დამცინი?

— ლენინგრადში რაზე ვსწავლობდი, დაგავიწყდა? რას დაგცინი.

— რაზე და მედიცინაზე. მერე?

— მერე მედიცინის ფაკულტეტზე, ანატომიას არ ასწავლიან? სამებზე კი დავამთავრე, მარა, ტურას და ადამიანს ვარჩევ როგორღაც. შენ კიდე ყველაფერი გჯერა, რა!

— აბა ნიკიფორე?

— რა ნიკიფორე, არ უყურებ ტელევიზორს? ზოგმა თავის სახლი ვეღარ იპოვა, ჩვენ კიდე ძვლებს ვიპოვიდით?

— ჰო, ეგეცაა.

— ძაან არ გაიგონ ძვლები ნიკიფორესია, თუ ბებიაჩემი ელვირასი რა. — ამბობდა ასტამურა და იღრიჭებოდა.

კიდევ ცოტახანი იღლაბუცეს. მერე მოაკრიალეს იქაურობა და დასაძინებლად იქვე მდგარ საგუშაგო კოტეჯში მიწვნენ.

* * *

ქალბატონი გედი ტელევიზორს იშვიათად უყურებდა, მაგრამ იმ დილით თავისდაუნებურად ჩართო. ეთერში საგანგებო საინფორმაციო გამოშვება იწყებოდა.

— დილას სენსაციური ინფორმაციით ვიწყებთ. იმ უზარმაზი ზარალის მიუხედავად, რომელიც ქალაქს წყალდიდობამ მიაყენა, სასიხარულო ამბავიც მოხდა. არქეოლოგებმა სოფელ გარღვეულას შესახებ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ბაჯაღლოს ჯაჭვი აღმოაჩინეს. ჯაჭვის ისტორია დაახლოებით მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან იღებს სათავეს და საქართველოში ოქრომჭედლობის აღმავლობის ხანას უკავშირდება. არქეოლოგებმა ჯაჭვი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტთან და ჩვეულებრივ ოქროს ჯვართან ერთად იპოვეს ქალაქის ისტორიული კარიბჭის მიმდებარედ. სპეციალისტები ამ ორ ნივთს შორის კავშირს ჯერ-ჯერობით ვერ ხედავენ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა ეს ქალაქში ნაპოვნი მორიგი უძველესი სამარხი იყოს. არქოლოგების განცხადებით, ამ ტერიტორიაზე გათხრები არ მიმდინარეობდა და ამ უნიკალურ აღმოჩენაში წვლილი ძლიერ წვიმას მიუძღვის...

ქალბატონმა გედიმ ჯაჭვის და ჯვრის დანახვისთანავე უჰაერობა იგრძნო, თვალთ დაუბნელდა და მოწყვეტით დაენარცხა იატაკზე. სამოქალაქო პანაშვიდის გადახდის შემდეგ იგი ანუბის-მასტერის თაოსნობით დიდი პატივით დაკრძალეს მეუღლის გვერდით, რესტავრირებულ სასაფლაოზე...

წინააღმდეგობა, როგორც პოეტური ტექსტის მამოძრავებელი ფაქტორი!

არახალია, ძველია თემა. მაგრამ თამაზ ხარაიშვილის ლექსებში ეს მოვლენა იმდენად რელიეფურად არის გამოკვეთილი, რომ არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას იმის შესახებ, თუ საიდან მოდის და როგორ ვითარდება წინააღმდეგობის წესი ზოგადად და კონკრეტულად ამ შემთხვევაში.

თავი და თავი, რასაკვირველია, ხასიათია. პიროვნული ხასიათი. თამაზ ხარაიშვილი მეტისმეტად თვითკრიტიკულია როგორც ავტორი და როგორც პროფესიონალი ლიტერატორი. გარეშეს თვალით უყურებს თავის ტექსტებს. და ეს ყოველივე ანტინომიურობის ეფექტად ვლინდება ლექსში.

მეორე მიზეზი — ეს არის საზრისი, აზროვნების ტიპი, კერძოდ სკეპტიციზმი, რომელიც მარტო მას კი არა, საერთოდ 80-იანელთა თაობას ახასიათებს.

მესამე — უთუოდ სტილი, თვითგამოხატვის ფორმა.

მას აქვს თავისი პრინციპი, სათქმელის გადმოცემის საკუთარი ხერხი, წესი, ნორმა, კანონი, თუნდაც პოეტიკა.

ჩუმი პოეტია, ხმაური არ უყვარს. ფიქრი, განცდა და ზომიერების გრძნობა აწონასწორებს მის პოეტურ ბუნებას. ამიტომ, ერთი შეხედვით, შეიძლება გასაკვირი იყოს ის თავისუფლება, რასაც ხშირად ამჟღავნებს თავის ლექსებში. თუმცა ეს ხომ ხასიათია — წინააღმდეგობა, საპირისპირო საწყისთა ერთიანობა.

თამაზ ხარაიშვილი

მოწყენილი მარტოობა

გარეთ ამინდი უამურობს, —
წვიმის და ნისლის ნაზავი.
სევდა ერთგულებას მიდასტურებს,
მუდამ გვერდით მიდგას ძმასავით.

ვის რას ვპირდებოდი, აღარ მახსოვს.
ყველას გავუცრუებ მოლოდინს.
ვალი ვალად მრჩება სადარდებლად,
ალბათ წუთისოფლის ბოლომდის.

ნისლი მთებისაკენ გაიკრიფა,
წვიმაც აბარგებას აპირებს.
ახლა მარტოობაც ემატება
სევდის უნაპირო ნაპირებს.

* * *

ბებერ თუთას შეხმობია სურო,
შავი შაშვი ძველებურად ჩივის,
შენ გაგიმხელ მხოლოდ გულისტკივილს,
ვინ გამიგებს ახლა შენზე უფრო.

ეს საღამო როცა ფეხაკრეფით
ხეთა ჩრდილებს როგორც ძვირფას სტუმრებს
მოაყენებს შენს პატარა ყურეს,
ყურში გეტყვის, როგორ მენატრები.

სული — ქარით ავსებული სივრცე
შლეგივით ძრწის და ნაპრალებს ეძებს.
ვცდილობ, მაგრამ ალბათ ვეღარ შევძლებ,
ყველაფერი დავიწყებას მივცე.

NOSTAL-GE

იმ ძველ სახლში ძველებური სიჩუმეა,
იმ ძველ სახლში სურნელი დგას ფიცრის.
ბუხრის პირას მოლოდინით გათანგული
სევდიანი მონატრება იცდის.

ფანჯრის მინა იმეორებს სანთლის ლიცლიცს,
ქარი არხევს ძველი ფარდის ნახევს.
ღამეს ფერი გაცრეცია როგორც
სულთმობრძავში ჭირისუფლის სახეს.

მტვერი ფარავს შანდლებსა და წიგნებს,
მტვერი ადევს აბრეშუმსა და ხავერდს.
სიმყუდროვეს უჩინარი ყბებით
აბეზარი ჭრიჭინები ხრავენ.

ცხოვრება თეატრია

გაჩენის დღიდან თვალს ვერ ვუსწორებ
იღბალის მქსოველს და ბედის მჩხიბავს.
სადაც მომწვდება დაუნდობელი
ფეხქვეშ გამიგებს, მცელავს და
მთიბავს.

დღე-ღამესავით მორიგეობენ:
მაცილს ეშმა ცვლის, ეშმას — მაცილი.
ობლის კვერივით გამინაწილეს,
ქვებუდანების გავხდი საცილო...

კვლავინდებურად ბარიერთან ვარ,
უნდა შევება სულთამხუთავებს.
უთანასწორო ომში ძლეული
თრთის და ცახცახებს გრძნობა ხუთივე.

მზადდება სცენა ფინალისათვის,
მონაწილენი დავლურს უვლიან.
საბედისწერო წერტილსაც დასვამს
ცხოვრების მკაცრი დრამატურგია.

საღამო

გახედე ზეცის მეწამულ კიდეს,
სადაც მზის სხივი სინათლეს ლამბავს.
მოირბენს უცებ ნიავი გრილი,
გაპენტავს თეთრი ღრუბლების ბამბას.

ფერისცვალების გრძნეული ძალით
წითლდება ვარდი, ლურჯდება ია.
ასე გგონია, სამოთხის კარი
ანგელოზებმა დატოვეს ღია.

ჩაივლის წამი, არ შეჩერდება,
არც იმათზე სწუხს, ვინც მიატოვა.
მზე გაიყოლებს ჰორიზონტს იქით
პეიზაჟების დაფერფლილ გროვას.

ფოთლების სასაფლაო

მზე შუბისტარზე დადგა,
ქრება მშვენება დილის —
წაფერდებული ცაცხვის
წაფერდებული ჩრდილი.

ცაცხვზე ფოთოლი ტოკავს,
სული უჭირავს კბილით.
დაძარღვულ სხეულს თენთავს
მარადიული ძილი.

დღეს იქნება თუ ხვალე
ყველა დასათმობს დათმობს,
შეუერთდება თრთოლვით
ყვითელ სამარეს — საძმოს.

მონოლოგი

თუ დავაპირე წასვლა,
თქვენც ნუ დამაგლეჯთ კალთებს.
ამ წაწყმედილი სოფლის
აღარაფერი მმართებს.

პირიქით, ვალად ადევს
იმ ტკივილების წყება.
მოშუშებაც ვერ შევძელ,
მით უფრო — დავიწყება.

ვერ ავარიდე თავი
აბლაბუდებს და ხლართებს.
ნატვრაც არ დამრჩა, ნატვრაც,
რომ ვინატრო და ახდეს.

საგაზაფხულო

აპრილი მოდის, გალამაზდა დღეთა კრებული,
გარს გაზაფხულის სურნელი ჟონავს.
მთელი ცხოვრება სითბოს ვიყავ დანატრებული,
მთელი სიცოცხლე გაზაფხულის ვიყავი მონა.

თეთრი და მწვანე აქვს ქვეყანას გადაფენილი;
ყვავილთა თოვამ ამირია სულაც დავთარი.
სიცოცხლეს ვჩქარობ დაბნეული, გზასაცდენილი,
ადრე თუ გვიან მაინც ისევ მოვა ზამთარი.

არ მინდა ვიყო ახლა მშვიდი, ბედსმინდობილი;
არ მინდა დარდმა შემაჩეროს, შემაბორკილოს,
ყველა ხვაშიადს ნუ გაამხელ, სულო ცოდვილო,
რაღაცა დარჩეს დავიწყებით უარყოფილი.

ბედნიერი ერი

ქრისტეს იქეთ,
ქრისტეს აქეთ
სულ ერთმანეთს
ვაქიაქებთ,
მოძმეს ვკილავთ,
მომხდურს ვაქებთ,
ხალხი გავხდით
საქულბაქე.
ვერ ეშვება პოლიტიკას,
თუმცა ბევრჯერ წაუთაქეს,
მიტინგებზე მოლაქლაქე,
სოფლელიც და მოქალაქეც

აირია თაფლში წაქე,
აღარ მოსდევს სიტყვას საქმე.
აფსუსია, რომ ქვეყანა
ასე უსახელოდ წახდეს.

მონოლოგი მონორითმით

ღვინო მინდა დასათრობი,
ქალი მინდა გასართობი,
ეგ დუდუკიც ააკვნესეთ,
სულს არ მოეკიდოს ობი.
ბევრს არ ვითხოვ, ცოტაც მყოფნის,
რომ გავუძლო მტერთა ბოგინს,
შინაურის წილადობილს,
რომ გაგრძელდეს წარმოდგენა
ხელმოცარულ მსახიობის.

არხოტში

(ძველი რვეულიდან)

წყარომდე სულ ცოტა დარჩა,
მიდიხარ, ნაბიჯებს ითვლი,
აქა-იქ ყვავილი მოჩანს,
აქა-იქ — ხავსი და ფითრი.

ახედავ შებოლილ კლდეებს
და დაღმართს ჩაირბენ უცებ;
თითქოსდა მდინარის ტალღა
მიაფრენს შალშავის ფურცელს.

ვიწროა თავანი ზეცის,
ვერ იტევს მზესა და მთვარეს;
წამოსულთ ქისტეთის მხრიდან,
მიმავალთ — არხოტის მხარეს.



ბაბუა ალუდაურის ფოტო

შატილი

ირაკლი ვაშაყმაძე

„ფოტოლექსის“ გახსენება

სამოცდაათიანი წლების უნივერსიტეტის ბაღის ძველი, მაგრამ გაუხუნარი სურათები, ზოგიერთი /ვინც აქ ვახსენეთ/, სამწუხაროდ, აღარ არის ჩვენს შორის. ისინი უფლის კალთამ შეიფარა...

გახსოვთ, ძმებო, ბაღი
უნივერსიტეტის?
ფიქრი,
საუბარი,
ფრთხილი მეტისმეტი.
„გვეშველება რამე?“
„მაინც ნეტავ როდის?“
„ჯარჯი,დაუწიე,ვიღაც უცხო მოდის“...
უცხოს მივაცილებთ ცქერით ამაზრზენით, —
„თედო, ჩუმად, თორემ წაბრძანდები ზევით“!
შიშის, მოთმინების, სულში დნება ლოდი,
“რაულ, გიხაროდეს, ძიძიგური მოდის”!
აღუღუნდა კვირკველია, ცამ შეიხსნა ბაგე...
ბაქანიძე მეცხრე ცაზე ცისფერ კოშკებს აგებს.
ნუცუბიძე გვესალმება — გაისუსა ეზო,
ფარულავა სადღაც მიჰქრის, ვერ ეწევა რეზო.
ბართაია გრანელს ფურცლავს,
ჯაფარიძე — ლესინგს...
მერაბს ბოთლი გასტყდომია გუშინ „კაგებში“.
პანტელეიმონ ბერაძე ნინოს ყურებს უსრესს,
ჯობავა და წივწივაძე ბალარჯიშვილს უსმენს,
ჩვენი გვანცა კიბეებზე მოხტის, მოფარფატებს,
ხოლო ნანა ვახანია მოჰგავს ფერად ფანტელს.
ქუთელია ვანოს მოძღვრავს,
ეშხით მოგიზგიზობს,
სპექტაკლს უქებს ლობჯანიძეს
ვიტალი და გიზო.
ა.შანიძეც მობაჩუნდა, ნუკრი ქაჩავს ჰაშიშს,
კვესელავა ბოდლერს უხსნის გურამ პეტრიაშვილს...
ომარ გოგიჩაიშვილის იგავს ვისმენთ ყველა,
დავლიანიძე ხარხარებს,
გივი ჟღენტზე ჰყვება,
ბათუმელი პაიჭაძე სათქმელს გულში მალავს,
ფიცხი კობა არაბული ემსგავსება არაგვს...
„იმპერია დაინგრევა“! — ჯგუბურია შფოთავს,
გამსახურდია მოვიდა,
განზე იხმობს შოთას.
გიგლა მოსკოვს ემტერება,
პროტეზს მზეზე ათბობს,
„რობაქიძეს ხვალ მოვიტან“,
გვაიმედებს ავთო.
გახსოვთ, ძმებო, ბაღი
უნივერსიტეტის?
ფიქრი, საუბარი — ფრთხილი მეტისმეტი.
გახსოვთ, ძმებო, ბაღი, ბაღი საოცნებო?
ფიქრი იქ აგორებული ზვავად იქცა, ძმებო!
ჰეი, ჩაგრიალებულო სიჭაბუკის წლებო!

მიმოიხილავს რა ბატონ რევაზ სირაძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულს „ფოტოლექსის“ შესახებ, ბატონი როსტომ ჩხეიძე, მწერალი, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარი რედაქტორი, ასეთ რამეს ბრძანებს: „კრებულს კომპოზიციურად შეკრავდა რევაზ სირაძის შრომათა ბიბლიოგრაფია, ქეთევან სირაძის მიერ შედგენილი, და თავისებურად დაშვენდებოდა ირაკლი ვაშაყმაძის „ფოტოლექსი“, რომელშიც XX საუკუნის 60-70-იანი წლების უნივერსიტეტის ბაღის გაუხუნარ სურათს შემოგვინახავდა და მის პერსონაჟთა შორის რევაზ სირაძეც გაიელვებდა (ისე, საგულისხმო კი იქნება ამ ლექსის კომენტირებული პუბლიკაცია, ვრცელმა ექსკურსებმა ეგებ წიგნაკსაც რომ მოუყაროს თავი!)“.

„ფოტოლექსი“ 1978 წელს დაიწერა. მას ხელნაწერის სახით ეცნობოდნენ ჩემი უახლოესი მეგობრები. პირველად ლექსი გაზეთმა „წუთისოფელმა“ დაბეჭდა 1991 წელს, მეთორმეტე ნომერში. მძიმე განსაცდელის ჟამი იდგა საქართველოში იმხანად. ბოროტმა ძალებმა იმძლავრეს და კანონიერ ხელისუფლებას საფრთხე შეექმნა... შემდეგ, კარგად ვიცით, რაც მოხდა.

გაზეთი ზვიად გამსახურდიას უნახავს, „ფოტოლექსი“ მოსწონებია. გურამი დამიკავშირდა, პეტრიაშვილი, პოეტი, პარლამენტარი — ირაკლი, ზვიადი გთხოვს, გაზეთის მომდევნო ნომერში იქნებ ახსნა ამ ლექსში ნახსენები სახელები — ვინ ვინ არის, აჯობებს, ასე რომ გააკეთოო. გაზეთის მომდევნო ნომერში დაიბეჭდა მცირე განმარტება, აი ისიც: „უნივერსიტეტის ბაღში შესვლისას თვალი ყოველთვის მელიქიშვილის ძეგლთან ჩამწკრივებული სკამებისკენ გამირბის და თვალწინ დამიდგება ქართული პატიოსნების ხორცშესხმული ხატი, დიდებული პოეტი, შოთა ჩანტლაძე. აქ, ამ ძეგლთან იკრიბებოდნენ მამულის ჭირ-ვარამზე, ლიტერატურაზე მოსაუბრე შოთას მეგობრები, მისი სულიერი ძმები, ახალგაზრდა მწერლები: გიგლა სარიშვილი, ვიქტორ რცხილაძე, ზვიად გამსახურდია, უდროოდ დაღუპული გოგი კვირკველია, სეხნია გოგოლაშვილი, თედო ბექიშვილი, ვაჟა ძიძიგური, ჯარჯი ფხოველი, სოსო პაიჭაძე, გურამ პეტრიაშვილი, გივი ალხაზიშვილი, ნომადი ბართაია, გიორგი ბაქანიძე, გიორგი ჯაფარიძე, ომარ გოგიჩაიშვილი, მურმან ჯგუბურია, ვანო ჩხიკვაძე, ნუკრი მამულაშვილი, კობა არაბული, ძმები ვართაგავები, თენგიზ ჯობავა, ბაადურ ბალარჯიშვილი, ავთო ჩხიკვიშვილი, თამაზ წივწივაძე, ჯემალ დავლიანიძე, ამირან გომართელი, გიორგი ლაბაძე, ჯუმბერ ტიკარაძე, ედუარდ ფალიანი...

დიახ, ეს ყველაფერი, თითქმის, მეოთხედი საუკუნის წინ იყო. დღეს ისინი ერის შვილები, მეცნიერები, მწერლები არიან. მათ არ შეჰყრიათ მძვინვარე კომუნისტური სენი და არც სული მიუყიდიათ ეშმაკებისთვის.

1978 წელს, ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის აზვირთების ჟამს, დაწერილ „ფოტოლექსში“, რომელიც რედაქტორის თხოვნით დაიბეჭდა გაზეთის წინა ნომერში, ჩემთვის ძვირფასი ამ ადამიანების ნაწილია „მკრთალად აღბეჭდილი“ ისე, როგორც მე შევძელი („წუთისოფელი“, 1991, №13)“.

მაშინ ჩვენ ერთად ვიყავით. ჩვენს შორის არავითარი დაპირისპირება არ არსებობდა.

შემდეგ „ფოტოლექსი“ სხვა ლექსებთან ერთად „საქართველოს სამრეკლომ“ და „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა, გადაიცემოდა ხოლმე რადიოთი. ახლა ვნახოთ „ფოტოლექსში“, ვინ არიან მოხსენიებულნი. დავიწყოთ თავიდან, ეპითეტების გარეშე ჩამოვთვლი მათ. მეგობართა შორისაა ჩვენი სახელოვანი მეცნიერებიც, ჩვენი ლექტორ-მასწავლებლებიც. ჯარჯი — ჯარჯი ფხოველი, პოეტი. თედო — თედო ბექიშვილი, პოეტი, ნაღვარევში განისვენებს ლერასა და თავის დედიკოსთან, ქალბატონ ნინოსთან ერთად. რაული — რაული ბაბუნაშვილი, ჟურნალისტი, ხომალდ „ოქროს საწმისის“ „ლეგენდარული კაპიტანი“, ახლა მემამულეთა კავშირის პრეზიდენტი. ძიძიგური — ვაჟა ძიძიგური, ღრმად განათლებული ლიტერატორი, მან გამაცნო პირველად თედო ბექიშვილი და შოთა ჩანტლაძე.

კვირკველია — გიორგი კვირკველია, „ჩვენი ოჭკომალი“, კონსტანტინე გამსახურდიას ნათლული, უდროოდ გარდაცვლილი. ბაქანიძე — იური ბაქანიძე, ჩვენი „ბრატი“, მწერალი,

მთარგმნელი. ნუცუბიძე — შალვა ნუცუბიძე, უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი, აკადემიკოსი. ფარულავა — გრივერ ფარულავა, ჩვენი ლექტორი, კაფანდარა, ვერცხლის წყალივით მოძრავი, ყინვაშიც კი თხელი, იტალიური პლაშით დადიოდა. რეზო — რეზო სირაძე, ჩვენი ლექტორი, ძველ ქართულ ლიტერატურაში გვიტარებდა სემინარებს. ბატონი რევაზი და გრივერი კორნელი კეკელიძის უკანასკნელი ასპირანტები იყვნენ. რევაზ სირაძეს ხშირად უთქვამს ვიწრო წრეში, — გრივერის ჩავაბარე ოჯახი, მის იმედად წავედი ბულგარეთში ასე დიდი ხნითო!

ბართაია — ნომადი ბართაია, პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, სულ მუდამ სასიძოდ გამოწყობილი; სადიპლომოს რომ ვწერდი, ნომადი სამეცნიერო ლიტერატურით მამარაგებდა. სტუდენტობისას გოგო მიყვარდა ერთი, გივი ალხაზიშვილსა და ნომადისთან ერთად მივადექით შეზარხოშებულები იმ ანგელოზის ბინას. ახსოვს ალბათ გივის, როგორ ზრდილობიანად გამოგვისტუმრა სათნო ქალბატონმა, ოჯახის დედამ, არ გახლავთ შინო!

ჯაფარიძე — იურა ჯაფარიძე, ფოლკლორისტი, ჩვენი კურსის სიძე, ჩვენი დის, მწერალ მანანა ავალიშვილის ქმარი. სამშვილდეში წაგვიყვანა ბატონმა რევაზ სირაძემ ერთხელ, როგორც ყოველთვის, იურაც ჩვენთან იყო. გზად ერთ ციხესთან შევისვენეთ. იურა ციხის კედელზე ყოველგვარი დახმარების გარეშე აცოცდა და ჩამოვიდა. პირდაბჩენილები, აღფრთოვანებულები დავრჩით, თურმე მთამსვლელიც ყოფილა ჩვენი იურა, სხვა სიკეთესთან ერთად!

მერაბი — მერაბ კოსტავა, ეროვნული გმირი. ზვიად გამსახურდიასა და ვიქტორ რცხილაძესთან ერთად გამოჩნდებოდა ბაღში. შტაინერით იყვნენ გატაცებულები. შტაინერი, „ბრატ“ — სულ სხვა სიმაღლეა, „ბრატ“, — ხშირად უთქვამს იურა ბაქანიძეს.

პანტელეიმონ ბერაძე — პროფესორი. ჩვენი პანტიკა, უსაყვარლესი ჩვენი ლექტორი. გამოცდას ვაბარებდით ბატონ პანტელეიმონს მე და რაულ ბაბუნაშვილი... საკითხებს ვუპასუხე უშეცდომოდ. „კარგი ბიჭი ხარო“ — მითხრა ლექტორმა; კი, კარგი ბიჭია, ლექსებსაც წერსო, დაამატა რაულმა. ა, ლექსებს წერსო? და სანიშნედ გამზადებული მატრიკული დახურა ბატონმა პანტელეიმონმა, დაქტილურ ჰეგზამეტრზე მითხარი, რა იციო. ვერ ვუპასუხე რიგიანად. ზაფხულში იმეცადინე, სექტემბერში მოდი და ჩამაბარეო. სახეგაყოფილი, ცივწყალგადასხმული დავრჩი. პირველ სექტემბერს მივედი უნივერსიტეტში, ხუთოსნობის სტიპენდია მომცეს. უწყისში ხუთიანი გაეფორმებინა პროფესორს. არც გამომკითხა, ისე დამიწერა მატრიკულში ფრიადი!

ჯობავა — თენგიზ ჯობავა, მრავალთა მეგობარი. „კაცი სავსე და ვარგებული“, ჩვენი უსათნოესი პოეტების, სოფიოსა და გვანცას მამა. ნივნივაძე — თამაზ ნივნივაძე, მწერალი, გაზეთის რედაქტორი; რამდენჯერ დაუთმია „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდები ჩემი ლექსებისათვის! ბალარჯიშვილი — ბაადურ ბალარჯიშვილი, პოეტი. ჩალხია ჩავლეიშვილთან ერთად ყოველ კვირას ორას კილომეტრს გადიოდა, ყამირზე საავადმყოფოში რომ მოვენახულებინე.. და როცა, წვერმოშვებული კანონიერი პრეზიდენტის საწინააღმდეგო მიტინგზე შაკიაშვილთან ერთად ვნახე, დაიბნა, დაირცხვინა — აქ, ჩემო ირაკლი, ამათ შესარიგებლად ვარო... ეჰ, ჩემო ბაადურ, გული დაგვწყვიტე, ვერ შეარიგე სამტროდ გადაკიდებული ძმები. გვანცა — გვანცა კოპლატაძე, მეცნიერი, მთარგმნელი, ჩვენი სულიერი დაი. ნანა ვახანია — უმშვენიერესი ქალბატონი, გერმანული ენის ლექტორი. ქუთელია — ნათელა ქუთელია, ენათმეცნიერი, პროფესორი. ენათმეცნიერების შესავალს გვიკითხავდა...

ვანო — ვანო ჩხიკვაძე, პოეტი, პროზაიკოსი. ეჰ, ჩემო ძმაო, ნეტა იმ დროს, გორში რომ წამიყვანე, შენმა დედიკომ ტოლმა რომ დაგვახვედრა. მერე გაგვიავდრდა, თოვლი მოვიდა, აქედან შილიფად წასულს, წითელი ჯემპრი ჩამაცვი, თბილი. გორის ციხეზე ამიყვანე... ერთი დღეც იყო და მითხარი, აქ ერთი ლამაზი გოგო ცხოვრობს, მოთხრობებს წერს, მოვინახულოთო. ეს ლამაზი გოგო ლალი ბრეგვაძე აღმოჩნდა. ახლა ჩვენი დაი და შესანიშნავი მწერალი.

ლობჯანიძე — დიმიტრი ლობჯანიძე, მწერალი. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო დიმიტრი , ონის თეატრმა მისი პიესა „ზვიადა“ რომ დადგა. მთავარ როლს შალვა თამაშობდა, ჯაფარიძე. რეჟისორი კი გიგა გახლდათ, შალვას უფროსი ძმა. ამ სპექტაკლის განხილვა უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში მოეწყო...

ვიტალი — ვიტალი მიქიაშვილი, მწერალი, ჟურნალისტი. ვიტალი და სოსო პაიჭაძე ერთად მუშაობდნენ ერთხანს რადიოს ლიტრედაქციაში. ემახსოვრება უთუოდ ვიტალის — როგორ შესთავაზა გიზო ზარნაძის თანდასწრებით დაუვიწყარმა ოტია იოსელიანმა სოსოს: ორასი მანეთის გულიზა შენისთანა მწერლის დილიდან საღამომდე მოცდენა საცოდაობაა. გაანებე მუშაობას თავი, სტაჟი შენ ისედაც არ გჭირია, კავშირის წევრი ხომ ხარ და ყოველ თვე სამას მანეთს მე ჩაგირიცხავო! სოსომ მაინც ვერ გარისკა.

მხატვარი კარლო ფაჩულია

გიზო — გიზო ზარნაძე, ლიტერატორი,ჟურნალისტი, მთარგმნელი, მცნობელი თეთრის და შავის, რამდენი სიკეთე მას ჩემთვის გაუკეთებია...

ა.შანიძე — აკაკი შანიძე, უნივერსიტეტის მესაძირკვლეთაგანი, ეზოში შემობრძანებისთანავე ქუდის მოხდით გვესალმებოდა ყველას.

კვესელავა — მიხეილ კვესელავა. პროფესორი, ლექტორი, მრავალი წიგნის ავტორი, ნიურნბერგის პროცესის მონაწილე ერთადერთი ქართველი, მის ლექციაზე საიდან არ მოდიოდა ხალხი!

გურამ პეტრიაშვილი — პოეტი, მისი სახელი სოსო პაიჭაძისგან გავიგონე პირველად — მათემატიკოსია ერთი, განსაკუთრებულ, სხვანაირ ლექსებს წერს, აგერ წაიკითხეო; სოსომ ორი ფურცელი გამომიწოდა... ორიგინალურად აქვს თავი

მოწყობილიო. ერთგულად ემსახურა და მსახურებს სამშობლოს, მოყვასს ჩვენი გურამი.

ომარ გოგიჩაიშვილი — ფოლკლორისტი, მთარგმნელი. ცხონებული თედო ბექიშვილის ქორწილზე მან რომ „ყაზბეგური“ იცეკვა და მერე დინჯი თემურ მაღლაფერიძეც ააცეკვა, — ახლაც ახსოვს ნაღვარევს.

დავლიანიძე — ჯემალ დავლიანიძე, მწერალი. მან უპატრონა და უმშობლა სტუდენტობისდროინდელ ჩემს ლექსებს. ანახა დღის სინათლე. ზვიადის მეგობარი, გულმხურვალე ჭირისუფალი ქვეყნის.

გივი ალხაზიშვილი, პოეტი, პროზაიკოსი. გივი რომ ბესოს გააჯავრებდა, ჟღენტს, ერთი სანახაობა იყო, დაუვიწყარი. რა დამავიწყებს მის ოჯახს ქუთაისში, ქეთინოს გაკეთებულ სადილ-ვახშამს, იმ სითბოსა და სიყვარულს!..

პაიჭაძე — სოსო პაიჭაძე, პროზაიკოსი. ერთხელ იურა ბაქანიძემ გიგლა სარიშვილს მიახარა: „ბრატ“, სოსოიეს წერილი მივიღე, „ბრატ“, ნაღდი მწერალიაო! უთქმელი, ფიქრიანი კაცი იყო სოსო. მურმან ჯგუბურიასთან ვაკეში ერთმა მეგობარმა თავისი რომანი წაგვიკითხა. მურმანს ახსოვს ალბათ ის საღამო, ყველა დუმდა. ჩემი უფროსი ძმების დუმილი ავად მენიშნა. „ძალიან ნაჩქარევად გიწერია, მხოლოდ ორი-სამი ფურცელია მწერლური, დანარჩენის რა მოგახსენოო“. პირველად ვნახე სოსო ასე მკაცრად მოსაუბრე. მაგალითებით უმტკიცებდა თავის შეხედულებებს მეგობარს... მერე... თვითონ სოსომ წამაკითხა თავისი „მეთევზე“, „უკანასკნელი დუბლი“... ხშირად მაკითხებდა დაბეჭდვამდე თავის შესანიშნავ მოთხრობებს.

კობა — კობა არაბული, სიყრმისდროინდელი მეგობარი, პოეტი. პუბლიცისტი, სცენარისტი. პირველი კურსიდან ერთად მოვუყვებით წუთისოფლის აღმართ-დაღმართებს.

ჯგუბურია — მურმან ჯგუბურია, პოეტი. ლექსების რვეულით გამოჩნდა უნივერსიტეტის ბაღში... მურმანი რომ გამოჩნდებოდა, შოთა ჩანტლაძე „ჯგუბურიას“ ისე უცბად წარმოთქვამდა, ტანში გვაჟრჟოლებდა.

გამსახურდია — ზვიად გამსახურდია. მაშინ ვინ იფიქრებდა, საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, პრეზიდენტად ხალხი გამსახურდიას აირჩევდა და შემდეგ... წუთისოფლის ჯარა ქართველთათვის ასე უკუღმა დატრიალდებოდა!..

შოთა ჩანტლაძე — დიდებული პოეტი, მუხრან მაჭავარიანის ტოლი და მეგობარი. ჯარჯი ფხოველს კარგად მოეხსენება (შოთა ჯარჯის მეჯვარე იყო), მისი გარდაცვალების შემდეგ მრავალმა დაიჩემა შოთას მეგობრობა. ზვიადი რომ მოვიდოდა, ყოველთვის განზე გაიხმობდა ხოლმე შოთას...

გიგლა — სარიშვილი გიგლა, პოეტი, მთარგმნელი. იურა შენიშნავდა, ბაქანიძე, რომ გიგლა სულ ულამაზეს გოგოებს ეტრფოდა, უნივერსიტეტის ყველა ლამაზმანი უყვარდა, მარტო უნივერსიტეტის კი არა და... იყო ერთი ამერიკელი მოცეკვავე პეგი ფლემინგი, უმშვენიერესი, გათხოვდა პეგი; გიგლამ რომ შეიტყო ეგ ამბავი, თავზე შემოიცხო ხელი — ეს რა ცუდი საქმე დაგვემართაო! ერთი უცნაურობა სჭირდა კიდევ ჩვენს გიგლას, შევარდნაძე უყვარდა ძალიან; შევარდნაძე რომ არა, დაინგრეოდა ქვეყანაო... გაოცებული იყო ნომადი ბართაია — ეს რა უბედურება ხდება ამ ქვეყანაზეო!..

დაბოლოს, ავთო — ავთო ჩხიკვიშვილი, მწერალი, გრიგოლ რობაქიძის დის შვილისშვილი; გვაკითხებდა რობაქიძის წიგნებს, კომუნისტური რეჟიმის მიერ იმხანად აკრძალულს!

მრავალი უნივერსიტეტელი, რომელთაც არაფერი აკავშირებდა ჩვენს სამეგობროსთან, მეხმიანებოდა და მსაყვედურობდა — მეც ხომ თქვენთან ვიყავი, რად არ მომიხსენიეო. ისე კი, ახლა როცა ჩავიკითხე ეს ლექსი, მართლა გული მწყდება, რომ „ფოტოლექსის ობიექტივში“ ვერ მოხვდა ბევრი ჩვენი მეგობარი — ოლეგ გოლიაძე, ზაურ მოლაშხია, ცხონებული ჯემალ აჯიაშვილი, ლერი ალიმონაკი, ლევან ბრეგაძე, ჯემალ ქირია, ზეზვა მედულაშვილი...

ჰეი, ჩაგრიალებულო სიჭაბუკის წლებო!

ნინო ნადირაძე

PIETA BROWN

როცა ღამეზე ფიქრობ,
და მზიანი დღე შენს გვერდით ფორთოხლის წვენს წრუპავს.
როცა საჰაერო ბურთებზე ფიქრობ,
და ჰაერი არსად არაა.
როცა სიზმარში ივლისია
და ცხადშიც ივლისი.
როცა კედელს ეყუდები,
და არ გაისმის შენი მეგობრის ზარი.
და არ გაისმის ზოგადად ზარი,
რაიმეს ნიშნად.
ქალაქის სინათლეები ხანდახან იმაზე სევდიანია,
ვიდრე სიკვდილი,
რომელიც არ უნდა ახსენო.
მითუფრო მაშინ,
როცა ღამეზე ფიქრობ,
მზიანი დღე კი ტბაზე მიდის და თავს არ იხრჩობს.
ძვირფასო ღმერთო!
მე ცოცხალი და მხიარული გოგო ვარ,
ნუ მიგზავნი საშიშ ესემესებს!

მარვინი

მარვინ, ეს წერილი შენამდე ვერ მოაღწევს.
ხანდახან გაუგზავნელ ბარათებს ვინახავ.
ძველი ჰობია.
მე ნორმაში ვარ.
ისეთ ნორმაში, ცხოვრება რომ აღარ გინდა,
გაღვიძება რომ აღარ გინდა
და მუდმივი ძილის ქვეყანაში
გასამგზავრებელ ბილეთს ვერ იღებ.
ჯეკიც ნორმაშია.
ღამის ორლეანის რუხი მგელი.
მუდმივად ვისკის სუნადაა გაჟღენთილი.
მარვინ, რა იქნებოდა, არ წასულიყავი.
იქნებ ჯეკიც არ წასულიყო,
მე კი, სიმართლის თქმა მესწავლა.
ვერ გავბედე მისთვის მეთქვა
ორსულად რომ ვარ.
ჩუმად გავუშვი.
მარვინ,
აქ ცხოვრება არავისთვისაა მშვენიერი,
მითუფრო მათთვის, ვინც ლოთია
და საკუთარი თავის არ სჯერა.
ჩემი საათი მუდამ საათით ნაკლებს უჩვენებს,
ამიტომ მუდამ სულერთია როდის რა დროა.
მთავარია, რომ იმ წერილს გწერ,
რომელიც შენამდე ვერასდროს მოვა.
მარვინ, მითხარი,
მარვინ, მომწერე,
მარვინ, როგორმე დამარწმუნე,
რომ ოდესმე მაინც ვნახავ ოკეანის მზის ამოსვლას,
და ტალღებს, რომელიც მზეზე მკრთალდება.
უცნაურია, რაც უფრო მეტის დაწერა გინდა,
მით უფრო მეტ სისულელეს წერ.
მოვრჩეთ. ბარი უნდა დავკეტო.
მარვინ, ამ ბარათს მაშინ განახებ, როცა ჩამოხვალ.
ანუ არასდროს.

P.S მარვინ, სილვიამ თავი მოიკლა.

ნინო ნადირაძე მკაცრი პოეტია. მკაცრია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ, იმდენად, რამდენადაც ყოფიერებას მაქსიმალური ინტენსივობით ღებულობს და შემდეგ უდიდესი ძალისხმევით შედეგად ახერხებს ამ კონდენსირებული რეალობის მხატვრულ სივრცეში გადატანას.

მისი ცნობიერება ესთეტიკურ ბაზისს ეფუძნება. აშკარაა გემოვნების, აზროვნების, ფასეულობათა აღქმის მაღალი დონე.

ფორმა არის შინაარსის გამოხატულება და მისი შემცვლელი. ორგანული მთლიანობა — ეს არის ავტორის მწყობრი მსოფლმხედველობა და რეალიზებული ესთეტიზმი.

სიმკაცრე ინდივიდუალიზმშიც ვლინდება: ერთი მხრივ, ხასიათი; მეორე მხრივ, შემოქმედებითი დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა სრულ თავისუფლებაზე, არამედ თავისთავადობის დაცვის ფსიქოლოგიურ მოტივაციაზე.

ამ ლექსებში ერთმანეთს ერწყმის ავანგარდისტული განწყობა და ტრადიციის გრძნობა, რაც ალბათ იმას ნიშნავს, რომ ავტორი წინამორბედი პოეტური კულტურის მემკვიდრედ მიიჩნევს თავს.

უწყვეტობის განცდა — კულტურის ნიშანი!

ნინო ნადირაძის ლირიკულ ცდებში მოჩანს ტენდენცია, გამოკვეთილი მოტივი, რომელიც უთუოდ მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას. კერძოდ, ეს არის პოეტური მეტყველების დიალოგური ფორმა. მას მუდმივი დიალოგი აქვს მეორე პირთან, რომელიც თავისუფლად შეიძლება იყოს საკუთარი თავიც, სხვაც და თვით მთელი სამყაროც.

AURORA BOREALIS

ოთახში დაბნეულად გადი-გამოდიხარ.
არადა, წეღან ნათლად გახსოვდა,
მაგრამ ახლა ვეღარ იხსენებ,
რის ჩანიშვნას აპირებდი წითელ რვეულში,
რომელიც სოფლის მაღაზიაში
ხუჭუჭთმიანმა გოგომ მოგყიდა.
ასეთია ცხოვრება,
თითქოს არავინ აღარ კვდება,
მაგრამ ყველა უბედურია.
მუდამ არსებობს ადგილები,
სადაც ვერასდროს ვერ მოვხვდებით,
ვერასდროს ვერ შეისვენებს
ჩვენი მზერა სანატრელ ხედზე.
ისევ ოთახში დაბორიალობ.
არადა, წეღან, ნათლად გახსოვდა,
როგორ ხედავდი დახუჭულში ჩრდილოეთის იისფერ ციალს,
და ახლა, თვალის გახელიდან ასი წლის შემდეგ,
ღია ფანჯარას მისდგომიხარ და ქარს პასუხობ,
თითქოს ცდილობ,
რომ როგორმე დაუბრუნდე წრეზე სიარულს,
და სტვენა-სტვენით უკან გაჰყვე საკუთარ ნატვრას.

* * *

ღმერთო, რატომ მოკვდა ირაკლი ჩარკვიანი,
ჯენის ჯოპლინი, აკუტაგავა,
რახმანინოვი, ვამეხი, თამაზ ბაძაღუა,
კარლო კაჭარავა, ჟან მიშელ ბასკია, ვან გოგი, შილე,
შაგალი და სილვია პლათი,
ან ვივიენ მეიერი, მიროსლავ ტიხი, ერნესტი, კლიმტი,
ამადეუსი, მოდილიანი, ჟანა, ჟანას შვილი
ღმერთო, რატომ მოკვდა მამაჩემი.
ღმერთო, ჯერ არ მოკლა ისინი, ვინც მათსავით შეშლილია.
მათ ჯერ კიდევ ვჭირდებით ჩვენ.

ფანჯრები

შენ გრძნობ სიცივეს დახურული ფანჯრებიდან.
კარტოფილი 2 ლარი ღირს,
ზუსტად იმდენივე,
რამდენიც არ გაქვს,
და უახლოეს მომავალში არც გექნება.
უკრაინაში დაიღუპა უამრავი ადამიანი.
ისინი, ვინც არ იცოდა რისთვის კვდებოდა,
და ისინიც, ვისი სიკვდილის ორმოსთანაც
გულისამრევად აცრემლებული პოლიტიკოსები
ორთქლს გამოუშვებენ.
შენ გრძნობ სიცივეს დახურული ფანჯრებიდან.
დილით ბედნიერების სუნი შევისუნთქე ტრანსპორტში,
რომელშიც Pink Floyd იყო ჩართული.
მძღოლი გავდა მოხუცებულ ჰემინგუეის.
საფიქრალი აღარაფერი დამრჩა,
მხოლოდ მოძრაობა სიჩუმისაკენ.
მე ვგრძნობ სიცივეს დახურული ფანჯრებიდან
და შეუძლებელს საკუთარ თავს მხოლოდ მეღა ვთხოვ,
მინიმუმი შედეგისათვის.

ეჭვი

შენ ჯერ არ იცი ეჭვი რა არის,
შენ ჯერ არ იცი შეციებულ ფიქრების ძალა და უძლურება.
მხოლოდ გაზაფხულს აკენკინებ გულის ნამცეცებს,
ზამთრის ძილის გადასარჩენად.

მხოლოდღა ხელი თუ შეახე
შენი ოცნების მიმქრალ სილუეტს,
და საუბარს აგრძელებ ქართან,
კართან რომ გაწვა და შენვე გიყეფს.

შენი ცხოვრება დასჯილია,
შენს გარეშე უწევს სიცოცხლე,
და ვეღარაფერს ეკითხება გადამფრენ ჩიტებს,
ნახევარი ცა რომ გაიყოლეს გადაფრენისას.

ღრუბელი ოთახში

რას ნიშნავს,
როცა შენს ოთახში ღრუბელი ცხოვრობს.
მას ვერცერთი ქარი ვერ ფანტავს.
დავტუქსავ თუ სულს შევუბერავ,
ვერაფერს ვშველი,
ჩემი თავივით თავს არ მანებებს.
მაგრამ როცა აღარ ვიქნები,
ბოლოს მაინც დაიფანტება,
და საბოლოოდ დავმშვიდდები,
და წარწერებად ვიქცევი მხოლოდ.
ბოლოს და ბოლოს,
მე ხომ იქ ვცხოვრობ,
შუალედში,
ეს სიყვარული ან დამახრჩობს, ან გადამარჩენს.
ნუ გეშინია, —
ვეუბნები საკუთარ თავს,
ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს სულელთა ღმერთიც.

უკრაინული წარმოშობის რუსი ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია „ნოვაია გაზეტას“ სპეციალური კორესპონდენტი გახლდათ. „ნიუ იორკ ტაიმსს“ თუ დავეყრდნობით, “ის რუსეთის პრეზიდენტების, პოლიტიკური პარტიების ლიდერების, გენერლების, ბიუროკრატებისა და სხვა გავლენიანი ხალხის უშიშარი მამხილებელი იყო. მისი სიზუსტე და გულწრფელობა ეჭვს არ იწვევდა“.

მან ჩეჩნეთის ომის შესახებ გაბედული რეპორტაჟებით გაითქვა სახელი. სწორედ რუსეთის მიერ ხელდასხმული ჩეჩნეთის ლიდერის მამხილებელ მასალებზე მუშაობისას 2006 წლის ოქტომბერში, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

2004 წელს ანა პოლიტკოვსკაიას მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „პუტინის რუსეთი“ ლონდონში გამოიცა და მაშინვე ბესტსელერად იქცა. გამომცემლობა „არტანუჯი“ ამ წიგნის ქართულენოვან გამოცემას მკითხველს მაისის ბოლოს წარუდგენს.

ანა პოლიტკოვსკაია

ტანია

2002 წლის ადრეული ზამთარია. ნორდ-ოსტის საგა ახალი ჩავლილია. რუსეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით მოსკოვში, კვლავაც შოკშია. ამ მოვლენების დროს ტელეეკრანებზე გამოვჩნდი, რადგან ამ ამბებში მცირე მონაწილეობას მეც ვიღებდი – შედეგად ისევ გამომეხმაურნენ ძველი ნაცნობები, მირეკავდნენ და საკუთარ ამბებს მიყვებოდნენ.

ტანიამ გვიან ღამით დამირეკა. საერთოდ ტანია ყოველთვის ღამით ან გვიან საღამოს მირეკავდა, როდესაც შინ უკვე ყველას ეძინა.

– რა დრო გავიდა...

– როგორ მიპოვე?

– შევხვდეთ?

– რა თქმა უნდა...

ტანია, ჩემი ძველი მეგობარი და ერთ დროს მეზობელიც, ათი წელია არ მენახა.

იმ ხანებში ჩაგრული, ნატანჯი იყო, ახლა კი ტანია დედოფალია. სადღესასწაულოდ და მდიდრულად გამოიყურებოდა და არა იმიტომ, რომ მდიდრული ტანსაცმელი ეცვა, თუმცა არც უამისობა იყო, არამედ იმიტომ, რომ მშვიდად და თავდაჯერებულად გამოიყურებოდა. ეს კი რაღაც ახალი გახლდათ. მსგავს რამეს ათი, თხუთმეტი თუ ოცი წლის წინათ ნამდვილად ვერ შეატყობდით.

საბჭოთა პერიოდში მისი ცხოვრება ნამდვილი ტანჯვა იყო. თითქმის ყოველდღე ჩამოირბენდა ჩემთან (ძველი სახლის პირველ სართულზე ვცხოვრობდი, ის – ბოლოზე) და თავის დანგრეულ ცხოვრებაზე მოთქვამდა.

იმ წლებში ტანია კვლევით ინსტიტუტში ინჟინრად მუშაობდა და ამგვარად საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ ინტელიგენციას მიეკუთვნებოდა. ასეთი რეალური საზოგადოებრივი კატეგორიაც გვქონდა, რომელიც ახლა უკვე აღარ არსებობს, საბჭოთა კავშირთან ერთად გაუჩინარდა.

როგორ ჩამოყალიბდა ეს ფენა? იმჟამად მიიჩნეოდა, რომ ახალგაზრდა გოგონას „კარგი ოჯახიდან“ (და ტანია „კარგი ოჯახის“, პატივცემული მშობლების ერთადერთი ქალიშვილი იყო) აუცილებლად უნდა მიეღო უმაღლესი განათლება. თუკი გოგონას სკოლის დამთავრებისას რაიმე განსაკუთრებული მისწრაფებები არ ჰქონდა რომელიმე სფეროსადმი, მაშინ ტექნიკურ ინსტიტუტში აბარებდა, რომლის მსგავსი ძალიან ბევრი იყო, და ინჟინერი ხდებოდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი ევალებოდა სამ წელიწადს ემუშავა იმ სპეციალობით, რასაც სახელმწიფოს ხარჯზე დაეუფლა. შესაბამისად, ქვეყანაში ჩამოყალიბდა მთელი არმია ცხოვრებით უკმაყოფილო ადამიანებისა, ახალგაზრდა სპეციალისტების, რომლებსაც არასდროს უოცნებიათ ინჟინრობაზე, თუმცა ახლა მთელ დღეებს კვლევით ინსტიტუტებში ატარებდნენ და გამოსადეგს ვერაფერს ქმნიდნენ.

ტანია ამ არმიის სრულუფლებიანი ჯარისკაცი გახლდათ, ატომური ელექტროსადგურების კომუნალურ მოწყობილობათა ინჟინრის პროფესიით. მთელი დღეები ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ხაზავდა კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის სისტემის პროექტებს, რომლებსაც არსად არავინ აშენებდა. იღებდა მცირე გასამრჯელოს და უსახსრობის გამო მუდმივად უბედური იყო. ცდილობდა საკვები და ტანსაცმელი არ მოეკლო თავისი ოჯახისთვის, ორი მუდმივად ავადმყოფი შვილისა და ქმრის – ანდრეისთვის, რომელიც უცნაური ტიპი იყო, მოსკოვის პრესტიჟული ტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა დოცენტი, რომელსაც ასევე ძალზე დაბალი ხელფასი ჰქონდა.

ასეთი ცხოვრების შედეგად ტანია ტიპური ნევრასთენიკი გახდა. თავისი ცუდი ხასიათით, ისტერიკებით, დეპრესიით, ბედითა და ცხოვრებით მუდმივად უკმაყოფილო, საკუთარ თავსაც ტანჯავდა და ქმარ-შვილსაც.

გარდა ამისა, ტანია ქალაქ დონის როსტოვიდან იყო. მოსკოვში გადმოსვლა შავი ზღვის სანაპიროზე გაცნობილ ანდრეიზე დაქორწინებით მოახერხა. იგი მიჩნეული იყო ე.წ. არარეზიდენტ „ლიმიტჩიცად“ (მაშინ ასე უწოდებდნენ), რომელთაც 1970-იანი წლების შუახანებში მოსკოვში ცხოვრების დროებითი ნებართვა გადაეცათ არაპოპულარულ ადგილებში მუშაობის სანაცვლოდ. ასეთ პროვინციელ ქალ-ინჟინრებს, რომლებიც ცოლად მოსკოველებს გაყვნენ, იმხანად დედაქალაქში ხშირად შეხვდებოდით. პროვინციაში დარჩენა არავის უნდოდა და „კარგი ოჯახების“ გოგონები მოსკოვისკენ ისწრაფოდნენ.

ერთი სიტყვით, ტანია უბედური იყო – არ იცოდა რა უნდოდა. თუმცა შესანიშნავად იცოდა, რა არ უნდოდა: არ უნდოდა ყოფილიყო ინჟინერი და ამასთან – ღარიბი ასევე ღარიბ ანდრეისთან ერთად. ამის შესახებ ხშირად ვსაუბრობდით: ტანია სწორედ ამაზე ბრაზობდა, რომ გამოსავალი არ ჰქონდა. უნდა ეცხოვრა ანდრეისთან ერთად და დარჩენილიყო ძალიან დაბალ ანაზღაურებად ინჟინრად.

...როდესაც ახალი ეპოქა დადგა, სწორედ ქალები იქცნენ მის მამოძრავებელ ძალად. წამოიწყეს საკუთარი ბიზნესი, გაეყარნენ ქმრებს, რომლებმაც ქურდობას მიჰყვეს ხელი და ბევრი მათგანი ელცინის მმართველობის პირველ წლებში შეტაკებების დროს დაიღუპა... ასე სწორედ იმიტომ მოხდა, რომ „პერესტროიკის“ მიჯნაზე ბევრი ჩვენი ქალი, ტანიას მსგავსად, ფიქრობდა, რომ ვერასდროს შეცვლიდა თავის ცხოვრებას, უეცრად კი ასეთი შანსი მიეცათ...

80-იანი წლების შუა პერიოდში კი მათ ოჯახებში ხშირად იყო სკანდალები. საბჭოთა ტრადიციების თანახმად, ტანიას, რომელსაც მოსკოვში საკუთარი სახლი არ გააჩნდა, ანდრეის სახლში უნდა ეცხოვრა. მაგრამ არც ანდრეის ჰქონდა თავისი კერა, ისინი ერთ დიდ ბინაში ცხოვრობდნენ ანდრეის მშობლებსა და ორ უფროს ძმასთან ერთად, რომლებსაც თავის მხრივ ოჯახები და ორ-ორი შვილი ჰყავდათ.

მოკლედ, ტიპური საბჭოთა კომუნალური ბუდე – გამოყოფისა და დამოუკიდებლობის არანაირი პერსპექტივით. გარდა ამისა, ანდრეი უბრალო ადამიანი არ იყო, უძველესი მოსკოვური კეთილშობილური ოჯახიდან მოდიოდა, რომლის წევრებიც წარჩინებული ადამიანები იყვნენ. მაგალითად, სახელგანთქმული პროფესორი – მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის ვიოლინოს მასწავლებელი. ის ანდრეის ბებიის მეორე ქმარი იყო, რომელიც ასევე ვიოლინოს მასწავლებელი გახლდათ მოსკოვის კონსერვატორიაში. ბებია დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა, მისი ქმარი კი „ბუდეში“ დარჩა – მასაც, ტანიას მსგავსად, წასასვლელი არსად ჰქონდა.

ანდრეის მშობლები ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორები იყვნენ. უფროსი ძმა – ქიმიის პროფესორი, მოსკოვის

*** ნაწყვეტი წიგნიდან „პუტინის რუსეთი“**

უნივერსიტეტში აღმოჩენას აღმოჩენაზე აკეთებდა, მაგრამ ეს მის ცხოვრებას მატერიალური კუთხით დიდად არ ცვლიდა.

ეს ყველაფერი ტანიას აბრაზებდა და, მიუხედავად უამრავი სამეცნიერო ხარისხისა, რომელსაც ისინი ფლობდნენ, ანდრეის ოჯახს უიღბლოებად მიიჩნევდა. ოჯახიც იმავენაირად პასუხობდა, არ უყვარდათ და სასაყვედუროს ყოველთვის უძებნიდნენ.

შეგახსენებთ, რომ ტანია დონის როსტოვიდან იყო, რუსეთის სამხრეთიდან, სადაც საბჭოთა პერიოდშიც კი, ყველას, ვისაც შეეძლო, ვაჭრობდა ყველაფრით, რითაც შეეძლოთ. იქ იატაკქვეშა საამქროები ჰყვაოდა, სადაც არალეგალურ პროდუქციას აწარმოებდნენ. ბევრი შეძლებული მამაკაცი დროს ციხესა და თავისუფლებას შორის ანაწილებდა და ეს სულაც არ მიიჩნეოდა სამარცხვინოდ. მართალია, გაზეთებში მათ „სპეკულიანტებად“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ როსტოველი ქალბატონები სიამოვნებით მიჰყვებოდნენ ცოლად.

როდესაც 80-იანი წლების დასაწყისში ერთმანეთი გავიცანით, ტანია უკვე ფიქრობდა, რომ შეცდომა მოუვიდა ანდრეიზე დაქორწინებით, და სიყვარულს მნიშვნელობა არ ჰქონდა. აღიარებდა, რომ მოსკოვში სახლის სატყუარამ შთანთქა – მოსკოველზე გათხოვება პროვინციაში პრესტიჟულად მიაჩნდათ, სხვაგვარად დედაქალაქში ვერაფრით გადახვიდოდი. მაგრამ ტანია ღარიბულად ცხოვრობდა და იტანჯებოდა. მხოლოდ მაშინ გახალისდებოდა, როდესაც, კაცმა არ იცის საიდან მოტანილი, ლამაზი ნივთების გასაღებას ცდილობდა. ვაჭრობის უდავოდ დიდი უნარი ჰქონდა. შეეძლო სამჯერ უფრო ძვირად გაეყიდა უხარისხო კოფთა იმ არგუმენტით, რომ „ევროპაში ეს აცვიათ“ და, როდესაც მისი ტყუილი გამოაშკარავდებოდა, თავს ოდნავადაც არ გრძნობდა უხერხულად და არც წითლდებოდა. ანდრეის ტრადიციული, ინტელიგენტი ოჯახი კი სპეკულანტური ვაჭრობისადმი მიდრეკილების გამო ტანიას სრულიად უცხო ელემენტად მიიჩნევდა და მის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო – მოძულებული ჰყავდათ.

და აი, 2002 წელს ტანიამ დამირეკა და თავის სახლში მიმიწვია – ეს ისევ ის დიდი ბინა იყო მოსკოვის ცენტრში, ლამის კრემლის კედელთან.

თუმცა ახლა სახლი სულ სხვანაირია. არაჩვეულებრივი გარემონტებული და ყველაფერი გარდაქმნილი. ბინა სავსეა თანამედროვე ტექნიკით, ცნობილი ნახატებისა და მაღალი ხარისხის ანტიკვარული ავეჯის ბრწყინვალე რეპროდუქციებით. ტანია თითქმის უკვე ორმოცდაათი წლისაა, მისი კანი ახალგაზრდულია, ტანისამოსი — მშვენიერი. საუბრობს ხმამაღლა, თავდაჯერებით, გულახდილად და ბევრს იცინის, რის გამოც სახეზე ნაოჭები არ უჩნდება. ეს ნიშნავს, რომ პლასტიკური ოპერაცია აქვს გაკეთებული. ჩემთვის ფიქრს ვაგრძელებ: ყველაფერი სიმდიდრეზე მიანიშნებს, ჩვენთან ღარიბები პლასტიკურ ოპერაციებს არ იკეთებენ, ძალიან ძვირია, ამიტომაც ღარიბ ქალებს მაშინვე ემჩნევათ ასაკი.

– ანდრეი გამდიდრდა? – ისევ ვფიქრობ ჩემთვის. ტანია ოთახებში თავისუფლად დადის. – ადრე, ათი წლის წინათ ერჩივნა ეჩურჩულა და ერთ-ერთი ოთახის კუთხეში შეყუჟულიყო, ოჯახის წევრებს რომ არ გადაყროდა.– და თქვენები სად არიან?

– ახლავე მოგიყვები, ოღონდ არ წაიქცე – ახლა ეს ყველაფერი ჩემია.

– შენი? გილოცავ. და ისინი სად ცხოვრობენ?

– ახლავე, ახლავე... ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ.

ოთახში სიმპათიური ახალგაზრდა შემოდის, როგორც ვვარაუდობ, ტანიას ვაჟის ხნის. უკანასკნელად მისი შვილები პატარა ბიჭობისას ვნახე, ამიტომაც წამოვიყვირე:

– ნუთუ? ეს?... იგორ? შენ ხარ?

იგორი – ტანიას და ანდრეის უფროსი შვილი — ახლა 24-25 წლისა იქნება.

ტანია გულიანად იცინის. იცინის მხიარულად, ანცად, ახალგაზრდულად. ეს ტანიას სრულებით არ ჰგავს.

ანა პოლიტკოვსკაია

– მე დავიდი მქვია, – ჩაიბუტბუტა სიმპათიურმა, შავ ხვეულთმიანმა, დიდთვალება ახალგაზრდა მამაკაცმა და ტანიას მოვლილ ხელზე ეამბორა. მე კი მისი სულ სხვანაირი ხელები მახსოვდა, სარეცხის მანქანის უქონლობის გამო, დიდი ოჯახის სარეცხის რამდენიმესაათიანი რეცხვით დაუძლურებული. ხელები, რომლითაც ტანია აცრემლებულ თვალებს იწმენდდა ჩემს სამზარეულოში. დავიდი ნელ-ნელა ბინის შუაგულისკენ ინაცვლებს. – ხელს არ შეგიშლით, გოგონებო...

„გოგონებს“ ნაკლებად ვგავართ.

– კარგი, მოყევი, ბოლოს და ბოლოს! გახსენი შენი ახალგაზრდობისა და კეთილდღეობის საიდუმლო, – ვთხოვ ძველ მეგობარს. – სად გაქრნენ შენები?

– ისინი უკვე ჩემები აღარ არიან.

– და ანდრეი?

– დავშორდით და დასრულდა ჩემი პატიმრობა.

– გათხოვდი? ამაზე? დავიდზე?

– დავიდი ჩემი საყვარელია. დიდი ხნით არა, ისე, ჯანმრთელობისთვის. დავიტოვებ, სადამდეც ამის სურვილი მექნება.

– ღმერთო... ვისზე მუშაობ?

– არავისზე, მხოლოდ საკუთარ თავზე, – ტანია ისე მტკიცედ და უდრეკი ხმით მპასუხობს, რაც ჩემს პირდაპირ მჯდომი ადამიანის ვიზუალს სრულიად არ შეეფერება – ცოტათი უსაქმური, მოვლილი ქალი ახალგაზრდა საყვარლით.

...ტანია ახალი ცხოვრების ბედნიერი შემთხვევაა. 1992 წლის ზაფხულში, როდესაც მოსკოველი ოჯახების უმეტესობას ლუკმა-პური არ მოეპოვებოდა – რაც „შოკურ თერაპიად“ ან იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, ეგორ გაიდარის საბაზრო რეფორმად იწოდებოდა – ტანია შვილებსა და პროფესორების მთელ ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ, მათი ოჯახის ძველ, წინაპრების დანატოვარ აგარაკზე ცხოვრობდა.

მოსკოველები, ვისაც კი აგარაკი ჰქონდა, იმ საშინელ, შიმშილის ზაფხულში თავიანთი სოფლების ხის სახლებში ისხდნენ და ბოსტნეული მოჰყავდათ, რომ რამით გამოკვებილიყვნენ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ტანია მუშაობდა, ზაფხულში დაიკეტა. ისედაც იქ დიდი ხანია ხელფასს აღარავის უხდიდნენ, არც სამუშაო იყო, ამიტომ თანამშრომლები, ყველანი ქალაქელები, მოსავლის მოსაყვანად ან ბაზრებში წავიდნენ სავაჭროდ. ასეთი ბაზრები მნიშვნელოვნად მომრავლდა მოშიმშილე მოსკოვის ქუჩებში. ტანიაც ბოსტნეულის მოყვანითა და ბავშვების მოვლით იყო დაკავებული. ანდრეი კი ხშირად რჩებოდა ქალაქში, იმიტომ, რომ მისი ტექნიკური უნივერსიტეტი არ დაკეტილა, ისევე როგორც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა უმრავლესობა. სტუდენტები აგრძელდებდნენ სწავლას, გამოცდების ჩაბარებას, პედაგოგებიც ძველებურად დადიოდნენ სამსახურში, თავს მოვალედ მიიჩნევდნენ, ენთუზიაზმზე ემუშავათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას ანაზღაურება არ ჰქონდა.

ერთ დღესაც ტანია მოულოდნელად, სრულიად შემთხვევით გაემგზავრა მოსკოვში, გააღო ბინის კარი და ანდრეი თავის სტუდენტთან ერთად მისი და ანდრეის საძინებელში იპოვა. დღისით, როდესაც ანდრეის უნივერსიტეტში უნდა ემუშავა. ტანია სამხრეთელი, ხმაურიანი ქალი იყო და მთელი კორპუსის გასაგონად უყვიროდა ანდრეის, რომ „აი, ასე მუშაობს", და ბევრ სხვა რამესაც.

ანდრეის თავის მართლება არც უფიქრია. უთხრა, ეს სტუდენტი მიყვარსო. სტუდენტს ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ჩაიცვა და უჩუმრად გავიდა სამზარეულოში, სადაც საქმიანად დაიწყო ჩაის მოდუღება.

მოწინააღმდეგის დუმილი და შინაურული მოქცევა ბინაში ტანიასთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. მიხვდა, რომ „ამ ოჯახისგან" ამდენი იმიტომ არ უთმენია წლობით, რომ შინ მეტოქე შემოეშვა. ასეც უთხრა ანდრეის: ამის იმედიც კი არ გქონდესო. ანდრეიც, ისე რომ მისთვის მომზადებული ჩაი არ დაულევია, სტუდენტთან ერთად წავიდა.

იმ დღიდან ტანიასთვის ახალი ცხოვრება დაიწყო, სრულიად დამოუკიდებელი, არაფრით რომ არ ჰგავდა მის წინამორბედს. ანდრეი სულელურად მოიქცა, როდესაც კაპიკი აღარ მიუცია ტანიასთვის შვილებისა და საკუთარი თავის სარჩენად. მეტიც, მოგვიანებით ალფონსობაზეც არ დაუხევია უკან – სამი წლის შემდეგ, როდესაც ტანია ოდნავ ფეხზე დადგა, დროდადრო კვებავდა და აცმევდა კიდეც ანდრეის. მაგრამ არა ტექნიკური უნივერსიტეტის ღარიბი პროფესორისადმი სიბრალულის გამო, არამედ რევანშისთვის. პირში ეუბნებოდა: ჩემი დამცირება გინდოდა? აი, ახლა მე გამცირებ შენ!

და აწვდიდა წითელ ხიზილალას, საბჭოთა ფუფუნების სიმბოლოს, რისთვისაც ტანიას უკვე ჰქონდა საკმარისი სახსრები. ანდრეი კი ხიზილალას ორივე ხელით ჭამდა, დამცირების გამო არც წითლდებოდა, რადგან მუდმივად შიმშილობდა, დროდადრო ეკლესიის ღარიბთა საქველმოქმედო სასადილოებში მისვლასაც არ თაკილობდა, თავს აჩვენებდა, თითქოს მართლმადიდებელი იყო – პირჯვრის გადასახვა ისწავლა.

ბუნებრივია, ანდრეი იმ დროისთვის უკვე დიდი ხნის დაშორებული იყო თავის მდუმარე სტუდენტთან და კაცმა არ იცის, სად და როგორ ცხოვრობდა. უსახლკაროს ჰგავდა.

...1992 წლის ზაფხულს დავუბრუნდეთ, საბაზრო რეფორმის ზაფხულს. ერთი კვირის თავზე უკვე აღარაფერი ჰქონდათ, რომ ბავშვები გამოეკვებათ. დედამთილი მოითხოვდა ტანიასგან, რომ ეპატიებინა და დაებრუნებინა ანდრეი სახლში, მაგრამ ტანიას უკან არ დაუხევია, სავაჭროდ წავიდა უახლოეს ბაზარში.

დედამთილი ყვიროდა: სირცხვილი! სირცხვილი! ჩაწვა, იავადმყოფა. მაგრამ საბოლოოდ, შეეგუა – ეს მაშინ, როდესაც ამ „სამარცხვინო" ფულით ტანიამ მისთვის წამლების ყიდვა დაიწყო. აქამდე დედამთილის ვერცერთმა ვაჟმა, ვერც ქმარმა, ვერც სხვა რძლებმა ავადმყოფი ქალისთვის ამის გაკეთება ვერ შეძლეს, რადგან კაპიკი ფული არ მოეპოვებოდათ და ერთხელ საქმე აბსურდამდეც კი მივიდა. ოჯახურ საბჭოზე გადაწყდა – და ამას პირველ ყოვლისა მხარი დედამთილმა დაუჭირა, რომელიც ჯიუტად იწვა საწოლში და სიკვდილისთვის ემზადებოდა –საოჯახო რელიკვიებს: წინაპრებისგან დანატოვარ ანტიკვარულ ავეჯს, მუსიკალურ ალბომებს, მეცხრამეტე საუკუნის რუსი მხატვრების ნამუშევრებს „არაფრისდიდებით არ გაყიდდნენ!" და ეს მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ოჯახები, რომელთაც ასევე ტრადიციად ჰქონდათ შეენახათ სტალინისდროინდელი რელიკვიები, 90-იანი წლების დასაწყისში, ყიდდნენ ყველაფერს ძალიან იაფად, და როგორც მაშინ ამბობდნენ, „ერთი სადილის" ფასად.

ტანია კი ბაზარში იდგა. დილის ექვსიდან საღამოს თერთმეტ საათამდე. ეს სამსახური კი არა, წმინდა წყლის მონობა იყო. არანაირი გამართლება არ ჰქონდა, გარდა ერთისა – ამ მონობას ფული მოჰქონდა. ტანია ბაზარში რეალური, ჯიბეში მოჩხრიალე რუბლების გამო იდგა. თანაც ფული ყოველდღიურად შემოდიოდა. იდგა და ფულს მოგვიანებით კი არა, მაშინვე იღებდა, და ეს იყო მთავარი. შინ ყოველთვის ფულით ბრუნდებოდა. ფეხები ისეთი დასიებული ჰქონდა, ერთმანეთზე გადადებაც არ შეეძლო, ხელებიც დასიებოდა და კიბორჩხალის კლანჭებივით ჰქონდა. დაბანა და საკუთარი თავის ცოტათი მოწესრიგებაც კი არ შეეძლო. მაგრამ ბედნიერი იყო.

– ალბათ დაუჯერებელია, მაგრამ მაბედნიერებდა ის, რომ არავიზე დამოკიდებული აღარ ვიყავი. არც ინსტიტუტის დირექტორზე, რომელიც არაფერს მიხდიდა, არც ანდრეიზე, რომელიც კაპიკს არ მაძლევდა, არც დედამთილზე, მისი ოჯახური რელიკვიებითა და ტრადიციებით. მხოლოდ საკუთარ თავზე ვიყავი დამოკიდებული, – მიყვებოდა ათი წლის წინანდელ ისტორიას უკვე ლამაზი და მდიდარი ტანია. დედამთილი? ერთ მშვენიერ დღეს ვუთხარი, რომ ჯანდაბამდე გზა ჰქონოდა და, თუ იცი, რა ქნა? ცხოვრებაში პირველად მორალი არ წაუკითხავს. ეს რევოლუცია იყო – პირდაპირ ჩემ თვალწინ. ერთი შეხედვით მოუსყიდველი ძველი მოსკოველი ინტელიგენცია დაიმსხვრა. და დაიმსხვრა ფულით, რომელსაც დედამთილს ვაძლევდი. დედამთილი ჭკუას აღარ მარიგებდა, იმიტომ რომ პურს მე ვაჭმევდი. და ერთი მხრივ – მე, ყოველთვის „ცუდი"... და მეორე მხრივ – ისინი, ყველანი, მთელი მათი ოჯახი, რომელთაც წლობით მოძულებული ვყავდი იმიტომ, რომ მათსავით ძველი გვარის ჩამომავალი არ ვიყავი, რომ ჩემი ფესვები გლეხის ოჯახში იყო, და როგორც ისინი ამბობდნენ, ანდრეის მოსკოვში გადმოსასვლელად გავყევი ცოლად – ნათესავების ამ მთელმა ჯგრემ ისწავლა, როგორ გაეღიმათ ჩემთვის და ხელებში ყურებაც კი დამიწყეს. მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ბაზრის წყალობით მათი შენახვა დავიწყე. მე ვზეიმობდი. მზად ვიყავი არ წამოვსულიყავი ბაზრიდან მხოლოდ ერთი მიზეზით: რაც შეიძლება ბევრი ფული მეშოვნა.

გვიან ღამით შინ დაბრუნებულ ტანიას საწოლამდე ძლივს მიჰქონდა ფეხები. შვილებს ვეღარ ამჩნევდა, ვერც გაკვეთილებს უმოწმებდა. საწოლზე დაეცემოდა და მაშინვე ითიშებოდა. უთენია კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

დედამთილმა საკუთარ თავზე აიღო ტანიას შვილებზე ელემენტარული მზრუნველობა – და ეს მოხდა პირველად, იმ ხნის განმავლობაში, რაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. ტანია ამანაც ძალიან გააოცა.

90-იანი წლების შუა ხანებში 15-18 წლის ბავშვებში ნარკომანიის ისეთი ზრდა გვქონდა, დილით ბინებიდან გამოსულები შპრიცებით სავსე კიბეებზე მივაბიჯებდით. ისინი სწორედ ფულის საშოვნელად ბაზრებში სავაჭროდ გასული დედების შვილები იყვნენ, დედებისა, ფულის გამო სკოლისა და ყურადღების გარეშე რომ მიეტოვებინათ შვილები. დღეს კი ბევრი 40-50 წლის დედა გვყავს რუსეთში, რომელთაც შვილები დაეღუპათ. აღიარებულია, რომ 1978-82 წლებში დაბადებული ბიჭებისა და გოგონების 50% 90-იან წლებში დოზის გადამეტებით გარდაიცვალა.

ბაზარში ტანია მუშაობდა საზრიანი ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც „მაქო" იყო, როგორც მაშინ უწოდებდნენ. ნიკიტას „მაქოობა" იმით გამოიხატებოდა, რომ თურქეთიდან იაფფასიანი ძონძები ჩამოჰქონდა, უზბეკეთიდან – იაფი საზამთრო, საქართველოდან – იაფი მანდარინი, ყველა მხრიდან – მხოლოდ იაფი საქონელი და ტანია სხვა ქალებთან ერთად, რომლებიც ნიკიტასთვის მუშაობდნენ, ამ საქონლით ვაჭრობდა. სახელმწიფო გადასახადები არ არსებობდა. ბაზარში ციხის კანონები ჭრიდა, დავები დანით წყდებოდა, გახშირდა რეკეტი და ხალხის ცემა. ქალი-გამყიდველები, ტანიას მსგავსად, მარტოსულები, სახლში დატოვებული ბავშვებით, დაკეტილი ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი ინტელიგენციის, გამომცემლობებისა და რედაქციების ყოფილი წარმომადგენლები, ფაქტობრივად თავიანთი ამჟამინდელი ბოსების მძევალ-პროსტიტუტკები იყვნენ.

მალე ტანიაც ნიკიტას დაუწვა. ასაკში სხვაობის მიუხედავად, სხვებს შორის მან სწორედ ტანია ამოარჩია და შემდეგ თურქეთშიც წაიყვანა, რომ ერთად შეეძინათ საქონელი. წაიყვანა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ორ თვეში ტანია, ქალი კომერ-

ციული მიდრეკილებით, თვითონ იქცა „მაქოდ“, როგორც კი გააცნობიერა, რომ ამ საქმეს დიდი ფილოსოფია არ სჭირდებოდა.

ამასობაში ნიკიტაც მოკლეს – უცნობია, ვინ და როდის ესროლა. უბრალოდ ერთ დილას მისი ცხედარი ბაზარში დაგდებული იპოვეს. თავში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით. ნიკიტას გამყიდველი ქალები ტანიასთან გადავიდნენ და ამით ძალიან ბედნიერები იყვნენ. ტანია ბევრად უფრო მუყაითი აღმოჩნდა, ვიდრე ნიკიტა, და საქმემ აღმასვლა დაიწყო.

კიდევ ნახევარი წელი და ტანიამ შეწყვიტა თურქეთში სიარული. მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიღალა, „მაქოს“ ცხოვრება მძიმე იყო – საქონელი უზარმაზარი ფუთებით „მაქოებს“ თვითონვე ჩამოჰქონდათ, დაათრევდნენ აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებს შორის და ეკონომიას ფასიან გადამზიდავ ურიკებზეც კი აკეთებდნენ. არამედ იმიტომ, რომ ტანიამ ნათლად დაინახა საკუთარი თავი სავაჭრო საქმეში: ბიზნესის განსაკუთრებული ალღო აღმოაჩნდა. ყიდულობდა სწორედ იმ საქონელს, რომელსაც ელვისსისწრაფით იტაცებდნენ ბაზარში.

ტანიამ თავისი ბიზნესი ისე გააფართოვა, რომ მალე ხუთი „მაქო“, სულ ცოტა ხანში კი კიდევ ხუთი დაიქირავა და მალე, საბაზრო საზომით, დიდი ბიზნესის ხელმძღვანელი გახდა. „მაქოები“ საზღვარგარეთ დადიოდნენ, გამყიდველები საქონელს ყიდდნენ, ტანია კი მათ მართავდა. მას უკვე „თურქულები კი აღარ ეცვა“, როგორც მაშინ უწოდებდნენ, არამედ ევროპულები. აღარ გამოდიოდა რესტორნებიდან – იქ ჭამდა, თვრებოდა, ფულს თამამად ხარჯავდა, სამსახურის მერე ასეთ განტვირთვას მიჰყო ხელი. და მიუხედავად ამისა, ფული მასაც, მის ოჯახსაც და მის ხელქვეითებსაც ჰყოფნიდათ. იმ წლების შემოსავლები ასტრონომიული იყო. საყვარლებიც შემოსავლებისა და წლების შესაბამისად ჰყავდა. როცა უნდოდა, მაშინ იშორებდა თავიდან. გულახდილად რომ ვთქვათ, ანდრეი ამ საქმეში ძალიან მოიკოჭლებდა და ტანია ამის გამო ხშირად ტიროდა იმ ძველ დროში.

ერთი წლის შემდეგ ტანიამ შინ რემონტის გაკეთება გადაწყვიტა, თუმცა იქამდე სახლი საკუთარ სახელზე გადაიფორმა. ანდრეის, მამამთილსა და ანდრეის ძმებს პატარა სახლები უყიდა და ისინი ამაზე დათანხმდნენ. დედამთილი კი თავისთან დატოვა საცხოვრებლად – რაღაც ადამიანურმა გრძნობამ უბიძგა შეებრალებინა მარტოხელა მოხუცი, რომელიც დიდი ხნის წინათ მიატოვა პროფესორმა ქმარმა, ტანიას ყოფილმა მამამთილმა. ტანიას შვილებისთვისაც ხომ უნდა მიეხედა ვინმეს. უფროსი, ეგორი, გარდატეხის ასაკში იყო და გარკვეული პრობლემები ჰქონდა, უმცროსი ხშირად ავადმყოფობდა.

შინ რემონტიც რევანშის გამო გადაწყვიტა.

– მინდოდა მათთვის მეჩვენებინა, ვინ იყო ახლა სახლში უფროსი.

სახლიდან ყველაფერი გადაყარა. პირწმინდად ყველაფერი. გაყიდა მთელი საოჯახო რელიკვიები და მათი თავადაზნაურული წარსულის ყველა კვალი გააქრო. ტანიასთვის ხელი არავის შეუშლია. დედამთილი აგარაკზე გაემგზავრა და იქიდან ცხვირს არ ყოფდა.

ევროპული ბინა გამოვიდა, ბოლო გამოშვების ტექნიკით აღჭურვილი.

რემონტის შემდეგ ტანიამ გადაწყვიტა ახალი ნაბიჯი გადაედგა, „მაქოების“ საქმე მიატოვა და სავაჭრო ბიზნესში გადავიდა, მოსკოვში რამდენიმე მაღაზია შეისყიდა.

– როგორ? ნუთუ? ეს მაღაზიები შენია? – ყურებს არ ვუჯერებ. ტანია ორი ძალიან კარგი სუპერმარკეტის მეპატრონეა, სადაც სამსახურის შემდეგ ხშირად შევივლი ხოლმე. – გილოცავ. მაგრამ ფასები კი გაქვს...

– მაგრამ რუსეთი ხომ მდიდარი ქვეყანაა, – ტანია მკაცრად, ოღონდ ღიმილით მპასუხობს.

– არც ისე მდიდარი. ეგაა, ეს შენ გახდი იმპერიალიზმის ზვიგენი.

მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

– რა თქმა უნდა. ელცინის დრო წავიდა და მასთან ერთად „იოლი ფულიც“ და რომანტიკაც. ახლა კი ძალაუფლება გაუმაძღარ პრაგმატისტთა ხელშია, ასე ვუწოდებ და მეც მათ რიცხვში ვარ. შენ პუტინის წინააღმდეგი ხარ, მე კი მას ვემხრობი. თითქოს ჩემთვის ძალიან ახლობელია – ისეთივე დაუნდობელი პრაგმატისტი, რომელიც ძალიან გაბრაზებულია ჩვენი წარსული ცხოვრების გამო და ახლა რევანშს იღებს.

– გაუმაძღრობაში რას გულისხმობ?

– ქრთამი. განუზომელი ქრთამი. ჩემი მაღაზიები რომ არ დავკარგო, ამისთვის უნდა გადავიხადო... და ვის არ ვუხდი: პრეფექტურის ჩინოვნიკებს, მეხანძრეებს, სანიტრებსა და მოსკოვის მმართველობას. ქურდებსაც, ვის ტერიტორიაზეც ჩემი მაღაზიები მდებარეობს. მე პირადად სწორედ ქურდებისგან ვიყიდე ეს ადგილები.

– არ გეშინია მათთან საქმის დაჭერა?

– არა. მე მიზანი მაქვს. მინდა, რომ მდიდარი ვიყო. ეს კი ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი რეალობიდან გამომდინარე, ნიშნავს, რომ უნდა გადავიხადო. ამ „გადასახადების“ გარეშე ხვალვე მომკლავენ და სხვა ადამიანით ჩამანაცვლებენ.

– ხომ არ ამეტებ?

– პირიქით, ვაკლებ.

– და ჩინოვნიკები?

– ჩინოვნიკთა ერთ ნაწილს თავად ვუხდი. მეორე ნაწილს კი ქურდები უხდიან. ანუ მე ქურდებს ვაძლევ ფულს და ქურდები თვითონვე არეგულირებენ ურთიერთობას სხვა ქურდებთან, ვგულისხმობ ჩვენს ჩინოვნიკებს. ასე რომ, ეს ჩემთვის მოსახერხებელიც კია.

– და ანდრეი?

– ანდრეი მოკვდა. საბოლოოდ, მაინც ვერ აიტანა, რომ ჩემს მიწოდებულ წითელ ხიზილალას ჭამდა. ჩემთან დაბრუნება უნდოდა, მაგრამ არ ვაპატიე. ვუთხარი, კიდევ მოეძებნა ვინმე სტუდენტი. თანაც უშნოსთან ერთად ცხოვრებაც არ მინდა. სილამაზე შევიყვარე: კაცების სტრიპტიზზე დავდივარ და იქ ვირჩევ პარტნიორს. ბევრი მთანხმდება.

– აი, მესმის! ოჯახური ცხოვრება, კერა არ გენატრება?

– არა, ნამდვილად არა. ახლაღა დავიწყე ცხოვრება. შეიძლება დიდი ხარჯები მაქვს, შეიძლება შენ ეს ბინძურ საქმედ მოგეჩვენოს, მაგრამ განა ადრე ვცხოვრობდი პატიოსნად?

– ბავშვები როგორ არიან?

– იგორი ანდრეივით სუსტი აღმოჩნდა, განარკომანდა. ახლა კლინიკაში დავაწვინე, უკვე მეხუთედ. სტასიკს ლონდონში ვაძლევ განათლებას. მისით ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან! ის იქ ყველაფერში პირველია. ჩემი დედამთილიც მასთან ერთადაა, ბინა ვუქირავე. სტასიკი კვირის განმავლობაში სტუდენტურ საერთო საცხოვრებეში ცხოვრობს, შაბათ-კვირას კი – იმ ბინა-

ში ჩემს დედამთილთან ერთად. დედამთილს ოპერაცია გავუკეთე შვეიცარიაში, ყველაფრის ხარჯები ავუნაზღაურე. გამოკეთდა, ახლა პატარა გოგოსავით დარბის და მაღმერთებს. იცი, მეჩვენება, რომ გულწრფელად მაღმერთებს. ფული – გენიალური რამ არის.

ოთახში დავიდი შემოვიდა ლანგრით ხელში.

– ჩაის დალევის დროა, გოგონებო... ჩვენ სამი. შეიძლება, ტანია?

ტანია თანხმობის ნიშნად თავს უქნევს და ამბობს, რომ ახლავე დაბრუნდება, ჩაისთვის უნდა რომ გამოიცვალოს. დავიდი მორჩილებისა და უმოქმედობის გამოხატულებაა. ვითარება მეტად უსიამოვნო საყურებელია. მაგრამ რამდენიმე წუთში ტანია ბრუნდება, ბრიალიანტები აუსხამს, თითქოს ყურებზე „ალი მოედოო“, დეკოლტე „ციალებს“, თმაშიც კი „ელვარებაა“.

ცხადია, ეს ყველაფერი საგანგებოდ ჩემთვისაა. მეც ვუწონებ. რატომ არ უნდა ასიამოვნო ადამიანს? და ტანია თავისი ბრილიანტებივით ანათებს, ძალიან სიამოვნებს საკუთარი თავის ახლებური პრეზენტაცია ძველი მეგობრის წინაშე.

შემდეგ უკვე სწრაფად ვსვამთ ჩაის – ორივეს გვეჩქარება – და მალევე ვშორდებით.

– ოღონდ ამჯერად ათი წლით არა, – მეუბნება ტანია გამომშვიდობებისას.

– მოვინდომოთ, – ვეუბნები და კიბეზე ჩასვლისას ვფიქრობ, პუტინის დროში მართლაც რომ იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს. ვგულისხმობ ძველ მეგობრებს. „გვიანდელ ელცინის ხანაში“ გვქონდა პერიოდი, როდესაც ყველა თვითგადარჩენითა და ფულის შოვნით იყო დაკავებული, წლობით არ ურეკავდნენ ერთმანეთს, თავს არიდებდნენ, ზოგი სიღარიბისა და ზოგიც სიმდიდრის გამო, როდესაც სამუდამოდ მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ, როდესაც შუბლზე რევოლვერს იბჯენდნენ, რადგან თავს გამოუსადეგრად გრძნობდნენ, როდესაც კოკაინს ყნოსავდნენ საკუთარი თავის მოძულების გამო. ახლა კი თითქოს ყველა, ვინც გადარჩა, ერთად იკრიბებოდა. საზოგადოებაში მნიშვნელოვნად დამყარდა წესრიგი და თავისუფალი დროც გამოუჩნდათ.

ერთი კვირის შემდეგ პრესკონფერენციას უნდა დავსწრებოდი არჩევნების თემაზე. მგონი ქალაქის დუმაში გათავისუფლებული ადგილისთვის. სრულიად მოულოდნელად იქ ტანიას შევხვდი. სუპერმარკეტთა მეპატრონეები, ჩვენს უკვე მოწესრიგებულ, საბჭოთა პერიოდის მსგავსად, კვლავაც კლანურ საზოგადოებაში პოლიტიკურ პრესკონფერენციებზე არ დადიან.

ტანია ჟურნალისტების წინაშე მკაცრი სტილით წარსდგა – კლასიკური, შავი კოსტიუმით. ბრილიანტები არ ეკეთა. დავიდიც იქ იყო – ისიც მოწოდების სიმაღლეზე, უნაკლოდ ასრულებდა ტანიას თავმდაბალი, მაგრამ ამასთან თავმომწონე თანაშემწის როლს.

მე ჟურნალისტებთან ერთად ვიჯექი. ტანია ბარიკადების მეორე მხარეს აღმოჩნდა. მიკროფონიც კი მიაწოდეს – უკანასკნელი იყო გამომსვლელებს შორის. სწორედ ის აღმოჩნდა საქალაქო დუმის დეპუტატობის კანდიდატი. ჟურნალისტებს მოუყვა, და მეც მათ შორის, როგორ ხედავს უსახლკაროების პრობლემებს მოსკოვში. პირობა დადო, რომ იბრძოლებდა მათი უფლებების დასაცავად, თუ ამომრჩევლები ნდობას გამოუცხადებდნენ და საკანონმდებლო ასამბლეის დეპუტატად აირჩევდნენ.

– ღმერთო, რაში გჭირდება, ისედაც მდიდარი ხარ? – ვკითხე ტანიას პრესკონფერენციის შემდეგ.

– ხომ აგიხსენი უკვე, უფრო მდიდარი მინდა ვიყო. ყველაფერი ხომ ძალიან მარტივია: არ მინდა ქრთამი ვუხადო ჩვენს დეპუტატებს.

– მხოლოდ ეს?

– სხვათა შორის, ეს ცოტა არ არის. ეს პრიმიტიული მენეჯმენტია. უბრალოდ შენ არ გესმის, რა დონეზეა ახლა აყვანილი კორუფცია. ელცინის დროის ქურდებს ეს არც დაესიზმრებოდათ. გავხდები დეპუტატი – ერთით „ნაკლები“„გადასახადი“. დამერწმუნე, ეს გადასახადი არც ისე დაბალია.

– და უსახლკაროთა დაცვის თემა რატომ აირჩიე? – გზად ფრანგულ კაფეში შევედით. კაფე ტანიამ აირჩია, მე ასეთებში არ დავდივარ, ძალიან ძვირია.

– მგონია, რომ ეს თემა მომგებიანია. თანაც მე მართლა შემიძლია დავეხმარო მათ თავის გადარჩენაში. ეს ხომ საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი.

– და პრესკონფერენციის ბოლოს პუტინზე რატომ საუბრობდი? მართლა გიყვარს, პატივს სცემ და გჯერა მისი? ეს შენმა იმიჯმეიკერმა ჩაგაგონა? სულელური გადაწყვეტილებაა.

– არა, არ არის. იმიჯმეიკერთა გარეშეც ვიცი, რომ ახლა ასეა საჭირო. – ტანია ცოტა წაბორძიკდა ამ რთულ ინგლისურ სიტყვებზე, რომელიც ახალ ცხოვრებასთან ერთად ინტეგრირდა რუსულ მეტყველებაში. – თუ პუტინზე არ ვისაუბრებ, ხვალ ჩვენი რაიონული ეფესბედან ვიღაც მოვა ჩემთან მაღაზიაში და მეტყვის, რომ არ ვთქვი ის, რასაც ყველა ამბობს. ასეთი ცხოვრება გვაქვს დღეს ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს.

– მოვიდეს და გითხრას... მერე რა.

– არაფერი. ქრთამს მოითხოვს.

– რაში?

– იმაში, რომ „დაივიწყოს“ ის, რაც არ ვთქვი.

– და შენ ეს ყველაფერი არ მოგბეზრდა?

– არა. თუ კიდევ რამდენიმე მაღაზიის მისაღებად საჭირო გახდება, რომ პუტინს უკანალზე ვაკოცო, ასეც მოვიქცევი.

– და რას ნიშნავს „მიღება“? შენ ხომ მათ ყიდულობ, ფულს იხდი?

– არა, ახლა სხვაგვარადაა. „მიღება“ ნიშნავს გამოიმუშავო ჩინოვნიკებისგან უფლება — საკუთარი ფულით იყიდო მაღაზია. ამას რუსული კაპიტალიზმი ჰქვია და მე პირადად მომწონს. როცა აღარ მომეწონება, რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობას ვიყიდი და წავალ.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ტანია, ცხადია, დეპუტატი გახდა. ამბობენ, რომ არცთუ ისე ურიგო, რომ მთელი გულით იბრძვის მოსკოველ უსახლკაროთა კეთილდღეობისთვის. კიდევ ერთი სასადილო გახსნა უსახლკაროთა და დევნილთათვის. შეიძინა სამი სუპერმარკეტი. ხშირად ჩანს ტელეეკრანებზე და თავის გამოსვლებში რუსეთის ახალ ეპოქას ადიდებს. ცოტა ხნის წინათ დამირეკა და მთხოვა, მასზე სტატია დამეწერა. მე კი დავწერე ის, რასაც ახლა კითხულობთ. ტანიამ მთხოვა, გამოქვეყნებამდე წერილი მისთვის წამეკითხა. შეშფოთდა და მითხრა: „სრული სიმართლეა“. მაგრამ მის სიცოცხლეში ამის რუსეთში გამოქვეყნება ამიკრძალა. მეც დავპირდი.

– და საზღვარგარეთ?

– ღმერთო ჩემო, დაე იცოდნენ, რის სუნად ყარს ჩვენი ფული.

ჰოდა მეც ვაქვეყნებ.

ინგლისურიდან თარგმნა
გვანცა ჯოგავამ

სამშაბათს, 3 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

როსტომ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა

„ვითა სიზმარი ღამისა
(რევაზ გაბაშვილის
ცხოვრების ქრონიკა)“

მომხსენებელი
რუსუდან ნიშნიანიძე

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

მაია იანტბელიძე

ვაჟა და ნიცშე

(„გველის-მჭამელისა“ და „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ურთიერთმიმართებისათვის)

არცერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ გამოუწვევია ჩვენს ლიტერატურულ წრეებში აზრთა ის სხვადასხვაობა, როგორც „გველის მჭამელს“. ვერ მოხერხდა შეთანხმება იმაზეც, თუ რა წარმოადგენს ამ პოემის ძირითად აზრს. იდეის პოვნის სიძნელე რომ მხატვრული ნაწარმოების ნაკლებ ღირებულებოვნებაზე არ მიუთითებს, ამას მოწმობს ცნობილი ფაქტები მსოფლიო ლიტერატურიდან, როცა სხვადასხვა ისტორიკოსები და ფილოსოფოსები განსხვავებულ აზრს სდებდნენ საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ ნაწარმოებში (მგ. სერვანტესის „დონ კიხოტი“, ტოლსტოის „ანა კარენინა“ და ა.შ). „გველის მჭამელი“ გამოხატავს ვაჟა-ფშაველას ეთიკურ-ესთეტიკურ შეხედულებათა მოწიფულობას და მკითხველიც უშუალოდ განიცდის ამ პოემის საოცარ ფილოსოფიურ სიღრმეს, თუმცა ლიტერატურულ წრეებში ეჭვქვეშ იდგა ამ ნაწარმოების სრულფასოვნების საკითხი და ქართველ კრიტიკოსთა ერთი ნაწილი თუ იწონებდა ,,გველის მჭამელში“ აღძრულ დიდ პრობლემებს, სხვებს ეჭვი შეჰქონდათ მის მხატვრულ ღირსებებში.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX-ის დასაწყისში თავი იჩინა ინდივიდუალიზმის სხვადასხვა თეორიამ. ამ პრობლემამ მიიზიდა იმ დროის შემოქმედთა უმეტესობა, ინტერესმა მოიცვა ხელოვნების თითქმის ყველა სფერო. ვაჟა-ფშაველას, როგორც ხელოვნის და თავისი დროის შვილის, ნაწარმოებებშიც აირეკლა ეს პრობლემა. მითუმეტეს, მწერლის შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობოდა ინტერესი არაჩვეულებრივი პერსონაჟებისადმი. „გველის მჭამელის“ გამოქვეყნების შემდეგ შეიქმნა საფუძველი, რომ ვაჟას თანამედროვე თუ შემდგომი დროის ქართველ კრიტიკოსთა ერთ ნაწილს პოეტი ფრიდრიხ ნიცშეს იდეათა გავლენის ქვეშ მყოფ ხელოვნად წარმოედგინა. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ვახტანგ კოტეტიშვილი. იგი აღნიშნავდა, ვაჟამ სრული შეგნებით აალაპარაკა თავისი „ველური“ გმირები, რადგანაც ადამიანობის სათავეს ეძებდაო. „მინდია დიდ გზას დაადგა. იგი ზეკაცის მსგავსად ყველაფერს იმორჩილებდა, შემოქმედი იყო პირდაპირ უპოვარი. მაგრამ იყო, ვიდრე ინდივიდუალიზმის მწვერვალზე იდგა, სადაც ადამიანი თავის ბუდეში კი არ ზის, არამედ მთელ მსოფლიოს უერთდება, როგორც დიდი სიცოცხლის ერთი ნაწილი“ [1:592-599]. მაგ. კიტა აბაშიძის საპირისპიროდ დიმიტრი ბენაშვილი წერს: „პოემა „გველის მჭამელი“ კ. აბაშიძემ ვაჟას ფილოსოფიური თვალსაზრისით კი არ გახსნა, არამედ დეკადენტ ნიცშეს „ზეკაცობის“ რეაქციული მსოფლმხედველობით, რომელიც აგრე ეზიზღებოდა „გველის მჭამელის“ ავტორს“.

რაც შეეხება მკვლევართა მეორე ნაწილს, მათ დასაბუთებულად გამიჯნეს პრობლემა ინდივიდუალობისა და ინდივიდუალიზმისა, ხოლო „გველის მჭამელი“ სწორედ ინდივიდუალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას დაუპირისპირეს. გრიგოლ კიკნაძის აზრით, ვაჟა-ფშაველასათვის აქტუალურია პრობლემა ინდივიდუალობისა, ხოლო „ინდივიდთამი სიმპათიურ დამოკიდებულებას უეჭველად ინდივიდუალისტურ კონცეფციამდე როდი მივყავართ... ვაჟა-ფშაველას გმირები ინდივიდუალისტები არ არიან, ისინი სოციალურ პიროვნებებს წარმოადგენენ“ (გრიგოლ კიკნაძე). ამ მხრივ, საყურადღებოა სიმონ ჩიქოვანის აზრი: „მაღალი მთების გარემოცვაში შეკედლებული ქართველი პოეტი ქვეცნობიერად გრძნობდა დეკანდენტური, დარღვეული სულიერი ცხოვრების მოახლოებას, მან დეკანდენტურ სახეებს დაუპირისპირა უმწიკვლო მთიელთა (ე.ი. ბუნების შვილთა) გაუბზარავი ხასიათები და ლეგენდარული იერის მქონე გმირები. ნებსით თუ უნებლიეთ ლუხუმი და მინდია უპირისპირდება შინაგანი უთანხმოებით შექმნილ სახეებს“ (სიმონ ჩიქოვანი). აკაკი გაწერელიას აზრით კი, „გველის მჭამელში“ მოცემულია ფარული კრიტიკა ინდივიდუალიზმისა“.

ვაჟა-ფშაველას ნაწერებში არ არის პირდაპირ მითითებული, რომ პოეტი აკრიტიკებდეს ან იწონებდეს და იღებდეს ნიცშეს შეხედულებებს. ვაჟას შესახებ არსებულ მოგონებებში ავტორები მრავალგზის მიუთითებენ, რომ იგი ცხარედ ეკამათებოდა ამ ფილოსოფოსს. თუმცა, ამ მოგონებათა არასერიოზული ტონიდან გამომდინარე, ნაკლებად სარწმუნოა, დიდ მწერალს მსგავსი ფორმით გაეკრიტიკებინა ნიცშე. „რასაკვირველია, ფაქტებზე ძალდატანება იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ვაჟა სიმპათიით იყო გამსჭვალული რომელიმე ინდივიდუალისტური თეორიის და მათ შორის ნიცშეს მოძღვრების მიმართაც. მაგრამ, ასეთი რამ კი ფაქტია: ინდივიდუალისტური თვალსაზრისები რომ აძლევდა ბიძგს ვაჟას საკუთარი, განსხვავებული, პოეტური პოზიციის შესაქმნელად, ამაში არაფერია უცნაური... შესაძლოა, ვაჟას მხატვრული აზროვნებისათვის ერთგვარი გამღიზიანებლის მნიშვნელობაც კი მოიპოვა აღნიშნულმა (ინდივიდუალისტური მისწრაფებების მქონე) პერსონაჟებმა და როცა მას ჩვენს სინამდვილეში შემხვედრი ნიადაგი აღმოაჩნდა „გველის მჭამელზე“ არსებული ხალხური გადმოცემების სახით, პოეტმაც სცადა ახლებური მხატვრული ინტერპრეტაცია მიეცა მსოფლიო ლიტერატურული სინამდვილის ამ მეტად აქტუალური პრობლემისათვის“ (იუზა ევგენიძე). აქვე უნდა ითქვას, რომ „ზარატუსტრას“ ავტორის მრწამსი თავისებურად აირეკლა გამოჩენილი ქართველი მწერლების, კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძის, შემოქმედებაშიც.

„ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ქართული თარგმანის ავტორი ერეკლე ტატიშვილია. „შენ რომ წახვედი, ასე მგონია, მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე“ — ეს სიტყვები მის უახლოეს მეგობარს, ნიკო სამადაშვილს, ეკუთვნის, იგია ოთარ ჩხეიძის ნოველის „ნაკაკლნარი“ პერსონაჟიც, კონსტანტინე გამსახურდიას ესეების წიგნიც — „ახალი ევროპა“ — მას ეძღვნება.

ერეკლე ტატიშვილი იყო ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, პოლიგლოტი, საზღვარგარეთ მიღებული ჰქონდა სრულყოფილი ფილოსოფიურ-იურიდიული და ლიტერატურულ-რელიგიური განათლება, ეწეოდა ლიტერატურულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას (მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში. მისი დაარსებულია უნივერსიტეტში უცხო ენათა კათედრა და იყო პირველი გამგეც). ეს ღვაწლმოსილი, ქართული ტრადიციებისა და ღირსებების დამცველი ადამიანი, რომელმაც განავითარა ქართული მეცნიერული აზროვნება, გამოირჩეოდა პიროვნულადაც. თუმცა საბჭოთა წყობილების განმტკიცების შემდეგ მას აღარაფერი დაუწერია, არ წავიდა საკუთარ სინდისთან კომპრომისზე, იყო რეპრესირებული და დაპატიმრებულიც.

ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ეს თარგმანი შესრულებულია მე-20 საუკუნის 20-იან წლებში და ერეკლე ტატიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის საუკეთესო ნიმუშია. ამ ნაწარმოების გადმოქართულება სხვებსაც უცდიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ცდად დარჩენილა. რომც მოეხერხებინათ მისი დასრულება, მხატვრული ღირებულებით ერეკლე ტატიშვილისეულ თარგმანს ვერცერთი შეედრებოდა, მეტიც, ეს ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ისტორიაში და მისი შექმნის პროცესიც დიდი გამბედაობა და თავგანწირვა იყო იმ საშინელ დროს.

ერეკლე ტატიშვილის დაპატიმრებისას თარგმანის ხელნაწერი გადარჩა, რადგან მან თავფურცელზე წინდახედულად არ მიუთითა ნიცშეს სახელი. ეს ხელნაწერი მთარგმნელის არქივში, შემდგომ უკვე ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახებოდა და მხოლოდ საბჭოთა იმპერიის დანგრევის წყალობით მოხერხდა მისი გამოქვეყნება როსტომ ჩხეიძის დიდი მონდომებით.

„ერეკლე ტატიშვილი არამარტო „ზარატუსტრას“ არსს, მის ფარულ ხვეულებს წარმოაჩენს, არამედ თვალნათლივ გადაგვიშლის თვითონ ფილოსოფოსის, ამ უკიდურესობათა ჯადოქრისა და ახალი სიტყვის მაუწყებლის, სულიერ ტრაგედიას, სადაც ნიცშე ერთდროულად გვევლინება გმირად, ჯალათად და მსხვერპლად“ (როსტომ ჩხეიძე „ერეკლე ტატიშვილი“).

ეს წერილი არის ცდა იმისა, რომ ერთგვარად წარმოაჩინოს ვაჟა-ფშაველასა და ფრიდრიხ ნიცშეს კონკრეტულ ნაწარმოებთა თუ გმირთა ხასიათების ურთიერთმიმართება და, გარკვეულწილად, დააკმაყოფილოს ამ საკითხისადმი ინტერესი, რომელიც, როგორც ვხედავთ, იყო და არის ჩვენს ლიტერატურულ წრეებში.

ვაჟა-ფშაველა

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველასა და ფრიდრიხ ნიცშეს შეხედულებათა შორის ერთგვარ პარალელთა გავლებაც შეიძლება. ასე მაგალითად: ვაჟა თითქოს უარყოფს მისი დროის ცივილიზაციის მონაპოვარს, როცა წერს: „ვარდი ვარდია, მაინც არ ვაქებ, ტყეში მოსული მიჩვენეთ ია“, ან როცა ეიფელის კოშკს ამოჯობინებს, „ხევში რომ შავი ლოდები ჰყრია“. ნიცშეს თხზულებაშიც რჩეული ადამიანი ცივილიზაციას უპირისპირებს ბუნებრივ, დიონისურ — ველურ საწყისს. ნიცშეს აზრით, სამყაროს ძირიც სწორედ დიონისურია, ამ საწყისს დაწაფებული ინდივიდი ანტიპოდია თანამედროვე ადამიანისა და მისთვის სიცოცხლის სავსეობაა დამახასიათებელი, რაც მის არსებაში მოცემული პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას ნიშნავს. ნიცშეს აზრით, სიცოცხლე უნდა იყოს სისხლსავსე, მძაფრი, ჰეროიკული. ქართულ სულსა და ვაჟა-ფშაველას გმირებთანაც ნიცშეს ერთგვარად ანათესავებს სიძულვილი ჯოგური ცხოვრებისა და მასში გათქვეფილი უსახური ადამიანისა, რომლის მონური სურვილი მხოლოდ საკუთარი „პაწია“ ბედნიერებითა და კეთილდღეობით შემოიფარგლება. ქართულ სულიერ სწრაფვებთან ასევე ახლოსაა ნიცშეს თაყვანისცემა მოძრაობით, ბრძოლით, ხიფათით, რისკით აღსავსე „დიონისური“ ცხოვრებისადმი. სიბრძნე და სიმამაცე ანგარიშიან განსჯის მოთხოვნათა უარმყოფელი ლაღი, უშურველი და ხელგაშლილი ადამიანისა. ამასთანავე, ვაჟა ერთგან წერს: „მინამ არწივი და კაკაბი არიან, კაკაბი მუდამ იქნება სანადირო არწივისა“. პოეტს არ ავიწყდება, რომ სამყაროს გვირგვინად მიჩნეულ ადამიანს სიკეთის, სილამაზის დიდ უნართან ერთად, სისხლის მოყვარული ვნებებიც ამოძრავებს. ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ ნათელი მხარეების გარდა, სილამაზის სიყვარულთან ერთად, ადამიანს ბნელი მხარეებიც, ველური, ბილწი ბუნებაც აქვს, რომელიც კლავს და ანადგურებს ამ სილამაზეს. ამ შემთხვევაში მწერალი, თანამედროვე თვალთახედვით, სიკეთისა და ბოროტების მძაფრ დაპირისპირებას აჩვენებს მკითხველს, რაც სამყაროს, ტრაგიზმით აღსავსე ყოფიერების წონასწორობის პრინციპია. ნიცშეს თვალსაზრისითაც, ძლიერი ნთქავს უსუსურს, სუსტს. მისი იდეალია არა თანასწორუფლებიანი საზოგადოება, არამედ საზოგადოება, რომელსაც მართავს რჩეულთა, ძლიერთა, ზეკაცთა ელიტა და ცხოვრების, არსებობის მიზანი, შინაარსი და საფუძველიც ბატონობის სურვილია; ასევე ერთგვარ ასოციაციას ბადებს გერმანელი ფილოსოფოსის შეხედულებებთან ვაჟას აზრი: „მე იმისთვის არ ვწერ მაქონ და მადიდონ, არამედ იმისთვის, რომ ჩემს სულსა და გულს ვასიამოვნო“.

ნიცშეს აზრით, ჩვეულებრივი ადამიანები ზეცისკენ მიმავალ გზას ვერ დაადგებიან, ამ გზაზე ზარატუსტრას თანამგზავრნი შემოქმედებითი ცეცხლით ანთებულნი არიან, ხოლო შემოქმედი ყოველგვარ დროსა და საზოგადოებაზე მაღლა უნდა აყენებდეს თავს. ნიცშესავე თქმით, ჭკვიანი მწერალი წერს არა რაიმეს მომავლისთვის, არამედ მხოლოდ თავისთვის, რათა მოხუცებულობაში სიხარული მიენიჭოს მისი შექმნილით.

„შენ, ჩემო სამშობლო მარტოობა“ — ამბობს ზარატუსტრა. მარტოობაა ხვედრი და თანამდევი ვაჟა-ფშაველას გმირებისაც, რომელნიც გერმანელი ავტორის გმირივით გამორჩეულნი არიან სხვათაგან; ნიცშეს ზარატუსტრას საქმედ ადამიანებთან მისვლა და მათი „მოქცევა“ მიაჩნია. ასეთივე ფუნქციას გაუცნობიერებლად კისრულობენ ვაჟას პერსონაჟებიც. ისინი ზნეობრივი გმირები არიან, რომელნიც აკეთილშობილებენ გარემოს: მათი მაგალითის შემდეგ ადამიანები იცვლებიან, უკეთესნი ხდებიან. ეს გმირები შეგნებული თანმიმდევრულობით მისდევენ თავის მიერვე აღმოჩენილ ჭეშმარიტებას და ეწირებიან მას. ეს არის შემთხვევები, როცა ინდივიდის შეგნება უსწრებს მასის შეგნებას და იგულისხმება, რომ მასა უნდა დაეწიოს გმირს, რომელიც წინამავლის როლში აღმოჩნდა. ასეთი ადამიანები „წარმოადგენენ უკუნის გამარღვეველ სინათლის სხივს. ისინი არიან წინამორბედნი ახალი ცხოვრებისა... მათი ცხოვრების მოწოდებაა გაანაყოფიერონ მსოფლიო, გამოაცოცხლონ სიკეთის ის მარცვლები, რომლებიც უიმათოდ ვერ გაიხარებს. იმის შემდეგ, რაც (ასეთი კაცი) გაივლის ჩვენ წინაშე, ჩვენ მეტად აღარ შეგვეძლება ისეთნაირები ვიყოთ, როგორებიც მანამდე ვიყავით“ (უილიამ ჯეიმზი).

ნიცშეს და ვაჟას თვალსაზრისთა მსგავსებას ქმნის ისიც, რომ „გველის მჭამელის“ მინდიას სხვათათვის მიუწვდომელი უნარი, გზა ბუნებაში წვდომისა, ინსტინქტურია. მინდიას ხედვა არის გულის, როგორც პიროვნების შინაგანი განცდის საფუძველზე და არა გონების, სამყაროს შემეცნების საფუძველზე მოპოვებული უნარი. მინდიას შემთხვევაში ცოდნას ვერ ვიგულისხმებთ, რადგან მისი გონება მასზე არ არის ორიენტირებული, ცოდნის მოპოვების მოცემული გზა არ შეესაბამება ცოდნის ბუნებას. ნამდვილი ცოდნა სხვა გზით შეიძინება და მისი დაკარგვაც ისე არ შეიძლება, როგორც ეს მინდიას შემთხვევაშია. ამგვარად, მინდიას მოქმედებას ინტელექტუალური სფერო არ განაგებს. „გველის მჭამელში“ მოცემულია ბუნების ინტუიციურად წვდომის პრობლემა. ეს არის თემა ამ ნაწარმოებისა. ის, რომ გონების გარდა არსებობს რაღაც სხვა საშუალება (ზოგ შემთხვევაში საუკეთესოც) გარემოში გარკვევისა, წვდომისა. პოემაში ლაპარაკია ისეთ ინტუიციაზე, ინსტინქტზე, რომელიც გვაგრძნობინებს, რა არის ცუდი და რა კარგი. როცა ადამიანი გრძნობს, ვის მხარეზეა სიმართლე, თუმცა არ შეუძლია ამის ლოგიკურად დასაბუთება. ვაჟა გვიჩ-

ვენებს, რომ გონების გვერდით ამ გზითაც შეიძლება ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედება. ნიცშეც, რომელიც უარყოფს სოკრატეს გონიერებას, ინსტინქტის პრიორიტეტს აღიარებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არის უმთავრესი განსხვავებანიც ამ ორი ავტორის ნაწარმოებთა შორის. ადამიანის პიროვნული ქრობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ნიცშესთან ქრისტიანობის უმთავრესი მცნებები, სიყვარული და თანაგრძნობაა. მისი აზრით, ღვთისმოშიში ადამიანი ზღუდავს პიროვნულს და თავის ქცევას უქვემდებარებს იდეალურ ღირებულებათა სამეფოს — ღმერთს. ზარატუსტრამ სამყაროს ჩამოაშორა რწმენა იმისა, რომ ჩვენს არსებობას განაგებს ღმერთი, რომ ჩვენი ქცევა უნდა შეფასდეს „სიკეთისა“ და „ბოროტების“ კრიტერიუმებით. ყოველი ნივთი, ზარატუსტრას აზრით, ამ კრიტერიუმების მიღმაა, „მარადიული მიზნის“, ღმერთის მონობისგან თავისუფალ სამყაროში ადგილია „როკვისა“, „თამაშისა“... ვაჟა- ფშაველასთან, მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებაში არ არის მძაფრი, გამოკვეთილად რელიგიური განწყობილებანი, ყევლგან, სამყაროში, ადამიანში, ღმერთის ძიებაა მთავარი. გავიხსენოთ „ალუდა ქეთელაური“, რომელშიც ხატობაზე აშკარავდება, რომ მომწიფებული კონფლიქტი ალუდას ახალი რწმენით გაზრდილ პიროვნებასა და შატილის შეზღუდულ საზოგადოებას შორის კულმინაციას აღწევს. ამ საზოგადოების ტრადიციულ ღმერთს უპირისპირდება ალუდა ქეთელაურის ინდივიდუალობა, მისგან მოპოვებული, უშუალოდ განცდილი სრულყოფილი ღმერთი და კაცის პიროვნებასაც მასთან მსგავსება ქმნის.

ფრიდრიხ ნიცშე

ალუდა ქეთელაური ვაჟას უმშვენიერესი გმირია, რომელიც იბრძვის არა საკუთარ ინტერესთა დასაცავად, თავისი განსაკუთრებული ადგილის დასამტკიცებლად, არამედ სიკეთის, ჭეშმარიტების სახელით გამოდის. იგი იბადება თემის კოლექტივიდან როგორც პიროვნება, არღვევს გაქვავებულ რელიგიურ დოგმებს და აღწევს თავისუფლებას, მიდის ღმერთამდე. ალუდას მიერ წვდომილი ღმერთისთვის არ არსებობს მტრად და მოყვრად, რჯულიანად და ურჯულოდ, ცოდვიანად და უცოდველად გაორებული საწუთრო. ყველა ერთი ღმერთის საუფლოშია შეყვანილი. „ალუდას მიერ შინაგანად განცდილი უნივერსალური ღმერთიც სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ქრისტიანულად მოაზრებული ღმერთი“ (თამაზ ჩხენკელი).

აქვე უნდა ითქვას „გველის მჭამელზეც“, რომელიც მოგვითხრობს ტრაგიკულ ბედზე იმ ადამიანისა, რომელიც ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან, ღმერთთან თანაზიარობის შინაგან, ინტუიციურად მოპოვებულ უნარს კარგავს და იღუპება, რადგან მისთვის, როგორც ოჯახისა და საზოგადოების წევრისთვის, ე.ი. სოციალურად შემოსაზღვრული არსებისათვის, შეუძლებელი აღმოჩნდა შეენარჩუნებინა თავისი არსებობის განსაკუთრებულობა. ღვთიური სიბრძნისა და ადამიანური ყოფის ურთიერთმორგება კრახით დამთავრდა. მინდია ეზიარა ღმერთს, გახდა უნივერსალური, მაგრამ დარჩა, ამავე დროს, ადამიანურად შემოსაზღვრული.

სამყაროს პირველდასაბამს მოწყვეტილი ადამიანი თავს იკლავს და ეს ბუნებრივი დასასრულია, რადგანაც ღმერთთან თანაზიარებულისათვის ამ თანაზიარობის დაკარგვა თავისთავად უდრის სიკვდილს.

რაც შეეხება ნიცშეს, იგი უკუაგდებს ღმერთს და ადამიანის სულის უკვდავებას, მისი აზრით, სამყარო მოკლებულია ღვთაებრივ საწყისს, საყრდენს, წესებს. იგი ამაოდ ცდილობს გამონახოს ისეთი ავტორიტეტი, რომელიც დაიკავებს დამხობილი ღმერთის ადგილს. („მე ვარ უღმერთო ზარატუსტრა... და ჩემგან უნდა იშვას ზეკაცი“). ნიცშეს აზრით, კეთილმოქმედებითა და თანაგრძნობით ადამიანი აუქმებს თავის თავს და სხვისი ტანჯვის მოსარჩლე ხდება. ეს ზღუდავს მას გამორჩეულობისა და სიძლიერისკენ მიმავალ გზაზე, ამიტომაც საჭიროა ამ შეზღუდვისაგან თავის დაღწევა. ზნეობა, სიკეთე და ბოროტება ადამიანთა გამოგონილია. ეს ღირებულებანი სუსტი, უღონო, დაავადებული სიცოცხლის ნაყოფად ესახება გერმანელ ფილოსოფოსს (თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ხშირად ნიცშეს ფსიქოლოგიური ანალიზი ღრმა და სწორია, რადგან, როგორც ის ამბობს, ზოგჯერ სიკეთე მოჩვენებითია და „უანგარობის“, „სიყვარულის“, „უმანკოების“ ნიღაბქვეშ ანგარება, სიძულვილი და მანკიერება იმალება, რომ კაცი, რომელსაც შურისძიების ძალა არ შესწევს, კეთილად და მიმტევებლად აცხადებს თავს, ხოლო ავხორცი, რომელიც ვერ ისრულებს საწადელს, ჩივის რაღაც სულიერის ნაკლებობაზე, მაგრამ ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ სიყვარული და სიკეთე მხოლოდ ნიღბის სახით არსებობს და ნიცშე ნიღაბს ეძებს იქაც, სადაც ის არ იგულისხმება). ამგვარად, სიკეთე უღელია, რომელიც სულიერთ სუსტთა კისერზე დაუდვიათ. თუმცა ზარატუსტრას ბოროტი მოსწონს, რადგან მასში მეტი ენერგიაა. ნიცშეს ზარატუსტრა სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას. იგი არის არა „მორალისტი“, არამედ — „იმორალიტი“. გზა „ზეკაცობისკენ“ მოითხოვს უზომო სიძულვილს ყველა ძველი ღირებულებისა — ტრადიციულად გაგებული ბედნიერებისა, გონებისა, სიკეთე-ბოროტებისა.

ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება ხოტბაა სიცოცხლისა, რომლის თუნდაც უმნიშვნელო გამოვლინებასაც კი შეჰხარის პოეტი, სულის სიღრმემდე განიცდის ბუნების სულიერ და გასულიერებულ არსებათა ტკივილს, ფიქრობს მათ საფიქრალს. აი, როგორი სილამაზითაა დახატული „გველის მჭამელში“ მინდიას შერწყმა, თანაზიარობა ბუნებასთან:

მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა,
ყველა მცენარეს და მღილსა
ეს ეგებება სალმითა.
ბუნებაც „ვაშას“ უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა,
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,
დახატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო,“
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა.

ნიცშესთან უნდა წარიღვნას ყოველივე, რაც ცოცხლობს, შეუბრალებელია ზარატუსტრა, მის სულს არ ეკარგება ადამიანთა ტანჯვა, ის სიხარულის მაყარია, მროკავი, ლაღი,

უდარდელი (აქვე გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას თითქოს მსოფლიო სევდით შეპყრობილი გმირებიც).

რაც შეეხება მინდიას, მან ქაჯთა ტყვეობაში გველის ხორცი ჭამა (30 წლის ზარატუსტრა შეუდგა განდეგილის ცხოვრებას და ათი წელიწადი ცხოვრობდა გამოქვაბულში თავის საყვარელ ცხოველებთან — არწივსა და გველთან — ერთად. ერთი შეხედვით, „გველის მჭამელშიც“, ზარატუსტრას მსგავსად, გველთან სიახლოვე სძენს ადამიანს სასწაულებრივ უნარს) და საოცარ სიბრძნეს, ქაჯთა ყველა არაადამიანურ საიდუმლოს ეზიარა, თუმცა, ქაჯებისგან განსხვავებით, რომელთაც ეს სიბრძნე დემონებად აქცევდა, მინდია ბოლომდე სიკეთისა და ადამიანურობის ერთგული დარჩა. მან უმაღლეს სიკეთეს მიაღწია, იგი ხალხის მოკეთეა:

ბევრჯელ მოუნდათ ლაშქრობა
ლეკ-სპარსებ, ქისტებ, თურქთანა
გამარჯვებულნი მოდიან
ხევსურეთს ვაჟნი მუდამა
ზღუდე გამაგრდა ქართლისა,
მტერს შაუკერეს სუდარა.
ერი თუ მტრის მძლეველია,
მის მეტი არა უნდა რა.
მანამ მინდია ჰბელადობს,
ხევსურებს არა უშავთ რა...

მართალია, ნიცშესთან პოეტი მომავლის მეგზურია, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს, რომ ეს მოაზროვნე სოციალურ მიზანს უქვემდებარებდეს ხელოვნის როლსა და ადგილს საზოგადოებაში. რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, იგი სოციალურად მომართული პოეტი იყო. ნიცშეს „ზეკაცი“ იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელნიც საკუთარ „მე“-ს აყენებენ მსოფლიოს ცენტრში, მას არ სურს მორჩილება, სურს იყოს ყოველივეს ბატონ-პატრონი, მცნებას „შენ ხარ მოვალე“ (გავიხსენოთ, რომ ეს არის უმთავრესი მცნება ვაჟას მინდიასათვის, რომლითაც იგი თავს ივალდებულებს თითქმის მთელი სამყაროს წინაშე) უპირისპირებს თავის თავისუფლებას — „მე მსურს“. ეს არის ნიჰილიზმი, რომლის განცდა სრულიად უცხოა ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროსათვის, რომელსაც მყარი მორალური საფუძველი აქვს. ნიცშეს „ზეკაცი“ საზოგადოებას მოწყვეტილი კმაყოფილდება მხოლოდ სამყაროს მედიდური ჭვრეტით, მაგრამ არისტოტელეს თქმით, ადამიანი დაბადებულია არა ჭვრეტისთვის, არამედ მოქმედებისთვის. „გველის მჭამელის“ გმირ მინდიას, მიუხედავად ყოფასთან შეურიგებლობისა, ეს მოქმედება არ აკლია, ნიცშეს ზარატუსტრასგან განსხვავებით, იგი მაინც სოციალური პიროვნებაა და სულ იმის ფიქრით შეპყრობილი, რითი არგოს სამშობლოს, რადგან მისი ამქვეყნიური ბედნიერებისათვის აუცილებელი ოცნებაა: „ნეტავი იმას, ვისაც კი მადლიერი ჰყავს ქვეყანა“...

მინდიას მარცხიც ყოველდღიური ცხოვრების ჭირ-ვარამში ჩაფლულ საზოგადოებაში არა ინდივიდუალისტის, არამედ მაღალ სოციალურ იდეალთა მქონე პიროვნების მარცხია. ამგვარად, „გველის მჭამელშიც“, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველას სხვა პოემებში, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მოტივია ნაჩვენები. ურთიერთობა დიდებული, თუმცა, ამავე დროს, უცნაური, უნიადაგო პიროვნებისა და საზოგადოებისა, რომელიც ამ პიროვნებაზე დაყრდნობით ცდილობს წინსვლას. ვაჟა-ფშაველას იდეალი კი ჯანსაღი, ძლიერი პიროვნებისა და გონიერი საზოგადოების შეხედულებათა და სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დამთხვევაა, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში ვითარდება სრულფასოვნად პიროვნებაცა და საზოგადოებაც.

დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას და ფრიდრიხ ნიცშეს შეხედულებათა შედარებისას, არსებულ მსგავსებათა მიუხედავად, აშკარაა, რომ უფრო მეტია განმასხვავებელი. რაც შეეხება საერთოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა, ორივე დიდი მოაზროვნის სიმპათია რჩეული ადამიანებისადმი. ნიცშე ინდივიდის უდიდესი ქომაგია. ზარატუსტრას არა ბრბოსთან, არამედ პიროვნებებთან სურს დიალოგი, თავისუფალ, ფხიზელ, ღრმა აზროვნებითა და კრიტიკული ალღოთი დაჯილდოებულ ინდივიდებთან (ამ პოზიციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა გერმანელი ფილოსოფოსის უაღრესად უარყოფითმა დამოკიდებულებამ მისი დროის საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მანკიერებებთან: პიროვნების ნიველირებასთან, ზოგადად ადამიანის გაუცხოებასთან). გამორჩეული სულიერი თვისებები, რომლებიც დიდ პიროვნებებს ახასიათებთ, შინაგანი ძლიერება და ნების სიმტკიცე, მასის გავლენისაგან თავისუფლება, წარმოაჩენს საზოგადოების ფონზე ვაჟას იდეალურ გმირებსაც. ამ ორ კალმოსანს ასევე ანათესავებს დუნე, უღიმღამო, ჭაობისებური ცხოვრების უარყოფა, სწრაფვა ადამიანის შინაგანი თავისუფლების მოსაპოვებლად და ზრუნვა სიცოცხლის — ადამიანის ცხოვრების სრულქმნაზე (თუმცა ამის მიღწევა მათ სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ...), მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, ვაჟა-ფშაველას ძლიერი, ამაღლებული პოეზიისათვის, ისევე, როგორც ზოგადად ქართული ცნობიერებისთვის, ქრისტიანული მსოფლხედვაა დამახასიათებელი, რომლისათვისაც მიუღებელია ის სამყარო, რომელშიც „ღმერთი მკვდარია“, სამყარო, რომელიც ასეთი სიღრმით არის მოცემული ნიცშეს თხზულებაში „ესე იტყოდა ზარატუსტრა“.

ქრისტიანობას ნიცშე აფასებს, როგორც სუსტი სიცოცხლის გამოხატულებას, ამიტომაც ებრძვის ტრადიციულ ქრისტიანულ მცნებებს (თანალმობა, მოყვასის სიყვარული), რომლებიც, მისი აზრით, სიცოცხლეს ასუსტებს, რომ ღმერთი ქმნილებაა სნეულთა, დაღლილთა, ძაბუნთა.

გერმანელი ფილოსოფოსი ახორციელებს XIX საუკუნის ანტირელიგიურ ტენდენციას. იგი უარყოფს ტრანსცენდენტურ ჭეშმარიტებას, როგორც ილუზიას, ფანტასმაგორიას. საყრდენს, წესებს მოკლებული სამყარო, მოვლენათა უმიზნო, დაუსრულებელი ცვალებადობა, უაზრო და ცარიელია — ასეთია ნიცშეს სკეპტიციზმი. ნიცშეს ზარატუსტრა ნიჰილიზმით სავსე, ბოროტი გენიის მატარებელი, დემონს დამსგავსებული, სოციალური მიზნებისაგან თავისუფალი, ყოველგვარი ზნეობრივისაგან დაცლილია.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას იდეალურ პერსონაჟებს (ალუდა, მინდია), მათ კონკრეტული სოციალური მისია აკისრიათ. ისინი, როგორც ზნეობრივი გმირები, იბრძვიან საზოგადოების გაჯანსაღების, სრულყოფილებისთვის, თავისუფალი სამყაროს ასაშენებლად, სიკეთის (რომელიც ნიცშესთან სრულიად გაუფასურებულია, ხოლო, ვაჟას რწმენით, ადამიანის სულის არსებით თვისებას წარმოადგენს), ღვთაებრივი ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად.

თითქოს ძნელი შესადარებელიცაა ვაჟა-ფშაველას რთული, მაგრამ, ამავე დროს, ნათელი პოეტური სამყარო და მხატვრული სინამდვილე, რომელიც ნიცშეს ბნელით და წყვდიადით მოსილი გონების შექმნილია. „ვმუშაობ წელში მოხრილი, ჩემს საკუთარ, „მე“-ში გამომწყვდეული, როგორც გამოქვაბულში, მე თვითონ ვისამარებ ჩემს თავს და ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე. უძლური, გაშეშებული ლეში“ — წერდა ფრიდრიხ ნიცშე უკანასკნელად.

„ორი რამ მაფიქრებს და მაღელვებს, როდესაც მათზე შეჩერდება ჩემი გონება: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემ ზევით და ზნეობრივი კანონი ჩემში“ — ამბობდა ფილოსოფოსი კანტი. ეს არის ღმერთის ძიება და აღიარება სამყაროში და ადამიანში თავად. ეს იყო ფშავის იშვიათი ინტელიგენტის, როგორც მას ვახტანგ კოტეტიშვილი უწოდებდა, ვაჟა-ფშაველას ძირითადი ამოცანაც და მთელი მისი შემოქმედებაც ამას ეძღვნება.

ლელა ოჩიაური

მეფე მოკვდა! გაუმარჯოს რიჩარდს?!

რიჩარდ მესამის როლში:
აპოლონ კუბლაშვილი და გოგა ბარბაქაძე

მანამდეც ასე იყო და შემდეგაც ვიღაცამ, რომელმაც იგივე გზა გაიარა და გამეფდა, კვლავ იწვნია განდევნის, ძალაუფლების დაკარგვისა და პიროვნული მარცხის მთელი სიმწვავე. კიდევ შემდეგი დაღვრილმა სისხლმაც ვერ შეაჩერა და ვერც დაცემის შიშმა, რომელიც ყველაზე ძლიერია, რადგან ადამიანს შინაგანად ანადგურებს.

ბნელში (უკუნში) ჩაძირულა სამყარო. მეწამული მანათობელი დისკო (რომელიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში სხვადასხვა ძალით ანათებს, უფრო და უფრო წითლდება და მეტი და მეტი მუქი ლაქებით იფარება) ვერ ერევა სიბნელეს. თეთრ მოსასხამებში გახვეული ლანდები მშვიდად და აუჩქარებლად მოძრაობენ (როგორც ბედისწერის მსახურნი ან თავად ბედისწერა) და თეთრ ქსოვილებს აფრიალებენ — თითქოს სულები გაცოცხლებულან და ახალი მსხვერპლის შესახებ გვაფრთხილებენ. გვახსენებენ, რომ ოდესღაც ისინიც არსებობდნენ ამ მზის ქვეშ და იმასაც, რომ ყველაფერი წარმავალია — უბრალო ადამიანის ცხოვრებაც და მეფური დიდებაც, ტახტისთვის ბრძოლაც და მისი სიმყარეც, ერთგულებაც და ღალატიც, აღზევებაც და დაცემაც... რომ სიცოცხლეც წარმავალია.

თეთრ, შავწარწერებიან (რომლებშიც მეფეებისა და უილიამ შექსპირის სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელებს ამოვიცნობთ და რომელთა შორის ყველაზე გამოკვეთილად მეფე ჰენრი IV-ის სახელი იკითხება, რიჩარდის შემდეგ ბრიტანეთის მეფისა და ახალი — ტიუდორების — დინასტიის დამაარსებლის, რომელთან ბრძოლაშიც მოკლეს ნამდვილი რიჩარდ III) კედელში (მუდამ უცვლელად მდგომ, უსწორმასწორო კონტურიან) ასიმეტრიული, თითქოს ჩამონგრეულ ღიობიანი კარიდან ორი მამაკაცი, ორი დიდებული გამოდის, ფიცრის ხიდზე გაივლის და ერთმანეთს პატივით — უხმოდ, მხოლოდ თავის დაკვრით ესალმება. შემდეგ ისინი კედელზე ახალ წარწერებს აკეთებენ და ძველებს შლიან. შემდეგაც ასე მოხდება. არაერთხელ. კედელი კი თანდათან სისხლით დაისვრება, დაღვრილი და გულგრილად, ცივი გონებითა და უსინანულოდ შესხმული სისხლით. ასე იქნება მანამ, სანამ რიჩარდ III-ის ყველა მეტოქე გარდაიცვლებოდეს. შემდეგ რიჩარდიც...

იქვე, კუთხეში ეპისკოპოსი/კარდინალი და ვიღაც მამაკაცი ჩამომსხდარან, რომელიც ჩუმი ხმით აღსარებას აბარებს. ეს სცენაც ბოლოს განმეორდება.

შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი თოკჩაბმულ ხის დიდ ყუთს (კუბოს) სვენებ-სვენებითა და წყევლით მიათრევს. ჩაივლის და უჩინარდება. ეს მისი ტვირთია, რომელსაც მალევე ჩამოიცილებს, ახალი ტვირთის ასაკიდებლად და ცდუნებულის სასჯელის მისაღებად.

შუა სცენაზე ჰორიზონტალურად აღმართული ხისა და ლითონის შეკრული, დაბალი კონსტრუქციიდან (მხატვარი — **მირიან შველიძე**), რომელიც მიჯრით მიწყობილ სკივრებს, ასაწევ ხიდებსა თუ მიწისქვეშა სათავსოს (სარდაფისმაგვარის) ნაწილებს გვაგონებს (და რომელიც შემდეგ მოქმედების მთავარ ადგილად იქცევა), გადასახდელი სახურავებით, ბოლში (ო, როგორ უყვართ თანამედროვე ქართულ თეატრში ეს ბოლი!) ჩაფლული ერთ-ერთი ლუკის კარი იღება და იქიდან მძიმედ, ფორთხვა-ფორთხვითა და მოუქნელი მოძრაობებით, განწირული ღრიალით, ტყავის კოსტუმიანი, კოჭლი და კუზიანი ახალგაზრდა კაცი ამოდის. რიჩარდ, ჯერ — გლოსტერი, მთავარი იორკისა და შემდეგ — ინგლისის მეფე რიჩარდ III.

არავინ იცის, საიდან ევლინება იგი სამყაროს, ქალის წიაღიდან „ცოცხალთა შორის ნაადრევად მუცლით ნასხლეტი“ (რომლის მუცელშივე გაწყალებასაც ინატრებს მოგვიანებით, შვილის ბოროტებითა და შვილების სიკვდილით გამწარებული, შეშინებული და შეშლილი, იორკის მთავრის მეუღლე, დედა მეფის ედვარდისა, კლარენსისა და გლოსტერისა, რომელსაც „შეეძლო მისი დაღრჩობა თავის დაწყევლილ საშოში“), თუ ყოველთვის ქვესკნელის ბინადარი იყო („რომელმა ძალებმა იხმეს ეს სატანა ჯოჯოხეთიდან?!“, „ჯოჯოხეთის გზავნილი ხარ, რომელიც სულებს ყიდულობს და მერე ისევ გზავნის ჯოჯოხეთს!“). შეიძლება სწორედ იქ, მიწისქვეშეთშია მისი ნამდვილი სახლი, რადგან ზეცად ვერ ავიდა და „ჯოჯოხეთს შევარდა“, რადგან თავად აირჩია გზა იქით, სადაც სიბნელე, მხოლოდ სიბნელე დახვდა. რადგან სინათლე უარყო და განიზრახა „სიბოროტით ეჩინა თავი“. რადგან საკუთარი აჩრდილის ყურება გადაწყვიტა მზიან დღეს. რადგან ყველაფერი იღონა იმისთვის, „ამ მშვიდობით გამსჭვალულ დროში“, სიცრუით, ღალატითა და ცბიერებით აღზევებულიყო და ბოლოს საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენი თავადვე გამოეტანა.

ასე და ასეთი ფორმით იწყება **ავთანდილ ვარსიმაშვილის** სპექტაკლი თავისუფალ თეატრში, უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“ და ასეც გრძელდება — ორი სამყაროს მიჯნაზე მოთამაშე, სადღაც, ამქვეყნიურ და მიღმა სამეფოებს შორის, მყიფე და სუსტ ზღვარზე არსებულ სივრცეში, რომლის კონტურებიც მსუბუქადაა მოხაზული და რომელიც ძალიან ბევრსა და მნიშვნელოვანს მოიცავს — ამბებს, განზრახვებს, სურვილებს, მოქმედებებს, ბრძოლას სიცოცხლისა და სიკვდილისათვის; მოიცავს — ადგილებს, ინგლისის სამეფოდან აქამდე — საქართველომდე აღწევს და წლებს, საუკუნეებს — XV (რიჩარდის ცხოვრება-მეფობა-გარდაცვალებიდან) — XVI (პიესის დაწერიდან) საუკუნეებიდან XXI საუკუნემდე.

ამ, ისედაც რთულ, მრავალმნიშვნელოვან და მრავალშრიან სპექტაკლში, რომელიც არაერთგვაროვანი წყობისაა და თამაშის სპეციფიკურ ხერხებს მოითხოვს — პირობითსა და ფსიქოლოგიურს, რაღაც დოზით მანერულსა და რაღაც მხრივ (გარეგნული იმიჯებიდან დაწყებული, პლასტიკური, როგორც ინდივიდუალური, ასევე ზოგადი ნახაზების ჩათვლით — ქორეოგრაფია, პლასტიკა — **გია მარღანია**) შინაგა-

ნად ექსპრესიულს — მონაწილეობენ: რიჩარდი — **აპოლონ კუბლაშვილი, გოგა ბარბაქაძე**; ლედი ანნა — **მარიამ ნადირაძე, ქეთა ლორთქიფანიძე**; დედოფალი ელისაბედი — **მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი**; დედა — **თიკო კორძაძე, თამუნა ნიკოლაძე**; მარგარეტ — **სალომე ჭულუხაძე, მაია დობორჯგინიძე**, კლარენსი — **ჯაბა კილაძე**, ედუარდ მეოთხე — **კახა გოგიძე,** ბაკინგემი — **კახა მიქიაშვილი**, ბრეკენბერი — **სანდრო მარგალიტაშვილი**, ჰასტინგსი — **მამუკა მუმლაძე**, სტენლი — **გიორგი ჯიქია**, რივერსი — **შაკო მირიანაშვილი**, კარდინალი — **სლავა ნათენაძე**, ტირელი — **დიმა მერაბიშვილი**, მკვლელი — **ლაშა გურგენიძე**.

თავისუფალი თეატრის პატარა სცენა შუა საუკუნეების (პირობითად და ამბიდან გამომდინარე) ინგლისს დათმობია და ყველაფერს იტევს — ლონდონსაც, მეფის სასახლესაც თავის დარბაზებიანად, ტაუერსაც და მის შემოგარენსაც, ჰომფრეტის ციხის კარ-მიდამოსაც და ლორდ ჰასტინგსის კარ-მიდამოსაც, ბეინრადის ციხესაც, ლორდ სტენლის სასახლესაც და ბოსვორტის მინდორსაც — დასაწყისიდან დასასრულამდე, თუმცა მთელი სამეფო (მოქმედების ყველა ადგილი) აქ ერთ მცირე „მოედანშია“ ჩაკეტილი და თითქმის არცერთ ადგილს (ტაუერის გარდა) თავისი სახელი არ ჰქვია (როგორც შექსპირთანაა და მაჩაბლის თარგმანის მიხედვით) — უსახელოა — განზოგადებულია.

აქ სამყაროს სისხლიანი, დალაქავებული მზე დაჰყურებს და მიცვალებულები საფლავებიდან ამოდიან. ხმაურით, სისხლისგამყინავი ჭრიალითა და ბრახუნით იხურება და იხსნება მიწისქვეშა კარები და ქვესკნელის ბინადარნი სკნელს უბრუნდებიან. ბრუნდებიან და ევლინებიან ადამიანებს, რომლებმაც ბევრი გააკეთეს გზიდან მათ ჩამოსაცილებლად, უიმათოდ გააგრძელეს ცხოვრება, მალე დაივიწყეს მათი არსებობა, ვისაც ცოტა ხნის წინათ მამებს, ძმებს, ქმრებს უწოდებდნენ. ვისაც უნდა ეცხოვრა და ემეფა, ეომა და საკუთარი კეთილდღეობისთვის ბევრი სიავის გავლით მიეღწია. ასე იყო რიჩარდამდე და მის შემდეგაც, რადგან სამყარო, როგორიც იყო, ისეთივეა.

მხოლოდ ერთი ვერ ისვენებს, მხოლოდ ერთი ვერ პოულობს სიმშვიდეს და დროს ელოდება, როდის შეიძლება დაბრუნდეს უკან, როდესაც კვლავ შესაძლებელი გახდება გაიხსნას კარი ჯოჯოხეთისკენ, რომელიც დრო და დრო აუცილებლად იხსნება. ახალი მსხვერპლის მისაღებად და ახალი ურჩხულების გამოსაშვებად. მას — რიჩარდ გლოსტერს — მეფობის ძალა და ძალაუფლებით ტკბობა არ განუცდია.

პირველი სწორედ გლოსტერი ტოვებს მიწისქვეშეთს, შემდეგ სხვების ჯერია. საბოლოოდ, როდესაც ყველაფერი უკვე მომხდარია და საბედისწერო წამი დგება, რიჩარდის თვალწინ ცოცხლდებიან მისივე ხელით ან მისი ბრძანებით მოკლული სამეფო კარის დიდებულები — მეფე ედვარდი, კლარენსი, ლედი ანა, მეფე ჰენრი VI და მისი ძე ედვარდი, პატარა უფლისწულები — ედვარდი და იორკი (რომლებიც სპექტაკლში არ ჩანან, ისევე, როგორც პიესის ზოგიერთი სხვა პერსონაჟი, თორემ რიჩარდის მსხვერპლთა სია გაცილებით გრძელი იქნებოდა), ჰესტინგსი, ბუკინგამი და სხვები და სხვები.

ავისმომასწავებელია ყველაფერი, რაც ამ სამყაროში ხდება და რაც მის სახეს ქმნის. ყველაფერი შავითაა მოცული, თითქოს თალხში შეუმოსავთო. სტილიზებული კოსტუმებიც (დროისა და ეპოქის გარეშე, თუმცა გარკვეული წოდებრივი მინიშნებებით) ყველას შავი აცვია (მხატვარი — **ნატა კობახიძე**). ყველაფერი სიბნელესა და მუქ ფერებშია გახვეული. მხოლოდ მზე ანათებს წითლად. მხოლოდ თეთრი კედელი აღმართულა, რომელიც უფრო მემორიალურ დაფას ჰგავს, და გარდაცვლილთა სულების თეთრი სამოსი, დრო და დრო და ოდნავ, ასხვაფერებს იქაურობას.

ეშხეფება და ესხმება სისხლისფერი ღვინო თუ სისხლი (ღვინოც და სისხლიც) ამ თეთრ, წარწერებით შემკულ კედლებს, რომლებიც წითელი ლაქებითა და ახალ-ახალ მსხვერპლთა სახელებით ივსება, როგორც საგვარეულო, სამეფო აკლდამა. შუა კარი ამქვეყნიურ არსებობასა და საუკუნო სასუფეველს შორის.

ინგლისის სამეფოს ავსებს ხმები, ხმაურები, მუსიკა (რომელიც დრამატულიდან ლირიკულ-მინორულში გადადის და მაჟორულ რეგისტრებს აღწევს). ამ შეკრულ წრეს, რომელშიც მოვლენები ერთმანეთს სწრაფად და ძლიერ ტემპო-რიტმში ცვლის, ბედისწერა მართავს. რიჩარდი ასპარეზზე უკვე გამოვიდა და მართვის სადავეები ნელ-ნელა ხელიდან უსხლტება.

მიზანი კი უფრო და უფრო მეტ ახალ მსხვერპლს მოითხოვს, რადგან სისხლი ერთხელ უკვე დაიღვარა და სახელმწიფოს მართვაც, ყველა ბერკეტის ხელში ძალადობით ჩაგდებითა და მართვის შეუბრალებლობით, ერთხელ უკვე განხორციელდა. და კვლავ მოვიდა (მოვა) დრო, როდესაც ბედის ჩარხი მათ (ვინც მანამდე ყველას აჯობა, ყველას მოერია, გარიყა და ახლა მოხეტიალე სულად იქცა ან უნდა იქცეს) გარეშე კვლავ დაიწყებს ტრიალს.

და როდესაც მარგარეტი, მხრებში მოხრილი, თმაგაცვენილი და შეშლილი დედოფალი წარმოთქვამს „წყევლას, რომელიც მისწვდება ზეცას“, უკვე გასაგებია, რომ ასეთი წყევლა ვიღაცამ ადრე უკვე წარმოთქვა. რადგან ასეთი რამ უკვე მოხდა. და კიდევ ერთხელ ირყევა სამეფო ტახტიც, ქვეყნის ძლიერებაც, სიმშვიდეცა და მშვიდობაც.

ტახტს შენარჩუნება უნდა. ჯერ ყველაფრის ისე მოწყობა, რომ რიჩარდი მეფე ხალხის მოთხოვნით გახდეს. ეს სცენა ინგლისის დროშების ფრიალში, ხმამაღალი შეძახილების ფონზე, კარდინალის მხარდაჭერითა და „ამომრჩეველზე“ დიდებულების ზემოქმედებით, ძალიან ჭკვიანურად და ზუსტად გათვლილი სვლებით აქვს გლოსტერს დადგმული.

კლარენსის დაპატიმრება (ცრუ დაპირებანი, ყალბი თანაგრძნობა და ცრემლები, ბავშვობის მოგონებების ნიშნად, სენტიმენტალური გრძნობების გამომწვევი — არარსებულ როიალსა და ვიოლინოზე დუეტში დაკვრის იმიტაციით), ანნაზე ქორწინება (მისი — დაუძინებელი მტრის მოხიბვლა ქმრისა და მამამთილის ცხედრებთან), მეფედ კურთხევა, სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება მთელი სამეფო კარის მონაწილეობით და სხვა და სხვა — რიჩარდს მშვენიერ პოლიტიკოსად და ჭკვიან, მოქნილი გონების პიროვნებად სახავს.

შემდეგ მკვლელობათა — სამეფო ტახტისკენ გზის გაკვალვისთვის საჭირო — სერია იწყება. კლავენ ყველას, ვინც მეფობის პრეტენდენტია ან ვინც — ანნასავით — რიჩარდს (როგორც ასევე, ვიღაც ვიღაცას მანამდე) აღარ სჭირდება. „თქვენ ვინ იყავით და ახლა ვინ ხართ, მე ვინ ვიყავი და ახლა ვინ ვარ“. გლოსტერი უფრო და უფრო ღრმად და მძიმედ ებმება დანაშაულის ჩაკეტილ წრეში და მას აღარაფერი რჩება — მხოლოდ სიმარტოვე, დაღუპულთა ხილვები, ღალატის შიში და სიკვდილი.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა და წინ კიდევ სხვა გეგმებია, სხვა ნაბიჯები, მაგრამ ამდენი ცოდვის, ამდენი სისხლის, ამდენი სიკვდილის ატანა რიჩარდს უკვე აღარ შეუძლია. მას თავბრუს ახვევს და აწვალებს სინდისი („მხდალო სინდისო, როგორ მტანჯავ, როგორ მაწამებ“), ფიზიკურად ანადგურებს ცოდვები, რომლებსაც ვეღარასოდეს გამოისყიდის და მოინანიებს. აშინებს, რაც ჩაიდინა და რაც მოხდა. აშინებს ღალატი და მარტოობა, იმის აღქმა, რომ რასაც მიაღწია, რისთვისაც ამდენი იწვალა, ფუჭი და უნაყოფო აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რაც გვირგვინის თავზე დასადგმელად ჩაიდინა, ამაო იყო.

აფრთხობს ყველაფერი, მხოლოდ რიჩმონდის არმიასთან შერკინებისა არ ეშინია („მტერს დავერიოთ! თუ ცას ვერ

ავალთ, ჯოჯოხეთში მაინც შევცვივდეთ!“), რადგან იცის, ერთადერთი, რაც დარჩენია, სიკვდილია.

მას გარდაცვლილთა სულები ეცხადებიან. ყველა აქაა — ვინც რიჩარდმა მოკლა, მოაკვლევინა ან მის გამო მოკვდა და ბოლოს, მაგიდის (რომელზეც და რომლის გარშემოც რიჩარდის ცხოვრების ბოლო ეპიზოდები თამაშდება) გასწვრივ ჩამწკრივებულები, მის მიერვე შევსებული სასმისებით გამოსათხოვარს სვამენ. ულოცავენ გზას იქით, საიდანაც ცოტა ხნის წინათ (სპექტაკლის დასაწყისში) დაბრუნდა. ან როგორც ახალმისულს — ესალმებიან.

სპექტაკლში პიესიდან ბევრი სცენაა ამოღებული. ავთანდილ ვარსიმაშვილი, ცხადია, იყენებს და ეყრდნობა პიესის ტექსტს, ივანე მაჩაბლის თარგმანში, მაგრამ ცვლის თვით ტექსტსაც — სიტყვათა წყობასა და ჟღერადობას.

მოქმედი გმირებიც შემცირებულია და ზოგჯერ ერთი სხვა პერსონაჟებს აერთიანებს. მაგალითად, ეპისკოპოსების, ლორდების, მკვლელების შემთხვევაში. სპექტაკლში არცერთი მოქალაქე, არცერთი ბავშვი არაა. ზოგი სცენის ადგილები გადაადგილებულია და ტექსტები კი, რომლებიც „კუპირებულ“ სცენებში მოხვდა, მაგრამ რეჟისორს არსებითად და მნიშვნელოვნად მიაჩნდა იდეის გამოსახატად — შენარჩუნებულია და სხვა პერსონაჟის მიერ სხვა ეპიზოდებშია წარმოთქმული.

ავთანდილ ვარსიმაშვილი ცვლის პიესის ფინალსაც და, შესაბამისად, ცვლის შექსპირის კონცეფციასაც. მასთან რიჩმონდი მხოლოდ მოდის — მოემართება, გზაშია, მთელი სცენები მისი მონაწილეობით, ფინალი დიდი მონოლოგით, რომელშიც თეთრი და ალისფერი ვარდების ომის, ძმათა სისხლისღვრის დასრულებასა და მშვიდობის დადგომას იუწყება, არც სახელგანთქმული სცენა — მისი და რიჩარდის შერკინების, რომლის დროსაც შექსპირთან ეს უკანასკნელი კლავს გლოსტერს (სცენის მიღმა) და სტენლისგან გვირგვინს იღებს — მეფდება — სპექტაკლში არაა.

ასე თუ ისე, ჩვენ ვსაუბრობთ რიჩარდ მესამეზე, არა როგორც ისტორიულ პერსონაზე, არამედ როგორც შექსპირული ინტერპრეტაციითა და დამოკიდებულებით შექმნილ, მოქმედ გმირზე და ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ გაორებულ პერსონაჟზე, რომლებიც ფიზიკური დეფექტების მიუხედავად, ერთობ მიმზიდველად გამოიყურებიან.

ძალაუფლებისთვის ბრძოლა და არა „კუთვნილი ტახტიდან“ ქვეყნის მართვა, არა მაშინ, როდესაც დაიმსახურე ან ვიღაცას — ქვეყანას — უნდიხარ, არამედ მაშინ, როდესაც თვითონ გინდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება; არა იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის, ერისთვის, სახელმწიფოსთვის სიკეთე გსურს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანების მართვის ჟინი, ვნება (რომელსაც ვერაფერი აკავებს) გერევა, რაღაც უცნაური ამბიცია გიპყრობს, რაც არაერთხელ მომხდარა და კვლავაც მოხდება, როდესაც რიჩარდისნაირი ადამიანები ევლინებიან სამყაროს.

საოცარი ძალის, დაუოკებელი ლტოლვა ძალაუფლებისკენ უპირველესად სწორედ იმიტომ, რომ მახინჯი იყო და ყველასგან დამცირებული, უკუგდებული, თან ვერაფრით გახდებოდა მეფე — არ ეკუთვნოდა! — ფაქტობრივად განაწყობს რიჩარდს საბრძოლველად, რისთვისაც ყველაფრის გაკეთება მოუწევს — კონკურენტთა ჩამოცილება — ბავშვი იქნება თუ დიდი, მოქმედი თუ მომავალი მეფე, ქალი თუ კაცი, ნათესავი თუ მეგობარი, მტერი თუ მოყვარე. განსაკუთრებით — მოყვარე!!! მოუწევს ყველაფრის კადრება და ნებისმიერ ავანტიურაზე წასვლა, სხვების ჩათრევაც ამ სისხლით გაჟღენთილ ბრძოლაში და მთელი სამყაროს წინააღმდეგ მიმართული ბოროტების ჩადენა.

და სწორედ იმიტომ, რომ არ ეკუთვნის, სწორედ იმიტომ, რომ არ უწერია, რიჩარდი იწყებს ბრძოლას სასურველის მოსაპოვებლად, ხელში ჩასაგდებად — ყველაფრის, რაც მანამდე აკლდა, რაც არ ჰქონია, კომპენსაციის მისაღებად, თუნდაც სულ ცოტა ხანს გაგრძელდეს აღზევება. უნდა გაითელოს გზა, რომელსაც დაადგა და ბევრი სისხლიანი ნაფეხური დატოვა, რომელიც გვამებით მოფინა, არაფრის წინაშე უკან არ დაიხია და მალევე იგრძნო — სინდისის ქენჯნაც, შიშიცა და სასოწარკვეთაც.

გოგა ბარბაქაძისა და **აპოლონ კუბლაშვილის** მიერ განსხვავებულად და სხვადასხვა სახე-თვისებებით შემკული და არაერთგვაროვანი შტრიხებით განსახიერებული რიჩარდი — მომხიბლავი გარეგნობისა და დიდი ენერგეტიკის მატარებელი მამაკაცები არიან, რომლებსაც ძალაუფლების ხელში ჩაგდების ჟინი ამოძრავებთ და რომლებსაც არცერთი წყენა არ ავიწყდებათ, რომლებსაც სიყვარული და სიკეთე, ალერსი და თანადგომა არავისგან, თვით დედისგანაც, არ განუცდიათ.

გოგა ბარბაქაძე — ქმნის რიჩარდს, მერყევ ადამიანს, რომელსაც თითქოს თავიდანვე უჭირდა „მისიის“ შესრულება, რომელიც ბედისწერამ დააკისრა და რომლის აღსრულებაც მოუწია.

აპოლონ კუბლაშვილის რიჩარდი უფრო თავხედი, უფრო მებრძოლი და უტიფარია — სინდისის წინაშეც კი, თუმცა არანაკლებ განადგურებული და დაცემული გადატანილი შინაგანი ბრძოლების შედეგად.

იგი ომისთვის ემზადება. ფინალური ომი ბრძოლაა საკუთარ თავთან, საკუთარ სინდისთან, საკუთარ ცოდვებთან. რიჩარდი აგონიაშია. დიდხანს გრძელდება მისი ბორგვა. ტანჯვითა და სულიერი და ფიზიკური გვემით, კრუნჩხვებით გადის გზაზე, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება მოიცვა და რომელიც სადაცაა დასრულდება. ეძებს მკვლელს, რომელიც თვითონაა, როგორც ყოველთვის, გულახდილია მისი „აღსარება“ და მხოლოდ ერთს ითხოვს — უკანასკნელი ამოსუნთქვით — ერთ ცხენში ცვლის მთელ თავის სამეფოს.

შეიძლება ჯარი, რომელსაც გლოსტერი ხმლით ხელში უნდა დახვდეს, სინამდვილეში არარსებულია. ჩვენ ვერ ვხედავთ (ან საერთოდ არ მომხდარა) ბრძოლას (მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ბრძოლას არა მხოლოდ შექსპირის პიესაში, არამედ ინგლისის ისტორიაში) ბოსვორტის მინდორზე. შეიძლება ეს ყველაფერი რიჩარდის წარმოსახვაა ან ოდესღაც მომხდარი ორთაბრძოლა, რომელიც სულად ქცეულ მეფეს ელანდება. ავთანდილ ვარსიმაშვილისთვის რიჩარდი უშუალოდ მანამდეა საინტერესო, არა რიჩმონდთან შერკინებაში დამარცხებული თუ გამარჯვებული — არამედ საკუთარ თავთან.

დასასრულ, რიჩარდს ისევ იქ აგდებენ, საიდანაც ამოვიდა. თავახდილ ლუკში მძიმედ ეშვება მისი მუდამ დაძაბული, დაჭიმული და პირველად ახლაღა მოდუნებული სხეული. მისთვის უკვე ყველაფერი სულერთია — არაფერში სჭირდება მეფობა, ძალაუფლება, აღარც აღარავინ ჰყავს და აღარც სინდისი აწუხებს, აღარც ორგულობის შიში აქვს და აღარც ახალი თაღლითური ქსელების გაბმა შეუძლია. აღარც საკუთარი სიმახინჯე აღელვებს.

სცენა თავის პირვანდელ სახეს იბრუნებს. თითქოს არც არაფერი მომხდარა. ორი დიდებული (რომლებმაც სულ ახლახან ჩაასვენეს რიჩარდის სხეული) კვლავ წარწერებს შლის თეთრი კედლიდან . კვლავ აბარებს ეპისკოპოსს აღსარებას ვიღაც, ვინც ჩადენილი მკვლელობებისთვის ითხოვს შენდობას. რაღაცნაირი, ავისმომასწავებელი სიმშვიდეა და როდესაც ყველაფერი ისევ სიბნელეში იძირება, მხოლოდ რიჩარდის დატოვებული სამეფო გვირგვინია განათებული. პირველ სცენაში წარმოთქმული რეპლიკაც — „ღმერთო, მაღალო, შენ უშველე ჩვენ სამშობლოს!“ — მეორდება. ისეთივე უიმედობითა და სიფრთხილით წარმოთქმული, როგორც დასაწყისში.

„რიჩარდ III“ შექსპირის ერთ-ერთი ცნობილი პიესაა და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული სპექტაკლთაგანი, რობერტ სტურუას წყალობით. ის ალბათ — „მაკბეტთან“, „მეფე ლირთან“, „კორიოლანოსთან“ (რომელსაც ავთანდილ ვარსიმაშვილი პიესის ინსცენირებისას ცალკეული ფრაგმენტების, ტექსტების სახით იყენებს) ერთად ყველაზე მკვეთრად, მძაფრად და აქტიურად გამოხატავს ძალაუფლების საკითხებს, რაც ყველა დროში თანადროულია და მუდამ იზიდავს ხელოვანებისა და საზოგადოების ყურადღებასა და ინტერესს.

რა თქმა უნდა, დღეს და, ცხადია, არც შექსპირის თუ შემდგომ ეპოქებში, საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებდა და აინტერესებს რიჩარდ გლოსტერის ნამდვილი პერსონა და ნამდვილი ისტორია დეტალებში, როგორსაც ამას ქრონიკების ან თუნდაც დოკუმენტური პროზის კანონები მოითხოვს. მისი რეალური ამბავი, ნამდვილი სახე, გამეფებისა და მეფობის პერიპეტიები საკმაოდ რთული, ჩახლართული და არაერთგვაროვანია. ამ ყველაფრის გახსენება (ცოდნა) არცაა საჭირო, რადგან თეატრში პიესის ინტერპრეტაციაა მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ის, რომ გლოსტერის ჰერცოგისა და შემდეგ ინგლისის მეფე რიჩარდ III-ის სასტიკ ურჩხულად (როგორც უწოდებენ) გადაქცევა, ფიზიკური დეფექტები, სახიჩრობა, კუზიცა და კოჭლობაც — სულიერი სიმახინჯის, ქმედების სიმახინჯის გამომხატველად, ძალაუფლებისთვის ყველა ხერხით მებრძოლი, ულმობელ მკვლელად ჩამოყალიბებული და ძალაუფლების შესანარჩუნებლად დესპოტად ქცეული მმართველის სიმბოლოდ იქცა ნებისმიერ პოსტშექსპირულ საუკუნეში და ასეთად რჩება დღესაც.

მნიშვნელოვანია ის, რაც დრამატურგის ფანტაზიითა და პიესის დაწერის მიზნიდან გამომდინარე შეიქმნა და კიდევ ის, თუ რა მიზნით იდგმება დღეს (იდგმებოდა გუშინ, თუ ხვალაც დაიდგმება სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა რეჟისორის მიერ) „რიჩარდ III“. ყველაზე მთავარი და პირველ რიგში საინტერესოა არა მხოლოდ ის, რაც ხდება შექსპირთან, არამედ — თუ რა პირობები აღძრავს მისი დადგმის სურვილს და რა პირობები უწყობს ხელს მისი განხორციელების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, კონკრეტულ შემთხვევაში, რაც რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა ამოიკითხა, რის სათქმელად მიაპყრო მზერა „რიჩარდს“ და ისიც, თუ ეს ამოკითხული როგორ დადგა. როგორ წარმოადგინა. რისი თქმა განიზრახა.

ავთანდილ ვარსიმაშვილისა და მისი მსახიობებისთვის (რომლებიც ურთულეს ამოცანას შეეჭიდნენ და წარმატებით ართმევენ თავს) პირველ რიგში მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება ადამიანებში მაშინ, როდესაც ისინი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად „რიჩარდულ“ ბრძოლას იწყებენ, რა ამოძრავებთ, როგორ ცვლილებებს განიცდის მათი შინაგანი სამყარო, როგორ რეაგირებს მარცხსა და წარმატებაზე. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური დინებები, რომლებიც ნიღბებს მიღმა ან მიღწეულ შედეგზე პროცესში და შემდეგ არსებობენ, როდესაც ყველაფერი მთავრდება. ადრე თუ გვიან, ეს ყველაფერი მთავრდება.

მათთვის საინტერესოა, თუ რა ამოძრავებს რიჩარდს — ძალაუფლებისკენ სწრაფვისას, რა გზას გადის იგი არა იმდენად პრაქტიკული ქმედებებით, არამედ ის, თუ რა ხდება მის სულში, მის პიროვნებაში, მის სხეულში რა ახალი ძალები ისახებიან, როგორ მიდის რიჩარდი — ეს ცბიერი, ჭკვიანი, მოხერხებული, უშიშარი და „უგულო“ კაცი — სრულ სასოწარკვეთამდე, როდესაც აღარაფერი რჩება მოსაპოვებელი და გასაღები — მთელი სამეფოს გარდა — მხოლოდ ერთი ცხენის ნაცვლად, ცხენის, რომელიც უკვე აღარაფერში სჭირდება.

ემზარ კვიტაიშვილი

სიმონ ჩიქოვანი

ცნობილია, რაოდენ ღრმად იყო ჩახედული სიმონ ჩიქოვანი „ქართლის ცხოვრების“ ანალებში და რამდენად მტკივნეულად განიცდიდა იგი შორეულ წარსულში ჩვენი სამშობლოს დაცემასა და გაჩანაგებას, საუკუნეობით რომ გრძელდებოდა. ეს ტრაგიკული პერიოდები განსაკუთრებით შთამბეჭდავად არის ასახული ორ საანთოლოგიო ლექსში: „წიგნი ჟამთააღმწერლისა: თათართა შემოსევა“ და „წიგნი ჟამთააღმწერლისა: გვანცა“.

პირველ მათგანში მთელი სიმძაფრითაა ნაჩვენები მონღოლთა ურდოების მიერ დაუნდობლად გათელილი და გადაბუგული საქართველო. მემატიანის სტრიქონებიდანაა გადმოღებული „ფაშატის ხორცით გამძღარი“ მონღოლის გარეგნული ხატი („კაცი თვალმცირე, ჭვრიტი და გრემან“), ვინც გზადაგზა ყველაფერს ლეწავს და იავარყოფს („ცხენზე შემჯდარა შავი აჩრდილი და ფლოქვით იწყებს კოშკების ნგრევას“). პოეტს თავიდანვე ისეთი შეგრძნება უჩნდება, რომ თვით მისი სხეულიც დაფლითეს ყიჟინით შემოჭრილმა ველურებმა:

მე გადვიკითხავ ჟამთააღმწერელს,
მსურს სხვა წარსული ვიხილო შიგნით,
ვპოვებ ისრებით მიწას დასერილს
და მონგოლივით დამჩეხავს წიგნი.

აქ გაიელვებენ კოხტას შეთქმულების მონაწილენი, იარაღასხმულ ქართველ დიდებულთა აჩრდილები, ცოტნე დადიანის გამოჩენას რომ ელოდებიან. მინიშნებულია მათ უმძიმეს განსაცდელზე და თვით ლექსიდან მოდენილი ნახანძრალი, ტრუსის სუნი გვიწვავს ნესტოებს:

სტრიქონს ეხვევა კვამლი კოცონის,
შეთქმულ კოხტაზე ეცემა ციხე.
მონგოლთა ლაშქარს, მთაზე მოწოლილს,
მოაქვს აზიის ტრამალის სიცხე.

ლექსის ბოლოს მაინც ჭიატობს იმედის სხივი, ქართველობა ვერ ურიგდება მონობას, არ კარგავს მხნეობას, რათა ერში არ ჩაკვდეს თავისუფლების სული („მაინც ფურცლებში ვიღაცა მღერის, რომ უჩინარად ადიდოს ხალხი“).

ეს იმედი თითქოს ძლიერდება მარჯვედ მოფიქრებულ ფინალურ სტროფში, სადაც ამავე დროს წარმოჩენილია მაშინდელი საქართველოს არასახარბიელო ხვედრი, როცა ქართველი უფლისწულები მონღოლთა განმგებელს უნდა ხლებოდნენ:

ამ გალობაში არწივი ბუდობს,
სურს გამოცვალოს მღერით ამინდი.
და შავ მერნებით ტოვებენ ურდოს
შოთა კუპრი და ულუ დავითი.

ბოლო ორი სტრიქონი რამდენადმე სახეშეცვლილად მეორდება მომდევნო ლექსის ფინალში, სადაც პოეტის ნათქვამს უფრო ტრაგიკული, განწირულობის, სიბეჩავის ელფერი ეძლევა: „და წელმოხრილნი ურდოს მიდიან დავით ულუ და სარგის ჯაყელი“.

მახსოვს და მეძვირფასება არჩილ სულაკაურის აღტაცება, ამ დიდოსტატურად მოძებნილ ფინალს რომ მოსდევს:

„სიჭაბუკობიდანვე მხიბლავდა ეს განსაცვიფრებელი სურათი. ამ ორ სტრიქონში ვხედავდი მონღოლთა ბატონობის

*** დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №10**

მთელ პანორამას, თითქოს მეტიც არ მჭირდებოდა, რომ მეგრძნო ამ ეპოქის საშინელი სიმძიმე, თანაც ეს ყველაფერი მოწმისა და თვალითმხილველის მიერ განცდილის ილუზიას ქმნიდა (სიმონ ჩიქოვანი, გახსენება, 2004).

ამ ლექსში რაჭის ერისთავთა ასულის, ულამაზესი გვანცა დედოფლის გულსაკლავი აღსასრულია გახსენებული, მწარე ხვედრი კალმით ნახატი ქალისა, ვინც ბიჯნისში ტყვედ მყოფი თავად იხილა ქართველთა მეფემ ულუ დავითმა, მაგრამ „ავაგის ცოლყოფილს“, ქვრივს, ვისი დაუფლებაც, ლექსის ავტორის ვარაუდით, თვით მონღოლთა მრისხანე ნოინს ეწადა („ეგებ გეტრფოდა თვითონ ჩაღატარ?!), ვერაფერი ეშველა.

პოეტი ისე უშუალოდ, მტკივნეულად განიცდის საუკუნეთა მიღმა დაღუპული დიდგვაროვანი ქართველი ქალის ბედს, თითქოს თვალებში შესცქეროდეს მემატიანის ხელით აღწერილ მშვენიერებას, მტერთაგან თავის მოკვეთას რომ ელოდება:

ფურცლებზე ბრწყინავს ქალი ალმასი,
კერას მოსწყდა და სამცხეში ვნახე.
ტანი კენარი, მხრებზე ლამაზი
და მონგოლებით შემკრთალი სახე.

სიმონ ჩიქოვანი ოცნებაში წარმოიდგენს, რომ რაჭაში, რიონის ნაპირას დაბადებული ერისთავის ქალი შესაძლოა მის ადრეულ წინაპარს შეხვედროდა მეზობელ სამეგრელოში და დაახლოვებოდა. წარმოსახვაში გაჩენილი თვალწარმტაცი სურათი მწყობრ სტრიქონებად ლაგდება:

ეგებ რაჭაში აღზრდილი სარო,
ჩემი წინაპრის იყავ დობილი.
ფაზისს ამკობდა თვალების წყარო
და ნაწნავები ლექსად წყობილი.

ვინ მოსთვლის, რამდენ ასეთ სხივმოსილ ქართველ ქალს, ტყვედ აყვანილს და სამშობლოდან გატაცებულს, უცხო მიწაზე დაუბნელეს მზე მტარვალებმა. სიმონ ჩიქოვანმა ერთი მათგანი, გვანცა დედოფალი, საუკუნეთა შემდგომ, გულმდუღარედ დაიტირა.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში აშკარად გამოირჩევა მოზრდილი ლექსი „თეიმურაზ პირველი“ (იგი პოემადაც შეიძლება ჩაითვალოს), სადაც ხელშესახები სიცხადითა და ღრმად ადამიანური თანაგრძნობით არის დახატული კახეთის მამაცი და უიღბლო მეფე, ვინაც ცხოვრებაში აურაცხელი ჭირ-ვარამი გადაიტანა და ბოლოს ტყვეობაში მყოფი, სპარსეთის შაჰის მიერ აბუჩად აგდებული, ამაზრზენად დამცირებული, 1663 წელს ასტარაბადის ციხეში გარდაიცვალა.

შეხნიერებული მეფე ბრიალა ფერებით ანთებული კახური შემოდგომის ფონზეა წარმოსახული და უზომოდ ნაღვლიანი შორეთიდან აკვირდება მშობლიურ კუთხეს. ჩაესმის მასავით ბებერი ნაგაზის ყეფა და მის საამაყო, სალხინოდ შემკობილ გრემის სასახლესაც ძაძები მოსავს. „თეიმურაზ პირველის“ ავტორი აქ ძალზე მოხდენილ ხერხს იყენებს. საუკუნეთა სიღრმიდან ულამაზესი ფრინველი მოფრთხიალებს და დროთა შორის კავშირი იბმება: თვით მეფე პოეტს ხელთ უპყრია მისივე ლექსები, რამაც ყველაზე მეტად გამოსტაცა დავიწყებას, ვინაიდან მარჯვედ მოქნეული და თავის ადგილას ჩასმული სიტყვა (ამის ძალი კი უთუოდ შესწევდა თეიმურაზს — მის სტრიქონებს ნაჭედობა, სიმკვრივე არ აკლდა) ყველა საასახლესა და ნაგებობაზე გამძლეა:

გააღებს სარკმელს, ჭადრიდან გვრიტი
გადმოფრინდება ჟამთასვლის აქეთ.
ბერი მგოსანი ლექსის ჭოგრიტით
შორიდან უჭვრეტს წლევანდელ
კახეთს.

სიმონ ჩიქოვანი

ლექსს თავიდან ბოლომდე გასდევს ეპიკური კილო, დინჯი მდინარება. მეფეს ბუნების სიუხვე სიამოვნებს, ნადირობის სიყრმიდანვე ნაცნობი, მიმზიდველი სურათებიც გაიელვებს მის თვალწინ და ეს კიდევ მეტად ანაღვლებს გაუხარელ წარსულში ჩარჩენილს:

შემოდგომაა — იტყვის საწყალი —
ყურძენი ბლომად, კომშიც რამდენი.
კახეთის ცაზე ისევ ცოცხალი
მიჰქრის მიმინო და შავარდენი.

სიმონ ჩიქოვანის ნიჭს, ფერწერული სახეებისადმი თანდაყოლილ მიდრეკილებას ყველაზე ფართო გასაქანი სწორედ ამ ლექსში მიეცა და მანაც მთელი სისავსით, უშურველად გამოავლინა თავისი მდიდარი შესაძლებლობანი, ისევე როგორც ფუნჯის ოსტატმა, შეუმცდარად მოუძებნა ადგილი „მოჟრიამულე ფერადებს“, ჰარმონიულად განალაგა ისინი:

ყვითელს და წითელს, ქარვას და ხაშხაშს
გააქვს ჟრჟოლა და ისმის საყვირი.
თვალებს აუმღვრევს გადმომდგარ ვაჟკაცს
ჭრელი ფოთლები და ცის ნაპირი.

ფერების ასეთი თავბრუდამხვევი მოზღვავება, რაც თეიმურაზის თვალთახედვის არეშია მოქცეული, პოეტმა სიჭარმაგეში თავადაც განიცადა და ეს კვლავ კახეთის ზღაპრულ შემოდგომას უკავშირდება, იმ დროს, როდესაც „გომბორის შემოდგომა“ (1958) დაიწერა. ეს ლექსიც გვარწმუნებს, რომ ალისფრად მობრიალე ფოთლოვანში ღვინობისთვის ჟამს მოხვედრილი პოეტის პალიტრა ოდნავადაც არ გაღარიბებულა და საამისოდ იკმარებს თუნდაც ერთი სტროფი, რომლიდანაც უჩვეულოდ დინამიკური და სულჩადგმული სურათი მოჩანს:

მთაში წიწიბოს ყრიდა წიფელი,
ტყეს არ შეეძლო ჭაღებში თვლემა
და მომეჩვენა ყვითელ-წითელი
ტყეში შეჭრილი ცხენების რემა.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საუკეთესო მცოდნე, თაყვანისმცემელი, ჩვენი დიდად ნიჭიერი ლიტერატორი გურამ ასათიანი სწორედ ამ ლექსს გულისხმობდა, როცა თავის ძალზე მნიშვნელოვან, ესეისტური აღნაგობის წერილში საგანგებოდ აღნიშნავდა:

„მის მიერ წარმოსახულ ბუნების სურათებში შეგნებულად შერჩეული მკვეთრი საღებავები თითქოს კივიან, ერთმანეთს ებრძვიან, აწყდებიან და ამგვარად სრულიად სხვა ხასიათის განწყობილებებს აღძრავენ მკითხველის სულში.

დამახასიათებელია ამ მხრივ პოეტის ერთ-ერთი უკანასკნელი დროის ლექსი „გომბორზე გადასვლა“, სადაც შემოდგომის ფერთა ჭიდილი წითელ-ყვითელი ცხენების დაფეთებულ რემასთან არის შედარებული“ (გურამ ასათიანი, კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები, თბილისი, 1977).

ისევ უნდა მივუბრუნდეთ მეფე თეიმურაზის ტანჯულ პიროვნებას, ვისაც სიმონ ჩიქოვანის ლექსში მომარჯვებული აქვს „შირაზში დაჭედილი შაირი“ და

შეუძლებელია, იმავე შირაზში ბოროტი შაჰის მიერ ულვთოდ ნაწამები დედამისი, მთელ მსოფლიოში წმინდანად შერაცხილი ქეთევან დედოფალი არ გაიხსენოს. აქ მხოლოდ მინიშნებულია საშინელ ტრაგედიაზე, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რამდენი აუტანელ ტკივილითაა დასერილი მეფის მოწყლული გული.

უთქმელი დამრჩა ბევრი ნაწყვეტი
ყრმობა დავკარგე, ჩაკვდა სიამე
და მგლოვიარე დედის ცაცხვები
მე მახსენებენ სპარსულ ყიამეთს.

ბუნებით გოროზი, მედიდური პოეტი წერს, რომ მისი მეფობა დავიწყებული აქვთ („აღარ ვახსოვარ სოფლებს შეფენილს...“), პაპის აგებული სასახლეც ნანგრევებადაა ქცეული და წუთისოფლის უკუღმართობის შემხედვარე იჯერებს ძველ ჭეშმარიტებას: „საუკუნეთა მანძილის მიღმა — ლექსი მეფობს და არა მეფენი“... მას კვლავ „ლექსის ჭოგრიტი“ უპყრია ხელთ („მეჩვიდმეტე უცქერს მეოცეს“), სამი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ შეცვლილა; პოეტი ხედავს ზვარში მოფუსფუსე ყურძნის მკრეფავ გლეხებს და თავადაც უნდა, ამ ფერხულში ჩაებას. იგი მხოლოდ ლექსის წერაშია გაწაფული და შთამომავლებსაც სთავაზობს უზადო სტრიქონებს, სადაც რითმები ძვირფასი თვლებივითაა ჩასმული. იგი მაჯამის დიდოსტატია. ამ მხრივ ლამის უტოლდება რუსთაველსაც, ვის მეტოქედაც ამაოდ მოჰქონდა თავი.

ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, შემოდგომაზე, ალაზნის ველისა და წინანდლის შემხედვარე, მონატრებულ სამშობლოს იმას პირდება, რაც ძალუძს, მისი ხელიდან ადრევე გამოსულა:

ნეტა მანდ ვიყო, ბუდე ვაკეთო,
შემოგიერთო მგოსნის ცოუნება.
როგორ შეგამკო, ჩემო კახეთო,
და მაჯამებში ჩავსვა ბუნება.

ალბათ იმის აღნიშვნაც საჭიროა, რომ „თეიმურაზ პირველი“ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი სიმწიფის ყველაზე ნაყოფიერ ხანაშია დაწერილი, 1935 წლის შემოდგომით, როცა პოეტს თავისი საუკეთესო ლექსების უხვი რთველი ედგა. მომდევნო ხუთმა წელმაც არანაკლები წარმატება მოუტანა სიმონ ჩიქოვანს, რაშიც იოლად შეგვიძლია დავრწმუნდეთ.

ყოველ მნიშვნელოვან შემოქმედს მონიშნული და განსაზღვრული აქვს თავისი ადგილი და როლი საკუთარ მწერლობაში, იცის, ვისი სულიერი მემკვიდრე და გზის გამგრძელებელია. ამ მხრივ გამონაკლისი არც სიმონ ჩიქოვანია. მისი ზოგიერთი, ე.წ. საპროგრამო ლექსი ღირსია საგანგებო დაკვირვებისა. ასეთია, მაგალითად, ერთი უსათაურო, რომლის პირველი სტროფი რამდენადმე ეპატაჟური, ზედმეტად თავდაჯერებული ტონით გამოირჩევა:

გურამიშვილის და ვაჟას ფერი,
მათი მომდევნო მე ვარ მესამე.
წმინდა სახმილით ვიტანჯე ბევრი
და შთაგონებით ბევრი ვეწამე.

ნაკლებ დასაჯერებელია, სიმონ ჩიქოვანის სახელოვან თანამოკალმეებს (თუნდაც გალაკტიონ ტაბიძესა და გიორგი ლეონიძეს) ერწმუნებინათ ესოდენ თამამი განცხადება, ასეთი განლაგება, მაგრამ ამ ლექსის ავტორი დიდ წინაპართა ღირსეული მემკვიდრე რომ არის, ეს სრულიად უეჭველია.

ამ დროს (1940) ოცდაჩვიდმეტი წლის სისხლიანი რეპრესიები, რამაც სიმონ ჩიქოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებასაც მძიმე დაღი დაასვა, ახალი ჩამთავრებულია და პოეტი ჯერ კიდევ გრძნობს მისდამი მტრულად განწყობილთა ბნელ ზრახვებს („მე ყურში მესმის: დანას ლესავენ...“); გამოთქვამს უკმარისობის გრძნობას, გაუმხელელი ჭრილობის გამო („ვერვის ვუჩვენე ფარული წყლული, ვერ გავიგონე მეგრული ნანა...“), მაგრამ მხნეობას მაინც არ კარგავს, თუმცა ლექსის ფინალურ სტროფში თავდაპირველი რიხი შესამჩნევად შერბილებულია:

მეათე ვარ თუ ვარ მე მესამე,
მთიდან დამყურებს ვაჟას კესანე.
ჩემი მოძმენი ხორბალს თესავენ
და მე ხმებს ვთესავ, თქვენი კვნესამე.

აქ მკაფიოდ ჩანს, რომ მოტანილი სტრიქონების დამწერს გენიალური წინაპრების ნათელი ასულდგმულებს და თვითონაც ქართულ პოეზიაში მრავალთაგან გამორჩეული ახალი ხმების დამნერგავია, რაც არაერთხელ ცხადყო.

ამავე ხანებში შექმნა სიმონ ჩიქოვანმა თავისი ყველაზე საუკეთესო, ღრმა და ინტიმური ციკლი ლექსებისა „შინიდან გაველ სამშობლოს გზაზე“, რომელშიც მცირეზე მცირეა იძულებითი კომპრომისი, ყალბი პათეტიკა არ იგრძნობა და მშობლიურ გარემოში დაბრუნებული, თავს ბუნებრივად გრძნობს, იგონებს გაუხარელი ბავშვობის წლებს, ნაადრევად დაღუპული ახლობლების გამო განცდილ მოუნელებელ ტკივილებს სევდიან სტრიქონებად კრავს.

განსაკუთრებული დაღი დაამჩნია პოეტს სიკვდილმა უმცროსი დისა, ულმობელმა სენმა ქალიშვილობაში რომ იმსხვერპლა. მისადმი მიძღვნილი პირველივე ლექსის — „დის დაკარგვა“ — პირველსავე სტროფში ცხადია, რა აფორიაქებული, თავგზააბნეული იყო აგონიის შემყურე ძმა, ოთახში გაჩერება უჭირდა:

როგორი გულქვა ზაფხული იყო,
დაგმწუხრებოდა შუბლი ტილოთი,
მე გავურბოდი შენს სიკვდილს თითქო
და შიშით, დაო, ვეღარ ვტიროდი.

ფინალურ სტრიქონებში გამოთქმულია მწარე სინანული, რომ უძვირფასესი ადამიანის სამუდამო განსასვენებელი ღვთის ანაბარაა მიტოვებული, ჭირისუფალი არ აკითხავს:

ახლა საფლავთან არავინ არის
და მეგრულ მოთქმით არავინ ტირის.

დის აჩრდილთან შეხმიანება გრძელდება მომდევნო ლექსშიც („მოსაგონარი“), სადაც გახსენებულია ღარიბი ბავშვობის წლები, „კაკლის ჩრდილი და ოდის ლაფარო“, ისიც, როგორ ურწევდა აკვანს და ელოლიავებოდა ერთ ციცქნა არსებას. ჩვენს პოეზიაში იშვიათია ალერსის ასე სათუთად გამოხატვა:

ჩემო ოცნებავ, მაშინ აშენდი,
ჩემო პატარავ, ტირილით მენდე,
ჭილობზე როცა გათამაშებდი,
ან როცა ფეხი აიდგი შემდეგ.

აქვეა ნათქვამი პოეტმა სიყმაწვილეშივე როგორ დაკარგა მამა (დედა კიდევ უფრო ადრე გაშორდა სამზეოს) და პატარები სავსებით დაობლდნენ. ამის მერე სიმონ ჩიქოვანის მიერ სრულიად დროული და ბუნებრივია უპოვარ და ობოლ ბავშვთა შეუდარებელი ქომაგის, გენიალური ინგლისელი მწერლის ჩარლზ დიკენსის ხსენება:

დავიკარგენით ჩვენ სათითაოდ,
თითქოს დიკენსის ბავშვებს ვხვდებოდით.
ვერ გნახულობდი თვეობით, დაო,
მაგრამ მახლობლად მეგულებოდი.

სიმონ ჩიქოვანი გულისხმობს დიკენსის რომანების მთელ წყებას („დევიდ კოპერფილდი“, „დიდი იმედები“, „სიძველეთა

ფარდული“, „ოლივერ ტვისტის თავგადასავლები“ და სხვანი), მაგრამ პოეტი თავის თავს ყველაზე მეტად ალბათ ოლივერ ტვისტთან აიგივებდა, ვისი ზემგრძნობიარე დამოკიდებულებაც პატარა, მომაკვდავ დიკთან და შემდეგ ამ ბავშვის გარდაცვალება სულისშემძვრელი სიძლიერით არის აღწერილი; იმ ეპიზოდებს უცრემლოდ ვერავინ წაიკითხავს (სიკვდილმოახლოებული დიკი იმედოვნებს, რომ ცაში იგი თავის დაღუპულ დას შეხვდება). საერთოდაც, მსოფლიო ლიტერატურაში ბედისგან გამეტებული, სასიკვდილოდ განწირული ბავშვები დიკენსის დარად არავის ებრალებოდა. ცნობილია, რაოდენ უზარმაზარი გავლენა მოახდინა მან დოსტოევსკიზე; მარტო „ძმები კარამაზოვების“ არაერთი გამაოგნებელი ადგილის გახსენება იკმარებს საამისოდ, მაგრამ ეს ცალკე, თანაც დიდი თემაა და აქ ვერ ჩავუღრმავდებით.

დის გარდაცვალებით მიყენებული შეუნელებელი ტკივილი ირეკლება ამავე ციკლის ერთ-ერთ ძლიერ ლექსშიც „პირველი მინაწერი“, სადაც კიდევ ერთი თვალსაჩინო ლიტერატურული პარალელია მოხმობილი:

ორი ათასი წლის წინათ აგრე
ძმას მისტიროდა ლექსით კატული.
ლექსი არა გავს მდუმარე ნანგრევს
და ახლაც რეკავს, როგორც სანთური.

ამაყად არის ნათქვამი, რომ დიდი რომაელი ლირიკოსის სტრიქონებში ჩაღვრილ ნაღველს სიმძაფრე ოცი საუკუნის მერეც არ დაუკარგავს და დღემდე იგი განგაშივით ისმის. გარდაცვლილ ძმასა და მის სამარეს ტკივილისგან სასომიხდილი კატულუსი რამდენჯერმე უბრუნდება. საფიქრებელია, სიმონ ჩიქოვანმა ეს დაუყუჩებელი ტკივილი კატულუსის ერთ ლექსში (65) ამოიკითხა და იგი თავის პირად უბედურებას დაუკავშირა. ოდესღაც უღმერთოდ ლამაზი და ზნემსუბუქი ლესბიას მომღერალი ასე მიმართავს ლეთას მრუმე ტალღებში ტერფებგანბანილი ძმის გაცრეცილ აჩრდილს:

სიტყვას ვეღარ გეტყვი მე შენ,
ვეღარც შენს ნაუბარს მოვისმენ,
სიცოცხლეს, თავსაც რომ მერჩია,
ვერასდროს ვიხილავ თვალებს,
ძმაო სანატრელო მიყვარხარ,
ასე მეყვარები მარად,
სულ გიგლოვ, სიმღერას ნაღვლიანს
მე არ დავასრულებ შენზე.

მართლაც სხვა, ბევრად მოზრდილ ლექსში (68) კატულუსი აგრძელებს ხმამაღალ მოთქმას. შორეული ტროას მიწა, სადაც მისი საფიცარი ძმა განისვენებს მთელი ევროპისა და აზიის გმირთა საერთო სასაფლაოდ არის გამოცხადებული. მთელი ჩვენი სახლეული შენთან ერთად მარხია, ყველა ჩემი სიხარული შენთან ერთად დაიღუპაო, მიმართავს ყველაზე ახლობელ ადამიანს, ვისაც უცნობ საფლავთა შორის ერგო სამუდამო განსასვენებელი.

კატულუსის ძმის დროით ეგზომ დაცილებული ტრაგედია რომ გაიხსენა, ამით სიმონ ჩიქოვანმა თავის გულისმომკვლელ გლოვას დიდი სარბიელი, ფართო ჟღერადობა მისცა, საკაცობრიო წუხილს შერთო თავისი ხანგრძლივი სატკივარი.

პოეტურობითა და სინატიფით გამოირჩევა იმავე ციკლის ბრწყინვალე ლექსი „დის დარგული უნაბი“, სადაც პოეტი ნატრობს, ნისლივით გამქრალი და თუნდ ზმანებაში იხილოს („სიზმარში მაინც შემოდი მშვიდად, სადა ხარ მარტო მიმიწებული“). რაღაც იმედის მსგავსია, რომ დის დარგული ხე ხარობს და უნაბის რტოები მიწაში მყოფს უგალობენ. დაუვიწყარია ფინალური სტრიქონი, მწუხარებასთან ერთად ამქვეყნიური სილამაზის გაუხუნარ მშვენიერებას რომ გვაგრძნობინებს და ეს ბრდღვიალა სურათებითაა გადმოცემული:

მგონია უნაბს ფესვები სტკივა,
შეჟღალებია ფოთლები მყიფე.
და ვით წვეთები, ბალახში ცვივა
წითელ-წითელი ნაყოფი მწიფე.

საგანგებო დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ მწვანე, ნამიან ბალახზე დაცვენილი წითელი მარცვლები, შეფარულად მინიშნებული, ქართულ პოეზიაში ესოდენ ფესვგადგმული „სისხლის ცრემლების“ მეტაფორაა, რითაც ამ ტრადიციულ სახეს ახალი ელვარება ენიჭება.

თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი იყო სიმონ ჩიქოვანი, ჭლექით დაავადებული, შვილებზე ნიადაგ მზრუნველი მამა რომ მოუკვდა და აი, უკვე მოწიფულ ვაჟკაცს, საქვეყნოდ ცნობილ პოეტს, წვიმიან ღამით, სიზმარში გამოეცხადება ფიქრიდან განუშორებელი მშობელი (ასე იწყება ლექსი „მამა“) ახალოხდასველებული, „ბრგე და ახოვანი“, ქარის მიერ შემოფეთქილ კარიდან შემოდის, შვილის ბინას თვალს მოავლებს და, წესისამებრ, რძალს მოიკითხავს. აწრიალებულია, „შენს დას დავეძებო“, ეუბნება დამხვდურს — საფლავშიც არ ასვენებს ავადმყოფი ქალიშვილის დარდი, არ იცის, გარდაცვლილი რომაა. შვილი, რა თქმა უნდა, ვახშმად დარჩენას, ჩოხის გაშრობასა და ნარდის თამაშს სთავაზობს მონატრებულ მშობელს, მაგრამ მას სახეზე წყენა ახატია და ისევ უკუნეთს მისცემს თავს. ეს გულისდამამძიმებელი მოლანდება თავიდან ბოლომდე წვიმის ბურუსშია გახვეული, გამოდარებას პირი არ უჩანს, გარედან „წვეთების კვნესა“, მათი ნაღვლიანი წკაპა-წკუპი ისმის.

შემდეგ ლექსს „მამის ოცნება“ ჰქვია. მშობელი შვილის სტუდენტობაზე ოცნებობდა, უნდოდა იგი „მთის ინჟინერი“ გამოსულიყო, მაგრამ მემკვიდრემ სხვა გზა ირჩია და ანდერძი ვერ შეუსრულა. აქ ჩანს, მამამისი კითხვის როგორი მოყვარული ყოფილა („წარბზე ეყარა წიგნების მტვერი“) და როგორ ეხერხებოდა საინტერესო რამეების მოყოლა („დიკენსივით ამბის მთხრობელი...“). ეს ბოლო შედარება მრავლისმთქმელია. კარგადაა ცნობილი, დიკენსს ჰქონდა იშვიათი უნარი, თავისი ნებისმიერი რომანი ორსაათიან ქარგაში ჩაესვა და დარბაზში მყოფები გაფაციცებულნი უსმენდნენ.

ორმოციანი წლების დამდეგს, როდესაც ინგლისის დედაქალაქი გერმანელებისგან იბომბებოდა, სიმონ ჩიქოვანმა, უძვირფასესი მწერლის აჩრდილი კვლავ გამოიხმო („დიკენსის მოლანდება“) და გვიჩვენა — მისი სული დასაცავად როგორ გადაფოფრებია უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს, მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი ისევ ის არის — „კვლავად მოსძებნოს ოლივერ ტვისტი...“

ძალზე შთამბეჭდავი და ამაღელვებელია ამ ლექსის ბოლო სტროფები, სადაც პოეტს დიკენსი ვაჟას მშობლიურ სოფელ ჩარგალში ჩამოჰყავს, რათა სიცოცხლის დამამკვიდრებელი და მომღერალი ორი გენიის შეხვედრა მოხდეს. ფინალში ყველაფერი საიმისოდაა შემზადებული, რათა შორეული ალბიონიდან, წარმოსახვის ძალით ჩამოსული დიდი შემოქმედი —

ვაჟას ბინაში შევიდეს მწუხრზე,
მითები გახსნას დაუსტამბავი
და შველის ნუკრი დაისვას მუხლზე,
რომ ნუკრს მოუყვეს ბავშვთა ამბავი.

სიმონ ჩიქოვანის წინამდებარე ციკლში კიდევ დარჩა ლექსები, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით. ყველაზე მეტი სიმწარე პოეტს უდედოდ დარჩენამ აგემა, რაც დამბადებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ პირველსავე ლექსში („დედაჩემი“) მთელი სიმწვავით თვალსაჩინოვდება. იმდენად მცირეწლოვანი ყოფილა მაშინ, რომ მისი გარეგნობა, იერი არც დახსომებია. კუთხე-კუნჭულს არ ტოვებს, როგორმე დედის კვალს რომ მიაგნოს, ხალხური ზღაპრის გმირივით, ყველგან და ყველაფერში ძვირფასი ადამიანის ანარეკლს ეძებს:

დედავ, ხატება არ დაგრჩა არსად,
ჭაში ვიცქირო, დამჩემდა სენი.
შენ ხომ იდექი გვიმიან ჭასთან,
ეგებ შიგ ჩარჩა სახება შენი.

ამას მოსდევს შედარებათა მთელი წყება — სადღა არ ელანდება დედის სხეულის ნაკვთები; მომდევნო ლექსში („სიახლოვე“) ციხის ნანგრევთან დაეძებს და „ღამის ნაპირზე“ ელოდება. ბევრის მთქმელი და დამტევია ამ სამსტროფიანი ლექსის ფინალური სტრიქონები, მეტაფორის მეშვეობით, წუთისოფლის იგავის ახსნას რომ გავს:

როგორ მაშორებს ხამხამი წამის,
როგორ გვაერთებს მარადისობა.

მესამე ლექსი („დედის ცრემლები“) დავით გურამიშვილის პოეზიიდან იღებს დასაბამს; პოეტს პეშვი დედის წმინდა ცრემლებით აუვსია და სასოებით აცქერდება, შიშობს, არ დაეღვაროს, ანდა გვალვამ არ დააშროს; დარწმუნებულია — თუ წვეთი მიწაზე დაეცა — „აღმოცენდება ხე მგალობელი“.

ხუთიდან ბოლო ორი ლექსი („ნანგრევის სურო“ და „ციხით შობილი“) ერთ გაშლილ მეტაფორას წარმოადგენს; პოეტს ეჩვენება, რომ დედამ „იშვილა ქართული ციხეც“ და თავისი თავიც ომგადახდილ ციხის ნანგრევებად აქვს წარმოდგენილი, სუროდ წარმოსახულ მშობელს კი ევედრება: „მომხვიე ტოტი ცივი და მშრალი“. ამ ვედრების მიზანი, დედააზრი ფინალურ სტროფში იკვეთება:

მეც დამაყენე ნანგრევის გვერდით,
სუროს პერანგით მამულში ვთბები,
მხარზე დამისვი ღუღუნა მტრედი,
მკერდზე ამომჭრან ქართული ხმები.

„ციხით შობილი“ ავრცობს, ავითარებს ამ თემას. პოეტი იშველიებს ცნობილ ქართულ ლეგენდას (ციხის კედელში ჩაკირული ზურაბი) და ლექსი ჰეროიკულ ჟღერადობას იძენს: „სურამის ციხე, ხერთვისის კოშკი ორივე ჩემი დედაა მგონი“. დედის ცრემლებით დალტობილი კედელი ციხეს მოწყდება და ლექსის ფინალური სტროფი ბუნებრივად უსვამს წერტილს პოეტის ღრმა ჩანაფიქრს:

მე ვარ ნატეხი დანგრეულ ციხის,
ყურს ვუგდებ ქვაზე შემომჯდარ ქედანს,
კურცხალი ცრემლი სიცოცხლედ მიღირს
და იგი მღერით შევწმინდე დედას.

გარდა წერილებისა და დღიურებისა, თავისი პოეტური ხელოვნების პრინციპები სიმონ ჩიქოვანის არაერთ ლექსშია გამოხატული. ამის მაგალითად გამოდგება ამავე ციკლში შეტანილი „მეორე მინაწერი“, სადაც პოეტი, ერთი შეხედვით, საკუთარ თავს ეკამათება — თავდაპირველად ლექსის მთავარ ღირსებად ფერია გამოცხადებული, მაგრამ ამას იქვე ენაცვლება „ავთანდილის გალობა“, მუსიკის მომნუსხველ სიმბოლოდ მოხმობილი ღვთაებრივი უნარი. ამ წამიერ დაეჭვებაში თავიდანვე იკვეთება ჭეშმარიტი აზრი, რომ ლექსში ეს ორი უძლიერესი საწყისი ჰარმონიულად უნდა იყოს შეზავებული:

ხელნაწერი გავს ბაღნარს და ღადარს,
ვგონებ ფერია მშვენება ლექსის,
მაგრამ როდესაც განვლილ დღეს ვხატავ,
მე ავთანდილის გალობა მესმის.

მიუხედავად ამ გულწრფელი და ბუნებრივი წუხილისა, სიმონ ჩიქოვანს მრავლად ჰქონდა სიხარულისა და შვების მომგვრელი წუთები, როცა „...გრძნობა მიიღებს სახეს, დაემგვანება ჰანგსა და სურათს“.

ზემოთ ნათქვამის მართებულობას საგანგებო მტკიცება არ ესაჭიროება. დიდად განათლებული ლიტერატორი, კრიტიკოსი გიორგი მარგველაშვილი პოეტის ოთხტომეულზე წამძღვარებულ მოზრდილ წერილში, სადაც სიმონ ჩიქოვანის პოეზიის საფუძვლიან ცოდნას ავლენს და მისი შემოქმედებითი გზის საკმაოდ სრულ სურათს წარმოგვიდგენს, ერთგან წერს:

„სიმონ ჩიქოვანი მეტაფორის ჭეშმარიტი დიდოსტატია და იგი უზიარებს მკითხველს როგორც ცნობის, ისე აღმოჩენის სიხარულს. პოეტი მხოლოდ ორ ამოცანას, ორ წინაპირობას სახავს თავის წინაშე, რათა ნახოს გამოძახილი მკითხველის გულში; პოეტური სახე უნდა წარმოშვას ნამდვილმა, გულწრფელმა, განცდამ, სტრიქონი უნდა დაბადოს „წრფელმა ჰანგმა“ და „გალობა“ შეთანხმებული უნდა იყოს „სურათთან“, „გრძნობამ“ უნდა მიიღოს „სახე“ (სიმონ ჩიქოვანი, ტომი პირველი, თბილისი, 1975).

ციკლის ბოლო ლექსში — „მესამე მინაწერი“ — რეფრენად გაისმის პოეტის მყარი შეხედულება: „შემოქმედებას სირთულე უყვარს, გასაგებად და სიმძაფრით თქმული“. ფინალურ სტრიქონებში კი ამავე ტონალობის განცხადება, სხვა მოთხოვნილებას მისადაგებული, რამდენადმე სახეცვლილად წარმოგვიდგება: „შემოქმედებას სიახლე უყვარს, ცისარტყელას და ქუხილის ფერი“.

ამის მთქმელი სიცოცხლის ბოლომდე განახლებას ელტვოდა, იშვიათად ექცეოდა ინერციის ტყვეობაში, ხელეწიფებოდა ახალი ხმებისა და ნაირგვარი საზომების წარმატებულად მოსინჯვა, რის მაგალითებსაც უხვად გვაწვდის მისი მდიდარი და თავისებური ლიტერატურული მემკვიდრეობა.

სიმონ ჩიქოვანს აქვს ლექსები, რომლებშიც ერთი რომელიმე ადგილი გამორჩეულად გვხიბლავს და გვამახსოვრდება. სწორედ ამ დროს ვლინდება ის „შინაგანი იდუმალება“, რის გამოც პოეტი თავის თავს ბევრ რამეს პატიობდა. ასეთად შეგვიძლია ჩავთვალოთ დიდი, ოთხ მონაკვეთად გაყოფილი ლექსი „ქართლის საღამოები“, რომლის პირველი სტროფი ყოველნაირად მხარს უბამს ჭეშმარიტ პოეზიას, თვალით სახილველი ხატოვანების საუცხოო მაგალითია:

რა კარგია მზის დახრისას გორი.
შემოდგომის ჩრდილი როგორ ეხამება.
გადავყურებ ციხიდან და შორით
ურმულივით ახლოვდება შეღამება.

ყველაფერია აქ, ლექსის მადლი და სურნელება რომ ვიგრძნოთ — ურემზე სათქმელ ნარნარ სიმღერასავით დაძრული ბინდი თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ეფინება ჩამავალი მზის ოქროში ამოვლებულ გორის ციხის კალთებს, ნელ-ნელა მუქდება მელნისფერი შემოგარენი. მარტო ეს, ბედნიერად მიგნებული და ნატვრის თვალივით მოელვარე სახეც კმარა „ქართლის საღამოების“ სამშვენისად. გარდა ამისა, „ქართლის საღამოებში“ დიდოსტატურად არის გამოყენებული სიმონ ჩიქოვანის უსაყვარლესი და ნაცადი ხერხი — ერთი სტროფის ფარგლებში განსხვავებული მარცვლების სტრიქონთა (ამ შემთხვევაში ათისა და თორმეტმარცვლიანის) შენაცვლება, რამაც მის შემოქმედებაში გარკვეული სისტემის იერი შეიძინა და რაშიც მას ვერავინ შეედრებოდა. ცხადია, ამ ლექსში მიმზიდველი მეტაფორული სახეები სხვაც ბევრია (მაგალითად: „დაისის მზით ვინ შეღება ხილი, საღამოს ფერს ატმის ფერი შეურია...“), მაგრამ პირველი სტროფის სიმაღლესა და სილაღეს დანარჩენები ვეღარ უსწორდება და პოეტს შეუმცდარმა გუმანმა, ალღომ უკარნახა, საბოლოოდ, ლექსი ამ სტროფითვე დაემთავრებინა.

ისეც ხდება, რომ ერთი სიტყვა სტრიქონს, მთლიანად ლექსს აფუჭებს და ამაში ბრალი იმდენად ავტორს არ მიუძღვის, რამდენადაც სავალდებულო კომპრომისის გამოვლენას. საამისო მაგალითები სიმონ ჩიქოვანის პოეზიაშიც საკმაოდ დაიძებნება. მის მძლავრ ინტელექტსა და დახვეწილ ლიტერა-

ტურულ გემოვნებაში ძნელად თუ შეიტანდა ვინმე ეჭვს, მაგრამ ხშირად იძულებული იყო, ყველაფრის დამხუთავი და დამშტამპველი საბჭოთა იდეოლოგიისათვის ხარკი გადაეხადა, რამაც მის პოეზიას ზიანის მეტი არაფერი მოუტანა.

ორმოციანი წლების მიწურულს პოეტი რამდენჯერმე იმყოფებოდა ქართლში, ატენის ხეობაში, შემდგომ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი, რაზედაც, მცირე-გამონაკლისის გარდა, კარგის თქმა გაძნელდება. ერთ-ერთი ლექსის („ირმები კალოზე“) პირველივე სტროფი ასე გამოიყურება:

კოლმეურნის კალო ირმებს ვალეწვიე,
რქებს მივაკარ ყვავილები ჭრელი.
კევრს შევახტი. ჩამავალ მზეს დავეწიე,
ბარჩხალა მზეს რქაში ვტაცე ხელი.

პოეტი ცდილობდა, როგორმე გაეკეთილშობილებინა, ხალხის თვალში მიმზიდველი გაეხადა ძალადობაზე აგებული საკოლმეურნეო სისტემა, რომელმაც ოცდაათიანი წლების საბჭოთა კავშირში სოფლის მოსახლეობას აურაცხელი უბედურება დაატეხა თავს, მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა.

ირემი პოეზიაში სილამაზის, სიყვარულის, ვნებიანობის სიმბოლოა და როცა პოეტი ამ მეტაფორას შესაფერის ადგილას იყენებს, მაშინ ყველაფერს სხვა, ბუნებრივი ელფერი ეძლევა, მშვენიერების განცდა გვეუფლება. ამის მაგალითად ისევ სიმონ ჩიქოვანის ადრეევ დამოწმებული სტროფი („მზე ზღვაზე დადგა, როგორც ირემი...“) გამოდგება, სადაც პეიზაჟს სული აქვს ჩადგმული. სამეგრელოს სხივებგატოტილი მზე ბორჯღალარქებიან ხარირემთან არის შედარებული, ხოლო მის პარალელურად მზის ნათელშივე გავლებული ალვები ცირებს — ტანწერწეტა კოლხ ქალებს განასახიერებენ.

ირმების კალოსთან დაკავშირება, თავისთავად, არავითარ უხერხულობას არ ქმნის, პირიქით. გავიხსენოთ გენიალური ხალხური ლექსი „საბრალო დედაბრისასა“, სადაც, მთქმელის წარმოსახვით, სხვადასხვა ნადირ-ფრინველნი მარტოხელა დედაბერს მოსავლის აღებაში ეხმარებიან, მის ყანას არიან შესეულნი, ხოლო ერთ სტრიქონში პირდაპირაა ნათქვამი: „ირმები ძნასა ჰყრიანო...“ სიმონ ჩიქოვანის ლექსში კი შეიძლებოდა იმ ერთი სიტყვის („კოლმეურნის“) შეცვლა — ჩაწერილიყო „გლეხიკაცის“, მაგრამ ვერც ეს უშველიდა საქმეს, ვინაიდან დანარჩენი სტროფებიც ყალბ პათოსს მიჰყვება.

ამ სავალალო მოვლენის ახსნა არ არის ძნელი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ამჟამინდელმა დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა საგანგებოდ შეისწავლა ის პერიოდი, როცა საბჭოთა იდეოლოგიის სულისშემხუთავ წნეხში მოქცეული ქართული მწერლობა აუტანელ პირობებში იმყოფებოდა. იგულისხმება ახლახან გამოქვეყნებული ძალზე მნიშვნელოვანი წერილი „საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქა და ქართული ლიტერატურული პროცესი — რომელიც მისი ვრცელი ნარკვევის ერთი ნაწილია და მრავალწლიან დაკვირვებებს ეფუძნება. მოვიტან საგანგაშო, დამაფიქრებელ ამონარიდს ამ წერილიდან, განვლილი, ავადმოსაგონარი ეპოქის მეტად არასახარბიელო საერთო სურათს რომ გვიხატავს: „ტოტალიტარიზმის, როგორც ძალადაობრივი მმართველობის უპირველესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმნაა, კლიშეების ფორმირება და დანერგვა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიტერატურული თავისუფლების ფარგლებს. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის 20-იანი წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან. სულიერი ღირებულებების დესტრუქციით აღნიშნული პოლიტიკური კურსი იმთავითვე დაუპირისპირდა შინაგანი, სულიერი ძიებით აღნიშნულ ლიტერატურულ პროცესს, რომელმაც, თავის მხრივ, ზუსტად აირეკლა ეპოქის კრიზისი, ის საერთო სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი, რომელიც სუფევდა ინტელექტუალური ტერორით დათრგუნულ საზოგადოებაში“ (ქართული მწერლობა, 10 იანვარი, 2014).

ასეთი უმკაცრესი და ხანგრძლივი „ინტელექტუალური ტერორი“ სასიკეთოს რომ არაფერს მოიტანდა, დღესდღეობით ყველასთვის აშკარაა და ამაზე თვალის დახუჭვა არ გვმართებს, ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას.

საყოველთაო შეხუთულობის ჟამს სიმონ ჩიქოვანი ზოგჯერ პოულობდა სულისმოსათქმელ შუალედებს, რაზედაც მოკლედ ვიტყვით. ჭეშმარიტი პოეზიის მადლითაა გასხივოსნებული ორმოციანი წლების დამდეგს შექმნილი ლექსების მცირე ციკლი „არმაზის აჩრდილები“, რომელიც დიდი ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ჩატარებული ისტორიული გათხრების მღელვარე, შთამბეჭდავი გამოძახილია.

თავიდანვე იგრძნობა ამაღლებული განწყობილება, უსაზღვრო სიამაყე, რაც პოეტში ჩვენი საარაკო წარსულის მზის სინათლეზე გამოტანას გამოუწვევია:

ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე,
მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი.
შევეთვისე, გულით დავიფურცლე,
შრიალებენ ვარდები და დროშანი.
(„ძველი მცხეთა“)

ციკლის შუაგულში, რაღა თქმა უნდა, ზევახ პიტიახშის სწორუპოვარი ასულის ტრაგიკული ბედი, ნაადრევად დაღუპვაა, რასაც ორენოვანი (ბერძნული და არამეული) ეპიტაფია გვამცნობს. პოეტი ანგელოზს ადარებს სერაფიტს („შენი სული ცხრაფრთიანი კუბოში ვით გააჩერე!“) და არ ჯერდება ამ მგზნებარე შეძახილს, თვალისმომჭრელი ელვარებით არის გაცოცხლებული მცხეთის ეზოსმოძღვრის პუბლიციოს აგრიპას ვაჟის იოდმანგანის მეუღლე, ვისი შესადარიც ქვეყანაზე არავინ ყოფილა:

ვინ გიწოდა სერაფიტი!
სად ხარ, გვამცნე ხვაშიადი,
ჟამი გასჭერ, გადმოფრინდი,
სუროს კაბით აშრიალდი!
(„საგალობელი“)

ბოლო ლექსი „ბროწეული პიტიახშების სამარეზე“ (მისი გახსენება მერეც მოგვიწევს) საკვირველი მოვლენის პოეტურ გარდასახვას წარმოადგენს; სამარხის თავზე აღმოცენებულ ბროწეულს ღრმად გაეშვა ფესვი, სარკოფაგი გაერღვია და სერაფიტის სამაჯურს ჩახლართვოდა. ეს თავისთავად პოეტური, „უცნაური შემთხვევა“ სიმონ ჩიქოვანმა მოხდენილად გამოიყენა და მომხიბლავად ააჟღერა, სიტყვიერად განსხეულებულ, იშვიათი სილამაზის გაუხუნარ მეტაფორად აქცია:

ბროწეულმა ფესვით კუბო გაარღვია,
საფლავს ჩასწვდა და იპოვა სამაჯური.
სერაფიტის ფერფლი თითქოს დაარხია,
სამაჯურში ფესვი გაჰყო დამანჭული.

ზედმიწევნით ზუსტი და სახიერია შედარება, რაც პოეტმა ბროწეულს შეურჩია — „ქისის მსგავსი“ და ამის მერე სრულიად ბუნებრივია, რომ სამარეზე გახარებული ბროწეული საფლავიდან ამოწოვილ სინოტივეს სიცოცხლის მარჯნისფერ მარცვლებად გარდაქმნის და ეს გაშლილი მეტაფორა ახალ ელვარებას იძენს, სამყაროს სივრცეებს უკავშირდება:

მოგონებით თბილი ფესვი გამოკვება
და ნაყოფში ჩაილაგა ვარსკვლავები.

ამ ლექსის ჩასახვისა და დაწერის ისტორიას გვაცნობს თავად სიმონ ჩიქოვანის ერთი მშვენიერი ჩანაწერი, სადაც

ვკითხულობთ: „მიყვარს ბროწეულის ჩუქურთმასავით გამოკვეთილი წითელი ყვავილი, ღია წითელი, ხანდახან ალისფერი. ბროწეულის ყვავილს ბავშვობიდან ვარ შეჩვეული, ორღობეში მისი წითლად გამონათება ხსოვნაში ჩამრჩენია და დღემდე თანამგზავრივით მომყვება... გაზაფხულზე ბროწეულის ხეებით შემორგული ეზოები მომხიბლავია, უთვალავი წითელი ყვავილით განათებული. შემდეგ ვნახე პიტიახშების სამარხზე ამოსული აყვავებული ბროწეულის ხე. ამ ბროწეულს ფესვით იმდროინდელი სამარხი გაერღვია, საფლავში ფერფლად ქცეული ტურფა ასულის სამაჯური ეპოვა და მას შემოხვეოდა. გერონტი ქიქოძემ ძველ იბერიელთა ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილ წერილში აღწერა ეს საოცარი შემთხვევა. მე კი ლექსი ვუძღვენი პიტიახშებზე ამოსულ ბროწეულს და მისი წითელი ყვავილის ამღერება ვცადე“ (სიმონ ჩიქოვანი, მზიფობისთვეში ჩასული მზე, თბილისი, 2012, გვ. 46).

პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას — იმ მძლავრმა ბიძგმა და მისმა შთაგონებით ანთებულმა ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, რამაც მთელ მის ცხოვრებასა და სამუდამო განსასვენებელსაც სხვაგვარი მადლი მოფინა. ამაზე ბოლოს მოგვიხდება ორიოდე სიტყვის თქმა. გაცნობიერებული გვაქვს — არაერთი საგანგებო დაკვირვების ღირსი ლექსი ყურადღების მიღმა დაგვრჩა, მაგრამ მიუკერძოებელი საერთო სურათი მაინც დაიხატა.

თამაზ ჩხენკელმა, ვისაც არავისგან ესწავლებოდა ჭეშმარიტი პოეზიის ფასი, ახალგარდაცვლილ სიმონ ჩიქოვანზე საუცხოო ესეი გამოაქვეყნა — „მწვანე ბივრიტი“ — სადაც ერთგან საგანგებოდ განიხილავს მის დამოკიდებულებას გურამიშვილისადმი და პოეტის უმნიშვნელოვანესი ქმნილება „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ ლექსების ციკლად მიაჩნია. ძნელია უყოყმანოდ გაიზიარო ასეთი თვალსაზრისი, მაგრამ ესეის ავტორის გულწრფელობასა და მის მიერ გამოთქმულ უმაღლეს შეფასებაში ეჭვს ნამდვილად ვერ შევიტანთ:

„აღსანიშნავია ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. სიმონ ჩიქოვანის ხილვებში ორგანული და რაღაცნაირი ინტელიგენტური სიმშვიდით შემოდის სიბერის, ავადმყოფობისა და სიკვდილის ხატები, რითაც დიდად განსხვავდება სხვა ქართველი პოეტებისგან. და მე ვფიქრობ, ამ ხატების ჩრდილში მიმავალი ბილიკით მიადგა მისი შთაგონება დავით გურამიშვილის „აღსავლის კარს“. ჩემი აზრით, ლექსების ამ ციკლში მიაღწია სიმონ ჩიქოვანის პოეტურმა ენამ ზენიტს“ (სიმონ ჩიქოვანი, გახსენება, თბილისი, 2004, გვ. 90).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — სიმონ ჩიქოვანის პოემებიდან, ჩანაფიქრის მასშტაბურობით და მხატვრული ძალმოსილებითაც აშკარად გამოირჩევა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. იგი ახალი ტიპის ლირიკული პოემაა (ცალკეული ლექსები ქმნის სიუჟეტურ მთლიანობას). ძირითადად, „დავითიანის“ ტექსტს მისდევს; მასში უხვად არის წარმოდგენილი ცხოვრებისეული რეალიები, თვით გურამიშვილის თავს გადახდენილი ხიფათები და, საბოლოოდ, სიუჟეტური ქარგა ძალდაუტანებლად იქსოვება. ცნობილია, პოეტურ და არა მარტო პოეტურ, ქმნილებაში რაოდენ გადამწყვეტია მარჯვედ შეკრული კომპოზიცია და სიმონ ჩიქოვანი აქაც თვალსაჩინო ოსტატობას ავლენს. ვერ ვიტყვით, რომ ამ პოემაში ყველა მონაკვეთი თანაბრად ძლიერი იყოს, მაგრამ ლექსთა ერთი ნაწილი მხატვრულად სრულყოფილი და შთამბეჭდავია.

პოემის პირველივე სტრიქონები („წეროს დარად წიგნში მდგარი ლოცულობ და მოსთქვამ კიდეც...“) აცოცხლებს გურამიშვილის ცნობილ ავტოპორტრეტს და ამავე დროს ქართლის ბედზე მწარედ დაღონებული გენიალური შემოქმედის ნაღველსაც გვაგრძნობინებს. ეს განცდა მთელი პოემის კითხვის მანძილზე არ გვშორდება, რაც ავტორის უპირველეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს. სიმონ ჩიქოვანის ფრაზა უაღრესად მოქნილია, ერთი სტროფითაც შეუძლია გადმოსცეს ლეკთა დამამცირებელ ტყვეობაში ჩავარდნილი პოეტის გაუსაძლისი ტანჯვა:

ქართლში გამკობდა სამკალი ყანა,
როცა ქურდულად დაგესხა მტერი.
გადაგატარეს ასი მთა ძალად,
გადაგაყლაპეს დაღესტნის მტვერი.

ტყვეობიდან რის ვაი-ვაგლახით თავდახსნილი დავით გურამიშვილი მოსკოვში ვახტანგ მეექვსის ამალის წევრებს უერთდება. თვისტომებთან მოხვედრილი პოეტი რუსული ზამთრის გულისშემაღონებელ ღამეებში, სხვებთან ერთად, იავარქმნილი სამშობლოს გადარჩენაზე ფიქრობს. ბუხართან მიმსხდარი ქართველები პეტერბურგიდან სამეფო კარის დახმარებას მოელიან (შვიდ წელს გრძელდება ეს მტანჯველი ყოფა), რაც სამაგალითო ოსტატობით არის გადმოცემული პოემის ერთ-ერთ უძლიერეს თავში — „ლოდინი ვსესვიატსკოეში“. საგანგებოდ შენელებული რიტმი და საამისოდ შეუმცდარად შერჩეული საზომი ხაზს უსვამს ლტოლვილთა ცხოვრების ერთფეროვნებას, მონოტონურობას; ჩვენ თითქოს შესუდრული ციდან ვეება ფანტელების ტაატით დაშვებას შევყურებთ. ხანგრძლივი ზამთრის უდაბურება რომ ვიგრძნოთ, ამოვიწერთ სხვადასხვა ადგილას განლაგებულ სამ სტროფს, სადაც თვითეული რეფრენად გამოყენებული ერთი სიტყვით („ზამთარია“) იწყება:

ზამთარია. ზამთარია თეთრი.
შეჭვარტლული ღამეა თუ უღრანია.
მოღუღუნე ბუხარია ერთი,
მამულზე რომ საუბარი უხარია.
...
ზამთარია. ზამთარია ცივი.
ნათლისღების მოწკარუნე ავდრებია.
რიჟრაჟივით ფიჭვის შეშა ღვივის,
უსაქმობით მელექსენი მრავლდებიან.
...
ზამთარია. ავდარია ცივი.
პეტერბურღით დახმარებას მოელიან,
მშრალი ქარი საკვამურში წივის.
ტყეს წიწვიანს თეთრი თოვლი მორევია.

რამდენი აუხდენელი ოცნება გადაყვა ავად მოგუგუნე იმ ზამთრის ქარბუქებს, რამდენი საამაყო მამულიშვილის ძვლები ჩადნა ჩრდილოეთის გაყინულ მიწაში. მარტო სამი დიდებული, უთვალსაჩინოესი პიროვნების (სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი) დასახელებაც კმარა იმის წარმოსადგენად, რა ტრაგედიები გადაიტანა მტრებისგან გათელილმა, უკიდურესად დაუძლურებულმა საქართველომ.

გარდა იმისა, რომ რუსთველის გენიის მხარდამხარ მდგომი უზარმაზარი ძალის პოეტი იყო, გურამიშვილი უდრეკი, შეუპოვარი მეომარიც გახლდა და მისი მხედრული შემართებაც ჯეროვნადაა წარმოსახული პოემაში.

აქ შეუძლებელია არ ვახსენოთ ჭეშმარიტი ლირიზმით გასხივოსნებული საუკეთესო ლექსთაგანი „გამოთხოვება და ომში წასვლა“, სადაც დიდოსტატის კალმითა და ფერადოვნებით არის გადმოცემული საყვარელ არსებასთან მოულოდნელად განშორების წუხილი. აქაც ყურადღებას იქცევს უკიდურესი ლაკონიზმი, მომჭირნედ თქმის იშვიათი უნარი; სტრიქონთა შორის ძველი ქართული საგალობელის ხატოვანი თქმაცაა ჩართული:

უეცარად ომში მიხმეს,
ტყეში იყავ, სოკოს კრეფდი, ვინანე.
მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,
ვერ გიპოვე, სიმძიმილით ვინამე!

სისხლისმღვრელი ომის შუაგულში მოქცეული პოეტი გასაკვირი არაა, დაჭრან და ამ დროისათვის სატრფოს საშველად უხმობს („მომიტანე თვალით გაზაფხული, შემირჩიე სამ-

კურნალო ბალახი“), ხოლო ამის მომდევნო სტროფი კიდევ უფრო ელვარე, ამაღელვებელია, მშობლიური ქვეყნის ფერებით გაჯერებული; ცალკეულ მეტაფორათა მშვენიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, სიმონ ჩიქოვანი აქ არათანაზომიერ სტრიქონთა ერთმანეთთან ბუნებრივად შეკავშირების, გადაბმის ნამდვილი ბატონ-პატრონია:

მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობელის ბაია.
შენი თვალი ღია სამარეა,
შენი კაბა, ჭრელი ჭიამაია.

პოეტი-მხედარი მეტოქესთან შერკინებისას, ტრაგიკულ ხვედრსაც ითვალისწინებს. მისი განცდები ამ დროს კიდევ უფრო მეტად მღელვარეა, სამშობლოზე ფიქრი განგმირულსაც არ ასვენებს, იგი სხვის ომში მებრძოლს არაფრით არ გავს:

გამაგონე მოთქმა განშორების,
დამაფარე ივერიის ალამი!

სიმონ ჩიქოვანი ხშირად და საგანგებოდ იყენებს „დავითიანში“ გაბნეულ ხატოვან გამოთქმებს („იგავთ ხე“, „ცხოვრების წყალი“, „უკვდავების წყარო“, „ქართლის ჭირი“ და მისთანანი“), აგრეთვე, თხრობას ავსებს სხვადასხვა მინაწერებითა და ჩანართებით (ნაირგვარი გაბაასებანი), რითაც ისევ და ისევ გურამიშვილის კვალს მიჰყვება. ერთ-ერთ ასეთ, მეტად ძლიერ ჩანართში („უცნაური სურვილი“) პოეტი გურამიშვილს მოახლოებულ სიკვდილზე ამეტყველებს და აქ ჭეშმარიტად ქრისტესმიერი ნათელით არის გაბრწყინებული უკვდავებაში გადასვლის მღელვარე წუთები, მართლაც უცნაურად ნაზი, მშობელი მიწის მადლით მოსილი:

ჩემი სიკვდილი თუ მოვა მარტოდ,
უნდა ვიცოდე სახება მისი,
ის უნდა იყოს ზედმეტად სათნო
და თავწაკრული სამშობლოს ნისლით.

კიდევ უფრო ლაღია და უკიდეგანო სივრცეშია გატყორცნილი ლექსის ბოლო სტროფი, უსასრულობასთან შერწყმის ჰიმნად რომ გაისმის. ამის მთქმელი უკვე ტოვებს მიწიერ მიჯნებს და, ცხოვრების მარადმწვანე ხესავით, მარადისობასთან არის წილნაყარი:

წაიღოს ჩემი სიცოცხლის ჩრდილი,
წალკოტში დამრგან გამრჯე მკლავებით.
და მაშრიალოს ღამე და დილით
ფართო ფოთლებით და ვარსკვლავებით.

ზემოთ მიყოლებით მოხმობილ სტრიქონებს ჟღერადობით და სულისკვეთებითაც უთუოდ ენათესავება ქართული პატრიოტული ლირიკისა და თვით სიმონ ჩიქოვანის ერთ-ერთი შედევრი „ვინა სთქვა“, უდიდესი შინაგანი მღელვარებით აღსავსე ლექსი, რომლის სათაურშივე ჩანს პოლემიკური ტონი და რომელიც ყოველ ქართველს სიამაყეს უნერგავს, აქარწყლებს სკეპტიკოსთა შეხედულებას ჩვენი მრავალჭირნახული მამულის სიმცირეზე:

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი.
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

აბა შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები — შემკული სხივების სირმით.
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

ლექსში ნახსენები ქართლის ციხე მხოლოდ თავდაცვის ციტადელს არ აღნიშნავს. ციხე სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში მყარი, უმთავრესი სახე-სიმბოლოა. გავიხსენოთ — დედაზე დაწერილ ორ ლექსში („ნანგრევის სურო“, „ციხით შობილი“) პოეტის გამძაფრებული წარმოსახვა გარდაცვლილ მშობელს სუროშემოხვეულ ციხედ წარმოიდგენს და თავისი თავიც ციხის ნაშობად, მის ნანგრევად მიაჩნია. ამიტომაც ამბობს: „მე ვარ ნატეხი დანგრეულ ციხის“.

ციხე თვით საქართველოს განზოგადებულ სახედაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ვინაიდან სიმბოლოს არაერთი წახნაგი და გაგება აქვს. სიმონ ჩიქოვანი კი ამ ციხის ერთ-ერთი უერთგულესი დამცველი, სამშობლოს თავდადებული და შეუდრეკელი მეციხოვნე გახლდათ.

დღესდღეობით სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აზრს იძენს ლექსის ბოლო, ფინალური სტროფი, სადაც მზერა საუკუნეთა სიღრმეშია გადატანილი, ჩვენი სათაყვანებელი წინაპრის, საქართველოს უპირველესი და უძლიერესი მეფის, დავით აღმაშენებლის საარაკო გმირობას რომ შეგვახსენებს:

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

სისხლსა და ძალადობაზე აგებული „წითელი იმპერიის“ დაშლის ჟამს, მეოცე საუკუნის მიწურულს და შემდგომაც, არეულობის, ქაოსის წლებში, საქართველომ, თავისი უჭკუობისა და გარეშე მტრული ძალების შემოტევის გამო, თავს მოხვეული ეთნოკონფლიქტების შედეგად, ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილი დაკარგა. სწორედ ქართველთა „ბძოლით გაწვრთნილი ხელი“ და დავითისეული სიბრძნე, გონიერება ჭირდება სამართლიანობის აღდგენასა და სავალალოდ დაჯიჯგნილი საქართველოს გამთლიანებას. სიმონ ჩიქოვანის წმინდა ანდერძად დატოვებული ლექსი ამისკენაც მოგვიწოდებს.

* * *

სრულიად განცალკევებული და დიდი თემაა სიმონ ჩიქოვანი, როგორც ლიტერატურის უთვალსაჩინოესი, ღრმა და მეტად ანგარიშგასაწევი მკვლევარი, რასაც, ბუნებრივია წინამდებარე, მოცულობით შეზღუდულ პორტრეტში ვერ ვიტვირთებდით. უბრალო ჩამოთვლაც ცხადს გახდის, რამდენად ფართო და მასშტაბურია მისი თვალსაწიერი.

„სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის სიმღერა“ ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია, რაც „ვეფხისტყაოსანზე“ გამოქვეყნებულა. გასაგები მიზეზების გამო, სიმონ ჩიქოვანს ყველაზე საფუძვლიანად დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება ჰქონდა შესწავლილი, რაც ხელშესახებად აისახა მოზრდილ ნარკვევში: „დავითიანი“ და სარწყავის და წისქვილის ამბავი და მისი მოხაზულობა“.

„ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია“, „ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა“, „აკაკი წერეთლის ლირიკული ლექსები“, ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ელფერი და მისი პოეტური შემოქმედება და სხვა წერილები ცხადყოფს თუ რაოდენ ღრმად და საფუძვლიანად იცოდა მან მეცხრამეტე საუკუნის ქართველი კლასიკოსები. დიდი ამაგი დასდო სიმონ ჩიქოვანმა, აგრეთვე, ვასილ ბარნოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობას („ვასილ ბარნოვის თხზულებათა გარშემო“). აქ ჩამოთვლილმა წერილებმა სიმონ ჩიქოვანის ოთხტომეულის მესამე ტომი შეადგინა.

ასევე დიდად საყურადღებო, პრობლემური ხასიათის წერილებია შეტანილი ბოლო, მეოთხე ტომში. ამათგან შეგვიძლია დავასახელოთ: „შენიშვნები ვაჟა-ფშაველას სალიტერატურო ენის გამო“, „დავით გურამიშვილი დაღესტანში“, „ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები“, „ტიციან ტაბიძის ლექსების წიგნი“, „ლადო ასათიანის ლექსების წიგნის წინასიტყვაობა“, „ნიკოლოზ ზაბოლოცკი“, „მიკოლა ბაჟანი“, „ალექსანდრე ბლოკი“ და სხვები.

საგანგებოდ უნდა ვახსენოთ პოლემიკური ხასიათის ძალზე აქტუალური, პრინციპული წერილი „ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის საკითხები“, სადაც სიმონ ჩიქოვანი არაერთ ახალ მოსაზრებას გამოთქვამს და არ ერიდება მძაფრ კამათს ისეთ უზარმაზარ მეცნიერთან, როგორიც კორნელი კეკელიძე გახლდათ.

* * *

შეუძლებელია ზოგი რამ არ ითქვას იმ უმჭიდროეს მეგობრობაზე, რაც ათეული წლების მანძილზე სიმონ ჩიქოვანს საქართველოს უერთგულეს ჭირისუფალთან, დიდ რუს პოეტთან ბორის პასტერნაკთან ჰქონდა. ამ ურთიერთობის ამსახველი მრავალი ფაქტი არსებობს.

ცნობილია როგორ დაუნდობლად, შეუბრალებლად მოქმედებდა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში საბჭოთა რეპრესიული აპარატი, რამდენი უდანაშაულო ადამიანისა და, მათ შორის, მწერლების სიცოცხლე შეინირა სისხლიანმა, განუკითხაობის სიმბოლოდ ქცეულმა რეჟიმმა.

ასეთ დროს ვინმეს დასაცავად ხმის ამოღება ნამდვილი გმირობა იყო, საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგდებას ნიშნავდა და ეს გააკეთა სიმონ ჩიქოვანმა ბოროტი თავდასხმის ობიექტად ქცეული დიდი შემოქმედის ბორის პასტერნაკის გამო.

1937 წლის 3 აპრილს სიმონ ჩიქოვანი (იგი მოსკოვში ჩატარებული იდეოლოგიური თათბირიდან ახალი დაბრუნებული იყო) წერილი გაუგზავნა გავლენიან რუს კრიტიკოსს ვიქტორ გოლცევს, ვინც ქართულ მწერლობას თავისებურად მეურვეობდა და თვალსაც ადევნებდა. არქივიდან ამოღებული დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია, იგი მთლიანად უნდა მოვიტანო:

„ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ აქ გაიმართა საერთო კრება პლენუმის შედეგებზე და ეს გაგრძელდა სამ დღეს. მე იძულებული გავხდი გამოვსულიყავი და უმადური ღორებისგან დამეცვა პასტერნაკი. ვთქვი, რომ პასტერნაკმა დიდი პოლიტიკური საქმე გააკეთა, როცა თარგმნა ქართველი პოეტები და რომ იგი, საერთოდ, კავშირის საუკეთესო პოეტია. ჩემი გამოსვლით მე შევარცხვინე პასტერნაკის რამდენიმე აქაური ახლო მეგობარი, მის წინააღმდეგ რომ ილაპარაკეს. ჩემი გამოსვლა მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. არაფრით არ ეგონათ, რომ მე ხმამაღლა ვიტყოდი სიმართლეს“ (Наталья Грамова, Узел, Поэты: дружбы и разрывы”, М., 2006).

ეს „ხმამაღლად ნათქვამი სიმართლე“ სიმონ ჩიქოვანს შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა, მაგრამ იგი არ შეუშინდა სინდისზე, კაცობაზე ხელაღებულ ადამიანებს, რომელთა გვარებსაც წერილში არ ასახელებს.

ბორის პასტერნაკი დიდ ანგარიშს უწევდა სიმონ ჩიქოვანის თვალსაზრისს პოეზიაზე, ამა თუ იმ ლექსზე და როდესაც თავისი გახმაურებული რომანისთვის ჟივაგოს ლექსების საბოლოო ვარიანტებს აზუსტებდა, 1953 წლის 29 ოქტომბერს ტიციან ტაბიძის მეუღლეს ნინა ტაბიძეს წერილთან ერთად გამოუგზავნა ერთ-ერთი ლექსი („ზღაპარი“), რომელშიც ურჩხულის გამგმირავი წმინდა გიორგის ხატი ილანდება. პასტერნაკმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ქართველთა ყოფა და ისტორია, ისიც — რაოდენ ძლიერია ამ ღვთაების კულტი საქართველოში და აინტერესებდა უშუალოდ სიმონ ჩიქოვანისეული შეფასება ოთხ ნაწილად გაყოფილი ამ ლექსისა, რომლის ბოლო, მეოთხე ნაწილი მთლიანად იავნანას ხმაზე იყო გაწყობილი (დედაბერი უმღეროდა თავის ბადიშს ცხენზე ამხედრებულ გმირზე); ლექსის ეს აცეკვებულ-ამჩატებული ვარიანტი თვით პასტერნაკსაც აეჭვებდა („ასეთი გიორგი როგორ გავაგზავნო საქართველოში! ეს ხომ თავხედობაა!“ — წერდა იგი). პასტერნაკი თვით ადრესატს ასე მიმართავდა: „გეთაყვა, აჩვენეთ ჩიქოვანს და რჩევა ჰკითხეთ. იგი ერთადერთი ადამიანია რუსეთში, ვის გემოვნებასა და გაგებასაც შემიძლია დავენდო“ (Борис Пастернак, Собрание сочинений в пяти томах, Том третий, М., 1990).

აშკარად ჩანს, ნინა მაყაშვილმა, თავისი ოჯახის დიდ მეგობარსა და მფარველს თხოვნა შეუსრულა, სიმონ ჩიქოვანს წააკითხა ის ვარიანტი და მანაც დაადასტურა ავტორის ეჭვი, რის შემდეგაც პასტერნაკმა „ზღაპარს“ უყოყმანოდ ჩამოაშორა შეუსაბამო მეოთხე ნაწილი.

ბორის პასტერნაკს თვით სიმონ ჩიქოვანთანაც ჰქონდა მიმოწერა თავისი ცხოვრების კრიტიკული პერიოდის ჟამს, როცა „ექიმ ჟივაგოს“ გამო (ნობელის პრემიაზე უარი ათქმევინეს) საშინლად ავიწროებდნენ, 1957 წლის 23 აგვისტოს პერედელკინოდან წერილი გაუგზავნა სიმონ ჩიქოვანს და სხვა ამბებთან ერთად ატყობინებდა, რომ ცენტრალურ კომიტეტთან და მწერალთა კავშირთან გაურთულდა მდგომარეობა, რაც სიკეთეს არ უქადდა.

პოეტი გრძნობს ქარიშხლის მიახლოებას და თავის განგაშს უმხელს მეგობარს: „...სავსებით ცხადია, როგორ სასიკვდილო მუქარებსა და უსიამოვნებას მიმალავს ყველაზე უახლოესი წლები“. იქვე სინანულს გამოსთქვამდა, რომ უმთავრესის მოყოლა არ შეეძლო (Борис Пастернак, Собрание сочинений в пяти томах, Том пятый, М., 1992).

მეორე, მოსკოვიდან გამოგზავნილ ბარათს თარიღად იმავე 1957 წლის 6 ოქტომბერი უზის და ძირითადად წარმოადგენს შთაბეჭდილებას ტიციან ტაბიძეზე დაწერილ სიმონ ჩიქოვანის სტატიაზე, რომელიც მას დიდი კულტურის გამოვლინებად მიაჩნია. პასტერნაკს აწუხებს, რომ ბევრი ვერ ჩაწვდება სიმონ ჩიქოვანის დაწერილის სიღრმეს და ამიტომაც კითხვა უჩნდება: „ვისთვის ფეთქავს თქვენი ძიებების ძარღვი, თქვენი სიზუსტე, თქვენი დახვეწილობა და თქვენ მარტოულ ცოდნათა შეკუმშულობა?“

ეს ის პერიოდია, როცა თავისი რომანის გამო ბორის პასტერნაკი ხელისუფლების მხრიდან ინკვიზიტორულ დევნას განიცდიდა და გულს უხსნის მეგობარს, რასაც სხვებთან არ აკეთებდა. აქ უნდა მოვიტანოთ მცირე აბზაცი მაშინდელი დროის უკუღმართობაზე. ბორის პასტერნაკი დაუფარავად წერს:

„ნაწარმოების ბედი უნდა გამოცალკევდეს მწერლის ბედისგან, იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მისგან განსხვავებული. ეს ბუნებრივია დიდი ადამიანებისა და დიდი ლიტერატურის მიმართ, ეს ბავშვებსაც კი ესმით ხელოვნებისთვის ბედნიერ ეპოქაში, და ამას ვერავინ იგებს ჩვენს დროში, რომელიც ასე ცდილობს, ადამიანში ჩაკლას მხატვარი, ასე ღამობს პიროვნების განადგურებას, სპობს მის ჩვენეულ გაგებას“.

* * *

სიმონ ჩიქოვანს მრავალი უსიამოვნება შეხვდა პირად ცხოვრებაში, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება მხედველობის დაკარგვა იყო. მისნაირი შემოქმედისათვის, ვინც ფერს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ასეთ ტრაგედიას ვერაფერი შეანელებდა. ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი ქალბატონი მარიკა ელიავა ყველაფერს უკითხავდა, რაც აინტერესებდა (ამ მხრივ მისი დღიურები ძვირფას მასალას იძლევა) და თავის ლექსებსაც ბოლო წლებში იგი მარიკასვე კარნახობდა.

პოეტის ბიოგრაფიის ამ ყველაზე უფრო ტრაგიკულ მომენტზე ბევრმა დაწერა, მაგრამ არჩილ სულაკაურის დარად

არავის დაუხატავს თვალისჩინწართმეული შემოქმედის ზემგრძნობიარე განცდები, სამყაროს შეცნობის უცნაურად გამძაფრებული, შეუმცდარი უნარი. არჩილ სულაკაური წლების მანძილზე მუშაობდა „მნათობში“ სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობის დროს და მოგვიანებით თვითონაც ამ ჟურნალის რედაქტორი გახდა. უფროს მეგობარზე დაწერილ მის საუკეთესო მოგონებაში — „სიმონ ჩიქოვანის გახსენება“ — ვკითხულობთ:

„სიმონ ჩიქოვანი თავისი ბუნებით შემფასებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული იუველირი იყო და, თითქოს ეს თვისებაც თანდაყოლილი ჰქონდა. დახედავდა თუ არა, მაშინვე იტყოდა, რა წყლის თვალი, ან როგორი ხარისხის ოქრო იყო ან, საერთოდ, იყო თუ არა ოქრო. ყალბ მონეტას ვერ შეატყუებდი“.

ამის მერე, „მნათობიდან“ სრულიად უსამართლოდ გათავისუფლებულ და ორთავ თვალით დაბრმავებულ ძვირფას მოძღვარზე არჩილ სულაკაური ხატოვნად, შეკავებული შინაგანი მღელვარებით წერს:

„ბოლო ხანებში, ბატონი სიმონი, დაემსგავსა ბალზაკის მოხუცებულ ბრმა იუველირს, რომელსაც პატიოსანი თვლებისა და ოქროს ელვარებამ თვალები დაუვსო. პარიზის ქუჩებში მოსეირნე მოხუცი შეუცდომელი ალღოთი ჩერდებოდა იმ ვიტრინისა თუ დარაბის წინ, რომლის მიღმაც ოქრო და თვალ-მარგალიტი ბრწყინავდა, იუველირი ვეღარ ხედავდა, მაგრამ უტყუარად გრძნობდა მათ ელვარების სინაღდეს“ (მოგონებები, წერილები, ლექსები სიმონ ჩიქოვანზე, 2009).

ვისაც სიმონ ჩიქოვანის განუმეორებელი ფენომენის, გამორჩეული პოეტური სამყაროს, მისი თავისებურებების თითქმის ამომწურავი, ყოველმხრივი შეგრძნობა სურს, მან უთუოდ უნდა წაიკითხოს ოთარ ჩხეიძის მრავალპლანიანი, უბრწყინვალესი ესეი „მუზა სიმონ ჩიქოვანისა“, რომელიც განუზომლად სცილდება დასათაურებას (მასში სამაგალითოდ ნათქვამია, რომ ამდენი შთაგონებული ლექსი საყვარელი არსებისათვის ქვეყანაზე არცერთ პოეტს არ მიუძღვნია უძველესი დროიდან დღევანდლამდე). ესეის ავტორი ოსტატურად გადმოგვიშლის უკვე მზერადაშრეტილი შემოქმედის ტრაგედიასა და ხასიათის დაფარულ შრეებს.

თუ რაოდენ ნატიფი სული ჰქონდა ოთარ ჩხეიძის უღალატო, მუდამ მხარში მდგომ და უკეთურთაგან ვერაგულად გამეტებულ უფროს მეგობარს, ამის ნათელსაყოფად ერთი მომხიბლავად დამუხტული და დასურათხატებული ნაწყვეტის მოხმობაც იკმარებს: „...იმის აღტაცება, თავისებურება თუ უცნაურობა ისიც იყო, რომ შეეძლო გახარებულიყო, სილამაზე დაენახა თვით ჩვეულებრივსა და უმნიშვნელო საგნებში, ერთი შეხედვით ჩვეულებრივსა და უმნიშვნელოში. შეეძლო გახარებულიყო და საათობით ხელში სჭეროდა ყურძნის მტევანი, საათობით ხელში სჭეროდა და ერთი რა არის, ერთი ცალიც არ გამოემარცვლა, არ დაეკარებინა პირი; შეეძლო ასევე ატამიცა სჭეროდა ხელში, ბუსუსიანი ატამი, სჭეროდა და არ დაესრისა ბუსუსი; ეს სიყვარული გახლდათ და ხილვა იყო მშვენიერებისა ბუნების ნაყოფში; ეს ხილვა იყო და მგრძნობიარება, ხილვა და განცდა, ეს ხილვა იყო და ფილოსოფიური ჭვრეტა, მის პოეზიაში რო გადადიოდა“.

სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას ურთიერთობაზე ინტიმურ, ოჯახურ გარემოში ბევრ საინტერესო, ფართო საზოგადოებისათვის უცნობ ფაქტს გვაწვდის ქალბატონ მარიკას დისწული ლიზიკო გაბუნია მშვენიერ, ცოცხლად დაწერილ მოგონებაში „სიმონთან ახლოს“ (ილია ჭავჭავაძესა და ოლღა გურამიშვილს თუ არ გავიხსენებთ, მათნაირი ჰარმონიული და ერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმარი ქართულმა მწერლობამ არ იცის). ლიზიკო გაბუნია იშვიათი სინაზითა და პოეტურობით ხატავს უსაყვარლეს დეიდასთან ერთად თავისი საამაყო ბიძის უაღრესად ადამიანურ ბუნებას, ხასიათის კეთილშობილებას, იმასაც, როგორ ცდილობდა სიმონ ჩიქოვანი ყველა ნიჭიერ შემოქმედს დახმარებოდა, მათთვის გზა გაეკვალა.

* * *

თუკი საფლავის სილამაზეზე შეიძლება ილაპარაკო, ამ მხრივ სიმონ ჩიქოვანს ნამდვილად გაუმართლა — უკეთესს ვერაფერს ინატრებდა. მთაწმინდის პანთეონში, სულ განაპირას, რკინის მოაჯირთან მდებარე მისი სამუდამო განსასვენებელი ყველაზე სადად და მიმზიდველად გამოიყურება. მეხს თითქოს შუაზე გაუპიაო რუხი მარმარილოს ლოდი; ტეხილი, ფართო ხაზით ორ ნაწილადაა განცალკევებული და მაინც მთლიანად, მონოლითად აღიქმება. შუაში ჩარგული ბრონეულის ხე უკვე კარგად დამსხვილებულა და გაზაფხულობით ჰყვავის, ალისფრად გადავარვარებული, შემოდგომაზე ნაყოფითაც იხუნძლება.

გვახსოვს, სარეცელს მიჯაჭვულმა, სიმონ ჩიქოვანის უერთგულესმა მეუღლემ ქალბატონმა მარიკამ გარდაცვალების წინ დაიბარა — ჩემი ფერფლი სიმონის საფლავზე მოაბნიეთო. როგორც ადრე ვთქვით, ვაჟმა, ნიკა ჩიქოვანმა, მთელმა სანათესაომ, ოჯახის უახლოესმა ადამიანებმა შეუსრულეს უკანასკნელი სურვილი. ახლა უკვე, ამდენი წლის მერე, მარმარილოს ლოდის მარცხენა მხარეს, უჟანგავი ლითონის ვერცხლისფერ ასოებად ჩამოსხმული მისი სახელია დაკრული — „მარიკა“. მშვიდად, აუღელვებლად ვერ დახედავ იმ მოელვარე, საფლავივითვე სადა წარწერას; რამდენი რამის მაცნე და მთქმელია ეს ერთი სიტყვა. ოღონდ ეგაა — მიწაში ღრმად ჩაჭრილი ბრონეულის ფესვი ამაოდ დაუწყებს ძებნას ქალის ძვირფას სამკაულს — ოსტატის ხელით ნაჭედ სამაჯურს, რომ ჩაეხლართოს და რგოლში საცეცები გაჰყოს — პოეტის უჭკნობმა მუზამ ფერფლად ქცევა ისურვა.

ისიც არანაკლებ საკვირველია — როგორ შეფერის, ესადაგება განუყრელი ცოლ-ქმრის საერთო სამარეს ეპიტაფიად გამოსადეგი, აღთქმასავით წმინდა სტრიქონები პოეტისა:

...ერთად ვიყავით, ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით,
სინამდვილეა, არ ეგონოს არვის იგავი.
დაფნა რად გვინდა, გავეხვიოთ ციხის სუროში
და როს მოვკვდებით, მოვთავსდებით ერთად კუბოში.

ნონა კუპრეიშვილის კრიტიკული რეფლექსიები

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის მცირე დარბაზში **ნონა კუპრეიშვილმა** წაიკითხა ლექცია თემაზე — **„პოსტსტალინური და შემდგომი ეპოქების კრიტიკული რეფლექსიები“.**

საუბარი შეეხებოდა: **ოთარ ჩხეიძეს, მიხეილ კვესელავას, არლი თაყაიშვილს, აკაკი ბაქრაძეს, რევაზ თვარაძეს** და ქართული კრიტიკის სხვა მნიშვნელოვან წარმომადგენლებს.

ქ-ნ ნონას აღნიშვნით, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ქართული კრიტიკის არარსებობაზე, როცა არსებობენ ეს ადამიანები, როცა არსებობს მათი ნაშრომები. მისივე თქმით, ხშირად ამა თუ იმ კრიტიკოსს ადარებენ ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ რომელიმე მოღვაწე გამოვტოვოთ...

თემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვეს: **თამარ კობახიძემ** და **მარიამ წიკლაურმა**.

ქ-მა ნონამ უპასუხა **თინა იაშვილის** და **ციალა არდაშელიას** კითხვებს და საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ინტერესისთვის.

თეო კაპანაძე

ეკა ბუჯიაშვილი

...როცა ასეთი მსახიობი თამაშობს

შეხვედრა დავით დვალიშვილთან

თეატრისა და კინოს მსახიობი, არაერთი დასამახსოვრებელი სახე რომ შექმნა, ვისი მოღვაწეობაც დასტურია იმისა, რომ არ არსებობს მეორეხარისხოვანი როლები, როდესაც კინოკამერის წინ ან სცენაზე ამ რანგის მსახიობი დგას, — ასე გახსნა **როსტომ ჩხეიძემ** შეხვედრა ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** სალონში, სადაც სტუმრად **დავით დვალიშვილი** იმყოფებოდა და ის დრო გაიხსენა, როდესაც ბატონი დავითი, როგორც მსახიობი, პირველად აღმოაჩინა.

* * *

ეს იყო ჯემალ ქარჩხაძის ნოველის მიხედვით დადგმული სატელევიზიო სპექტაკლი „ოპერაცია „დეიდა ტასო“.

მთავარი გმირი, მამიდა ტასო, მამიდას არავის აძახებინებს: ამ სიტყვაში მემკვიდრეობაზე პრეტენზია გაისმისო. არადა, უტრიალებენ ნათესავები, როგორმე მისი ბინა რომ ჩაიგდონ ხელში, ის კი არავის იკარებს. და აი, ერთ-ერთი ნათესავი, შორეული, მაგრამ მიზანდასახული და მოხერხებული, ასეთ გზას აირჩევს მასთან დასაახლოებლად — თეატრალური ხელოვნების ტრფიალ მამიდა ტასოს თავს მოაჩვენებს, რომ თვითონაც გადარეული თეატრალია და სხვა არაფერი აინტერესებს, ოღონდაც კი სპექტაკლებს დაესწროს მასთან ერთად.

ნათესავი, რომლის როლსაც ბატონი დავითი ასრულებს, თავის მიზანს მიაღწევს. მამიდა ტასო კი მეზობელს, რომელიც მის გონს მოყვანას ცდილობს — ნუთუ ვერ ხვდები, რომ გულწრფელი მიზნები არ ამოძრავებს და შენი ბინის ხელში ჩაგდება უნდაო — ეუბნება: ამას ძალიან კარგად ვხედავ, მაგრამ თეატრი ჩემი სისუსტეა, მან კი ბრწყინვალედ ითამაშა თავისი როლი, ერთი სიყალბე, ერთი უზუსტობაც არ გაპარვია და ბინა სწორედ ამაში ეკუთვნისო.

— წარმოიდგინეთ, როგორ უნდა განასახიერეროს ეს პერსონაჟი მსახიობმა, რომ მაყურებელმა ირწმუნოს მისი სიყვარული თეატრისადმი და იფიქროს, რომ თვითონაც მოიტყუებდა თავს მამიდა ტასოს ადგილას.

სწორედ ასე ითამაშა ეს როლი დავით დვალიშვილმა, ერთი ყალბი, ერთი არაზუსტი ნოტიც არ გაპარულა მთელი სპექტაკლის განმავლობაში და დაუვიწყარი სახეც ამიტომ შექმნა.

კიდევ ერთი გმირი, რომელიც განსაკუთრებულად დამამახსოვრდა მისი შემოქმედებიდან, არის სოლომონის სახე სპექტაკლში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. ამ როლის თამაში ძალიან რთულია, რადგან არ არის მარტივი და ერთგანზომილებიანი პერსონაჟი. ბატონი დავითის პროფესიონალიზმისა და ოსტატობის წყალობით, სპექტაკლში შთამბეჭდავად წარმოჩინდა ხასიათის ეს მრავალშრიანობა. გამორჩეულად კი იმ ეპიზოდს გავიხსენებდი, როდესაც საკურთხეველთან მდგომ სოლომონ ისაკიჩს მოატყუებენ და მომხიბლავი გოგონას ნაცვლად გონჯ ქალს შეაპარებენ (მოგვიანებით ლავრენტი არდაზიანის მოთხრობის ამ სცენის მსგავსი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძემაც გამოიყენა მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“). ასეთი კონტრასტული გარდასახვა რომ ითამაშო — ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე მყოფი სოლომონი უეცრად თავზარდაცემული რომ რჩება — ძალიან დიდი ოსტატობა სჭირდება, რასაც ასე კარგად გაართვა თავი მსახიობმა.

დასამახსოვრებელი სახე შექმნა სპექტაკლშიც „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, სადაც ნოე ჟორდანია სწორედ ისეთად გააცოცხლა სცენაზე, როგორიც იყო სინამდვილეში, და არა გაიდეალებულ ეროვნულ მოღვაწედ, როგორადაც ცდილობენ მის წარმოჩენას.

დავით დვალიშვილმა საგულისხმო კვალი დააჩნია ტელესერიალებსაც, რითაც დაადასტურა, რომ მისნაირი მსახიობები ახერხებენ ამ ჟანრის ფილმებიც საინტერესო გახადონ, სერიალების თამასაც აწიონ და შეაყვარონ მაყურებელს, — თქვა ბატონმა როსტომმა და სიტყვა გადასცა მომხსენებელს, თეატრმცოდნე **გუბაზ მეგრელიძეს**, ვინც ვრცლად შეაფასა დავით დვალიშვილის შემოქმედება. აი, ამონარიდებიც ამ მოხსენებიდან:

* * *

— ბატონი დავითის შემოქმედებას დიდი ხანია ვიცნობ, ორი წლის წინათ კი ფილმშიც გადაგვიღეს ერთად — სენაკელი რაბინის ცხოვრებას რომ ეხებოდა. იგი შესანიშნავი პარტნიორია, თავისი უშუალობითა და პროფესიონალიზმით ძალიან გამიიოლა მუშაობა.

მან კარგად იცის ქართველი კაცის ბუნება, სატკივარი და საფიქრალი, რაც საინტერესოდ აისახება მის გმირებზე. ამიტომ რომელ თეატრშიც უნდა ემუშავა (ქუთაისის 1970-80), ახმეტელის (1980-82) თუ მარჯანიშვილის (1982 წლიდან დღემდე), ყველას თავისი განუმეორებელი კვალი დაჩნია. თუკი პრესასაც გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ყველა თეატრს, ყველა შემოქმედებით კოლექტივს საოცრად ეთვისებოდა და მისი განუყოფელი ნაწილი ხდებოდა, რაც ასევე ძალიან დასაფასებელია.

ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს:

— ღმერთის მწამს, სანთლის მწამს და მეტი რწმენა რაღა გინდათ?!

აქედან ჩანს მისი პიროვნული თვისებები, ადამიანების სიყვარული, საერთოდ, ადამიანისადმი რწმენა, სიკეთისკენ სწრაფვა, რისი დასტურიცაა მისი ცხოვრებაც და შემოქმედებაც.

დავით დვალიშვილი ბატონ გუბაზს პირველად ქუთაისის თეატრში უნახავს სპექტაკლში „ვალი“ და დღესაც თვალნათლივ ახსოვს სცენა — თანასოფლელები ისტორიულ სამშობლოში აცილებენ ახლობლებს, ბატონმა დავითმა კი ველოსიპედით უნდა გაიაროს და ამ ეპიზოდური გამოსვლით, ერთი გაელვებით სცენაზე, ისეთი დასამახსოვრებელი სახე შექმნას, ყოველ სპექტაკლზე აპლოდისმენტებიც რომ მოჰყვება.

დავით დვალიშვილი ის მსახიობია, ყველა როლით სახასიათო პერსონაჟს რომ ქმნის. სწორედ ასეთად დაიმახსოვრა მაყურებელმა მისი გმირები: ქუთაისის თეატრში — გიორგი მეფის ორეული („დიდოსტატის მარჯვენა“), ილარიონი („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ტიგრან გულოიანი („საბრალდებო დასკვნა“), სგანარელი („ძალად ექიმი“), პორფირი („ქამუშაძის გაჭირვება“) და სხვა.

ახმეტელის თეატრში: წინამძღოლი („ოპტიმისტური ტრაგედია“), მუსა („მთანი მაღალნი“), მილიციელი („ცრუ ღმერთები“)... ტრადიციულად გროტესკული აპრაკუნესაგან

(„აპრაკუნე ჭიმჭიმელი“) მან თანამედროვე კორუმპირებული ფუნქციონერის სახე შექმნა, რითაც ახლებურად წარმოაჩინა ეს პერსონაჟი.

მარჯანიშვილის თეატრში კი, ბატონი გუბაზისავე თქმით, არსებობდა საშიშროება, რომ იმდროინდელ მსახიობთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედში ჩაკარგულიყო, მაგრამ მან იპოვნა თავისი ადგილი და ივანეს როლიდანვე („ჯაყოს ხიზნები“) ორგანულად ჩაეწერა სახელოვან დასში. მსახიობის მიერ შექმნილი ყაშას სახე („ლამბალო და ყაშა“) კი, სიკეთის გასანადგურებლად არავითარ სიბოროტეს რომ არ ერიდება, მაყურებელმა მეტად სახასიათო, ცინიკური გამოხედვით დაიმახსოვრა.

ფრონტელი ჯარისკაცი („ადამიანი იბადება ერთხელ“) ადამიანურ ტრაგედიას გამოხატავდა საოცარი ემოციურობით, ყვარყვარესგან კი („ყვარყვარე თუთაბერი“), გარდა იმისა, რომ კომიკური თვისებები მიანიჭა, თანამედროვე მოყალბე პოლიტიკოსის, უფუნქციო, მატყუარა და მედროვე ადამიანის საშიში ტიპი გამოძერწა.

— კიდევ შეიძლება დავასახელოთ მნიშვნელოვანი როლები მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან — ვთქვათ, გოროდნიჩი („რევიზორი“), ოფიცერი („მგზავრის წერილები“), ლუარსაბი („ლუარსაბ თათქარიძე“), ჟონა („ანტიგონე“) და სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. დავით დვალიშვილის შემოქმედება ხომ 80-მდე თეატრალურ და 18 კინოროლს ითვლის, რომლებმაც თავიანთი განუმეორებელი ადგილი დაიმკვიდრეს თეატრისა და კინოს ისტორიაში.

დღევანდელი სავსე დარბაზიც სწორედ ამ სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველია.

* * *

ყველაფერი სკოლაში დაიწყო, თეატრალური წრით, სადაც სპექტაკლებს დგამდნენ ხოლმე.

სამტრედიაში სწავლობდა და იქაურ კულტურის სახლშიც დადიოდა. იყო ასეთი კაცი, არქიფო სიგუა, რომელიც — ამ გადასახედიდან რომ გაჰყურებს — მსოფლიო დონის კომიკოსი იქნებოდა ალბათ. უცდიათ კიდეც მისი გადმოყვანა თბილისში, მაგრამ არ წამოჰყოლია — წერა-კითხვა არ იცოდა თურმე. როლებს შვილი უკითხავდა და ისე ასრულებდა.

სწორედ ამ კაცმა ათამაშა ერთხელ სკეტჩში.

ანდრო კანდელაკმაც, შესანიშნავმა პედაგოგმა და ქართველმაც, ბევრწილად განსაზღვრა მისი ინტერესები.

და იყო ასეთი მიზეზიც: ერთი გოგოს სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდებოდა, მაგრამ დაფარულად არ დარჩებოდა, რადგან ერთი ჩვეულებრივი ბიჭის უჩვეულო ცხოვრებასა და პროფესიულ გზას განსაზღვრავდა და წლების შემდეგ უკვე ცნობილი მსახიობი ლიტერატურულ სალონში შეკრებილ საზოგადოებასთან ღიმილით გაიხსენებდა თეატრზე შეყვარებული იმ პატარა გოგოს ფრაზას, მეგობრისთვის ნათქვამს: მხოლოდ მსახიობს თუ გავყვები ცოლადო.

აი, ასე მიეწყო ერთმანეთს ყველაფერი და...

როგორც მსახიობზე კი დავით დვალიშვილზე დიდი გავლენა იქონია გრიგოლ ტყაბლაძემ.

— საერთოდაც დიდებული მსახიობები გვყავდნენ, — ამბობს, — თაობები იზრდებოდნენ მათ შემოქმედებაზე, ახლა კი...

ახლა ყველაფერი სხვანაირადაა.

სკოლა დაიკარგა და პედაგოგი აღარ არსებობს.

განა შეიძლება, თეატრისა და კინოს ინსტიტუტში მეტყველებისა და მოძრაობის კათედრები არ იყოსო?

დირექციას ფულიანი უნიჭო ურჩევნია უფულო ნიჭიერის მიღებასო.

უნიჭო კაცი თეატრში რომ მოვა, ბოროტი და ინტრიგანი ხდება;

როსტომ ჩხეიძე და დავით დვალიშვილი

უნიჭო კაცი, საერთოდ, ყველგან საშინელებაა და ხელოვნებაში ხომ საერთოდ ტრაგედიაა.

პარტნიორებიდან თვითონ ოთარ მეღვინეთუხუცესს გამოარჩევს — ისეთი შემოხედვა იცოდა, მეტი არაფერი გჭირდებოდა, მზერა განგაწყობდა და გათამაშებდაო.

კიდევ — ნოდარ მგალობლიშვილს, ვისთანაც, მართალია, მხოლოდ ორჯერ მოუწია სცენაზე დგომა — „ჯაყოს ხიზნებსა“ და „სოლომან მორბელაძეში“, მაგრამ გამორჩეულად კი დაამახსოვრდა მასთან ერთად მუშაობა.

— საერთოდ მსახიობობა, ნიჭის გარდა, ურთიერთდახმარებაცაა სცენაზე. სწორედ ეს არის პარტნიორობა, რაც დღეს აღარ არსებობს.

ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა — საკუთარი პერსონაჟი ადამიანივით რომ უნდა გიყვარდეს, ყოველი სპექტაკლი რომ ხელახლა უნდა ითამაშო, იშვიათად თუ ახსოვს ვინმეს;

სპექტაკლიდან სპექტაკლამდე მხოლოდ ტექსტსა და ტანსაცმელს იცვლიან მსახიობები.

ხან — ტექსტსაც არა!

* * *

— ბატონო დავით, მსახიობები ხშირად ამბობენ, რომ სცენაზე თამაში მათთვის, პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია და მრავალმხრივ საგულისხმოც, თუმცა პოპულარობას მაინც კინო განსაზღვრავს. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ? და კიდევ: ოდესმე თუ გინანიათ საკუთარი არჩევანი?

— ალბათ ასეა. კაცმა არ იცოდა ჩემი არსებობა, ვიდრე იმ „ჯადოსნურ ყუთში“ არ მაჩვენეს. თეატრალები და თეატრის მოყვარულები კი მიცნობდნენ, მაგრამ ფართო საზოგადოებამ მხოლოდ ამ სერიალით „წვრილვარსკვლავთა ღამე“ გამიცნო.

სინანულით კი არაფერი მინანია.

ან რაღა დროს ჩემი სინანულია.

— მაგრამ იმ გოგოს რომ ეთქვა...

— იმ გოგოს რომ ეთქვა, ასტრონომები მომწონსო, ვინ იცის, იქნებ ევგენი ხარაძის ადგილზეც მემუშავა...

არადა, ცოლად აღარ გამომყოლია...

ხდება ცხოვრებაში ასეც — იცვლება ხოლმე რაღაცები...

— შემინიშნავს, ერთი თეატრის მსახიობები ხშირად არ დადიან მეორე თეატრის სპექტაკლებზე. თქვენ ამას წინათ „მარია კალასზე“ დაგინახეთ... როგორ შეაფასებდით ამ სპექტაკლს და... თეატრალურ ცხოვრებაში გამოკვეთილ ამ ტენდენციასაც?

— ბრიყვული საქციელია.

უნდა ნახო სხვა თეატრში რა ხდება, თუ არადა ითამაშე შენთვის და იყავი, ასე ვერ გაიზრდები პროფესიული თვალსაზრისით.

„მარია კალასი“ კი დიდებული სპექტაკლია. რომ ამბობენ, რობერტ სტურუას მსახიობი არ აინტერესებსო... აი, სად არის იგი ჩაკარგული მსახიობებში. სწორედ ამ სპექტაკლის შემდეგ ვთქვი, ისე როგორ უნდა მოკვდე მსახიობი, რომ რობიკოსთან არ იმუშაო-მეთქი.

— **კიდევ რომელ რეჟისორთან ისურვებდით მუშაობას?**

— თემურ ჩხეიძესთან.

— **საერთოდ რას იტყოდით თანამედროვე რეჟისურაზე?**

— დღეს რეჟისურა დაბერდა საქართველოში, დარჩნენ მხოლოდ თემურ ჩხეიძე და რობერტ სტურუა, რომლებიც თვითონ არიან მარად ახალგაზრდები. ერთი-ორი რეჟისორი ახალ თაობაშიც მეგულებოდა, მაგრამ ბოლო დროს მათი ძიებანი ისეთი ხელოვნური მეჩვენა, თვითონ გაიკეთეს, მგონი, ხარაკირი... იცით როგორ ხდება დღეს? ჯერ გაგებაში არ არიან არაფრის და პირდაპირ „ჰამლეტს“ დგამენ, ნაკლები არ უნდათ... და „სასწაულებს“ ახდენენ სცენაზე.

— **თეატრალური კრიტიკა რას აკეთებს ასეთ დროს?**

— ვკითხე კიდეც ჩვენს ძველ კრიტიკოსებს, რატომ გააგდეთ ხელიდან კალამი-მეთქი? მსახიობები დიდ ყურადღებს ვაქცევდით ამ რეცენზიებს. ახლა აღარ იწერება ისე, როგორც საჭიროა. თან ერთი რამეც არის — პოპულარულ გაზეთებს ეს არ აინტერესებთ (ის სჭირდებათ მარტო, ვინ ვინ მოკლა, შეჭამა ან დაარბია), ერთი „თეატრი და ცხოვრება“ ვერ გასწვდება მთელ პროცესებს. შეშველება სჭირდება თეატრალურ კრიტიკას ამ მხრივაც.

— **თქვენი დამოკიდებულება თეატრის წინ გახსნილი ვარსკვლავების მიმართ როგორია?**

— ასე მგონია საფლავებზე დავდივარ.

ვთქვი, ფეხს არასოდეს დავადგამ-მეთქი, მაგრამ არ გამომდის, ტროტუარი არ იძლევა ამის საშუალებას.

— **ყველა ღირსეულად მიგაჩნიათ?**

— ეს ძალიან პირადულია — გააჩნია, ვინ რას მიიჩნევს ღირსებად.

— **რამაზ ჩხიკვაძემ თქვა ერთხელ, სურვილი მაქვს, საკუთარი ხარჯებით დავიქირაო მუშები და ამოვთხარო ჩემი ვარსკვლავიო.**

— ეს იმის ბრალია, რომ გაუაზრებლად გადმოვიღებთ ხოლმე ამერიკულსა და ევროპულს.

იმათ ისე უცხოვრიათ, ჩვენ კი ჩვენი მენტალიტეტი გვაქვს და ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ.

* * *

ნოდარ ჩხეიძისთვის უკითხავთ ერთხელ: როგორ გაბედე უშანგი ჩხეიძის შემდეგ ჰამლეტის თამაშაო, მას კი უპასუხია:

— დიდი ბოდიში, მაგრამ ეს გიორგი გეგეჭკორს ჰკითხეთ, უშანგის მერე იმან ითამაშა, მე მის შემდეგ ვიყავიო.

ამ ამბავს შეხვედრაზე **იოსებ ჭუმბურიძე** გაიხსენებს და ამასაც იკითხავს:

— ვინც კი მინახავს „ყვარყვარეს“ როლში, ყველაზე მეტად დოდო აბაშიძე მომწონს, ოღონდ ფილმი, სამწუხაროდ, არ არის ძლიერი. თქვენ რას იტყოდით ამ როლზე და მისი შესრულებისას თუ გაითვალისწინეთ ტრადიცია, რომელიც არსებობდაო?

ტრადიცია კი, ბატონი დავითის თქმით, 40-50 წლის წინათ რომ გვქონდა ქართულ თეატრებში, ისეთი უნდა ზუსტად... და თუ პრეტენზია გაქვს არტისტობაზე, სწორედ ამ ტრადიციას უნდა დაეყრდნო და შენი ძალები ასეთ როლებშიც მოსინჯო.

— ყვარყვარე მარადიული სახეა — არა დღევანდელი, ან რომელიმე კონკრეტული ეპოქის გამომხატველი, არამედ საუკუნეებზე გაჭიმული და განზოგადებული. მე თუ მკითხავთ, მთელ ნაწარმოებში დრამატურგიულად ერთადერთი მეწისქვილის სცენაა დაწერილი, დანარჩენი იუმორისტული ტექსტია, მაგრამ სახეა საინტერესო და სახელი და გვარია ისეთი მეტყველი, რომ მუდმივად დარჩება. ყვარყვარეს როლზე მუშაობისას საკუთარ თავში უნდა ეძიო ამ პერსონაჟის თვისებები, და რამდენად ახლებურად მიიტან ამ ყველაფერს მაყურებლამდე, ეს არის საგულისხმოც და საინტერესოც. დიდი „საფათურო უჯრა“ უნდა გქონდეს საკუთარ სულში, ეს რომ შეძლო. ერთი კარგი როლის შესრულებისათვის რამდენიმე ცხოვრება გჭირდება მსახიობს.

რაღაც სიახლეები ჩვენც შევიტანეთ მაშინ სპექტაკლში. მაგალითად, დროში აქტუალური რომ ყოფილიყო, ნავთობსადენის თემა პირდაპირ ყოფითობიდან გადავიტანეთ სცენაზე.

ახლა როგორ ვაფასებ ამ ყველაფერს — მომწონს თუ არა — სხვა საქმეა.

საერთოდ ასეა ხოლმე, დრო რომ გადის, რაღაცებს სხვა თვალით უყურებ, რაღაც მოგწონს, რაღაცაზე გეღიმება, რაღაცაზე გული გწყდება...

რას იზამ... მარტო შემოქმედება კი არა, ცხოვრებაც ეს არის.

საოცნებო როლები თუ მაქვს?

ჩემი ჰაბიტუსიდან გამომდინარე, ოტელოს, ჰამლეტისა და რომეოს როლებზე არასოდეს მიოცნებია. ძალიან კი მინდოდა, რომ მიტუას როლი შემესრულებინა სპექტაკლში „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“... აი, ჯაყოს თამაში კი უკვე გვიანია. ყველაფერს თავისი დრო, ასაკი და სულიერი თუ ფიზიკური ენერგია სჭირდება — როლსაც და მსახიობსაც...

თუმცა იყო შემთხვევა, როცა ილარიონის როლი ვითამაშე ახალგაზრდა კაცმა.

26 წლისა ვიყავი მაშინ.

ბებია 24 წლის იყო, ზურიკელა — ექვსი წლით უფროსი.

ეს უკვე თავისთავად კომედიაა.

* * *

გოგი ქავთარაძეს შეურჩევია ამ როლზე.

— ვკითხე: რატომ, თავი რომ მაქვს დიდი-მეთქი?

65 სმ ჰქონდა თავის გარშემოწერილობა ამ საბჭოთა ბელადს, მე ამდენი არ მაქვს, ჩემი 60-მდეა, ჰა და ჰა, თუ გავსუქდი — სამოც-ნახევარი.

მოსკოვიდან უნდა ჩამოსულიყო კაცი, შეემოწმებინე და მოეცა ვიზა ამ როლის სათამაშოდ.

ჩამოვიდა კიდეც — იური ბარისოვიჩ შჩერბაკოვი. მკითხა:

— ლენინი გინახავსო?

— არა-მეთქი.

— 40 წუთი ვიყავი მავზოლეუმში და ვაკვირდებოდი, კარგი იქნებოდა, შენც გენახაო.

— რა ვქნა, მკვდრისა მეშინია-მეთქი, — ვუთხარი.

საპასუხისმგებლო და საპატიო კი იყო იმ დროს ლენინის განსახიერება სცენაზე. აკი **მანანა გაბაშვილმაც** შეახსენა საზოგადოებას შეხვედრაზე, რომ ბევრმა რუსმა მსახიობმა ლენინის როლის შესრულების შემდეგ კარიერა დაასრულა — იმდენად მაღალ საფეხურად ითვლებოდა ეს მსახიობისთვის, რომ უფლება აღარ ჰქონდა, სხვა როლშიც ენახა მაყურებელს.

— რაც მე მაშინ ლენინს დავმართე, მოგვიანებით, 90-იან წლებში ყველამ ერთად ვუქენით საბჭოეთის ბელადსო, — იტყვის ბატონი დავითი და ამ იუმორისტულ ამბავსაც მოუყვება შეკრებილებს:

— ერთი ეპიზოდია ასეთი — ლენინი პარტერიდან შემოდის და დარბაზის გავლით ადის სცენაზე.

მთელი პოლიტბიურო იქ ზის, მოსკოვიდან ჩამოსული სტუმრებიანად.

— ჩემი 3 წლის ბიჭი საგრიმიოროში მამის გარდასახვას რომ უყურებს, ეს რა არისო? — მეკითხება პარიკზე. ხეამეთქი, — ვეუბნები. გაკვირვებული მიყურებს, მერე კი დარბაზში ვსვამთ, მესამე რიგში.

შემოვდივარ პარტერიდან.

მიცნო ბავშვმა და მეძახის:

— მამა!

არ ვიმჩნევ და ვაგრძელებ გზას, ლენინი ვარ, იდეებით სავსე, ეს მაიმუნი კი...

— მამა! — მეძახის ისევ.

ავუარე გვერდი, იმან კი, იქნებ ამაზე მაინც გამოიხედოსო:

— ლენინი!.. ლენინი!

ცხადია, არ მოვიხედე მაინც, ჰოდა, არც აცია, არც აცხელა და:

— ხისთავიანი!.. ხისთავიანი!..

ჰომერული ხარხარი ატყდა დარბაზში.

სოლიკო ხაბეიშვილმა იხუმრა, მე არ ვიყო, ახლა ციმბირს იქნებოდი გაცილებულიო...

საინტერესო ბევრია.

ღიმილიც ბევრია, ტკივილიც და სიხარულიც, მაგრამ მთავარი იმ საქმის სიყვარულია, რომელსაც აკეთებ.

ნიჭიც, ცხადია.

ნიჭია ის, რაც შრომას გიიოლებს, თორემ უშრომლად არსად არაფერი გამოდის.

ამ სპექტაკლს — „6 ივლისი“ — შეხვედრაზე **გურამ ბათიაშვილიც** გაიხსენებს და იტყვის, რომ დავით დვალიშვილმა თავის როლს მართლაც შესძინა რაღაც ისეთი, რაც ძალიან უჩვეულო იყო იმ ეპოქისათვის; აღნიშნა ისიც, რომ თანამედროვე სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ვარსკვლავი სწორედ დედაქალაქში ჩამოსვლის შემდეგ გაბრწყინდა მთელი თავისი სიდიადით.

ამიტომაც შეცდომას უწოდებს იმ ფრაზას, წლების წინათ თავის მიერ ნათქვამს, როცა ქუთაისის თეატრის მსახიობს ურჩია, თბილისში არ წამოსულიყო, რათა არ გაეზიარებინა იმ მსახიობთა ბედი, პატარა ქალაქების თეატრთა სცენებიდან დიდ თეატრებში გადანაცვლებისას ახალ დასში რომ იკარგებოდნენ ხოლმე.

— დათო დვალიშვილი გოგი ქავთარაძისთვის ერთ-ერთი წამყვანი და დასაყრდენი ძალა იყო ქუთაისის თეატრში. ის სჭირდებოდა ამ ქალაქსაც, მის კულტურულ ცხოვრებასაც, იმ სცენასაც... მაგრამ გავიდა ხანი და ყველამ კარგად ვიცით, როგორც წარიმართა მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია და დღეს რომ იგი ამ დარბაზში ზის, როსტომ ჩხეიძის გვერდით, ესეც იმის დასტურია, რომ მაშინ ვცდებოდი.

ძალიან ბევრ ქვეყანაში ძალიან ბევრი კარგი სპექტაკლი მინახავს, მაგრამ... ზედმეტ პათეტიკაში ნუ ჩამომართმევთ და... დიდი აღფრთოვანება არასოდეს გამომიხატავს ამით, რადგან მე დავიბადე და ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელიც განებივრებულია ნიჭიერებით, დიდი მსახიობებით, დიდი კულტურით. სწორედ ამ ყველაფრის ნაწილია ბატონი დავითიც და მიხარია, რომ „ჩვენი მწერლობის“ სალონის მესვეურებმა ყოველთვის ზუსტად იციან, ვინ უნდა მოიწვიონ და შეახვედრონ ამ აუდიტორიას.

* * *

— **ბატონო დავით, დღეს მაყურებელი როგორია?**

— მე თუ მკითხავთ, მაყურებელი არ იცვლება. კარგ სპექტაკლზეც დადის და, უბრალოდ, პოპულარულზეც, ოღონდ კარგის ფასი ყოველთვის იცის.

ჩვენს თეატრში 84 წლის წინათ დადგმულ „ურიელ აკოსტასაც“ ისევე ჰყავს თავისი მაყურებელი, როგორც, ვთქვათ, „მთვრალ ალუბალს“.

საერთოდ, ეს ტრადიცია არ უნდა მოისპოს, თეატრმა უნდა შეინახოს წლების წინანდელი ღირებული სპექტაკლები, თაობებმა უნდა ითამაშონ ის და თაობები უნდა გაიზარდონ მასზე.

— **თანამედროვე დრამატურგიაზე რას იტყოდით?**

— ამ თვალსაზრისით, კრიზისი მგონია თეატრშიც და მწერლობაშიც.

ახალგაზრდებს ვგულისხმობ, ცხადია.

წავიკითხე ამას წინათ ორი თანამედროვე რომანი, ავტორები არ მახსოვს, რომც მახსოვდეს, ვერ დავასახელებდი მაინც — ამან იმას ეს უთხრა, იმან ამას ეს უთხრა და... დამთავრდა. საერთოდ, დრამატურგია არ არსებობს საქართველოში, თუ პოლიკარპე კაკაბაძეს არ ჩავთვლით, თითოოროლა ცდილობს რაღაცას. დაიდგა, მაგალითად, დათო ტურაშვილის პიესა...

ვნახე...

არც თავი აქვს და არც ბოლო.

რომ ვიკითხე, რა ხდება-მეთქი? დამთავრდაო, — მითხრეს, არადა მეგონა, მაშინ უნდა დაწყებულიყო.

რატომღაც ვეღარ მოვახერხეთ ვეღარაფერი.

რა ვიცი... ნიჭი გვაკლიაო, ვერ ვიტყვით და... გულგრილნი გავხდით ცოტა ალბათ.

* * *

აქ **მაკა ჯოხაძემ** თავი ვერ შეიკავა და რეპლიკით გამოეხმაურა დიალოგს — როსტომ ჩხეიძეს მიმართა:

— იქნებ წავაკითხოთ ბატონ დავითს პიესები, მათ შორის თქვენიც.

თუმცა ბატონმა როსტომმა შეაჩერა — ალბათ ჩათვალა, რომ იმ წუთას ამის დრო არ იყო.

და ვიდრე „ამის დროც“ დადგება, ბატონი დავითი თანამედროვე დრამატურგიის საინტერესო ნიმუშებსაც გაეცნობა და აზრსაც შეიცვლის ამ საკითხთან მიმართებით, დიალოგი აი, ასე გაგრძელდა:

* * *

— **დიდი და პატარა როლები თუ არსებობს? და თუ გამოარჩევდით ეპიზოდურ როლს — საკუთარს ან სხვისას?**

— სტანისლავსკის აქვს ნათქვამი, არ არსებობსო, დიდი და პატარა მსახიობი არსებობს მხოლოდო.

ისე... ახალგაზრდა რომ ვიყავი, დიდი როლი მინდოდა სულ, მაგრამ ახლა პატარა მირჩევნია — გააკეთე შენი საქმე კარგად და... წადი შინ.

რაც შეეხება ეპიზოდურ როლებს, მარჯანიშვილის თეატრში იყო მსახიობი ეკატერინე ვერულაშვილი, სცენაზე გაელვებითაც საოცარ სახეებს რომ ქმნიდა. ეპიზოდურ როლს თავისი გემო და ხიბლი აქვს. ბევრი რამ შეიძლება ჩატიო მასში. მეც ასე ვფიქრობ, რომ თუ კარგად აკეთებ შენს საქმეს, არ არსებობს დიდი და პატარა როლი, ხოლო თუ ვერ აკეთებ, არც პატარა როლი შედგება და არც დიდი.

— **საინტერესოდ საუბრობთ... თქვენი საქმის პროფესიონალიც ბრძანდებით, იქნებ ასეთ მსახიობებს გაგეხსნათ სასწავლებელი და საკუთარი გამოცდილება გაგეზიარებინათ ახალგაზრდებისათვის?**

— კარგი აზრია, თუმცა ამ საქმეს ფინანსები და მავანთა ნება სჭირდება.

ისე, სურვილი მქონდა თემურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით სტუდია გახსნილიყო თეატრში. თეატრისა და კინოს ინსტიტუტში მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ სტუდიაც არანაკლებ საქმეს გააკეთებდა ამ თვალსაზრისით.

— **სტანისლავსკი ახსენეთ... რას იტყოდით სტანისლავსკის სისტემაზე?**

— მე თუ მკითხავთ, ვალერიან გუნიას ბევრად საინტერესოდ აქვს დაწერილი ამ ყველაფერზე. შესაძლოა უბრალოდ რუსებმა შექმნეს სტანისლავსკის მითი, თორემ, მაგალითად, ამერიკელი მსახიობისთვის ამ სისტემის არცოდნას ხელი არ შეუშლია პროფესიულ წარმატებაში.

მიხეილ თუმანიშვილმა თავის ყველა მოსწავლეს ასწავლა „ხელობა“ — როგორ შეექმნათ სახე, ასე ვთქვათ, როგორ გაეკეთებინათ ესა თუ ის როლი. გარდაიცვალა ბატონი მიშა და მხოლოდ თითო-ოროლა თუ დარჩა ამ სკოლის მიმდევარი და ერთგული — მაგალითად, ზურაბ ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე — დანარჩენებმა მიივიწყეს.

ასე ხდება ხოლმე — თუ ეს ყველაფერი შენშია, ცხოვრების ბოლომდე რჩება, თუ უბრალოდ შეძენილია, მალე გავიწყდება.

საერთოდ ნიჭი უნდა გქონდეს და გასწავლონ, როგორ მიხვიდე მიზნამდე, თორემ თვითონ გზა შენი გასავლელია.

ეს გზებია სხვადასხვაგვარი, თორემ ყველა სამსახიობო სკოლას მიზანი და საფუძველი ერთი აქვს მაინც.

* * *

ძალიან მსიამოვნებს იმ ადამიანზე საუბარი, რომელსაც აქვს თავისი პრინციპები და ღირებულებანი, რაც ასე დასაფასებელია ჩემთვის, და ამასთანავე ძალიან ნიჭიერია, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა **ნოდარ მგალობლიშვილმა**, — უნიჭო კაცის მიმართ რაღაცნაირი დამოკიდებულება მაქვს, მეცოდება თითქოს. თუ უნიჭო კაცი ბოროტიცაა, საშინელებაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი საშინელებაა, როცა ნიჭიერია ბოროტი. ამიტომაც ძალიან ვაფასებ ნიჭს, რომლის უკანაც დიდი ადამიანური თვისებები დგას. სწორედ ასეთია დავით დვალიშვილი.

იგი ისეთ დროს გახდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, როცა იქ დიდი ორომტრიალი იყო, და ისე შეეთვისა თეატრს, თითქოს მასთან ერთად დაბადებულიყოს და გაზრდილიყოს.

დათოს აქვს კარგი იუმორის გრძნობა. ძალიან არ მომწონს, როცა მსახიობი კომიკოსობს და იუმორის გრძნობა არ გააჩნია, ტრაგიკოსი არ არის და ტრაგედიას თამაშობს... ეს კიდევ უფრო აქტუალურია დღეს, როცა მთელი ჩვენი ტელევიზიის, საერთოდ, სამყაროს მთავარი არსი პამპულობა გახდა.

და კიდევ:

ეპიზოდური როლები ახსენეს...

საერთოდ ასე ხდება ხოლმე — თუ მსახიობს ეპიზოდური როლი აქვს ან ერთი გამოსვლა სცენაზე, ამრეზით უყურებს მთავარი როლის შემსრულებელს. არადა, მსახიობობა უწინარესად პარტნიორობაა სცენაზე, ასეთები კი ცოტანი არიან.

თუ ისე მოხდა, რომ მეტი ტაში მიიღე, ცუდადაა შენი საქმე, და თუ ყვავილებიც მოგიტანეს, ხომ დამთავრებულია, იქვე დაგაწყობენ გულზე... ამიტომ უდიდესი მადლობა ღმერთს, რომელიც ბადებს ადამიანს ისეთი თვისებებით, როგორიცაა ვაჟკაცობა, ღირსება და უნარი — გაუძლოს ცხოვრების სიმძიმეს.

აი, ასეთი კაცია დავით დვალიშვილი, ვისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება, — თქვა ბატონმა ნოდარმა.

თვითონ ბატონმა დავითმა კი დიდ პედაგოგთა შორის საშა მიქელაძეც ახსენა — ცნობილი თავისი ანტიკომუნისტური დამოკიდებულებებით, ერთი სული რომ ჰქონდა, როდის დაემხობოდა ეს რეჟიმი.

და ერთხელ ეუბნებიან თურმე: კიროვი მოკლესო, ჰგონიათ, რომ აღფრთოვანდება სიხარულით, მაგრამ... დუმს.

— კიროვი მოკლეს, ბატონო საშა, კიროვი! — უმეორებენ კიდევ ერთხელ.

ის კი:

— ეჰ, ეგრე სათითაოდ როდის ამოწყდებიანო.

ამ ამბავს შეხვედრაზე როსტომ ჩხეიძე გაიხსენებს, იმის ნიმუშადაც, რომ ასეთი ადამიანები ეროვნულ ენერგიასაც ინარჩუნებდნენ ქვეყანაში.

სწორედ ამ ენერგიაზე საუბრით დაიწყებს თავის გამოსვლას **გურამ პეტრიაშვილი:**

— ცნობილი ამბავია — ოცეული ხიდზე რომ გადადის, არამც და არამც მწყობრი ნაბიჯით არ უნდა გაიაროს, რადგან ასეთ დროს ათასმაგდება სიმძიმის ძალა და შესაძლოა სანფრანცისკოს უზარმაზარი ხიდიც კი დაანგრიოს.

ეს ნიმუშია იმისა, როგორ იზრდება ენერგია ერში, როცა ის მწყობრი ნაბიჯით მიდის.

იმას კი, რაც ხიდს ანგრევს, რეზონანსი ჰქვია.

აი, ამ რეზონანსმა შემძრა ახლა და მინდა მოგმართოთ, ბატონო დავით, ნეტა არ გეთქვათ ეს რაღაცები — რომ არსად, არცერთ სფეროში არაფერი არ არის კარგად საქართველოში, ჩვენ კი ვართ არხეინად; რომ იცვლებიან ხელისუფლებანი და მუდმივად ჩნდებიან ახალი პოლიტიკური ძალებიც, რომლებიც ამბობენ, რომ თვითონ არიან გადამრჩენელნი, მესიად მოვლენილნი ქვეყნისათვის...

ცხოვრება კი ისევ ძველებური რიტმით გრძელდება.

იოსებ ჭუმბურიძემ დაწერა:

გაცინებული გურამ პეტრიაშვილი არ მინახავსო.

და გამახსენდა:

ზვიად გამსახურდიას ჰკითხეს ერთხელ:

— რატომ არ იცინითო?

და რა უპასუხა იცით?

— სასაცილოდ გვაქვს საქმეო?..

აი, ეს მტკივა სწორედ, ამდენი წლის განმავლობაში რომ არაფერი იცვლება და გასაღიმებლადაც არ გვექცა საქმე, არადა ამ ხელა კულტურის ერი ვართ, ასეთი დიდი ხელოვანნი გვყავს... მარტო ერთი ესმა ონიანი ეყოფოდა მსოფლიოს, მაგრამ...

სწორედ ამიტომ მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ დავითს ასეთი გულშემატკივრული პოზიციისათვის იმ ყველაფრის მიმართ, რაზეც ისაუბრაო.

მადლობა კი მსახიობს იოსებ ჭუმბურიძემაც გადაუხადა — პირდაპირობისა და გულახდილობისთვის.

— სიმართლე გითხრათ, არც კი მოველოდი, ამიტომაც ეს შეხვედრა ძალიან საგულისხმო აღმოჩნდა ჩემთვის.

დათო დვალიშვილს აქამდე ვიცნობდი როგორც მსახიობს, ახლა კი გავიცანი როგორც პიროვნება, მოქალაქე, თავისი ქვეყნის პატრიოტი, რომელსაც აქვს თავისი პოზიცია, ასე საჭირო და დასაფასებელი დღევანდელი საქართველოსთვის. ამისათვისაც მადლობა მინდა ვუთხრა მას.

მსახიობმა კი შეხვედრის დასასრულ თავისი ჰობიც გაგვანდო:

— ჩემი ვენახი მაქვს ასურეთში, ისეთ ღვინოს ვაყენებ... ვისაც სურვილი გაქვთ, გეპატიჟებით...

— ყველას, ვინც აქ ვართ?

— ყველას, ვინც აქ ბრძანდებით... დავსხდეთ და ვისაუბროთ... საქართველოზეო.

ელგუჯა თავბერიძე

გუშინდელი დღე

ძნელია დაიჯერო, **რადვა აშურის „არაბული ციხის ლიტერატურა“** („ჩვენი მწერლობა“, 2014, 4 აპრილი) ლექცია რომაა და არა საგანგებოდ დაწერილი სამეცნიერო ნაშრომი, ნარკვევი, ესეი თუ რაც გნებავთ, ის დაარქვით. მართალია, თემა ლოკალურია, არაბული ქვეყნების ერთი ნაწილის ციხის ლიტერატურა უნდა მიმოიხილოს, მაგრამ ამ თემაზე ხომ ბევრი, თანაც სხვადასხვა ჟანრის თხზულება დაიწერა, რომლებიც წაკითხვის მერე უნდა დაახარისხო, გააანალიზო, თანაც ყველაფერზე იმდენი ისაუბრო, რომ ტექსტად გადაქცევის მერე სამ-ოთხ გვერდში ჩაეტიოს, უმთავრესი თქვა, წვრილმანზეც საგანგებოდ შეჩერდე, მერწმუნეთ, არაა ადვილი, მეტსაც ვიტყვი, ეს ლექცია სულ მცირე სამი მონოგრაფიის კარკასია (შეიძლება მონახაზი ჯობდეს, მაგრამ ამჯერად კარკასი უფრო გამოხატავს იმას, რისი თქმაც მინდა), რომელთაც ციტატებს თუ დავურთავთ, სამი ქვეყნის (ზოგადად არაბული სამყაროს) ციხის ლიტერატურაზე სამი მონოგრაფია გამოგვივა. მიმიხვდით, ალბათ, რისი თქმაც მინდა: ნარკვევი ზამბარასავითაა შეკუმშული, ბევრი რამაა თქმული, ბევრიც მკითხველმა უნდა იგუმანოს თუ იგულისხმოს.

არაბული ციხის ლიტერატურაზე მსჯელობით რადვა აშურმა დაგვანახა ადამიანი, ბორკილდადებულიც ადამიანად რომ რჩება, რაც საბოლოოდ სიცოცხლისა და პროგრესის საწყისიცაა. ციხის ლიტერატურა მშრალია, ერთფეროვანი, მომაბეზრებელიც იმდენად, რამდენადაც იქაური ყოფაა ერთსახოვანი, მაგრამ თურმე შეიძლება ამ ამბებზეც ისე ისაუბრო, რომ სამი ქვეყნის პოლიტიკური რეპრესიების ქრონიკაც შემოფარგლო და მხატვრულ სახეებში გადასულ ზოზინა ყოფიერებაზე თხრობაც საინტერესო გახადო.

ციხის ლიტერატურას კიდევ ერთი რამ ახასიათებს: ხშირად იმდენად შემზარავია მოთხრობილი ამბავი, რომ ავტორი მის მხატვრულ სრულყოფას სულაც აღარ დაეძებს. რადვა აშური გვესაუბრება იმ ტექსტებზე, რომლებიც გასცდნენ საგაზეთო სტატიათა ჩარჩოებს და მხატვრული სრულყოფითაც და ამბის გადმოცემის ორიგინალური ხერხითაც გამოირჩევიან.

არაბულ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებული ციხის რომანი აბდ არ-რაჰმან მუნიფის „ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთია“, — გვეუბნება რადვა აშური. მანამდე იმავე თემაზე „ხეები და მარზუკის მკვლელობა“ დაწერაო, და ამის შემდეგ ყურადღებას მიგვაქცევინებს იმაზე, აბდ არ-რაჰმან მუნიფი არაბულ სამყაროს ზედმიწევნით კარგად რომ იცნობდა — საუდის არაბეთში, მამამისი აქედან იყო, დაიბადა (ზოგი მის სამშობლოდ იორდანიასაც ასახელებს), ერაყში, დედა გახლდათ ერაყელი, სკოლა დაასრულა, ეგვიპტეში უმაღლესი სასწავლებელი, ცხოვრობდა დამასკოში (სირია), ლიბანში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში. სხვადასხვა ადგილას ცხოვრება ზოგიერთთათვის რა ბედენაა, მუნიფისნაირი მოაზროვნისათვის კი — დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც შთამბეჭდავად აისახა კიდეც მის შემოქმედებაში. იმის თქმა გვინდა, რომ ეს მწერალი გარედან მაყურებელი არ გახლავთ არაბული სამყაროს მოვლენებისა, იქ ცხოვრობდა, დეტალურად იცნობდა იქაურ სინამდვილეს, ამიტომაც გვეუბნება რადვა აშური: „მუნიფის „ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში“ ასახული პოლიტპატიმრობის გამოცდილება, ფაქტობრივად, შეიძლება არაბული ქვეყნების დიდ უმეტესობაზე გავრცელდესო“.

იგივე შეიძლება ითქვას მწერლის სხვა რომანებზეც. განსაკუთრებით „მარილის ქალაქებზე“, რომლის გამოქვეყნების მერე აბდ არ-რაჰმან მუნიფს საუდის არაბეთის მოქალაქეობა ჩამოართვეს, რამაც კიდევ უფრო პოპულარული გახადა რომანი, კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა დაინახა ის საშიშროება, ნავთობის გამოლევის მერე არაბულ ქალაქებს რომ ემუქრებოდა, მარილის ქალაქებად რომ გადაიქცეოდნენ.

ერთხანს პარტია ბაასის ნევრი, ერაყის ნავთობის სამინისტროს თანამშრომელი მუნიფი სადამ ჰუსეინს აკრიტიკებდა, მაგრამ ამერიკელთა ერაყში შესვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მისი აზრით, ადრე ბედუინები ბატონობდნენ აფრიკაში, რომლებიც ნავთობის აღმოჩენის მერე ამერიკელებმა და ბრიტანელებმა ჩაანაცვლეს. უცხოელებს სულაც არ აწუხებთ აფრიკელთა ბედი, მათ უნდათ მხოლოდ და მხოლოდ ნავთობი, რომელმაც აქაურთა კულტურა, ცხოვრების წესი და ხასიათი რადიკალურად შეცვალაო.

მუნიფი „ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთში“ გვარწმუნებს იმაში, რომ ნავთობით მდიდარი სახელმწიფოები აფრიკაში ციხეებად გადაიქცნენ, საზოგადოება ორად გაიყო — პატიმრებად და ჯალათებად, ტერორის ყველაზე მკაცრი, პატრიარქალური ზომებით იმართება ხალხი და ეს, რა თქმა უნდა, დამხვდურებსა და მოსულებსაც ხელს აძლევთ. ამერიკელთათვის მთავარია, პარპაშობდნენ ნავთობით მდიდარ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიასა და სხვა სატყუარაზე მაშინ ატეხენ ერთ ამბავს, თუ უფლებები შეეზღუდებათ.

მეორე ეგვიპტელი მწერალი სონალაჰ იბრაჰიმი 1959 წელს დააპატიმრეს და ტრიბუნალმა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1964 წელს ციხიდან იმიტომ გამოუშვეს, რომ ეგვიპტეში ასუანის ჰიდროელექტროსადგურის გახსნაზე ხრუშჩოვი იყო ჩასული, სონალაჰ იბრაჰიმი კიდევ, ზოგიერთთა თვალთახედვით, მარქსისტულ და ნაციონალისტურ შეხედულებებს იზიარებდა.

რადვა აშური ძალიან მოკლედ, მაგრამ დასამახსოვრებელი შტრიხებით გვაცნობს იბრაჰიმის რომანს „იმის სუნი“, გვეუბნება, რომ იგი მოგვიანებით პირველ მოდერნულ აფრიკულ რომანად აღიარეს და იმასაც გვაჩვენებს, რაში გამოიხატებოდა მისი მოდერნულობა.

2004 წელს იბრაჰიმმა „აღ-ვაჰაათის (ციხის სახელია) დღიურები“ გამოსცა, ფორმითაც და შინაარსითაც საინტერესო წიგნი. ერთი წლით ადრე კი უარი განაცხადა ეგვიპტის კულტურის სამინისტროს საკმაოდ სოლიდურ, 100 ათას ეგვიპტური ფუნტის ოდენობის ლიტერატურული პრემიის მიღებაზე.

ეგვიპტური ციხის ლიტერატურა ძალიან მოცულობითიაო — გვეუბნება რადვა აშური, — არა იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს, არამედ იმის გამო, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების მერე ეგვიპტეში ძალიან ბევრი ინტელექტუალი — მწერალი, ჟურნალისტი, არქიტექტორი, მხატვარი, მსახიობი და ა.შ. — დააკავეს. ამას მოადევნებს მკვლევარი ქალაქ ალ-ვასლაში მომხდარ ამბავს. ამ ქალაქში ალ-აზაბის ციხიდან ალ-ვაჰაათის ციხეში გადასაყვან პატიმრებს მატარებელი უნდა გამოეცვალათ. ოცდაათკაციანი ჯგუფი 15 მეტრიანი რამდენიმესაკეტიანი ბორკილებით იყვნენ გადაბმული. ზოგმა მოასწრო მატარებლიდან ჩასვლა, ზოგმა — ვერა. ბევრი დასახიჩრდა — მხარი ამოიგდო, ხელი მოიტეხა, კიდევ კარგი, ბადრაგმა გაისროლა და მატარებელი გაჩერდა. ჰუმანურია. ბევრი რამ გვეცნობა, გაგვახსენდება, ისიც გაგვიელვებს, ჩვენთან იქნებ სულაც არ გაესროლა ბადრაგს და რაც მოხდებოდა, არაა ძნელი წარმოსადგენი.

რადვა აშურის „არაბული ციხის ლიტერატურაზე“ დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანს. მისგან ნათქვამი მთავარი მომენტების განმეორებაც, ვფიქრობ, დაგვარწმუნებს, რაოდენ ღრმად იცნობს მკვლევარი იმას, რაზეც საუბრობს. ხშირად ამბობს, საინტერესო მასალაა კომპარატივისტებისათვისო, ისიც არ ავიწყდება, სხვებს რომ მიუთითოს, მიანიშნოს.

ჩვენც შევადაროთ:

ალ-ვაჰაათის ეგვიპტურ ციხეზე საშინელი მაროკოული თაზმამართის ციხე იყო, რომელიც იქაურმა ტირანმა ჰასან მეორემ 1972 წელს, მეორე წარუმატებელი სახელმწიფოს გადატრიალების მერე ააშენა და რომლის არსებობასაც საგულდაგულოდ მალავდა თვითონაც და სხვა ოფიციალური პირებიც. ციხეზე უფრო სამალავს ჰგავდა, — წერენ პოლიტპატიმრები, — საიდანაც უგზო-უკვლოდ ქრებოდნენ ადამიანები: ცხრამეტი წელი დაჭირდათ უცხოურ ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს ჰასან მეორეს, ტანისამოსზე მოხდენილად ქვეყნის კონსტიტუციას რომ ირგებდა, ციხე რომ დაეხურა.

თაზმამართის საშინელება უამრავმა პოლიტპატიმარმა გამოსცადა. მასში ძირითადად 1971 წლის ალ-სუხაირათის სასახლის მოვლენების მონაწილენი და ერთი წლის მერე მეფის თვითმფრინავის ჩამოგდების მცდელობაში დადანაშაულებულები იყვნენ გამომწყვდეულნი, — წერს რადვა აშერი და იხსენებს აჰმად მარზუკის წიგნს „თაზმამართი: საკანი 10“, რომლის ყდაზეც ციხეში გარდაცვლილი პატიმარი მეგობრის — რაშდი ბენაისას — ფანქრით დახატული საკანი იყო მოთავსებული. არ ივიწყებს 1999 წელს გამოცემულ მალიქა უფქირის „პატიმარ ქალს“ და მისი დედის — ფატმა უფქირის „უფქირი, ჰასან II და მე“ — წიგნებსაც. ერთ დროს ჰასან მეორის მარჯვენა ხელი, შინაგან საქმეთა მინისტრი და შეიარაღებული ძალების თავმჯდომარე გენერალი უფქირი სახელმწიფო გადატრიალებაში დაადანაშაულეს, თვითონ დახვრიტეს, ხოლო ცოლს, ექვს შვილს, ნათესავს, მათთან რომ ცხოვრობდა, და მზარეულს, ჯერ ათ-ათი წლით ციხე, მერე კი რვა წლით შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ისრაელის ციხეებში გამოკეტილ პალესტინელთა მარტო რიცხობრივი მაჩვენებელი შეგძრავს. ისრაელის სახელმწიფოს არსებობის 60 წლის მანძილზე 800 ათასი პალესტინელი ჩააყუდეს ციხეში, რაც პალესტინის მოსახლეობის 25%-იაო — გვიბეჯითებს რადვა აშური, საშინელებაა, პატიმრებს სულაც რომ არაფერი შეეთხზათ, ესეც იკმარებდა იმის საილუსტრაციოდ, რაც ხდებოდა.

ბევრი რამ ხდებოდა შემზარავი, სულ-ხორცის გამყინავი... მაგრამ ალ-ვაჰაათის ციხეში მომხდარი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ადამიანები არასდროს კარგავენ თავისუფლების შეგრძნებას, ოდნავი შესაძლებლობა როგორც კი მიეცემათ, იმწამსვე დაიწყებენ ადამიანთათვის ჩვეულ მოქმედებას.

შუჰდი ატიას — ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტისა და მოძრაობის ლიდერის — სიკვდილის მერე მცველებმა პატიმართა წამება შეწყვიტეს და მათ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების ნება დართესო. ეს აღმოჩნდა საკმარისი — მსჯავრდებულებს ღია უნივერსიტეტი დაეარსებინათ. რის ლექციები არ ტარდებოდა თურმე, ლიტერატურით დაწყებული, მათემატიკითა და კიბერნეტიკით დამთავრებული, გამოსაშვები გამოცდებიც ეწყობოდა, დიპლომებსაც ურიგებდნენ, სტუდენტები ძირითადად ციხის მცველები იყვნენო.

ჰაბაშის ამბავი უფრო თვალნათლივ გამოკვეთს, რომ ადამიანი და თავისუფლება განუყოფელია. თავისი ხანგრძლივი პატიმრობისას ალ-ვაჰაათის ციხეში არქიტექტორმა ჰაბაშმა თეატრი მოაწყო.

რადვა აშურის მიერ მოხმობილი ციტატა გავიხსენოთ ჰაბაშის წიგნიდან „ყველა სეზონის პატიმარი“: „რატომ უნდა ავაშენოთ თეატრი? მთელი დარჩენილი ცხოვრების გატარებას აქ ვაპირებთ?... ეს მორალური ბრძოლაა უდაბნოს, წვიმის, გადასახლების წინააღმდეგ. ერთი საათითაც რომ გამოვიყენოთ ეს სცენა, ერთი პიესაც რომ დავდგათ, ყოველთვის ვიამაყებთ იმით, რომ ტირანიას კულტურითა და ხელოვნებით ვძლიეთ“...

მართლაც ძლიეს...

იდგმებოდა პატიმართა პიესები, ჯოჯოხეთში ადამიანურმა ენერგიამ ყვავილივით ამოხეთქა.

აბუ ზა ბალის ციხეში გამომწყვდეულმა იგივე ჰაბაშმა შადრევანი ააშენა: ცემენტსა და მშენებლობისთვის საჭირო მასალებს ცოლი უგზავნიდა, ციხის უფროსობა რაღაცნაირად დაითანხმა, რომ ხელი არ შეეშალათ. „შადრევანის ცენტრში ჯამბაზი მოათავსა საყვირით. ოთხ კუთხეში ჩადგმული ოთხი ქანდაკება კი მშვენიერებას, ბედნიერებას, რევოლუციასა და ცოდნას განასახიერებდა.“ სწორედ ამ ქანდაკებაზე ამტყდარა ერთი ამბავი, რამეთუ მასში ნაჩვენები იყო, როგორ ითელებოდა ჩექმებით წიგნები. ციხის ადმინისტრაციას ნამეტანი არ მოწონებია ამგვარი გადაწყვეტა და არქიტექტორსაც შეუცვლია ჩანაფიქრი, მაგრამ მთავარი თავსატეხი შადრევანის გახსნის მერე გაჩენილა — ვის განასახიერებდა საყვირიანი ჯამბაზი? შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური კომისიაც კი გაუგზავნია, რომელსაც დაუწერია დასკვნა — საყვირიანი მასხარა არა ჰგავს პრეზიდენტსო.

დესპოტ მოხელეთა ფართიფურთი და ყველაფერში მტრის ძებნა არაა გასაკვირი. ფაქტია შთამბეჭდავი, ფაქტი, რომლითაც ყველანაირი სასჯელი არაფერია.

რადვა აშურის „არაბული ციხის ლიტერატურა“ ქართულად ისე უნდა თარგმნილიყო, რომ არც ლექციისა და არც გამოკვლევის ხიბლი დაკარგულიყო, **ნინო დოლიძემ,** არაბული და ინგლისური ენის შესანიშნავმა მცოდნემ, დიდებულად მოახერხა ეს. იგი შემთხვევით კი არ ირჩევს სათარგმნ ტექსტებს, ქართველ მკითხველს სთავაზობს იმას, რაც ძალიან კარგად იცის და სურს, ჩვენც გავიგოთ. საგურამოს ლიტერატურული პრემიაც თარგმნის დარგში არ მიუნიჭებიათ მისთვის შემთხვევით. ბევრი, ძალიან ბევრი თარგმნის დღეს, მაგრამ ნინო დოლიძისნაირად ერთეულები.

სულაც კარგი თარგმანისა და „არაბული ციხის ლიტერატურაში“ მოთხრობილი ამბები ჩვენთვის გუშინდელი დღე რომ იყო, ამიტომ გამოვეხმაურე ამ პუბლიკაციას.

გუშინდელი დღე ციხის ლიტერატურის გარეშე — ასეთი რამ იქნებ სამომავლოდ დაიწეროს... იმედი ვიქონიოთ.

ნინო სადღობელაშვილი

ამბოხიდან ტკბილღვინოობამდე

„რა ქნას მოკვდავმა, როგორ იცხოვროს?" — ერთ ლექსში ასეთ კითხვას სვამს ბესიკ ხარანაული და პასუხის მოლოდინზე მეტად იმ ჟრუანტელით იმუხტება, პასუხი რომ არ აქვს არც კითხვას და არც ცხოვრებას, მითუფრო, თუ მოკვდავში პოეტს გულისხმობს იგი, ნამდვილი პოეტის ცხოვრებას, რომელსაც პასუხი არ გააჩნია.

და სწორედ ეს გამოუვალობაა ხშირად ყველაზე მეტი ენერგიის შემკრებელი, გამაერთიანებელი, რომელიც ფეთქებადსაშიში იარაღივით დევს პოეტის ტვინსა და გულში და სამყაროს ხმას ელოდება.

რა ქნას პოეტმა, როგორ იცხოვროს? მას არცერთ დროში ეს ცხოვრება არ გამოსდიოდა, არსად არ იყო მისი „შინ", რადგან ზოგადად ეს „შინ" არ არსებობს დედამიწაზე, თუკი კარგად დავაკვირდებით და ღრმად დავძაბავთ ჩვენს ისტორიულ მეხსიერებას. ჩვენ ხომ შინიდან ოდესღაც და ერთხელ გამოგვაძევეს, სააქაო კი მისი დაძლევის, მონატრების, ამბოხების თუ ათას სხვა ვნებათა საჯილდაო ასპარეზია — მოკლედ, ეფემერათა და ილუზიათა კარნავალებში თავშეფარებაა იმ ნაღდი, ცინცხალი ჩრდილის გასახსენებლად...

ნუკრი ბერეთელი ნამდვილი პოეტია და, შესაბამისად, არც მასთანაა ცხოვრება იოლი და პასუხგაცემული. მის პოეზიაშიც ეს ფეთქებადსაშიში იარაღია დაყურსული და ყველაფერს — სიტყვებს, ფერს, ატმოსფეროს — ხელახლა თავჩენილი ტკივილის მომწარო არომატი ახლავს. ალბათ ამის გამოც, შინაგანი დინამიკის კარნახით, კრებულის სათაურად ეს ერთი შეხედვით საშიში, საზარელიც კი, სიტყვა გამოიტანა — ჩიხი.

არადა, ვინც ნუკრი ბერეთელს იცნობს, მისი თბილი და ტკბილი ლექსებისთვის მოუსმენია, სადაც დედას და სოფელს ეფერება ქალაქში დამარტოებული ბავშვის სიჩვილით, ცოტა ძნელი და პროვოკაციულიც შეიძლება მოეჩვენოს სწორედ ასეთი ნუკრი ბერეთელისგან ეს სათაური. მოეჩვენოს, რომ მანაც, ამ ანკარა შეგრძნებათა პოეტმა, ჩიხის მდგომარეობა არჩია როგორც უფრო კომფორტული მეტაფიზიკა, რათა საკუთარი თავი სხვა მხრიდანაც წარმოეჩინა; შესაძლოა მოეჩვენოს, რომ ამით ნუკრი ბერეთელმაც თავის წილ დროს უერთგულა, დროს, სადაც მართლაც ჩიხშია ხშირად ყველაფერი — ადამიანობა, მოქალაქეობა, ფასეულობა, ვინაობა... არადა, პოეტი ხომ, წესით, დროს უნდა უსწრებდეს — პირობითი ნაბიჯებით, მაგრამ მაინც, რაღაც სხვას უნდა ამბობდეს მისი საათი, სხვა წუთისოფელს მიერეკებოდეს...

მაგრამ თუ კარგად წაიკითხავთ, გულდაგულ, ლექსგამოუტოვებლად, აუცილებლად თქვენც იგრძნობთ იმას, რის გამოც წუხს პოეტის სული და გამოსავალი ვერ უპოვია — სწორედ ესაა მისი ბედიც და დანიშნულებაც (თუკი რაიმეს ამქვეყნად თავისი ბუნებრივი დანიშნულება ჯერ კიდევ შერჩენია), სწორედ ესაა — დროზე მეტობაც და საერთოდ, უდროობის ნიჭიერებაც — ეს, ნამდვილი პოეტისთვის დამახასიათებელი წუხილი, კითხვების კუზი, გამოუვალობის მტანჯველი და მამოძრავებელი შეგრძნება, რომელიც ინერტულობას კი არა, პირიქით, უფრო მეტ აქტივობას გძენს და ახალი ზეატყორცნებისკენ გიბიძგებს. ჩიხი — ეს საფეხურია, ეტაპია, და ამ მომწაროგემოიან შუადღეში პოეტმა თავისი პირველი კრებული გამოსცა...

ეს ყველაფერი ალბათ ამ წერილის ბოლოში უნდა მეთქვა, მაგრამ როცა ამ წრფელ და კარგ ლექსებზე ფიქრობ, ძნელია იყო თანმიმდევრული, მითუმეტეს, რომ საბოლოოდ ყველა თემა ერთ სათქმელში მთლიანდება. ზოგადად, ნუკრის შემოქმედებაში ყველაფერი თითქოს ერთი ბგერიდან იწყება, საერთო იდეას ემსახურება. პოეზიას ის რაღაცნაირად, განსაკუთრებული პატივით ეპყრობა, თითქოს დიდი საუნჯის წინაშე ქედს იხრიდეს. ალბათ ამიტომაცაა, აქამდე თავმოყრილი ლექსების წიგნად გამოცემა რომ არ იჩქარა და იმ დროს, როცა მის გარშემო პანტაპუნტით იბეჭდება კარგი და ცუდი კრებულები, ნუკრიმ ეს ყველაფერი დააღვინა, სახე მისცა და კონცეპტუალურადაც გაიაზრა.

ამიტომ აქვს კრებულსაც მთლიანობის იერი.

ჰო, დაღვინებაზე როცა ვამბობ, მის ერთ ლექსს გავიხსენებ, რომელსაც ეპიგრაფად სულხან-საბა ორბელიანის ერთი განმარტება ახლავს: — „უკეთუ ტკბილი არა დაღვინებულ იყოს, ამბოხ იწოდება". ლექსს კი პირდაპირ „ამბოხი" ჰქვია, შეყვარებული კაცის ვნებათაღელვიანი გულის ამბოხებაზეა, სამყაროსა და ცხოვრებასთან კონფლიქტზე, და ეს შეყვარებულობაც ძალიან პირობითი რამეა, რადგან ძნელია დაეზუსტო, ვის მიმართავს მეამბოხე პოეტი, სატრფოს თუ თავისსავე ორეულს, რომელსაც *„ახალ მთვარეზე აუსხიპეს დედას მკლავები"*; ძნელია დააკონკრეტო, რომელ ამბოხზეა საუბარი — განშორებით გამოწვეული მარტოობისა თუ იმ სიცარიელის წინააღმდეგ, რომელიც სამყაროში გაბატონებულა, ბავშვობადაკარგულ, ბავშვობაგარდასულ სამყაროში... *„კაცის თვალით რომ დავინახე შენი ცრემლები,... შენთვის რომ ტირი, სადღაც, ჩუმად — ახლაც ვევნები"* — ეს ნუკრი ბერეთელია, ბავშვობიდან, როგორც ძველი და კეთილი ამბიდან, დიდობაში, კაცობის ისტორიაში გადასული პოეტი, და რამდენი რამე უნდა ჩარჩენოდა იმ ძველ ამბავში, რაც საბოლოო დაღვინებამდე ამბოხების ეშხზე მოიყვანდა, ამგვარ ვნებებს დაადვრევინებდა...

საგულისხმოა, რომ ნუკრი ბერეთელის პოეზიაში ბევრი რამაა პირობითი, უფრო სწორად, არა ცალსახა, ტრანსცენდენტური და სიმბოლურიც კი. ერთი შეხედვით ბანალურ თემებზე მოლაპარაკეც მუდმივად რაღაც სხვას, უფრო ღრმასა და მნიშვნელოვანს გულისხმობს და სწორედ ეს ანიჭებს ამ ლექსებს მშვენიერებას. ამბოხების ვნება და წყურვილი კი ის ტემპერატურაა, ზღვარია, რომელზეც ძალიან ხშირად ჩერდება მისი პოეტური მგრძნობელობის შკალა, ესაა ზღვარი ტკბილ დაღვინებასა და ამბოხებას შორის, მუდმივი მოძრაობა, ძიება, მუდმივი სწრაფვა შინისკენ, დიდი შინისკენ, და საკუთარ სახეზე, როგორც სამყაროს ანაბეჭდზე, ახალი კონტურების აღმოჩენა.

ავტოპორტრეტის თემაც გამჭვირვალე და აქცენტირებულია ნუკრი ბერეთელის შემოქმედებაში. ერთ ლექსში ვკითხულობთ:

ეს ქარი ახლა ისე მალია,
ვაითუ წისქვილს ფრთები დაგლიჯოს,
შენ რას იღიმი, რა გიხარია,
რა გიხარია, სულით მახინჯო?..

ლექსს „ავტოპორტრეტი" ჰქვია და მიძღვნის ინიციალებითაც იმ გვარ-სახელის პირველი ასოები გამოუტანია (ნ.კ.), რომლითაც პოეზიაში კი არადა, ნამდვილ, სასტიკ სინამდვილეში — ყოფიერებაში არსებობს სხვა მოკვდავთა გვერდით. ლექსში რამდენიმე შემზარავი პასაჟია და ანტურაჟითაც ხანდახან ნიკო სამადაშვილის კოსმიური დრამატიზმი მოგაგონდება: *„ჭინკებმა ცხვირწინ დასვეს დუშაში და სულს გაცლიან წივილ-კივილით"*... ან — *„ფანჯრიდან მოდის ღამის შეგრძნება, ხედავ — მკვდრისფერი ადევს პორტრეტებს"*.

პოეტის სული ოცდამეშვიდე გაზაფხულს ეტოქება და სამყაროში აძრული ქარებიც მის ვნებებს კიდევ უფრო ახელებს, ისე ძალიანაც კი, რომ სრულიად უმიზეზოდ, აი, ესეც შეუძლია თქვას: **„სანამ ქარაფთან ზურგის ქარია, წამოდი, ერთად გადავაბიჯოთ!"**

უმიზეზობა ვახსენე. ესეც იმ კატეგორიათაგანია, საბოლოოდ უდროობის გმირად რომ ქმნის პოეტს, ვინაიდან ქარაფზე გადაბიჯების ერთადერთი ჭეშმარიტი მიზეზი ისევ მისი სულის მოუწყობლობაა, ამბოხების წყურვილი და გამოუვალობის ინერციაა, ბოლოს და ბოლოს, ახალი აკორდია შემოქმედებაში, რადგან ნამდვილი პოეზია აქედან დაიწყება და ცხოვრებაში კი... ცხოვრებაში სხვა კანონებით დალაგდება ყოველივე. ცხოვრებაში ქარაფს სიკვდილი ჰქვია და მთელი ეს პოეტური სიცოცხლეც — მასთან მიგებების, მასთან შეტოქების დინამიკაა. მთავარია, შემოქმედებაში გადაწყდეს ის სულიერი საკითხები, რაც არ ან ვერ გვარდება ცხოვრებაში — ამ გადაშლილ ბანალურ წიგნში. და მაინც წიგნში, რომელსაც სულ სხვა მწერალი ჰყავს.

პირობითია მის პოეზიაში სოფლის თემაც. და როგორც ზემოთაც დავაკონკრეტეთ — ამდენად სიმბოლური და მიღმიერი. სოფელი დაკარგული სამოთხის ელფერს იძენს ნუკრის ლექსებში. მისთვის მიძღვნილი ყოველი სიტყვა არა კონკრეტული პოეტის, არამედ, ზოგადად, ადამიანის ტკივილია, წინაპარი სამშობლოსგან შორს მყოფი კაცის სევდიანი სიმღერაა და ის განსაკუთრებულად გადამდებია. აუცილებლად შეგეხება, შეგძრავს კიდეც, შენს მიღმიერს, შენს სამოთხეს შეგახსენებს —

ცრის. ციცრის კვერცხებს აგროვებენ ბავშვები, გაღმა
მიტანტალებენ... (აღდგომაა ორიოდ დღეში),
— ეჰ, წუხელ ბოვში მესიზმრა და დარეკოს ახლა! —
ზის დედა კართან და წიწილებს აპურებს პეშვში.

სოფლის, დედის, წინაპრის მონატრებას უფრო შორსაც მიჰყავს პოეტი და ოდესღაცინდელი საქართველოს სამოთხეებს იხსენებს. მისთვის ისეთივე შინაურია ოშკის ტკივილი, როგორც თავისი იმერული ოდა-კარისა.

მოვლენათა და შეგრძნებათა ლექსად ქცევის მისტერია ყველაზე დიდ სიამოვნებასაც უნდა გვრიდეს პოეტს, რადგან ამ კრებულში მთელი ციკლია, რომლებსაც სათაურად სხვადასხვანაირი ლექსი ჰქვია — წვიმიანი ლექსი, თოვლიანი ლექსი, მარტისა და მიმწუხრის, გულაღმა ლექსიც, ბრმა ბიჭის და ბრმა სტუმრის, ნაპარტახალი ლექსიც და ასე შემდეგ. ეს ერთგვარი თამაშობებიც სინამდვილეში ღრმა შინაარსს იტევს და პოეტის სულის მდგომარეობებზე, როგორც ლექსადქმნადობის პროცესზე, მოგვითხრობს. აი, ციტატა ბრმა სტუმრის ლექსიდან:

ჰოდა აგდიხარ, ჰაშიშივით, ღამეს ეწევი,
აღარც ოცნებობ, აღარც ფიქრობ, უბრალოდ ელი —
ელი, უბრალოდ — ბრმა სტუმარი როდის გეწვევა,
რომ, როგორც ბალახს, გამოგისვას ნანატრი ცელი.

სიკვდილისკენ — როგორც გამოუვალი მდგომარეობის ლოგიკური გამოსავლისკენ — დინამიკა დამახასიათებელია ნუკრის ლექსებში. სიკვდილზე ხშირად ფიქრობს და იწვევს კიდეც, შორიახლოს, ფხაზე იჩერებს, სამიზნედ რომ ჰყავდეს და ეგულებოდეს, რადგან, როგორც ვთქვით, ჯერჯერობით ჩიხის მდგომარეობაა, ამ კატეგორიაში კი, ტკბილ დაღვინებასა და ამბოხს შუა მოქცეული სულის მუდმივ ზანზარში, სიკვდილის დავიწყება შეუძლებელია. პირიქით, ეს ხსოვნა მის ფიქრებს, მის საქციელებს — პოეტურ საქციელებს — დამატებით ხიბლს სძენს, მარადისობის იერს ანიჭებს.

ეს ყოველივე კი ნუკრი ბერეთელის პირველ კრებულს მთლიანობაში ჰკრავს და კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის კარგ, ვერსიფიკაციულად უბრალო, თუმცა ხშირი ანჟამბემანებით თხრობადამუხტულ პოეზიას.

მე, როგორც მკითხველი და ნუკრი ბერეთელის პოეზიის პატივისმცემელი, ვისურვებდი, მისი მომდევნო კრებულებიც სწორედ ასეთი — კონცეპტუალურად ძლიერი და სათქმელით გაჯერებული — იყოს, სადაც ბუნებრივად დაიძლევა ჩიხის მდგომარეობა და პოეტი, თავისი ღრმა შინაგანი სამყაროთი და დრამატული დინამიკით გაკვალული გზებით, სრულიად ახალი სულიერი ეტაპიდან იმღერებს თავის მშვენიერ პოეზიას.

ღრმად მჯერა, რომ ეს ასეც იქნება. ამაში ამ კრებულში დაყურსული ფეთქებადსაშიში შეკითხვები და იდუმალისკენ, ანუ დიდი შინისკენ სწრაფვის ვნება და სიყვარული მარწმუნებს.

როსტომ ჩხეიძე

შეთე გულუხაიძის ფიროსმანული შარავანდი

(გიორგი ცოცანიძის ისტორიული ქრონიკა)

ნიკო ფიროსმანის ის ნახატი — გაგახსენებთ თუ არა — ყველას იოლად ამოგესახებათ გონების თვალწინ:

დაღესტნის აულისათვის ნიშანდობლივი სახლის ბანი. ჭოგრიტით ხელში რუსი გენერალი გამოჭიმულა. წინ ქართველი მთიელი მეომარი უდგას და გენერალს ხელით რაღაცას ანიშნებს შორეული მთებისაკენ. ხევის გაღმა, სანაპიროზე რუსული საჯარისო ნაწილი ჩამომწკრივებულა. და სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოსჭვივის ფერწერული ტილოდან.

ნახატი კი დაუვიწყარია, მაგრამ ეგებ შესაფერისი ყურადღება არც მიგიქცევიათ სურათის ქვედა, მარჯვენა კუთხეში მართლაც ჩიქორთული რუსულითა და რუსულ წერაში გაუწაფავი ხელით გამოყვანილი სტრიქონისათვის:

— შეთე უჩვენებს კნიაზ ბარიატინსკის გზას, თუ როგორ შეიპყროს შამილი.

არ მიგიქცევიათ, რადგანაც არა გცოდნიათ შეთეს ვინაობა და მაინცდამაინც არც მოგინდომებიათ ამის გარკვევა-დაზუსტება, ვინაიდან სასახელოს ვერაფერს ხედავთ შამილის დაჭერაში და გულს სულაც არ გიხარებთ, თუ რუს გენერალს ქართველი მეომარი უჩვენებდა, საიდან შეიძლებოდა გადამწყვეტი იერიშის მიტანა ღუნიბზე, შამილის უკანასკნელ თავშესაფარზე, სადაც ტრაგიკულად უნდა შეკრულიყო წრე მისი ჰეროიკული ეპოპეისა ჩრდილოკავკასიის გადასარჩენად რუსეთის იმპერიის სტომაქში შთანთქმისაგან.

თუმც ამჯერად წამით ჩამოვეხსნათ კავკასიური ომის შეფასებას ზნეობრივი თვალთახედვით და ნახატს იმ მხრივ დავუკვირდეთ, გადამწყვეტი იერიშის წინ ეს ორი ფიგურა რომ ამოზიდულა — და ვინ შეიძლება იდგეს რუსი გენერლის გვერდით, თუ არა ის პიროვნება, ვისაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ღუნიბის აღებაში?!.

თანაც ზოგადად კი არ იგულისხმება რომელიმე ქართველი მეომარი, არამედ სახელით მოიხსენიება, რაც ადასტურებს მის რეალურ არსებობასაც და ისტორიულობასაც.

ისე დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ რუსებისათვის მეტად უსიამოვნო იქნებოდა ფიროსმანის ამ ნახატის არსებობა.

განა იმიტიომ ჩამოაშორეს გრიგოლ ორბელიანი შამილის ჰეროიკული ეპოპეის დასასრულს, რომ მაინც ქართველს დაედო წილი კავკასიის გმირის შეპყრობაში?

კავკასიური ილიადას ეპილოგამდე სწორედ გრიგოლ ორბელიანისათვის მიენდოთ ბრძოლე-

ბის გადახდა ჩრდილოკავკასიის დასამორჩილებლად, მაგრამ მოაწევდა თუ არა ღუნიბში ალყაშემორტყმული შამილის გარდუვალი მარცხის წუთები, ბარიატინსკის გადაულოცავდნენ მთავარსარდლობის სადავეებს, რათა რუსი გამოჩენილიყო კავკასიის ომის მთავარ გმირადაც და იმამის დამჯაბნელადაც.

და უეცრად საიდან შემოეცურებინა ფიროსმანს ვიღაც შეთეს სახება?

ვითომ მართლა „ვიღაც“?

ვიღაც რომ ყოფილიყო, გვარსაც აუცილებლად მიუწერდა მხატვარი, მაგრამ რისთვის გარჯილიყო ზედმეტად, როდესაც „შეთე“ თავისთავად მეტყველებდა ყველაფერს, იმ სახელოვანი კაცის ხსოვნას თავის მხრივაც მიაგებდა პატივს და, რაც მთავარია, არ დაუკარგავდა ღუნიბის აღებაში მონაწილეობას, და არამარტო მონაწილეობას, არამედ გამორჩეულ როლსაც ამ სამხედრო ოპერაციაში.

უამრავი გადმოცემა ტრიალებდა შეთეს სახელზე, ტყუილ-მართალი არეულიყო ერთმანეთში და სიცოცხლეშივე გამოკვეთილიყო ლეგენდარულ პიროვნებად, მერე ხომ უფრო და უფრო, ამაღლებულიყო, გაზვიადებულიყო და მონუმენტურ ფიგურადაც წარმომდგარიყო — თუშეთიდან დაძრულიყო ეს სახელი, მთელს საქართველოსაც მოსდებოდა და მთელს კავკასიასაც და, რა გასაკვირია, რაფიელ ერისთავი გამოსჩენოდა პირველ ბიოგრაფოსად, როდესაც ვერც ნიკოლოზ ვოლკონსკი, რუსი სამხედრო ისტორიკოსი, შეიკავებდა თავს მასზე ცნობების შეგროვებისაგან და თვით ალექსანდრე დიუმაც, ვის რომანებსაც სულმოუთქმელად კითხულობდა მთელი ევროპაც და მსოფლიოც, სამოგზაურო რომანში „კავკასია“ საგანგებოდ წარმოაჩენდა მის სილუეტს, როგორც ერთ ყველაზე კოლორიტულ სახეებას, ეგზოტიკური მხარის შემოვლა რომ ჩაუტოვებდა ცნობიერებაში.

რაკიღა გრიგოლ ორბელიანი გადაეწიათ შორს გადამწყვეტ ბრძოლათა ასპარეზისაგან, რუსი პუბლიცისტებიც და ისტორიკოსებიც — საერთო იდეოლოგიის კვალობაზე — მოერიდებოდნენ შეთეს როლის შესაფერისად წარმოჩენასაც, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, რომ სადმე არ გაეელვა მის სახელს ღუნიბის აღების ქრონიკებში?!.

მაგრამ... არა, არსად გაჭაჭანდება.

ის კი არა, ზოგადადაც არ აღინიშნება თუშ მებრძოლთა მონაწილეობა ამ უკანასკნელ იერიშში.

და ეს — თვით იმ ნიკოლოზ ვოლკონსკის მემუარულ ჩანაწერებში, შეთეს მიმართ პატივისცემასაც რომ იჩენდა და აღტაცებასაც და არ ენანებოდა შესაფერისი ეპითეტები.

თუმც... იქნებ შეთეს სულაც არ გამოუჩენია თავი შამილის შეპყრობის ოპერაციაში და რუსი სამხედრო ისტორიკოსიც, როგორც კეთილსინდისიერ მთხრობელს სჩვევია, ზედმეტს არაფერს მიაწერს თავის გმირს?..

მითუმეტეს, რომ თუშეთში გავრცელებული გადმოცემებიც არაფერს გვატყობინებდნენ შეთეს მონაწილეობაზე ამ გადამწყვეტ ბრძოლაში.

მაგრამ თუშეთს გარეთ რომ არა და არ ცხრებოდა აზრი: რუსებს ძალზე გაუძნელდებოდათ შამილის დამხობა, თუკი მრჩევლად და გზის მაჩვენებლად შეთე არ ეყოლებოდათო?..

ფიროსმანის ნახატი სხვას კი არაფერს გვამცნობს.

და გიორგი ცოცანიძე ვერ მოისვენებდა, ვიდრე დაბეჯითებით არ შეეცდებოდა ეჭვშეუვალი სიმართლის გამორკვევას.

მის ისტორიულ-დოკუმენტურ ძიებებში შეთე გულუხაიძის პიროვნებაც და საგმირო ეპიზოდებიც შემოვიდოდა.

შორს დარჩენილიყო ის ხანა, როდესაც მარტოდენ ენათმეცნიერული თვალთახედვით შეისწავლიდა ტექსტებსაც და სასაუბრო მეტყველებასაც. ლინგვისტის იპოსტასს თადათან პუბლიცისტის იპოსტასიც ამოუდგებოდა გვერდით, ბელეტრისტისაც და ისტორიკოს-დოკუმენტალისტისაც. თუშეთის მხარის ბედი მძაფრად რომ გამოათქმევინებდა სატკივარს, მეცხვარული ნოველების ციკლითაც ეგზოტიკურსა და მომხიბლავ პანორამას გადაგვიშლიდა თვალწინ და სამანელთა მოძრაობის შესწავლასაც დასდებდა თავის წვლილს უცნობი ცნობებისა და მასალების მოპოვებითაც და იმ ჰეროიკულ-ტრაგიკული მოვლენების ერთიანობაში გააზრებითაც.

და ახლა შეთე გულუხაიძის ცხოვრების აღდგენის ჯერიც დამდგარიყო, ლეგენდებიდან გამონათებული სახის გამოკვეთა და სისხლითა და ხორცით აღვსება ისტორიულ-დოკუმენტურ მოთხრობად „შეთე“ („საუნჯე“, 2013), და ფიროსმანის ნახატსაც მერამდენედ რომ ატრიალებდა ხელში, როგორ არ ერწმუნა მხატვრის ამ წარწერისა, მაგრამ სხვა რაიმე დოკუმენტური ცნობა რომ ვერც ადასტურებდა და ვერც მიანიშნებდა ამ წარწერის უტყუარობას?

მაინც როგორ მოხდა იმამის დატუსაღება?

1859 წლის აგვისტოს მიწურულია და ღუნიბი, სადაც შამილს შეუფარებია თავი, მაღალი მთის თხემის პლატოზე მოჩანს, ფერდობები მიუვალ კლდოვან ქარაფებად რომ ეშვება მთის ძირისაკენ. და შამილი აქ რომ გამაგრებულა ოჯახითა და ოთხასიოდე შემორჩენილი მიურიდით, ის ერთადერთი ბილიკი, საიდანაც შეიძლება აულში შეღწევა, მტკიცედ და საიმედოდ შეუკრავს — სახელდახელოდ აუშენებია სათოფურებიანი კედელი, ხოლო იმ ადგილებში, საიდანაც შეიძლება მტერმა იერიში სცადოს, ქვა-ლოდთა გროვები დაუმზადებია — თუ ფერდობებიდან მოინდომებენ შეტევას, საგორავს ვერ გადაურჩებიან.

დაე მიადგეს ბარიატინსკი თოთხმეტი ბატალიონითა და ქართველთა მილიციით — პირდაპირი იერიშით განა რას მიაღწევს?!.

შამილი მშვიდად მოელის შემოტევას და წინასწარვე ტკბება იმ სურათების წარმოდგენით, თუ როგორ ასროლინებენ კუდით ქვას ღუნიბის დამცველები იმპერატორის მიერ გამოგზავნილ ჯარს.

მაგრამ... ეს რა ხდება!..

თენდება 25 აგვისტო და... დამპყრობელნი უეცრად იქ უნდა აღმოჩნდნენ, სადაც იმამი და მისი მიურიდები ყველაზე ნაკლებად მოელიან... და თუმც შამილმა იმ წუთას გასხლტომა უნდა შეძლოს და ოთხასიდან სამოცდაათი შემორჩენილი მიურიდით სოფელში შევიდეს და იქ გამაგრდეს, მაგრამ ბრძოლა უკვე წაგებულია და იქ გამაგრებაც — ხანმოკლე და მოჩვენებითი; და ამიტომაც იოლად უნდა დაყაბულდეს პოლკოვნიკ ლაზარევს, ვინც პარლამენტარად წავიდ-წამოვიდოდა იმამსა და ბარიატინსკის შორის, და იარაღდაშვებული ეახლოს რუს გენერალს მთავარ ბანაკში.

გიორგი ცოცანიძეც გულდასმით შეისწავლიდა რუსულ ისტორიულ წყაროებში დოკუმენტური სიზუსტით აღწერილ მოლაპარაკებებს შამილთან და მის წარდგენას რუსი მთავარსარდლის წინაშე, ხელახლა გაჩხრეკდა იმას, რაც მანამდე ივანე ბუქურაულსაც უკვე გადაესინჯა და გამოეყენებინა კიდეც მხატვრულ-ისტორიულ თხზულებაში „დაღესტნის სამი იმამი“ და — რაკიღა იქ ვერსად აღმოეჩინა თუშებისა და შეთე გულუხაიძის მონაწილეობის კვალი, მორიდებოდა ვარაუდების გამოთქმას, მითუმეტეს, რომ უპირველესად იმამ შამილის ბედით დაინტერესებულიყო და ნაკლებ აღელვებდა მის შეპყრობაში მთავარ მონაწილეთა ვინაობა-სადაურობის გამორკვევა-დაზუსტება.

მაგრამ გიორგი ცოცანიძისათვის უპირველესი სწორედ თუშ მეომართა და მათი სწორუპოვარი გმირის შეთე გულუხაიძის როლის მიგნება რომ გახლდათ?

და სტრიქონსა და სტრიქონს შორის იპოვნიდა პასუხს, უნებურად რომ გაჰპარვოდათ რუს მემუარისტებსა თუ ისტო-

რიკოსებს. ვერ წარმოედგინათ, ამ გარემოებას ვინმე მარჯვედ თუ გამოიყენებდა, თორემ მიჩქმალავდნენ მოიერიშეთა გადამწყვეტ ფანდს — მიუვალი ადგილიდან თავდავლას ღუნიბის დამცველთათვის.

არადა, ეს ხომ თუშების ხელწერაა.

და ეს მანერა გიორგი ცოცანიძეს როგორ გამორჩებოდა.

მიუვალი მხრიდან დაატყდნენ თავს? მაშ თუშები ყოფილან და სხვა არავინ, თუშები კი — შეთე გულუხაიძის გარეშე?

დოკუმენტურად არ დასტურდება?

მითუარესი დოკუმენტებისათვის.

თუმც... ვითომ რატომაც არ დასტურდება — მაშ ნიკო ფიროსმანის იმ ნახატის ის წარწერა რა არის?

რაიმე გადმოცემას რომც არ ეყრდნობოდეს უშუალოდ, განა მისი ალღო და ვარაუდი სათვალავში ჩასაგდები არ არის?

მეტი სანდო დოკუმენტური წყარო რაღა გვინდა — რაკიღა ნიკო ფიროსმანი ასე ფიქრობს, ეს უკვე ნიშნავს, რომ შესაძლებელია სინამდვილეშიც სწორედ ასე მომხდარიყო.ნუთუ ვინმეს მოუვა აზრად, არ ერწმუნოს, ვთქვათ, ალექსანდრე ყაზბეგს, „ელგუჯას“ პერსონაჟების პირით რომ ამტკიცებს: გიორგი მეცამეტე რუსების მიერ არის მოწამლულიო? და გადმოიღოს პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიული რომანი თუ სხვა საისტორიო წყაროები ამ მოსაზრების გასაბათილებლად: სინამდვილეში მართლა ასე რომ მომხდარიყო, ნუთუ აქ არსად უნდა აღნიშნულიყო ყრუდ მაინცო?..

რაიმე გადმოცემას რომც არ ეყრდნობოდეს უშუალოდ, რაკიღა ალექსანდრე ყაზბეგი ასე ფიქრობს, ეს უკვე ნიშნავს ამ ცნობის უტყუარობას და ასეც უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს უკანასკნელი მეფე პოლიტიკური ტერორის მსხვერპლი გახდა (ისევე, როგორც წლების წინათ მისი უფროსი ძმა ლევან ბატონიშვილიც).

ასეა თუ ისე, სწორედ ძალდაუტანებლად ეთანხმება გიორგი ცოცანიძის დაკვირვება ნიკო ფიროსმანის ნახატს და ნიკო ფიროსმანის ნახატი — გიორგი ცოცანიძის დაკვირვებას.

და ასე გამოირკვეოდა, რომ:

შეთე გულუხაიძეს შეესრულებინა მეტად მნიშვნელოვანი როლი ოცდაათწლიანი კავკასიური ეპოპეის გმირის შეპყრობაში.

ეს დადგენა-დაზუსტება იმიტომ, რათა ყველაფერი ვიცოდეთ ისე, როგორც სინამდვილეში ყოფილა, თორემ... საამაყოსა და თავმოსაწონებელს ვერაფერს ვხედავ ამ სამხედრო-პოლიტიკურ აქციაში და ბევრად მერჩივნა თუშებისა და შეთეს ხელით არ მომხდარიყო ეს დრამატული ეპიზოდი, რაკიღა ამ მოქმედების შემდგომ ეს უშიშარი ვაჟკაცი და კეთილშობილი პიროვნება, ძველი დროის რაინდებს რომ მოგვაგონებს, უკვე აღარაფრით განსხვავდება იმ ადამიანთაგან, რომელთა ტრაგიკულ ხვედრსაც ილია ჭავჭავაძე იანიჩარის სახეში გაასიმბოლოებდა და მწარე გულისტკივილით გამოიგლოვდა მათ უბედო ბედსაც და საქართველოს მწუხარებასაც, თვალდახელშუა რომ ეკარგებოდა ყოველმხრივ შემკული შვილები, სამშობლოსათვის ვისაც უნდა გადაედო თავი, მაგრამ, ამის ნაცვლად, სამშობლოს მტრის გაძლიერებას ემსახურებოდნენ, მისთვის კისკასობდნენ, მისთვის იჩენდნენ სიმარდესაც, და:

შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსაო?!. — ერთმანეთს შერეოდა საყვედური და გულისტკივილი.

„კანვოელი“ ეწერა ლექსის პირველ ვარიანტში (სათაურადაც ასე ერქვა) და „ჩრდილოეთი“, ცენზურა არაფრისდიდებით რომ არ იყაბულებდა პირდაპირ აღნიშვნას და ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქნებოდა მარტოდენ გამჭვირვალე მინიშნებას დათანხმებოდა და „კანვოელი“ „იანიჩარით“ ჩაანაცვლებინა, „ჩრდილოეთი“ კი „ოსმალეთით“... თუმც მკითხველი მაინც ისე გაიგებდა, მწერალს როგორც ჩაეფიქრებინა და გამჭვირვალე მინიშნებათა მიღმა ადვილად ამოიცნობდა ნამდვილ ადრესატთა ვინაობას და... სამხრეთით კი არა, სწორედაც ჩრდილოეთით გაიხედავდა.

და აგერ შეთე გულუხაიძეც შეიძლება ამ ლექსის პერსონაჟად ვიგულისხმოთ.

ან მისთვის რა იყო, რომ ამშვენებდა მის დამღუპველს ჩრდილოეთსა?!.

ამ შემთხვევაში ერთმანეთს ვშორდებოდით ამ ისტორიულ-დოკუმენტური თხზულების ავტორი და თქვენი მონა-მორჩილი, რადგანაც გიორგი ცოცანიძეს ამ კუთხით არა სურს განსაჯოს თავისი პერსონაჟის პიროვნება — მისთვის შეთე გულუხაიძე გმირია, ამაღლებული, მონუმენტური, სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომი, ვისაც დიახაც შვენის ლეგენდების შუაგულში მოქცევა და რომანტიკული გმირის სახებამდე გაზვიადება.

ეს ლეგენდები ჰკვებავდა გიორგი ცოცანიძის ყმაწვილურ წარმოსახვასაც და გულშიც არაერთხელ გაივლებდა: ისე როგორ იქნება, შეთეს საკადრისი ბიოგრაფიული თხზულება არ შევქმნაო... „ვემზოგვებოდიო“ — თვითონ თუშური დიალექტისათვის ნიშანდობლივ ამ სიტყვას მოიმარჯვებს თავისი სულიერი ფორიაქისა და მისწრაფების გადმოსაცემადაც და იმის ასახსნელადაც, თუ რატომ ვერა ბედავდა დიდი ხნის განზრახულის აღსრულებას.

და აი 2004 წლის 12 აგვისტოს უნდა მიეღო თავისი უფროსი მეგობრის, ალექსი ჭინჭარაულის მიერ ამოწერილი მასალები ნიკოლოზ ვოლკონსკის სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო „კავკაზსკი სბორნიკის“ 1877 წლის მეორე ტომში და შეეხებოდა თუშთა რაზმისა დ მისი ბელადის შეთე გულუხაიძის საბრძოლო მოქმედებებს 1857 წლის ზაფხულის დიდოეთის სამხედრო ექსპედიციაში. ამონაწერებს კი მოკლე ბარათი დაერთვოდა:

— გოგი, თარგმნეთ ეს მასალა თუშებმა, დაუმატეთ გადმოცემები, ლექსები... ერთ-ერთი ცნობილი თუში კაიყმის „სახელ ნუ დაიკარგების“.

თავის დროზე რაფიელ ერისთავი რომ აგულიანებდა თანამოძმეთ, ეგებ ვინმე გამოუჩნდეთ შეთე გულუხაიძეს მემატიანედო, რაკიღა ვერავინ იდებდა თავს ამ მეტად საპასუხისმგებლო დავალებას, თვითონ მოჰკიდებდა ხელს „სამშობლო ხევსურისას“ შემოქმედი შეთეს ბიოგრაფიული ქრონიკის შედგენას, ცალკეულ ეპიზოდებზე რომ ააგებდა... მაგრამ სრული თავგადასავალი?.. აგერ გიორგი ცოცანიძემდე ვერავის გაებედა და კიდევ კარგი, ეს რომ გამოუჩნდებოდა — სწორედაც შესაფერისი ბიოგრაფოსი, მკვლევარისა და მწერლის ნიჭს რომ აერთიანებს საკუთარ თავში, და კიდევ იმ ზნეობრივ მრწამსს, სიმართლის აღდგენას რომ ესწრაფის და არა ლეგენდებში შეგნებულად ჩაკარგვას.

ბელეტრისტული გადმოცემები უხვად მოიპოვებოდა შეთეზე, მაგრამ ლექს-სიმღერები მაინცდამაინც ვერ დადასტურებულიყო, და ეს გარემოება არამარტო ამ ბიოგრაფოსს აღელვებდა, არამედ თავის დროზე თვით შეთესაც, ერთ დიდ დღეობაზე საყვედურით რომ მიადგებოდა ბრმა მეფანდურეს: სხვადასხვა გმირზე საქებარ სიმღერებს რომ გვასმენინებ, ჩემზეც რატომ არ მღერი, განა მე ცოტა სასახელო საქმეები ჩამიდენიაო?

მაგრამ მეფანდურეს პასუხად საკმაოდ მტკიცე საბუთი მოეძევებოდა: შენ მაშინ გიმღერებ, როდესაც მოკვდებიო.

— არ მინდა სიკვდილი, — გაგულისდებოდა შეთე, — ჯერ კიდევ ადრეა ჩემთვის, მინდა რომ სიცოცხლეშივე მოვისმინო ჩემზე სიმღერა.

არად ჩააგდებდა მის გაგულისებას ახალგაზრდა მუსიკოსი: იცოცხლე სიკვდილის ჯინაზე და როდესაც გარდაცვალებას დააპირებ, მაცნობე და მაშინ გამოვთქვამ შენზე სიმღერასო.

და გმირი გაბრაზებული რომ გაეცლებოდა იქაურობას, ამ შემთხვევის შემსწრე რაფიელ ერისთავი ჩაერეოდა და დაინტერესდებოდა, რატომ უარობდა მეფანდურე შეთეზე სიმღერის ახლავე გამოთქმას.

მაგრამ თუ წესად არ იყო ცოცხალი კაცის საქებარ სიმღერათა გამოთქმა?

კეთილი, მაგრამ ხომ არსებობდა ცოცხლებზეც სიმღერები, მაშ ის რაღას გამოეწვია, და თუ იმათზე შეიძლებოდა, შეთე რატომღა უნდა დაჩაგრულიყო, მათზე ბევრად სახელიანი?

ეტყობა, რაფიელ ერისთავს არ მოეხსენებოდა და მუსიკოსი განუმარტავდა: მათ რაღაც გადაუხადეს და ის სიმღერები

ფულმა შექმნაო. ასეთი გზა კი გმირისათვის სასირცხვილო იქნებოდა.

თუმც როდესაც შეთეც აღესრულებოდა, მაშინ რატომღა აღარ მოენდომებინა მეფანდურეს პოეტური დითირამბის შეთხზვა?

გიორგი ცოცანიძე ვარაუდობს: სიტყვას გატეხით არ გატეხდა და... ან ვერ შეიტყო შეთეს სიკვდილი ანდა თვითონ უფრო ადრე გაეცალა წუთისოფელსო.

მხოლოდ ნატირალი რომ შემორჩენილიყო შეთეზე — მისი დის ამონათქვამი — ისიც მარტოდენ დასაწყისის ორიოდ სტრიქონი გაცილებით გრძელი ლექსისა, და თუმც მწერალი-დოკუმენტალისტი თავს ინუგეშებს: არც ეს გმირი წასულა ამ ქვეყნიდან დაუფასებელი და დედათაგან „ლაზათდაუდევნებელიო“, — არამცთუ შეთე ვერ მოისმენდა ამ სახოტბო გაცილებას, ჩვენთვისაც დავიწყების ბურუსში ჩანთქმულა და მარტოდენ ამ ნაკუწის იმედად ვრჩებით.

ბიოგრაფოსისათვის კი შეთე გულუხაიძის პიროვნების დასახასიათებლად უპირველესი მაინც მისი მელეკეობაა ანუ ლეკებთან გამორჩეული ბრძოლა.

მელეკეობა ლეკიანობას გამოეწვია — ჭირთა უფრო ჭირს, თავდაპირველად ირანის შაჰთა წაქეზებით რომ შემოიჭრებოდნენ ხოლმე ჩვენს მიწა-წყალზე. შემოუსევდა თუ არა შაჰი კახეთს მარბიელ ლაშქარს, მაშინვე ლეკებსაც შემოუთვლიდა იმ დავალებას, ვახუშტი ბატონიშვილის მატიანეში ამ სიტყვებით რომ გადავიდოდა: მნებავს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე ყვენით იგინიო.

ასე დაიწყებოდა ეს საზარელი პროცესი, რომელიც ვერ შემოიზღუდებოდა მხოლოდ ლტოლვილთა დახოცვითა თუ დატყვევებით და დაღესტნელი მეომრები რიცხვმრავალ ბრბოებად თუ პატარ-პატარა ჯგუფებად მოედებოდნენ ქართველთა მხარეს, და არამარტო საზღვრისპირა სოფლებს, არამედ შიგნით და შიგნით შემოაღწევდნენ და რისხვად მოევლინებოდნენ მშვიდობიან სოფლებს: ეს სარჩო-საბადებლის გადაწვაო, ეს დასატაცებლის დატაცებაო, ეს ქალების, ბავშვების, მინდვრად მომუშავე გლეხების წასხმა და წამუსწრაფესად გაუჩინარებაო...

თან ყიზილბაშების ლაშქარს ებრძოლო და თან ყოველ წუთს მოელოდე ლეკთაგან თავდასხმებს!..

ასე მოირღვეოდა კახეთის აღმოსავლეთ საზღვარი, დაიცლებოდა და კიდეც ჩამოიწევდნენ ქვემოთ ლეკები, თვით კახეთშივე რომ შექმნიდნენ საკუთარ ბუდედ ჭარ-ბელაქანს.

ახალ-ახალი სახიფათო ბუდეები და კახეთისა და ქართლის აყრა-დაცარიელება მერე გენახათ, ლეკიანობას თავისი საპირისპირო პროცესი რომ არ გამოეწვია უნებურად და მელეკეობა არ დატყდომოდა თავს დაღესტანს, განსაკუთრებით მოსაზღვრე თუშთაგან, ლეკთა დევნას რომ გაიხდიდა ხელობად მისი ერთი ფენა. მელეკეები ბევრნი არასოდეს ყოფილან, მაგრამ ორგანიზებულნი კი გახლდნენ და ამიტომაც იყვნენ ხოლმე ყველგან და ყოველთვის, ჯგუფ-ჯგუფადაც და ცალ-ცალკეც, გეშით რომ დაეძებდნენ საქურდლად და საყაჩაღოდ გადმოსულ ლეკებს და კიდეც აგნებდნენ ხან ტყეში მობოდიალეთ და ხანაც დაბანაკებულთ. აგნებდნენ და... თავბედსაც აწყევლინებდნენ.

გიორგი ცოცანიძე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით გაძნელდებოდა ლეკიანობასთან ბრძოლა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თუმც აღარ აზუსტებს, რომ ეს უკვე ხდებოდა რუსეთის წაქეზებითაც, მიზანმიმართულად რომ შემოუსევდნენ საქართველოს ამ ბრბოებს და კინაღამ იმსხვერპლებდნენ კახეთსაც და შემდეგ უკვე ქართლსაც, ერეკლე მეორეს რეგულარული ჯარის შექმნა რომ არ დაევალებინა ლევან ბატონიშვილისათვის, მას კი სამეფო კაცის თვისებები არ გამოევლინებინა — და აღკვეთით თუ პირწმინდად ვერ აღკვეთდა ლეკიანობას, ძალიან კი შეასუსტებდა. კიდეც მოათავებდა, რა გგონიათ, ამ ჭირთა ჭირს, მაგრამ რუსეთი ამის საშუალებას აღარ მისცემდა და პოლიტიკური მკვლელობის მეოხებით გზიდან ჩამოიცილებდა იმ პიროვნებას, ვინც — ლეგენდის შარავანდით შემოსილი — ერთ მთავარ დაბრკოლებად გადაექცეოდათ საქართველოსათვის დამოუკიდებლობის წართმევის მცდელობისას.

რუსული მზაკვრული პოლიტიკა ჯერ ჩრდილოკავკასიელებს რომ გამოიყენებდა ჩვენი სამეფოს დასასუსტებლად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ ქართველებს ამოიყენებდა გვერდით ჩრდილო კავკასიისათვის თავისუფლების წასართმევად.

და შურისძიებით ანთებული ქართველები, რუსული დროშით შეჭრილნი კავკასიის ქედს გადაღმა, თითქოს საუკუნეობრივ სამაგიეროს უხდიდნენ ლეკებს, და აღარ ფიქრობდნენ, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა სრულიად შეცვლილიყო და ამ ახალ რეალობაში იმამ შამილის წინააღმდეგ კი არ უნდა ებრძოლათ, არამედ მის მხარდამხარ მდგარიყვნენ, რადგანაც შამილის დამხობასთან ერთად იფერფლებოდა იმედიც საქართველოს გამოხსნისა რუსული კაბალიდან.

სხვებს რა უნდა მოსთხოვო, როდესაც გრიგოლ ორბელიანიც კი ლეკთა გაჟუჟვას აღიქვამდა პირად და საქვეყნო შურისძიებად კახეთის განუწყვეტელი აოხრებისათვის — სისხლითვე მობანვად უმანკოდ დაღვრილი სისხლისა.

შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსაო...

სამწუხაროდ, ასეთი აღმოჩნდებოდა შეთე გულუხაიძის ბედისწერაც!..

აქ უნდა ჩახარჯულიყო მისი ჰეროიკული თვისებანი, ნიკოლოზ ვოლკონსკის რაინდობის დაუწერელი კოდექსით ბაიარდსაც რომ მოაგონებდა, XVI საუკუნის ფრანგ მებრძოლს, მისი სახელი შემდგომი ხანის ევროპაშიც და რუსეთშიც უნაკლო გმირობისა და რაინდობის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად რომ გადაიქცეოდა. და გიორგი ცოცანიძე ამ შეფასებას სავსებით რომ გაიზიარებდა, მკითხველს გააცნობდა ამ დაუწერელი კოდექსის რამდენიმე მუხლს, შეთე არაფრისდიდებით რომ არ გადაუხვევდა:

მტერს გაუფრთხილებლად არ ესროდა.

გაქცეულ მოწინააღმდეგეს ზურგიდან არ დაარტყამდა, აუცილებლად გაუსწრებდა, შემოუბრუნდებოდა და პირისპირ შეებმოდა.

გაქცეულ მტერს თუ მისი ნასროლი მოჰკლავდა, ხელს არ მოაჭრიდა, რადგანაც თავის მოკლულად აღარ მიიჩნევდა.

მეფისნაცვალი მიხაილ ვორონცოვი მის გაცნობას რომ მოიწადინებდა და კიდეც წარუდგენდნენ თიანეთში, სამაზრო კანცელარიაში, უპირველესად იმას ჰკითხავდა: რამდენი მოწინააღმდეგე გყავს მოკლულიო? — და ძალიან გაუკვირდებოდა, როდესაც პასუხად „თორმეტს“ მოისმენდა.

— თორმეტი მოწინააღმდეგე ძალიან ბევრ რუსის ჯარისკაცსაც ეყოლება მოკლული და ასეთი სახელოვანი მეომრისთვის ეგ ხომ ძალიან ცოტაა!..

შეთეს რომ უთარგმნიდნენ, მიუგებდა... თან ისე მგონია, რომ არსენა ოძელაშვილისა არ იყოს, ჩაიცინებდა ნელინელა, მერე რა, რომ საამისოს არაფერს გვამცნობენ მემუარული ჩანაწერები. არადა, ამ პასუხს იმ მიმიკის გარეშე რაღაც დააკლდებოდა:

— თორმეტი ისეთი კაცი მოვკალი, ვინც შემომხედა და შევხედე, მეცა და ვეცი. თორემ საერთო ომში და გაქცეულთაგან რამდენი კაცია ჩემი ტყვიითა თუ ხმლით მოკლული, მაგას ვინ დათვლის.

თითქოს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ პერსონაჟია და არა XIX საუკუნის რეალური პიროვნება... თუმც რა — ლეგენდები მაინც იქით ექაჩებოდა, საუკუნეთა სიღრმისაკენ.

გადმოცემებს გულდასმით ჩაჯდომოდა გიორგი ცოცანიძე, წმენდდა და ისე ალაგებდა, განსაკუთრებით კი ორ გადმოცემას ვერ ცნობდა უტყუარადა და შეთეს თავსგადახდენილად.

ერთი გვიამბობდა, თითქოს შეთეს ლეკებთან ბრძოლაში მოკლული თავისი შვილის ცხედარი სამოცდათხუთმეტად დაენანევრებინოს, ეს ნაწილები თავისი ახლობლებისათვის გა-

ეგზავნოს და თვითეულისაგან მოკლული ლეკის თითო მარჯვენა მოეთხოვოს. ვითომ შვილის ორმოცის რიგამდის ეს მარჯვენები მიეღოს, თხუთმეტი თვითონაც დაემატებინოს და ასე ოთხმოცდაათმაგად ეძიოს შური ლეკებზე თავისი ერთი ვაჟის მკვლელობისათვის.

მეორე კი ირწმუნებოდა, თითქოს შეთეს — მისი სახელით შესაშინებლად და გასაჩუმებლად — დედის მიერ სარკმელში თავგაყოფინებული გაჭირვებული ლეკის ბავშვისათვის ხმლით თავი ჩამოესხიპოს და ისიც თავისი ვაჟის მკვლელებზე შურისძიების მსხვერპლთა სათვალავისათვის მიემატებინოს.

ტყუილი თუ გამონაგონი ეგებ სხვაც მოიპოვებოდეს შეთეს „ნაქნართა“ შორის, მაგრამ მათ ვარაუდები თუ გამიჯნავდა რეალობისაგან, ამ ორ შემთხვევაში კი დაბეჯითებით შეიძლებოდა ამის მტკიცება. ნიკოლოზ ვოლკონსკის ნარკვევი, თვითმხილველის მზერით რომ აღადგენდა დიდოეთის სამხედრო ექსპედიციას და დოკუმენტური სიზუსტით აღწერდა შეთეს შვილების დაღუპვას მამის თვალწინ, მსგავსს არაფერს იტყობინებოდა, თორემ რომელიმე შვილის ცხედარი რომ დაენაწევრებინა შეთეს, ეს აღუნიშნავი არ დარჩებოდა სამხედრო ისტორიკოსს.

არც ბავშვის თავის ჩამოსხეპას იკადრებდა განთქმული მეომარი, რაკიღა ქართველ მთიელთა მეომრული მორალი ვერ ჰგუობდა დიაც-ყმაწვილებზე ძალადობას. აგერ თუნდ ნიკოლოზ ვოლკონსკის დოკუმენტური მოთხრობაც ირწმუნებოდა: თუშების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არცერთი ტყვე ლეკის ქალი არ ყოფილა შეურაცხყოფილი უღირსი მოპყრობითო. ხოლო ამ ზნეობრივ მრწამსსაც რომ მიუჩენდა ადგილს თავის თხრობაში: თუშები უმეტესად ერიდებიან მტრისათვის ზურგიდან დარტყმასო, — გიორგი ცოცანიძეს ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა სტრიქონები ვაჟა-ფშაველას პოემიდან „გოგოთურ და აფშინა“: ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვს, როცა ხმალს ხედავ მტრისასაო.

და იმ კვალს გაჰყვებოდა, თუ საიდან შეიძლება გაჩენილიყო ეს გადმოცემები — ნუთუ თუშებს თვითონვე მოეგონებინათ და მიეწერათ თავიანთი საამაყო გმირისათვის ეს უანდერძო და უღირსი საქციელი?.. ანდა ისე, თავისთავად წარმოშობილიყო?.. თურმე არც თუშებს შეეთხზათ და არც ჰაიჰარად გაჩენილიყო და ორივეს თავთავისი წყარო მოეძევებოდა — ერთი ალექსანდრ დიუმას „კავკასია“ და მეორე — რუსი ავტორის, ვინმე ლოსევის მოთხრობა „ტყვე თუშის ნაამბობი“, 1846 წელს რომ დაებეჭდა გაზეთ „კავკაზს“.

ალექსანდრე დიუმას შეთეს ბიოგრაფიაში შეეტანა... ჯუზეპე გარიბალდის ცხოვრების ეპიზოდი, იტალიის ეროვნული გმირი მტრისგან მოკლული თავისი პირველი ცოლის ცხედარს სწორედ ასე რომ მოექცეოდა — დაენანილებინა და ახლობლებისათვის გაეგზავნა, რათა თითო ნაწილის სანაცვლოდ მათ თითო მტერი გაესტუმრებინათ საიქიოს.

ხოლო იმ მომწერლო რუსს შეთესათვის რომ აეკიდებინა სარკმელში თავგაყოფინებული ბავშვისათვის თავის მოჭრის ლეგენდა, ალექსანდრე დიუმაც რომ ჩაეჭიდებოდა, როგორც ეგზოტიკურ ამბავს, ეს გადმოცემა შეთე გულუხაიძემდე კარგა ხნით ადრეც არსებობდა და გორგი თილიზე გახლდათ ამ ლეგენდის მთავარი გმირი, მის საგვარეულოში თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა.

ლაქები შორდებოდა ქათრველ ბაიარდად შერაცხულ გმირსა და რაინდს, სანდო ბიოგრაფიული ქარგა იკვროდა და ის შარავანდიც ედგმოდა თავს ამ ჰეროიკულ თავგადასავალს, იმისი გაცნობაც რომ აღარ გიკვირდა, თუ რატომ მიაჩნდათ ამ პიროვნების მშობლიურ სოფელში, რომ კავკასიის ომში შამილი და შეთე შებმოდნენ ურთიერთს, და გულუხაიძის გამარჯვების სიმბოლოდ თუშეთის ზოგიერთი სოფლის სახალხო-რელიგიურ დღესასწაულზე გასართობ საწესჩვეულებო ცერემონიად რატომ დამკვიდრებულიყო შეთესა და შამილის ჭიდაობა.

სოფელ ფარსმაში ზამთრის რელიგიურ დღესასწაულთა ერთკვირიანი ციკლის ბოლო დღეს, როდესაც საწესჩვეულებო რიტუალებს თან მოჰყვებოდა გასართობი წარმოდგენები — მაქალათების დედების გაპარვა, მათი დაბრუნება, დედებისა და შვილების გასამართლება, შვილების დაჯარიმება... — საჯარეში, შუა მოედანზე გამოვიდოდა ორი მაქალათი: თუშურად ჩაცმული „შეთე“ და ლეკურად ჩაცმული „შამილი“, რომლებიც ჯერ ხის ხმლებით ეფარიკავებოდნენ ერთმანეთს, მერე ხმლებს დაყრიდნენ და ხელდახელ შეიბმოდნენ ნამდვილი, უშეღავათო ჭიდილით.

ამ ჭიდაობაში უმეტესწილად „შეთე“ იმარჯვებდა, თუმც ხანდახან „შამილსაც“ რჩებოდა გამარჯვება.

ჯერ მარტო ეს საწესჩვეულებო წარმოდგენა აირეკლავს და გამჭვირვალედ მიგვანიშნებს, ღუნიბში ის სასწაულებრივი შეჭრა მიუვალი მხრიდან შეთე გულუხაიძის მეთაურობით რომ მომხდარიყო. და მხოლოდ მერე შესეოდნენ რუსი მეომრები...

თუმც... ვისთვის კისკასობდა?!.

ვისთვის იჩენდა სიმარდესა?!.

მისი რა იყო, რომ ამშვენებდა მის დამღუპველს ჩრდილოეთსა?!.

* * *

ვითომ დოკუმენტური წყარო არ შემორჩენილიყოს, თუ სინამდვილეში ვის მიეჩეხოს იმამ შამილი და მოეთავებინოს ოცდაათწლიანი კავკასიური ილიადა!..

მაშ აბა რა არის ნიკო ფიროსმანის იმ ფერწერული ტილოს დასათაურება, თუ არა ისტორიული უწყება?!.

ცნობა ცნობად და... ნახატის მშვენება კიდეც ნახატის მშვენებად, წამიერად რომ გვავიწყებს მელეკეობით განთქმული იანიჩარის ტრაგიკულ ბედს და მის პიროვნებას წარმოგვადგენინებს სულ სხვა განზომილებაში — სიკეთისა და ბოროტების მიღმა...

ხომ არსებობს ამგვარი განზომილება თვით ჩვენთვის საპატივსაცემო ადამიანთა მზერაშიც — და თუ გაზიარებით არ ვიზიარებთ მათ ასეთ თვალთახედვას, ვაღიარებთ და ვუკვირდებით ამ მსოფლგანცდის ფსიქოლოგიურ საწყისს... ოღონდ შორს რომ აღარ გავყვეთ, დოკუმენტური წყაროს უქონლობას მაინც ნუღა მოვიმიზეზებთ.

და ასე ეწვნის ერთმანეთს თუშური სახალხო წარმოდგენა, ფიროსმანის ნახატი და გიორგი ცოცანიძის მახვილგონივრული მიგნება.

* * *

მაინცდამაინც უნდა მოვკვდე, ჩემზეც რომ შეითხზას საგმირო სიმღერებიო? — ძალიან განიცდიდა შეთე გულუხაიძე, ეპიკურ ქმნილებას რომ ვერც იოცნებებდა, ეპიკურს — პოეტური სტრიქონებით მოქსოვილს თუ ისტორიულ-დოკუმენტურ პროზად სახელდებულს, გიორგი ცოცანიძის ყმაწვილური ფიქრები რა გარსითაც აცხადდებოდა.

* * *

არა, ვითომ ფიროსმანი რატომ უნდა დაეჭვებულიყო, რასაც გადმოცემები ამცნობდა და რასაც გუმანიც უდასტურებდა?!.

არ დაეჭვდებოდა და... არც ჩვენ დაგვიტოვებდა დასაეჭვებელს, თუკი ჯეროვნად შეგვიძლია დაფასება შემოქმედის ინტუიციისა, რისი მადლმოსილების იმედითაც ირწმუნებოდა გალაკტიონი: წარსული არავის ესმის, პოეტის გარდაო!..

...მაინცდამაინც უნდა მოვკვდეო?! — თავისი სადარდებელი არ ეშვებოდა შეთეს, რადგანაც იცოდა, რომ უსიმღეროდ ჩაინაცრებოდა ყველაზე განთქმული სახელიც, გაქრებოდა, განიბნეოდა... და ვერა გაეგო რა წუთისოფლისა — რატომ უნდა ჰკიდებოდა მისი ბედი აგერ ამ ბრმა მეფანდურეზე...

...არა, მაინც ვისთვის კისკასობდა, ვისთვის იჩენდა სიმარდესა?!.

სოფიო წულაია

გმირი — შემოქმედებით ჩიხში

გურამ მეგრელიშვილის რომანი მწერლის ბედზე

ახალი რომანი არ ნიშნავს მარტო ახალ თემატიკას, არც ახლებურად დანახულ სინამდვილესა და ნოვაციას ფორმაში... ახალი რომანი პირველ რიგში ენის რეფორმას გულისხმობს, ენის ახლებური სტრუქტურის შექმნის მცდელობას. შემოქმედებითი ენა ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი და ზუსტი გამოხატულებაა ადამიანის ცნობიერებისა, სწორედ ამიტომ ვერ უძლებს ვერანაირ კონსერვაციას, სტატიკას და, ალბათ, ყველაზე სწორად გამოხატავს ადამიანის ცხოვრების არსს — დროთა ცვალებადობის უზუსტესი, ხატოვანი მეტაფორაა.

ენის ახალი, ორგანული, დროთი განპირობებული, აუცილებელი წარმონაქმნებისადმი განსაკუთრებული მგრძნობელებით პროზაიკოსები გამოირჩევიან, ალბათ, იმიტომ, რომ პროზას მუდმივი სისხლის გადასხმა სჭირდება — ანემიურობა, ზედაპირულობა და სიცარიელე რომ არ დაბრალდეს.

ენასთან ერთად ხშირად იცვლება მხატვრული ნაწარმოების ფორმებიც, მაგრამ ეს უფრო ექსპერიმენტული ძიებებია და ნაწარმოების მაღალმხატვრულობას იშვიათად განაპირობებს. პროზის აღქმისას მთავარი იმპულსია, რომელიც იმის ილუზიას გიქმნის, რომ რასაც კითხულობ, ნამდვილია და ცოცხალი... ასეთი იმპულსები კი ძირითადად ენიდან მოდის.

„მოდელი 8/12"-ის წაკითხვამდე მეგონა, რომ გურამ მეგრელიშვილს ჰქონდა ჩამოყალიბებული წერის მანერა, სტილი, რომელიც საოცარ ზომიერებაში გამოიხატება... ახასიათებს: ზედმეტი პათეტიკის გარეშე ფოკუსირება აქტუალურ პრობლემებსა და ყოფით რეალობაზე, ესთეტიკა, რომელიც ყველაზე მეტად ეგზისტენციალიზმს უახლოვდება, ბოლომდე არ იმეორებს არცერთ მიმდინარეობას, ჟანრს... ისიც აღსანიშნავია, რომ მის სხვა ნაწარმოებებს თითქოს რაღაც აერთიანებს და კრავს, რაც შემოქმედების მთლიანობაში აღქმას უწყობს ხელს, მაგრამ „მოდელი 8/12"-ის პირველივე აბზაცის წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ აქ ყველა სხვა რომანი და მოთხრობა უნდა დამევიწყებინა, იმიტომ, რომ პარალელები ძველთან მხოლოდ ხელს შეუშლიდა ახალი ნაწარმოების სრულყოფილად აღქმას; რომ ამ რომანიდან მწერლის შემოქმედების ახალი ეტაპი ანუ ახალი გზა იწყება — განსხვავებული ორიენტირებითა და წერის განსხვავებული მანერით.

პირველი თვალშისაცემი განსხვავება ფორმაში მდგომარეობს, ამის შემჩნევა მხოლოდ წიგნის გადათვალიერებით და ქვესათაურების წაკითხვითაც შესაძლებელია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა და თანდათან ხვდები, რომ შინაარსთან შედარებით ფორმა მეორეხარისხოვანია.

მწერალი მკითხველთან კომუნიკაციის ახალ საშუალებას ირჩევს, მისი ენა და თხრობა ხან ეკლექტურია — ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოების ენით რომ გესაუბრება და გიმტკიცებს, თითქოს სასურველია დიალოგი ზოგადი იყოს, ვიდრე კონკრეტული; ხანაც ექსპრესიული — შესაბამისად, ემოციური და მეტყველი; ხან პროფესიული — და მედიცინის ენით, სრული სერიოზულობით გიხსნის, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს სხეულის ამა თუ იმ ნაწილის ამპუტირებას... ყველაზე საინტერესო კი, ალბათ, თანამედროვე ცივილიზაციისთვის ნიშანდობლივი კულტურული პარადიგმების შემოქმედებითი ინტერპრეტაციებია და არა მათი პირდაპირი ილუსტრირება სიტყვების საშუალებით.

ბევრი დაწერილა და კიდევ უფრო ბევრი თქმულა, რომ ტექნოკრატულმა ეპოქამ, ტექნიკურმა პროგრესმა სამყაროში ადამიანის როლი, ფუნქციები და დანიშნულება მაქსიმალურად შეამცირა, იმიტომ, რომ ადამიანების მაგივრად საქმეს ელექტრონული მანქანები აკეთებენ, უფუნქციოდ დარჩენილი ადამიანები კი მარტოობისა და გარერეალობისთვის დამახასიათებელი საოცარი ერთფეროვნებისგან იტანჯებიან. ეს თემა იმდენად ბანალური და არაერთხელ ტირაჟირებულია ლიტერატურასა, კინემატოგრაფსა თუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიაში, უხერხულიც კია ყველაფრის კიდევ ერთხელ გამეორება... გახმაურებული „ტერმინატორის" შემქმნელი ჯეიმზ კამერონი, რომლისთვისაც ეს რკინის კაცი ტექნოკრატული ეპოქის ერთგვარი მეტაფორა იყო 80-90-იან წლებში, სამყაროს განადგურებით რომ ემუქრებოდა, 21-ე საუკუნეში „ავატარს" იღებს, სადაც ამ უბედურებისგან თავის დაღწევის საშუალებას სთავაზობს მაყურებელს — ტექნიკისგან დასახიჩრებული, ინვალიდის სავარძელში აღმოჩენილი პერსონაჟი ჯანსაღი, ფიზიკურად ძლიერი სხეულის დაბრუნებას, ასევე სულიერი სიმშვიდისა და ბედნიერების პოვნას მხოლოდ ბუნების წიაღში დაბრუნების შედეგად ახერხებს... გურამ მეგრელიშვილი კი ათასჯერ გამეორებულ, თუმცა ჯერ კიდევ მოუგვარებელ, შესაბამისად, მტკივნეულ პრობლემას განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენს — ტექნიკა უფუნქციოდ დარჩენილ ადამიანს სხვადასხვა ორგანოების გარეშე ტოვებს — სხეულის ნაწილები მხოლოდ უსარგებლო დანამატებად აღიქმება. ტექნიკის მთავარი სამიზნე თავიდანვე ადამიანის ფეხები გახდა. იგი თავის არსებობას ქვედა კიდურების ფუნქციების მაქსიმალური შემცირებით იწყებს და საბოლოოდ ცდილობს მათი უმთავრესი დანიშნულების — გადაადგილების უნარის — საჭიროების ამოღებას ადამიანის ცხოვრებიდან („ავატარის" გმირსაც გადაადგილების პრობლემა აქვს). ეტლის, ველოსიპედის, ავტომანქანისა და უკანასკნელი ათწლედის უმთავრესი „მონაპოვრის", კომპიუტერის გამოგონება, თავისი შინაარსით, სწორედ აქეთკენაა მიმართული... მუდმივად მჯდომარე ადამიანს ფეხები არაფერში სჭირდება და რომანშიც ერთ-ერთ (თუ ერთადერთს არა) მთავარ მოქმედ გმირს — საბას — პირველ რიგში ფეხებს აჭრიან.

ნაწარმოების განხილვა სხვადასხვა რაკურსით შეიძლება: თუ შემოქმედებითი კრიზისით დავიწყებთ, რომელსაც რომანში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, იმის აღნიშვნაც აუცილებელი გახდება, რომ ამ თემაზე შემოქმედი ყველაზე მეტს მაშინ ფიქრობს, როცა ყველაზე აქტიური და პროდუქტიულია. ფედერიკო ფელინიმ ფილმი „რვანახევარი" შემოქმედების ზენიტში გადაიღო და, ამის მიუხედავად, საოცარი დამაჯერებლობითა და გულწრფელობით დახატა ჩიხში შესული შემოქმედი ადამიანის განცდები, ფიქრები და ტკივილი...

გურამ მეგრელიშვილის რომანშიც შემოქმედის მუდმივი ძიება და მაინც ვერპოვნა იმისა, რაც საბოლოოდ უნდა რომ იპოვოს, საკმაოდ საინტერესოდაა არა მხოლოდ აღწერილი, არამედ განცდილი და გაცნობიერებულიც... მკითხველიც



გრძნობს, როგორი მტკივნეულია შემთხვევა, როცა იცი, რომ უნდა წერო, მაგრამ ვერაფერს წერ, მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ არ გეწერინება, ან უფრო მარტივად, როცა გგონია, რომ ყველაფერი თქვი, საკუთარი თავი ამოწურე, შესაბამისად, მკითხველისთვისაც სათქმელი არაფერი გაქვს, განმეორებისა კი სიკვდილზე მეტად გეშინია. ჩიხში შესული გმირი, მხოლოდ იმის თქმას ახერხებს, რომ 30 წლისაა, ეს ერთადერთია, რაც დანამდვილებით იცის, რაშიც ეჭვი ოდნავაც არ ეპარება, თითქოს ჭეშმარიტება მხოლოდ ვექტორულ დროში მდგომარეობს, მითოსური დრო და მარადიულობა არც კი არსებობს, ამიტომაც აფერხებს სიტყვა „სული" და ამიტომაც ფიქრობს ამდენს, როცა ამ სიტყვის გამოყენება სურს ლიტერატურულ ტექსტებში.

მეორე მნიშვნელოვანი რაკურსი ის ექსპერიმენტია, რომელშიც ნაწარმოების პერსონაჟები მონაწილეობენ და ეს უკვე რეალობაზე, ტირანიასა და ტოტალიტარიზმზე პირდაპირი მინიშნებაა, თავიდან გულუბრყვილოდ, საბოლოოდ კი საზარელი მიზნის განსახორციელებლად რომ ითრევს ადამიანებს საკუთარ ჭაობში, ხოლო მიზანი კაცობრიობის განადგურებაა.

მთელ რიგ უცნაურ ექსპერიმენტებში ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, თუნდაც ერთი კონკრეტული ინდივიდის მონაწილეობა და ამ ფორმით ტირანულ რეჟიმს მსხვერპლადშეწირული კაცობრიობის საზარელი ბედისწერის დახატვის მცდელობა ხელოვნებაში არახალია, მეტიც, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების გადმონაშთადაც კი აღიქმება, მასზე აქტიურად წერდნენ ენტონი ბერჯესი, აიზეკ აზიმოვი, კობო აბე... ამ თემას მიუძღვნა ორი ფილმი („იღბლიანი" და „ჰოსპიტალი ბრიტანია") ლინდსეი ანდერსონმა, თემით სერიოზულად იყო დაინტერესებული სტენლი კუბრიკი... მაგრამ როცა ადამიანს თვითვე აქვს სურვილი სტატიკურ ნივთად გადაიქცეს, მაგალითად, საოცრად არაპოეტურ და არაფრისმთქმელ, მარტივ საბეჭდ მანქანად, და მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ყოველგვარი კრიზისისა და ადამიანური ვნებისგან შეუწუხებლად დაწეროს ერთმანეთზე უკეთესი რომანები, მწერლის ექსპერიმენტში მონაწილეობა განსხვავებულ აქცენტებს(აც) იძენს. ასეთ დროს, შემოქმედი თითქოს საკუთარი მკითხველის მსხვერპლია, მკითხველისა, რომელიც არ კითხულობს და თუკი ოდესმე რაიმეს წაკითხვის სურვილი დაებადა, მცირედ შეცდომასაც არ პატიობს შემოქმედებით კრიზისში მყოფ ავტორს. მანქანადქცევის შემთხვევაში ყველაფერი ბევრად მარტივი იქნებოდა, დაწერდი წელიწადში რამდენიმე რომანს, რომლებიც ერთნაირი სიძლიერისანი იქნებოდნენ, წინა რომანის დაწერის შემდეგ ძალაგამოცლილს იმის შიში აღარ შეგაწუხებდა, რომ რელაქსაციასა და რეაბილიტაციას ვეღარ მოასწრებდი, არც იმის განცდა გექნებოდა, რომ უკვე ყველაფერი თქვი და ვიდრე რამე ახალს დაწერ, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მოკრება საჭირო, სამაგიეროდ, არც გრძნობები, ემოციები და განცდები გექნებოდა... ეს ხომ მსხვერპლშეწირვის რიტუალს ჰგავს — რაღაცას თმობ, სწირავ, სანაცვლოდ კი იმას იღებ, რაც გგონია, რომ ყველაზე მეტად გჭირდება, მწერალს კი იმაზე მეტად რა შეიძლება სჭირდებოდეს, ვიდრე კარგი რომანებია?

მესამე რაკურსი ნაწარმოების ჟანრის განსაზღვრაა — რა არის ეს — სამეცნიერო ფანტასტიკა ეროტიკის ელემენტებით, ნატურალისტურ-სიმბოლისტური რომანი, პოლიტიკური სატირა ფანტასტიკის ელემენტებით თუ კიბერ-პანკი ულტრათანამედროვე ტექნიკის უახლესი შესაძლებლობებით? იქნებ ყველაფერი ერთად და სტივენ კინგისა და პიერ-პაოლო პაზოლინის ფერებსა და ტონებშია გადაწყვეტილი? (რომანმა „სალო ანუ სოდომის 120 დღე" მომაგონა, იმიტომ, რომ განწყობით, ესთეტიკითა და გამომსახველობითი საშუალებებით გარკვეულწილად ამ შემზარავი იტალიური დრამის საერთო განწყობას უახლოვდება).

მეოთხე რაკურსი, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ჭაბუკის ამბავია, რომელიც სუსტი ყოფაქცევის დედამ დაბადებისთანავე მიატოვა და ამერიკაში გაიქცა. გმირს ერთადერთი სურვილი აქვს, დედის ქვეყანაში ანუ დედამიწის სამოთხეში— ამერიკაში გაემგზავროს. მისთვის ვიზა პანაცეაა, კონსული კი საზარელი ცერბერი, რომელიც სამოთხის კარს იცავს და ცოცხალი თავით არ უშვებს იქ, სადაც მის ყველა უბედურებასა და წარუმატებლობას მოეღება ბოლო.

ფსიქოლოგიური პლასტის გარდა (დედის წიაღში მიბრუნების სურვილი) რომანი საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნის სწრაფვასაც გამოხატავს „მზრუნველი დედისკენ", მაგრამ ამ ჯადოსნურ ქვეყანაში რომ ტვინამპუტირებული ადამიანები ცხოვრობენ, თვითონ სახელმწიფოს კი მხოლოდ ექსპერიმენტთა ჩატარება აინტერესებს და ადამიანებს ისე აღიქვამს, როგორც საცდელ ბაჭიებს (ან ვირთხებს), გამოცდილების უქონლობის გამო, ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული.

მეხუთე პლასტი — სულიერი და ფიზიოლოგიური აბორტია. აბორტი, როგორც მხატვრული სახე ჯერ არდაბადებული ნაყოფისთვის ხელ-ფეხის მოჭრისა და ამ შემზარავი დანაშაულისთვის მიღებული სასჯელისა, რომელიც სხეულის სხვადასხვა ნაწილებმოჭრილ ადამიანთა შემზარავი სურათებითაა გამოხატული, ადამიანთა, რომლებიც ხან კოლბად, ხანაც საბეჭდ მანქანად გარდაისახებიან... მედლის მეორე მხარე სულიერი აბორტია, როგორც ძველ ფასეულობათა მთლიანად მსხვრევა და სანაცვლოდ, უარეს შემთხვევაში — არაფრის, უკეთეს შემთხვევაში კი — მეორეულის, სხვათა გამოყენებულისა და ვერგამართლებულის, შემდეგ კი გადაგდებულის შემოჩენება.

კიდევ არაერთი კითხვის დასმა შეიძლება — ვინ არის მთავარი გმირი — მთხრობელი ხომ მუდმივად იცვლება? თან თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. რომელია ფიზიკური რეალობა და რომელი — ექსპერიმენტის მონაწილეთა ფანტაზიის ნაყოფი? აიგივებს თუ არა ავტორი საკუთარ თავს მთავარ მოქმედ გმირთან და ვინ წერს გმირის ამბავს — თვით პერსონაჟი თუ მწერალი? მიმაჩნია, რომ ტექსტი იმდენად დინამიკური და ცვალებადია, თავისუფლად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტირების საშუალებას და რამდენიმენაირად შეიძლება წაიკითხო, ამიტომ სჯობს მკითხველს მივანდოთ საკუთარი დასკვნების გაკეთება და მხოლოდ ერთი რამ ვურჩიოთ — წაიკითხოს. შემოქმედება რეციპიენტის გარეშე არ არსებობს, ტექსტის ინდივიდუალური გააზრება კი გაამრავალფეროვნებს თხზვის პროცესს, რომანის შეთხზვა მისი დაწერის შემდეგაც გრძელდება და მთხზველი არამარტო ავტორი, არამედ მკითხველიცაა. შემოქმედებითი კრიზისისაც ავტორს მხოლოდ იმიტომ ეშინია, რომ მკითხველთან ურთიერთობას ვეღარ მოახერხებს და მათ შორის დიალოგი ვერ შედგება.

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

***

ვხედავ: დიდგორის ლეგენდარულ გზაზე წინ მიგვიძღვის საღვთო სამოსით მოსილი ერისკაცი, ღვთისკაცი, კურთხეული მოსე, ვისაც ანაფორის შიგნით მახვილი ჰკიდია! მივყვეთ მას. აღვივსოთ დიდგორის რწმენით: ეს რწმენა ეროვნულ ჯავშნად გადავაქციოთ! ილღაზის ლაშქარი უკვე კარზეა!.. და ჩვენი დიდი წინაპრის ხმაც გაისმის: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო“...

***

ალიტერაციის დიდოსტატიც ის არის: ნახევრადღმერთი ვინმე: შოთაი...

***

კორნელი სანაძე პორტრეტის დიდოსტატი იყო. აი, მისი „ვაჟა-ფშაველას პორტრეტი“: დიდ პოეტს ქუთუთოჩამოხეულ თვალზე თითქოს ჩრდილი აფენია: არა სჩანს, მაგრამ იგრძნობა!.. ხოლო მეორე თვალი უელავს რაღაც შინაგანი ცეცხლით და მრისხანებით!.. ცალთვალა არწივი!

***

ბევრი რამ გათავდა, გაილია, აღესრულა... ოღონდ: ულევია ადამიანის ნება, გამძლეობა... მთავარია: მიიზიდო ის, ხელი მოხვიო, გულში ჩაიკრა, ჩაეჭიდო!..

***

დუბლინელი გოიმი ვინმე, ვინც ლიტდაცინვა მოახვია თავზე დაღლილ ევროპას ფოჩებდამწყდარ ყაბალახივით...

***

რაო, სახელი და დიდება?.. დამშვიდდი, ძმაო, სწორედ ეგ მაშინებს!..

***

მცირე რეცენზია: ახალი, შესანიშნავი ჟურნალი. ყდას დიდი ამერიკელი პოეტის ედგარ ლი მასტერსის ფოტო ამშვენებს. გადაშლი: ლადო კოტეტიშვილის უკვდავი ტექსტი... გიხარია, ჩვენს ლიტერატურას რაღაც დიდი რომ შეემატა: წყნარად, დაგემოვნებით წასაკითხი ქმნილება... და იქვე შესანიშნავი პოეტი ქალის სტრიქონები: მოგწონს, მაგრამ ვერ აგიხსნია, თავის ტექსტს უცხოურ პოეტურ ბნკარედს რატომ ამსგავსებს... ცოტა რუსთაველის ხმაც შემოუშვას: განა რა დაშავდების ამითა?.. არც რაი!

***

ყოველ ლიტერატურულ აბრაკადაბრას შეიძლება რომ დავუძებნოთ გამართლება... ყოველ წარამარა ტექსტს განსაკუთრებული ახსნა მოსდევს: მწერლის ერთგვარი იღბალიც ეს არის, ამგვარი ახსნა უტყუარი და საჭირო თუ გამოდგა!

***

„ფშაველი პოეტი“... ასე მომიხსენიეს „იმედის“ ჟურნალისტებმა: „თბილისში ჩამოვიდა ფშაველი პოეტი ჯარჯი ფხოველი“... მე კი ასე ვფიქრობდი, რომ ქართველი პოეტი ვარ! ასე: „ფშაველი პოეტი“... კიდევ ერთი დარდი მომახვიეს, თითქოს ჩემი შავნაღველი არა მყოფნიდეს!.. „ფშაველი პოეტი“... ამგვარ „კლასიფიკაციას“ თუ გავყევით, მაშინ ერთი „ქართველი პოეტიც“ კი აღარ შეგვრჩება, რადგან ჩვენს პოეტებს სხვადასხვა კუთხური წარმომავლობა აქვთ! „ფშაველი პოეტი“... აქ, საბედნიეროდ, მხარში მიდგას ერთი გენიოსი. ის ამბობს: „უვარგისობის მიზეზი ფშავლობა არის სწორეთა... მაინც ეს არის, რაც არის, ჭორები მოაშორეთა!“

***

უტეხი ვაჟკაცების დედა არის ჩვენი საარაგვო. აი, ჩვენი შესანიშნავი მწერალი გიგი ხორნაული: მწერალი, მეფუტკრე, მონადირე, ფოლკლორის შემკრები, მეოჯახე... და ბრმა, მაგრამ არ გატყდა! სიბერის კვალობაზე იმდენ რამეს ქმნის, რასაც ზოგი თვალხილულიც ვერ შესძლებს!.. დაწერა და გამოსცა უაღრესად საჭირო წიგნი დამწყები მეფუტკრეებისათვის. დაწერა მთის ტოპონიმიკის ექვსტომეული... მახსოვს: ჩემს ბავშვობაში მაღალმთიან არახიჯაში ამოდიოდა. მაშინ გიგი ხორნაული სტუდენტი იყო... იმ პატარა სოფელში ყოველ გორაკს, მთას, ყოველ ბილიკს, ყოველ მარტოხეს, ყოველ კოტორ მიწას თავისი სახელი ერქვა: გიგი ყოველივეს აღნუსხავდა, იწერდა... იწერდა არამხოლოდ დიდებისაგან, არამედ — ბავშვებისაგანაც... ამომწურავად იწერდა შაირებს, ანდრეზ-თქმულებებს, ზღაპრებს, ჯვარ-ხატების სადიდებლებს, ტოპონიმურ ერთეულებს... იმ ჩანაწერებმა ეხლა შეადგინა ექვსი ტომი! მჯერა: ამ საინტერესო წიგნებს გამოუჩნდება კეთილი გამომცემელი, ალალი მკითხველი, დამფასებელი... ჟამთასვლის სიმუხთლით თვალის სინათლეწართმეული, მაგრამ უტეხი მწერლის ნახელავს მალე სრულად ვიხილავთ... ეწეოდეს დიდი ლაშარისჯვარი!

***

აბა, ერთი მოიხედე: არავინაის მონოლოგებს და ნაკადებს ჩაებღაუჭე ჯოისის ტექსტებით დაქანცული, მოწყენილობაშეყრილი თვალისგუგებით... ამჟამად ხომ, უფრო მეტად, რუსთაველის პოემის ტექსტმა შეგძრა: აქაც ხომ ნაკადებია, სხვა სიღრმეთა მონოლოგები და ნაკადები და უფრომეტი შაირსიტყვის ნაკად-ულები... გამოტყდი: ეს ყოველი თავისდროს ხომ ჯეილ-ოხრულად დაიზეპირე, თანაც, ბევრი რამ ვერ იაზრე და ის ყოველივე ჩაიკარგა ქვეცნობიერში... ბევრი რამ გულსაც სცდება, დარდსაც სცდება, ბევრი რამ აუხსნელად განქარდება, ჩაღრმავდება და უდაოდ ქვეცნობადს ამაგრებს მუხის ბოძივით... ბოძი...ი...ი... და, აჰა, ბოძიუიც გაიჩითა ამ ფურცელზე, თანაც ასეა: რუსთაველის უკვდავ ტექსტებს ბოძიუიც კარგად გაიგებს!.. „ცოტანილა დავრჩით“... მართლაც, ძალზე ცოტანი დავრჩით!.. აღარც თამაზ ჩხენკელია, ვისაც შორით ჩაესმოდა ბოძიუის გულის ფრიალი... ესეც ვთქვათ, რომ კარგად გადმოიღო: ბოძიუის დიდი დარდი გადმოთარგმნა ქართულ ენაზე! ვენიანის ყვითელ წყლებში იხრჩობოდა ხატაელი კლასიკოსი... დღეს ქართული ენა შეიყვარა: ლაღად სუნთქავს შოთაის ფილტვებში გამოვლილ ჰაერს და უკვდავ სიტყვებს გვეუბნება: „ცოტანილა დავრჩით მეგობრები ძველი“...

***

გველდედა: ქუჩაკის ლექსთა თარგმანებით რომ შემოიტანა ჩვენს პოეზიაში და დაამკვიდრა გივი შაჰნაზარმა... გველდედა: ისიც ხომ გველია, მაგრამ დედაა, რაც ერთგვარად „ამსუბუქებს“ მის გველურობას. ის არის თანამლმობელი გველი... შესაძლოა, სულაც ის გველია, გმირ ლუხუმს ჭრილობები რომ მოურჩინა უღრანს, უდაბურს ტყეში: „ბოროტების გზა გაუშვავ, კეთილი დაუჭერია! საჭმელსაც თვითონ უზიდავს, ასმევს წყალს ლაღის მთისასა, ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს ორის ობოლის ძმისასა... ამბობენ: შააძლებინა სნეულსო ფეხზე დადგომა, ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!..“ აჰა: გველმა განკურნა, განწმინდა და განამზადა დიდი ხევისბერი გმირი ლუხუმი მამაპაპის წმინდა ალაგას მისასვლელად!

***

რომაელები ამბობდენ: რამდენიც თავია, იმდენი აზრია... დავამატოთ კიდევ ეს უნუგეშო რამ: თავი არის, მაგრამ აზრი — არა!

***

ასეა: მეტალექსებმა თავი დააღწიეს ბევრ რამეს, რაც პოეზიას ესაძირკვლება, რაც წყობილსიტყვას თანასდევს: Rhitmos; tropos; metafore; epotheton; alliteratio და ა.შ... ეს ხომ პოეზია აღარ არისო, მეტყვი შენ! გეთანხმები: პოეზია არ არის, მაგრამ არის ის, რაც არის!

***

სიტყვაზე მიჯაჭვული ადამიანი. აქამდე ხომ ბევრ რამეზე იყო მიჯაჭვული: მზეზე, ყინვაზე, შიშზე, უსასოობაზე... და, ღმერთო ჩემო, შიმშილზეც!.. ხოლო ეხლა სიტყვაზე მიეჯაჭვა. ეს სულ სხვა რამეა; ამას ვერაფრით ვერ შეცვლი!.. გავა დღე და დაღამდება, გავა ღამე და გათენდება... ხოლო სიტყვაზე მიჯაჭვულობა თანდათან იმატებს, თანდათან დაუძლეველი გახდება... თანდათან, თანდათან!..

***

აი, ეს კაცი სიძულვილით ცხოვრობს: სიძულვილს სვამს, სიძულვილს სუნთქავს, სიძულვილის ტაბლეტებს მიირთმევს... რომ უთხრა, შენ პოეტი არა ხარო, შესაძლოა სიძულვილის ტყვიებით ჩაგცხრილოს! მართალიც იქნება: რა გინდა, რატომ განსჯი! სიძულვილსაც ხომ აქვს არსებობის უფლება... და ესეც იაზრე: სიძულვილი შესაძლოა სულაც ერთგვარი „მუზაა“ და „პოეტს“ ლექსებს „კარნახობს“! შეეშვი: სძულდეს, იყოს, ითავცემოს!..

***

აი, უნიჭობის ნიღაბი: მე ასე ვწერ და ვინმეს მოეწონება თუ არა, ეს ხომ სულაც ფეხებზე მკიდია!

***

ყოველი ლიტერატურული ფორმა ნიშანთა სისტემაა, რაც მეტნაკლებად წარმოგვიჩენს ამა თუ იმ ლექსის სრულყოფილებას, სრულობას და ხშირად ფარავს კიდეც მას მკითხველის თვალთაგან: ეს მაშინ ხდება, როცა ლექსის მთელი „სიმძიმე“ ფორმის ელვარებაზეა გადატანილი... და ეს ხშირად ისე თვალისმომჭრელია, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი სწორედ ამგვარ ელვარებას მიიჩნევს პოეზიად. ამ დროს ფორმა დეზინფორმაციის წყაროდ გვევლინება: ვეღარ ვხედავთ ნამდვილი პოეზიის მშვენებას. ჩვენ მზეთუნახავის მშვენებას კი არ შევიგრძნობთ, არამედ — სამოსისას... თუმცა სამოსი სულაც არ გვაინტერესებდა, მაგრამ...

***

მოგონების ნამცვრევი: თევზაობის დიდი მოყვარული იყო ცხონებული იურა ჯაფარიძე... შატილში გვითხრეს, მიღმახევის წყალში წლეულს თევზი უხვად არისო... და ჩვენც იქით გავემართეთ: ბადის გასაშლელი მორევები არდოტის წყალში თითქმის არ იყო!.. მივაღწიეთ ხონისჭალამდე: იქ არავინ სჩანდა: ხალხი საქონელთან ერთად მთაში იყო გახიზნული. მხოლოდ ერთი ბავშვი ვნახეთ: ისიც მაღალ სახურავზე ასულიყო და იქიდან შეგვეხმიანა. ჩამოდი, ვეჟო, ქისტები არა ვართო, ასძახა იურამ. ბავშვი ჩამოვიდა, მაგრამ კიბით კი არა, წინაბოძს ჩამოჰყვა ცოცვით: კბილებით ალესილი ხანჯარი ეჭირა და მიწას რომ დაადგა ფეხი, უმალ ხანჯარი მოიმარჯვა და უკუდგა! ნუ გეშინის, ქისტები არა ვართო, მისი გამხნევება კვლავ სცადა იურამ, მაგრამ ხონისჭალის ეს პატარა მცველი მაინც არ გვენდო: ეს ხანჯარჩაბღუჯული ხევსური კვლავ ეჭვით შემოგვყურებდა: ჩვენს ყოველ მოძრაობას გაფაციცებით აკონტროლებდა!

***

გამოტეხილად ვიტყვი: მე ვეკუთვნი პოეტების იმ კასტას, იმ ყაიდის პოეტებს, ელიოტისეული დაჯგუფების მიხედვით, „ვის პოეზიასაც ცხოვრებისეულ და სალაღობო დანიშნულების გარდა ისტორიული მნიშვნელობაც აქვს...“ ასე მგონია: ჩემს ლექსებში გაცხადებული ტკივილები, შეჭირვება და შავნაღველი სწორედ ჩემი დროის, ჩემი მინის ტკივილებს და შავნაღველს თანახვდება, მისი ანარეკლია, მისი ალიკვალია, მასთან საერთო ისტორიული ფესვები აქვს!

***

ასე წერდა არავინაი: „კაცთა გულების უნდობლობა, აღვირახსნილობა და შემზარავი ომები ანტონიუსის ამ სიტყვებიდან იღებს სათავეს: „მე ვარ ანტონიუსი, მაგრამ მე ვარ ადამიანი; ანტონიუსის მამული და სამშობლო რომია, ხოლო ადამიანისა — მთელი მსოფლიო“... ასე რომ, უპირველესად თუკი ჩემს ადამიანობას ვაღიარებ, მაშინ ჩემი პრეტენზიაც უზომოდ იზრდება და დედამიწის ყოველი წერტილის მესაკუთრე ვხდები!.. ასე, ვეჟო! ჩემს საკუთრებას ხმლით „ვიცავ“ და ვმუსრავ სხვა „მესაკუთრეებს“ და არა მთავრდება ეს შემზარავი წყვეტება და სისხლისღვრა არა მთავრდება!..“ არავინაის ფიქრს ასე გავაგრძელებ: არა მარტო ომების პირველიმპულსი, არამედ შემოქმედებითი დარდის საწყისიც ანტონიუსის ამ ნათქვამშია! ხოლო მე გეკითხები: ვინ ქმნის პოეზიას: ანტონიუსი თუ ადამიანი? პასუხიც ასეთია: პოეზიას ქმნის ორივე: ერთარსი!

***

ძველი ამბავი: გომეწრელი კაცი კუჭა შესულა ტყეში. ორიოდე ნაბიჯზე დაუნახავს დათვი, ძროხას რომ შეექცეოდა. კაცს უყვირია, თანაც დათვისთვის კეტი დაურტყია! ნადირი თავს დასხმია. გამართულა წამიერი შერკინება, რაც დათვის სრული გამარჯვებით დამთავრდა!.. დათვს ჩამოუღლეტია ცხვირ-პირი, გამოუგლეჯია ბარკალი და ყვერები... ჩაუმტვრევია ნეკნები და გაუჩინარებულა! ცხადია, კუჭას სიჯიუტეს და გულოვანებას თუ გავითვალისწინებთ, ვერც დათვი დაითესებოდა მთლად ჯანმრთელი!

***

მუზილი წერს: უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია, რომ შექმნა წიგნი, ვიდრე განაგებდე იმპერიას... ავრელიუსმა იცოდა ეს... ამიტომაც სტოიკური გულგრილობით შეჰყურებდა თავის იმპერატორულ დიდებას: მისი ცხოვრების მაგალითი ამტკიცებს მუზილის აზრს; ანდა ასე: მისი ცხოვრების მაგალითმა შექმნა მუზილის ეს აზრი... იმპერატორი და მწერალი... ორივემ შესანიშნავი წიგნები შექმნეს... ხოლო დღეს: მეოცე საუკუნის ბოლოს კრეტინი და ყეყეჩი უნდა იყო, გათახსირებული უნდა იყო, რომ იმპერიას ქმნიდე, იმპერიას განაგებდე, იმპერიის გამაგრებას ცდილობდე! (1990. ოქტომბერი).

***

მეუბნება: წამოვედი, რადგან იქ აღარ დამედგომებოდა, რადგან იქ არა მარტო კაცი, არამედ ცაც კი მტრული თვალით დამყურებდა. გამომყვა წყევლა და ქოქოლა... და კიდევ: ცრემლი, ერთი ვინმე შაოსანი დედაკაცისა...

***

ასეთი იყო: სიტყვათა ძველისძველი საბადოების გულუხვად გამხსნელი... მიტოვებული და ხანმოთეული სიტყვის გამცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი და მხარჯველი და, ამავე დროს, დამგროვებელიც, შემკრებიც... მფლობელიც...

***

ვიხსენებ შესანიშნავ კომპოზიტორს ალექსი მაჭავარიანს: ცნობილი კომპოზიტორი, ნაღდი მართალ-ქართველი, პრემიების კომიტეტის წევრი, ასე მეუბნება: საკვირველი და ამაზრზენი გაძრომა-გამოძრომა სცოდნიათ მწერლებს... პრემიების კანდიდატები პირდაპირ სასწაულებს ახდენენ: ვერსად დაემალები, უეჭველად გიპოვნიან... და იწყება ხვეწნა-მუდარა, მტკიცება, მუქარა... ბიჭი ხარ და ხმას ნუ მისცემ!.. ასე იქცევა თითქმის ყველა: ღირსეულიც და უღირსებოც... შემზარავი და სატირელია ეს ამბავი!.. მე, ჩემი მხრივ, ამ ღვაწლმოსილი ქართველი კომპოზიტორის სიტყვებს ვიმეორებ და ვამბობ: მიმი-

ფურთხებია იმ ნაჩალიჩარ, ნაცოდვილარ პრემიებისათვის, ნაჩალიჩარ სავარძლებისათვის, ნაჩალიჩარ პანეგირიკებისათვის, ვითომ-დიდებისათვის!.. ყოველივე ამისთვის განა ღირს მონური თავმოდრეკა და მუხლებზე ხოხიალი?!

***

მართლაც დიდი შეცდომაა, ყბამორღვეულმა რომ იღაღადო რაღაც შენი ყოველდღიური აჭიაბაჭია აზრების გამო და ამით შეაძრწუნო, დაღალო და გააბითურო შენივე ნალოლიავები სიტყვა, წაიხდინო და წარიხოცო სინდისი, რომელიც ყოველწამიერ გეუბნება, რომ სიტყვას მხოლოდ ის ფიქრი უნდა გაანდო, რისი ამოთქმაც არ შეგარცხვენს... და სამომავლოდ არ გათქმევინებს, ეს რა მივაგლახიაო... გეუბნები: ამოვთქვათ ის, რასაც ზნეობრივი სულიერი ცხოვრება გვიკარნახებს... ხოლო ქვიშა და ლექი დარჩეს ქვიშასაყრელზე!

***

მაინც ვინ არის ეს არავინაი? საიდან, რომელი საუკუნიდან მოვიდა, ასე ხელაღებით, ასე გამეტებით რომ შეჩქვიფა ჩემი გულისგული?! რას ნიშნავს მისი გააფთრებული კვეთება, მისი სათავცემო და საჭოჭმანო აზრები? მისი ვაგლახი და ნამქეზები შეძახილი ჟამიჟამ ძილს რომ მიფრთხობს: ადექი, ეს ვერანი ფურცელი შენ გელოდება! თავად ხომ არაფერს არ იჯერებს, არავის არ უსმენს: თავისწვერაა და ჯიუტი, ისეთია, ვერავის რომ ვერ შეადარებ... ხან ასე ფიქრობ: ეგ იმ მარტოხესა ჰგავს, ტყისაკენ რომ არ იყურება და იმ უდაბური ტყის აზრი სულაც ფეხებზე ჰკიდია!.. და მაინც ვინ არის ეს ოხერმოხეტე, შენი დარდი რომ აიყოლია, თითქმის პირწმინდა პლაგიატორად რომ გაქცია!.. ღმერთო ჩემო, მაინც ვინ არის ეს ბედკრული არავინაი? ვაღიარებ: მე უდავოდ მიყვარს ჩემი მწერლობის ეს თანაზიარი ვინმე, მაგრამ მაინც მტკიცედ ვამბობ: რა მაგისი საქმეა, როდის დავწერ, რას დავწერ და როგორ დავწერ!

***

ვაჟა-ფშაველას პროვინციულობის მითი ილია ჭავჭავაძემ დაარღვია, როცა თქვა, ჩვენ ძველებმა კალამი დავდოთ, გზა ვაჟა-ფშაველას დავუთმოთო... თუმცა ამგვარი რადიკალურობა პოეზიას არ მიესადაგება, რადგან აქ არავინ ხელს არ უშლის მავან ვინმეს... ტალანტები თანაარსებობენ, ერთურთს ამდიდრებენ ხშირად ძნელადსაჩინო გავლენებით... თანაც: გავლენა პლაგიატი სულაც არ არის! ეს ბუნებრივი კანონია: ვინც ვაჟა-ფშაველას ეზიარება, კაიხანს ამ კოლოსის ჩრდილში რჩება... მსოფლიოს დიდი პოეტების გავლენა: საუკუნეებს მოსდევს მათი სუნთქვა... აი, ისინი, ვის სუნთქვასაც მე ვგრძნობ ყოველწამიერ: უიტმენი, პო, ლოტრეამონი, ბოდლერი... ციუი იუანი, დუ ფუ, ვან ვეი, მენ ჰაოჟანი, ლი ტაი-ბო, ლაო ძი... და კიდევ მრავალი თანამედროვე: ჩვენიც, უცხოელიც... გავლენებს წინ ვერავინ აღუდგება: კეთილ გავლენებით თანაარსებობენ ეპოქები, სხვადასხვა ლიტერატურები. ეს არც დასაძრახია და არც სათაკილო! პირიქით, სამარცხვინოც კი არის, რომ გყავდეს ისეთი წინაპარი, როგორიც რუსთაველია და იმის სუნთქვას არ გრძნობდე, მის გავლენას არ განიცდიდე!

***

ლექსის მთხზველები: უმრავლესობა... უმცირესობა: პოეზიის აღმომჩენლები... მე ვეთაყვანები მაძიებელ უმცირესობას! ფარავდეს დიდი ლაშარისჯვარი!

***

ამბობდა იუდეველი მოსე ბენ მაიმუნი: ჯერ საკუთარი ხელები უნდა შეისწავლო: ხელები ხომ სულ შენს თვალწინაა! მათი ძალა, მათი ხასიათი, მათი აღნაგობა... მაშ ხელს რაღა გიშლის?

***

რწმენაც საკმაოა: ზენაარის ყოველგანმყოფობას სხვა საბუთი არა სჭირდება! იმის მარჩიელობა, თუ სადაა მისი მთავარი საყრდენი, მთავარი წერტილი, საღვთო ფეხმოსაკიდი, საიდანაც სამყაროს მოეფინება წმინდა სინათლე, სრულიად უაზრო ჩანს მაშინ, როცა ვირწმუნებთ, რომ მისი მყოფობის უპირველესი ალაგია გული: გული ადამიანის, გული ბუნების, ხილული სამყაროს გული... გული: სხვა რამ სახელს ამ საღვთო ადგილს ჩვენ ვერ მოვუძებნით... გული, საიდანაც მისი ძალა და ნება ყოველმხარეს თანაბრად ვრცელდება დროში და სივრცეში... და სწვდება მარადისობას, რომელიც უსაზღვროა...

***

რაც ცდით მტკიცდება, მხოლოდ ის ირწმუნე, მხოლოდ ის დაიჯერე: ამბობდა დიდი მოსე ბენ მაიმუნი...

***

დღეს არათუ უწყინარ კრიტიკულ გამონათქვამებს, არამედ პოეზიის ამგვარ „შედევრებსაც“ გადაეყრები: „შენი გულის სიყვარულში მე შენს დედას შევეცილე!..“ აი, სიყვარულის ნაკლებობა, ღვთითდაწყევლილი! თუმცა, შესაძლოა, სიყვარული აქაც არის, ამ სტრიქონების უკან დგას თავდახრილი, დამწუხრებული... აქ ის ემსგავსება იმ ძალადმორწმუნეს, ვინც ღვთისსახლის წინარე პირჯვარს ისახავს და მუხლებზე ეცემა მარტოდენ სხვების დასანახად: თამაშობს მორწმუნის როლს: ცთომილებაში ვარდება!

***

აბა, რა გითხრა. დღეს პოეტები ბევრნი არიან: ახალუხლები, ნაკითხები, ჯიუტები და სხვა... კარგად წერენ: ბევრს წერენ... ვუსურვებ: წერონ ცოტა: აღმოაჩინონ ბევრი... ასე მჯერა: პოეზიაში აღმოჩენაა მთავარი!..

***

ასე ამბობდა მოსე ბენ მაიმუნი: ვინც სიყვარულით არა ცხოვრობს, იმას ვერ იგუებს პოეზია ამქვეყნიური, ის ვერც მეცნიერულ ძალმოსილებას ვერ მისწვდება და ვერც სხვა შემოქმედების შავრაშს ვერ დაიურვებს!

***

მწერლის სიკვდილის შემდეგ მისი სახელი გაივლის კიდევ ერთ სახიფათო გზას: ეს არის დავიწყების პირქუში გზა... ამის გავლის შემდეგ რაღაც აუხსნელი მიზეზით (მიზეზი სხვადასხვაა) მწერლის სახელი ისევ ბრუნდება და აგრძელებს ამქვეყნიურ სიცოცხლეს, თუმცა ამგვარი რამეც ხდება, რომ ეს „დავიწყების გზა“ ხშირად მარადისობას ეწყვილება, რასაც უდავოდ მოსდევს სრული და საბოლოო დავიწყება... მაგრამ რომელია უკეთესი და მისაღები — კვლავ დაბრუნება და ხელახალი „სიცოცხლე“, თუ სრული და საბოლოო დავიწყება, — ეს ჩვენ არ ვიცით და, საეჭვოა, თვით იმ განსვენებულმაც იცოდეს!.. თანაც, რა საჭიროა ამგვარ საჭოჭმანო რაიმეს ცოდნა!.. ხომ ცხადია, რომ შემოქმედებითი „სიცოცხლეც“ და დავიწყებაც ორივე ერთი მარადისობაა!

***

მოდი, „ლექსის კეთებას“ ჩავანაცვლოთ პოეზიის აღმოჩენა: დამიჯერე, ის ხშირად ცივილიზაციის დიდ აღმოჩენებს ეთანაბრება!..

***

არავინაი: ჩემი ღმერთი: რომელ, არავინ, არარა... მაპატიე არსთაგამრიგეევ, შენს ნატერფალს რომ ფეხი დავადგი!

***

სტრიქონი, თან რო ჰყვება გულის სიცივე, სადაც სიტყვა აღიქმება ერთგვარ ეკლიან, მსუსხავ მცენარის ფოთლად და ახლოს არ გიკარებს!.. ღვთაებრივი სინათლის შხეფი რო აკლია... ვისთვის იქმნება ის? მივიღოთ თუ არ მივიღოთ?.. ხომ ცხადია, რო ამგვარ „ქმნილებას“ გულში ვერ ჩავიკრავთ!..

ერთი კრიტიკოსი, ორი რეკენზია

მაია ჯალიაშვილი

ყავა და ქლიავის ნამცხვარი ნაღებით

(ახალ საბავშვო წიგნზე „ყაჩაღი ჰოცენპლოცი“)

კვირაობით ბებია ქლიავის ნამცხვარს აცხობდა გათქვეფილი ტკბილი ნაღებით, მერე მუსიკალური საფქვავით, ორხმაში რომ მღეროდა: „მაისში ყველაფერი ყვავილობას იწყებს“. სურნელოვან ყავას ფქვავდა, მერე ერთად დასხდებოდნენ: კასპერლი, ზეპელი, ბებია და პირს იტკბარუნებდნენ. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ქლიავის ნამცხვარს ბებია მხოლოდ კვირაობით აცხობდა, ამიტომაც ერთ დღეს ასეთი ოცნება დაიბადა:

„— იცი რა? — წამოიწყო კასპერლიმ, — როგორ მინდა, კონსტანტინოპოლის კაიზერი ვიყო.

— ეგ როგორ? — იკითხა ზეპელმა.

— მაშინ ყოველდღე შევძლებდი ქლიავის ნამცხვრის ჭამას ნაღებით.

— კონსტანტინოპოლის კაიზერი ყოველდღე ჭამს ქლიავის ნამცხვარს?

კასპერლიმ მხრები აიჩეჩა.

— ეგ საიდან უნდა ვიცოდე. მაგრამ, აი, მე თუ ვიქნები კაიზერი, უთუოდ ყოველდღე ქლიავის ნამცხვარს შევჭამ.

— მეც, — ამოიოხრა ზეპელმა.

— შენც? ეგ არ გამოვა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კონსტანტინოპოლს მხოლოდ ერთი კაიზერი ჰყავს. და მე თუ ვიქნები, შენ ვეღარ იქნები კაიზერი. ეს უნდა გაითვალისწინო.

— ჰმ, მაშინ ჩანაცვლებით ვიყოთ. ერთი კვირა შენ იყავი კაიზერი, მეორე კვირა — მე, — უთხრა ზეპელმა“.

ასე შეთანხმდნენ მეგობრები და ყველაფერი ჩვეული რიგით გაგრძელდებოდა, დაღამდებოდა და გათენდებოდა, რომ არა ყაჩაღი ჰოცენპლოცი, რომელიც მოულოდნელად დაესხა თავს ბებიას და მისი არაჩვეულებრივი საფქვავი გაიტაცა. ამის შემდეგ დაიწყო კასპერლისა და ზეპელის მხიარული და ხიფათიანი თავგადასავლები მომღერალი საფქვავის დასაბრუნებლად.

ამ ყოველივეს ბავშვები წაიკითხავენ ცნობილი გერმანელი საბავშვო მწერლის, ოტფრიდ პროისლერის ბესტსელერად ქცეულ წიგნში „ყაჩაღი ჰოცენპლოცი“, რომელიც გერმანულიდან მაია მირიანაშვილმა შესანიშნავად თარგმნა.

ლიტერატურული ჯილდოებისა და პრემიების მფლობელი ოტფრიდ პროისლერი მსოფლიოში ცნობილი მწერალია და მის ნაწარმოებთა უმრავლესობა თითქმის ყველა ენაზეა ნათარგმნი. მისი წიგნებიდან შეიძლება დავასახელოთ „პატარა კუდიანი“, „კრაბატი“ (ფენტეზის ჟანრისა) და სხვ. მისი ნაწარმოებების მიხედვით არაერთი ანიმაციური თუ მხატვრული ფილმია გადაღებული. „ყაჩაღი ჰოცენპლოცი“ კი უკვე 50 ენაზეა თარგმნილი და ახლა ქართველ ბავშვებსაც შეუძლიათ წაიკითხონ მშობლიურ ენაზე.

რით იზიდავს ეს მწერალი პატარა მკითხველს?

უპირველეს ყოვლისა, საოცრად უჩვეულო ამბებითა და იმ დიდი სიყვარულით, რომელიც ყოველ მის წიგნს ახლავს თან.

კასპერლის ვინ არ იცნობს და მასთან კიდევ ერთი შეხვედრა პატარებს გაახარებთ.

ამ წიგნში არიან კეთილი ფერიებიც, ყაჩაღებიც, ჯადოქრებიც და ყოჩაღი კაცუნებიც, შიშის მიუხედავად, მაინც უკან რომ არ იხევენ, ბოროტ ჯადოქარს ებრძვიან, წესრიგის დამცველს ყაჩაღის დაჭერაში ეხმარებიან და გატაცებულს ტყვეობიდან დაიხსნიან.

ხალისიანი ეპიზოდები თამაშ-თამაშით ბავშვებს ცხოვრებისეულ სიბრძნეს აზიარებენ, სიკეთის ბოროტებაზე აღმატებულობაში აჯერებენ და, რაც მთავარია, სურვილს გაუჩენენ, მოასურვებენ, თვითონაც იყვნენ ისეთი მოხერხებულნი, მამაცნი, გონებახვილნი და მხიარულნი, როგორებიც კასპერლი და ზეპელი არიან.

აქ ჯადოქრებიც სხვანაირები არიან, თან ყოვლადძლიერნი და თან სასაცილოდ უძლურნი: „დიდი და ბოროტი ჯადოქარი, პეტროსილიუს ცვაკელმანი, პირქუშად იჯდა თავისი ჯადოსნური სასახლის სამზარეულოში და კარტოფილს თლიდა.

მართალია, დიდი ჯადოქარი გახლდათ, ისეთი, რომლისთვისაც უმარტივესი იყო ადამიანის — ნებისმიერ ცხოველად, ჭუჭყის — ბევრ ოქროდ ქცევა, მაგრამ ჯადოქრობით კარტოფილით სავსე ჯამი რომ გაეთალა, არ გამოსდიოდა. არადა, სულ მაკარონსა და ქერის ბურღულს ხომ არ შეჭამდა?! ასე რომ, დროდადრო უწევდა სამზარეულოში შესვლა, წინსაფრის აფარება და ამ მომაბეზრებელი საქმის კეთება. თავად უნდა ეზრუნა კარტოფილის გათლაზე“.

წიგნის მთავარი გმირი, კასპერლი, გერმანული ფოლკლორისა და მარიონეტთა თეატრის ცნობილი კომიკური პერსონაჟია, რომელიც გამოირჩევა გულუბრყვილო ხასიათითა და ქცევით. მას ჯამბაზივით აცვია და თავზე ყოველთვის წითელი პომპონიანი ქუდი ახურავს. წიგნში ამ ქუდთან დაკავშირებითაც უცნაური ამბავია მოთხრობილი.

ასე რომ, ამ კეთილ, მუდამ ღიმილიან პერსონაჟს ბავშვები სიხარულით დაუმეგობრდებიან და მასთან ერთად იოცნებებენ საგმირო საქმეებზე მოჯადოებული, გომბეშოდ გადაქცეული ფერიასა თუ დატყვევებული მეგობრის გადასარჩენად.

ჯადოსნური ელექსირი

(იზაბელ აბედის საბავშვო რომანი „მოჩვენებათა სახლქვეშ“)

როგორია სამყარო, რომელიც ზეცის მიღმაა?

ან როგორია სამყარო, რომელიც მიწისქვეშაა?

როგორ ვიმოგზაუროთ იმ უცხო და იდუმალ ქვეყნებში, რომლებსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ გვჯერა, რომ არსებობენ.

ბავშვურ წარმოსახვას ხშირად აშფოთებს ამგვარი ფიქრები.

ჯადოქრები, ალქაჯები, კუდიანები, ათასი ჯურის მოჩვენება, წყლისა და ცეცხლის, ჰაერისა და მიწის სულები — უცნაურსახიანი, ხანაც უსახო, დარღვეული პროპორციით, არამიწიერი ფერებით — ისინი მითის, ზღაპრისა და ლეგენდის პერსონაჟები არიან, ერთდროულად საშიშნი და მიმზიდველნი, ბავშვობის ხანის განუყრელი თანამდევნი.

გველეშაპები, დევები, ურჩხულები, მარტო მოხეტიალე შავი ხელები, ბოროტი თუ კეთილი კაცუნები — როგორ აღაგზნებენ ფანტაზიას და ბადებენ მათთან მიახლოების წყურვილს. ეს სურვილი თანდათან იკლებს და მერე სადღაც ქრება, რადგან გაზრდილ ადამიანს უფრო მეტად აღელვებს რეალური, ვიდრე წარმოსახული, თუმცა ხელოვანნი, მარადიულად ბავშვური სულის მატარებელნი, არ კარგავენ მზეთუნახავთა თუ მათხოჯების არსებობის რწმენას და თავიანთ შემოქმედებაში აცოცხლებენ.

იზაბელ აბედი ასეთი თანამედროვე გერმანელი საბავშვო მწერალია, რომლის რომანშიც „მოჩვენებათა სახლქვეშ“ მკითხველი უხილავ სამყაროში იმოგზაურებს.

რომანში საოცრად ხატოვნად და სულისშემძვრელად მოთხრობილია 11 წლის მოზარდების, ბიჭისა და გოგონას, ლორენცოსა და დინას, მიწისქვეშეთში მოგზაურობის ამბავი.

როგორც მიწისზედა არსებანი (ე.ი ადამიანები), ისე მიწისქვეშანი (ე.ი. ადამიანისგან განსხვავებულნი და ამიტომაც საშიშნი) მიისწრაფიან ერთმანეთისკენ. ხანდახან ხვდებიან კიდეც და აღმოაჩენენ საოცარ მსგავსებას ერთმანეთთან — ერთნაირად უყვართ, სძულთ, ეჭვიანობენ, უხარიათ. სტკივათ, ოღონდ ეგაა, მიწისქვეშა სულები დიდხანს, ასწლეულები ცოცხლობენ. ისინი ისევე უფრთხიან ადამიანებს, როგორც ადამიანები მათ. მაგრამ არსებობს გამონაკლისიც, როდესაც მოულოდნელად მათ შორის სიყვარული ჩნდება და ისინი ერთად იბრძვიან ბოროტების დასამარცხებლად, რომელიც ყველგანაა — ზემოთაც და ქვემოთაც.

ამ ორ სამყაროს ერთმანეთთან საიდუმლო ხვრელები, გვირაბები, გასასვლელები აკავშირებს, ოღონდ მათი დანახვა და აღმოჩენა იშვიათად ხდება. მაგალითად, ლუის კეროლის ალისა თეთრ კურდღელს გაეკიდება, ორმოში ვარდება და მერე საოცრებათა სამყაროში იმოგზაურებს, არჩილ სულაკაურის გმირი სხვენზე ადის და სკივრიდან ამოღებულ ძველ კაბას იცვამს, რომელიც ჯადოსნური აღმოჩნდება, ზოგი სარკის მიღმა ანარეკლს მიჰყვება, ზოგს ჩვეულებრივი ოთახის კარი უცებ სხვა სამყაროსკენ შეეღება.

ჰელოვენი სწორედ ისეთი დღესასწაულია, რომელზეც თავს იყრიან ყველაზე საშიშ ნიღბებსა და კოსტიუმებში გამოწყობილნი. და რა მოხდება, თუკი დღესასწაული მოჩვენებით კი არა, ნამდვილ ალქაჯებთან შეგახვედრებს? მიუხედავად შიშისა, ალბათ, მაინც ბევრი ყმაწვილი მოისურვებდა იმ საიდუმლო კარის შეღებას, რომლის იქით მიღმა სამყაროა თავისი გამოუცნობი და ყოვლისშემძლე არსებებით.

იზაბელ აბედის რომანის შესავლის პირველივე ფრაზა თავზარდამცემი და ცნობისწადილის აღმძვრელია: „კატასტროფა დაიწყო“. დედამიწაზე, როგორც ხშირად, ვერცხლისფერ-ნაცრისფრად წვიმდა, დედამიწის მიღმა კი, ბნელ სივრცეში ორკულას (ბნელეთის მთავარი მოციქულის) საზარელი ხმა გაისმა, რომელიც თავის შექმნილ ეშმაკებს დედამიწის დასალაშქრად მოუხმობდა.

თან იქონიეთ ღრუბელი და წყლით სავსე ვედრო,
შემოიჭერით ჩაბნელებულ ქვეყანაში,
და ქმენით თქვენი ეშმაკური საქმენი,
აღგავეთ და განწმინდეთ ყველაფერი,
რაც ხელთ მოგხვდებათ,
არაფერი დატოვოთ დედამიწის ზურგზე,
ყველაფერს, რაც დგას და მოძრაობს,
მოუსვით თქვენი გამანადგურებელი ღრუბელი,
და იმოქმედეთ მანამ, ვიდრე ჩემი ძახილი
ისევ უკან არ გიხმობთ.
თქვენი დრო უკვე მოვიდა,
დიაბოლო-დეპურგოს ეშმაკნო!

ეს დილა კი ასე დაიწყო: „დღეს ჰელოვინი იყო და ლორენცოს მასწავლებელმა, ქალბატონმა ანდერსმა, ქრისტეფორე კოლუმბის სახელობის სკოლიდან მეხუთე ა კლასი ფანტაზიაპარკში წაიყვანა“. აჟივჟივებულ ბავშვებს მატარებელი საშინელებათა სამყაროში ამოგზაურობდა. ლორენცო და მისი თანაკლასელი გოგონა მოჩვენებათა მატარებლის მე-13 ვაგონში მოხვდნენ. 13-მა აქაც გაამართლა და გასართობი პარკიდან ჩონჩხის ფორმაში გამოწყობილი ლორენცო და დინა, სისხლიანი გრაფინიას სამოსში (საგანგებოდ ჰელოვინის აღსანიშნავად), სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ.

სწორედ ამ დროს სხვადასხვა სამყაროს დამაკავშირებელი ხვრელიდან გამომძვრალი ეშმაკი ქალაქში დადის წყლიანი სათლით და სველ ღრუბელს რასაც გადაუსვამს, ყველაფერს აქრობს.

მერე ყველაფერი აირევა, როგორც მიხაილ ბულგაკოვის რომანში, „ოსტატი და მარგარიტა“, არავინ უჯერებს სკოლის მასწავლებელს, გამქრალ ბავშვებს რომ დაეძებს, შეშლილად გამოაცხადებენ და კლინიკაში გააქანებენ.

მწერალი პარალელური მონტაჟის ტექნიკით უნაცვლებს ერთმანეთს ქვედა და ზედა სამყაროებში მიმდინარე მოვლენებს და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს გონიერებისა და უგუნურების, სიყვარულისა და სიძულვილის ჭიდილს.

მართლაც, საოცრად ფერადოვანია ქვეყანა, რომელშიც ლორენცო და დინა მოხვდნენ. მათ მალე დაძლიეს შიში, რადგან ცნობისმოყვარეობა უფრო მეტი ჰქონდათ და მალე

დაუმეგობრდნენ კიდევაც მოჩვენება-გოგონას, ფოსფორმკერდიან ანტონელას, მის ძმას, პაწაწინა ჯინს, ახმედს, ბოთლში რომ იზრდება, მათ დედას, მომსი აკვას, სხეულის ყოველი ნაკვთიდან წყალს რომ აფრქვევს, უხილავ მამას, მხოლოდ ახალმთვარეობისას რომ ჩნდება და დედა მოფერებით პავაროტის ეძახის, რადგან ხმით ზედა სამყაროს ოპერის ცნობილ იტალიელ მომღერალს ამსგავსებს. ამავე ოჯახშია პაპა, ვლადიმირ ფონ პოლტი, რომელიც თუმცა სარდაფში ჩასახლებულა, მაგრამ ყური აქ დაუტოვებია, რომ ყველაფერი მოისმინოს და გაიგონოს.

და სხვა უამრავ ურჩხულსა და აჩრდილს, შავ ჯადოსანს, გნომს, კობოლდს, მოსიარულე ცეცხლს, ნიმფებს, გოლიათებს, სამთავიან ძაღლს, ხისხელა ტროლს, ბოთლის ჯინებს, სულებს, ვამპირებს, ჩონჩხებს... იხილავენ ლორენცო და დინა, აქამდე მხოლოდ ფილმებსა და წიგნებში რომ ხვდებოდნენ. აქ გაიცნობენ მგლოვიარე ურჩხულ ქალ ბანშსაც, რომელიც დინას წიგნში „მოჩვენებათა ლექსიკონი“ რომ ჩაიხედავს, აღფრთოვანდება: „ბანშმა წიგნი დაუშვა. თვალები, რომლებიც წითლად უღვიოდა, ლამის ბუდიდან გადმოსცვივდა. ო, ისე მოვიხიბლე, რომ ლამისაა მოვკვდე. ადამიანებს სწამთ ჩემი. დღემდე ასე ზუსტად ჯერ არავის აღუწერივარ“.

მოჩვენებათა სამყაროში მოხვედრილ ბავშვებს ურჩხულები პატრონობენ, გამოჰკითხავენ ოჯახის ამბებს და თანაუგრძნობენ, როცა ენაჭარტალა დინასგან გაიგებენ, რომ ლორენცო მამას მიუტოვებია, არადა აქაც: „ბაღის თავზე მთვარე ამოსულიყო. ეს იყო წითელი მთვარე, სავსე, დიდი, ბევრად დიდი, ვიდრე ზემოთ სამყაროში ენახა. როცა ლორენცო მთვარეს შეჰყურებდა, უცბად სიმღერა გაახსენდა:

მთვარე ამოვიდა და გაბრწყინდა
ოქროსფერი სხივებით.
ცა გააკაშკაშა და გაანათა,
ტყე ჩაბნელდა და დადუმდა,
მდელოებს კი საოცარი თეთრი ნისლი გადაეფინა.

ეს იყო ძილისპირული ბავშვებისთვის. ლორენცოს, ცოტა არ იყოს, შერცხვა, თვალებიდან ცრემლები რომ წასკდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი იმ უმცირეს მოგონებათაგანი იყო, რომელიც ლორენცოს მამაზე კიდევ ჰქონდა შემორჩენილი. ასობით, ათასობით ღამეს, როცა მას დაძინება არ შეეძლო, მამამისი თავისი მშვენიერი ხმით, იტალიური აქცენტით ამ სიმღერას უმღეროდა“.

ფოსფორისმკერდიან გოგონა ანტონელას ამის გაგებაზე აღმოხდება: „რასპუტინი კი დედამისმა მიატოვა, ისე, როგორც შენ — მამამ. დალახვროს ეშმაკმა, ვერც კი წარმომიდგენია, მშობლებს როგორ შეუძლიათ ასეთი რამის გაკეთება“.

ბავშვებისთვის ძნელი არ იყო ზედა და ქვედა სამყაროებს შორის მსგავსების აღმოჩენაც: „მარტოხელა მამა-ვამპირი, ერთი დაობლებული ცეცხლის სული და ერთიც აყვანილი ჩვილი სული ბოთლების სანაგვიდან — ამ ყველაფერზე ლორენცოს ალბათ გაეცინებოდა, ასეთი სევდიანი ამბავი რომ არ ყოფილიყო. მან პირი გააღო, მაგრამ სიტყვა საპნის ბუშტივით შეასკდა პირზე“.

აქ ბავშვებს შეუძლიათ სხვა თვალით შეხედონ ადამიანურ სამყაროს: „ლორდ გორვინი ამბობს, რომ ყველაზე საშიში ადამიანები არიან და თქვენ ჩვენს სამყაროს თუ აღმოაჩენთ, გრავალონის აღსასრული დადგებაო. ხმები ამტკიცებენ, რომ ასი წლის წინ რამდენიმე შეშლილი სული, ჯადოქარი და ვამპირი ცხოვრობდა ზედა სამყაროში, ვიდრე თქვენ, ადამიანებმა, მთლიანად არ მოსპეთ. ერთხელ ამის შესახებ „ახალ ამბებშიც“ გამოაცხადეს. მართალია, რომ თქვენ თურმე ჯადოქრებს ცოცხლად წვავდით? ვამპირებს კი ისარივით წვეტიან ჯვრებს ურჭობდით გულში და ასე ხოცავდით?“

ლორენცო და დინა გრძნობენ, როგორ სჭირდება ამ სამყაროს მათი დახმარება და ისინიც ძალ-ღონეს არა ზოგავენ, რათა ეშმაკების ჯარი, დიაბოლო-დეპურგო გააქრონ, ამისთვის ჯადო-სიტყვებია საჭირო, რომლებიც ყოვლისშემძლე ჯადოქარ ორკულას ავადმყოფობის გამო დავიწყებია. არადა, ეს ავადმყოფობა მხოლოდ „სინქრონული სლოკინია“, როგორც დინა დაასკვნის და მიხვდება, განსაკურნავად დაავადებულის შეშინებაა საჭირო. და რამ შეიძლება შეაშინოს საზარელი ორკულა? ვინ და ადამიანისშვილმა გოგონამ. ცნობილი ბლოკბასტერი „მონსტრების კორპორაცია“ გაახსენდება მკითხველს, იქაც ხომ ურჩხულთა სამყარო კრთის და ცახცახებს კიკინებიანი გოგონას დანახვაზე. „ორკულა ჯადოქარია. ჯადოქარი კი, რაც უფრო შეუხედავია და მახინჯი, მით მეტად მიიჩნევენ ლამაზად. ერთ ცისფერთვალება ქერათმიან ჯადოქარს ისე რცხვენოდა თავისი სილამაზისა, რომ ყოველთვის სახეჩამოფარებული დადიოდა. საკუთარი თავის სხვაგვარად გადაქცევის უნარი კი არ ჰქონდა“.

ბავშვები იმოგზაურობენ იასამნისფერი ტყეებისა თუ სიცილის ქვეყნებში და განიცდიან ჯერ განუცდელს: „ხალიჩამ ნარნარად გადაუხვია მარცხნივ, ლორენცო ყურებში გრძნობდა, ნიავი როგორ ელამუნებოდა და გაახსენდა სკოლაში, დიდი არდადეგების შემდეგ ბავშვები შორეულ ქვეყნებში მოგზაურობაზე რომ ლაპარაკობდნენ. ლორენცოს ყოველ წელს აოცებდა თანაკლასელების მონაყოლი ამერიკაზე, აფრიკაზე, ინგლისზე, ავსტრალიაზე, ესპანეთზე, საფრანგეთზე, საბერძნეთზე, იტალიაზე — მამამისის სამშობლოზე, რომლის შესახებაც მან მხოლოდ გაგონილით იცოდა და თვალით არასოდეს ენახა.

სამაგიეროდ ახლა მოგზაურობდა მფრინავი ხალიჩით გრავალონის მიდამოებში, ერთ ჯინთან, ცეცხლის სულთან, ვამპირთან და კიდევ ენაგრძელ დინასთან ერთად“.

ბოლოს ამ წიგნშიც ყველაფერი ისე მთავრდება, როგორც ჩვენთვის ნაცნობსა და საყვარელ ზღაპარში: „ჭირი იქა, ლხინი აქა“. ბევრი ხიფათის გადალახვის შემდეგ, ბავშვები შეძლებენ დაეხმარონ ორკულას და განკურნებული ჯადოქარი იტყვის მაგიურ შელოცვას:

გაქრით, ეშმაკებო, რომლებიც მე შევქმენი,
გაქრით, დაჰყევით ჩემს ბრძანებას.
შავი მიწისგან მოგეცათ ფორმა და
ახლა მიწასავით დაიშლებით თქვენი
ღრუბლიანად და ვედროებიანად,
და გაქრებით ამქვეყნიდან.

რომანი ქვედა და ზედა სამყაროების დამეგობრებით მთავრდება. ორივე მხარე გრძნობს, რომ უერთმანეთოდ ფერი, სურნელი და ხმოვანება ეკარგება ყოველივეს.

მწერალი მკითხველს აჯერებს, რომ ამ სამყაროში ყოველივეს, რასაც ვხედავთ თუ ვერა, თავისი სული აქვს და, შესაბამისად, თავისი ფიქრი, ოცნება, სურვილი, ტკივილი და სიხარული გააჩნია.

ეს წიგნი, როგორც ჯადოსნური ელექსირი, ბავშვებს (და დიდებსაც) დამუხტავს რწმენით, რომ არაფერია საშიში, მთავარია სიმამაცე, გაბედულება, თანაგრძნობა, სიყვარული, და თუ ვინმე შურით, სიხარბით, სიძულვილით განიმსჭვალება, მას აუცილებლად დაამარცხებს სიკეთე, მერე ოჯახიდან გაქცეული მამები და დედები შვილებს დაუბრუნდებიან, მშობლები მეტ დროს გაატარებენ პატარებთან და ყველა იქნება ბედნიერი.

24 წლის ვარ. რაც თავი მახსოვს, სულ ვწერ. ვწერ და ვწერ. ჩემი ნაწერების გამოქვეყნება არ მიყვარს. იმიტომ, რომ რაც ნამდვილია, ის დაფარული უნდა იყოს. უფრო ლიტერატურული კონკურსებისთვის ვწერ. ყველა მოთხრობა ასეთი კონკურსისთვის დაიწერა. არასდროს დამავიწყდება ის შეგრძნება, როცა პირველად ლიტერატურული კონკურსი მოვიგე. მეორე წელს ისევ მე გავიმარჯვე და მილორად პავიჩივით დამემართა — ყოველთვის, როცა გამიმარჯვია, მიგრძვნია სასოწარკვეთაო, და მეც სასოწარკვეთილი ვიყავი. მერე იყო „Pen მარათონი“, „შემოდგომის ლეგენდა“, ბლოგერების კონკურსი... ყველაზე მეტად ჩემს ლიტერატურულ ბლოგზე წიგნებზე წერა მიყვარს http://salomeaa.wordpress.com/

სულ ვამბობ — მე კარგად არ ვწერ, მე უბრალოდ კარგი მკითხველი ვარ-მეთქი. ჩემს განცდებს ორჰან ფამუქი უფრო კარგად გამოხატავს და ორჰანივით ვიტყვი — მეწერება და იმიტომ ვწერ! დღემდე რომ არ იცვლება, იმ სინამდვილის ასატანად ვწერ. კითხვა მიყვარს და იმიტომ ვწერ. ბედნიერებას რომ ვერა და ვერ ვეწიე, იმიტომ ვწერ. ბედნიერი რომ ვიყო, იმიტომ ვწერ.

სალომე შენგელია

ორი ნოველა

სპილოები

ვიწრო დერეფანი. თეთრი კედლები. თეთრი ჭერი. ტირილის ხმა. მინდა ყურებზე ხელი ავიფარო. რაც უფრო ვუახლოვდებით, ტირილის ხმა უფრო მატულობს. დერეფანში ჩემი ქუსლების კაკუნი ისმის. არ ვიცი რატომ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მახსენდება:

თუ ადამიანს ისეთი ფეხსაცმელი აცვია, რომელიც უჭერს — სიდამპლის ნიშანია.

თუ იაფფასიანი ფეხსაცმელი აცვია და ფული ენანება — სიდამპლის ნიშანია.

თუ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია და სხვაზე მაღალი უნდა გამოჩნდეს — ესეც სიდამპლის ნიშანია.

გამოდის, მეც კაი დამპალი ვყოფილვარ!!!

გამყოლი ქალი თეთრ კარებთან ჩერდება. მოვედით — ამბობს მკაცრად. კარებს აღებს და შევდივართ. უზარმაზარი თეთრი ოთახი, ირგვლივ ყველაფერი თეთრია, სითეთრე მთრგუნავს. ეს ჩვილ ბავშვთა სახლია. უფრო სწორად მიტოვებულ ბავშვთა სახლი. აქ იმუშავებთ — მკაცრად ამბობს გამყოლი ქალი და თეთრ ხალათს ისწორებს. 2 წლამდე ბავშვები ერთმანეთის გვერდით წვანან და ერთდროულად ტირიან. ისევ მინდა ყურებზე ხელი ავიფარო. მეორე დღეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები კარადაში ღრმად გადავმალე და დილის 7 საათზე სამსახურში გამოვცხადდი.

ანდრია 2 წლის იყო. ის არასდროს აუყვანიათ ხელში, არავინ მოფერებია. სხვა ბავშვების მსგავსად იწვა და თეთრ ჭერს მიშტერებოდა. კეფაზე მუდმივი წოლისგან თმა არ ამოსდიოდა და კისერთან სულ ოფლიანი იყო. პამპერსს 24 საათში ერთხელ უცვლიდნენ და დღეში მხოლოდ ორჯერ აჭმევდნენ. არ ტიროდა, არ ლაპარაკობდა. საერთოდაც არაფერზე ჰქონდა რეაქცია. ანდრიას ანკეტაში ეწერა — „ანდრია. 2 წლის. მგონი ყრუა“. მგონი (!), იდიოტები!

ერთი კვირა ანდრიას საწოლთან ვიდექი და ვაკვირდებოდი. ვიცოდი, რომ მხედავდა, მაგრამ არ მიყურებდა. ღამეებს ვათენებდი, მინდოდა შემჩვეოდა. ჩუმად მათვალიერებდა, ჭამის დროს კი აშკარად ვგრძნობდი, სიამოვნებდა ჩემთან ყოფნა. მალე ყველაზე ახლობელი გავხდი მისთვის. ზამთარი იწურებოდა და ერთ დღეს, როცა საგრძნობლად დათბა, ანდრია გარეთ გავიყვანე. ისტერიულად ყვიროდა, გადააქუხა ყველაფერი. ცა არასდროს ენახა. მთელი ცხოვრება თეთრ ჭერს მიშტერებოდა და ლურჯი ცის დანახვა მისთვის სრული შოკი იყო. ნელ-ნელა შეეჩვია. უფრო და უფრო ხშირად გამყავდა გარეთ. ფეხშიშველი დავდიოდით ბალახებზე. ერთ-ერთი ასეთი სეირნობის დროს პატარა ხესთან გაჩერდა, ფოთლებს აკვირდებოდა გაფართოებული თვალებით. ხელი მოჰკიდა, მოწყვიტა, ფოთოლი მიწაზე დავარდა. გაელიმა. მიხვდა, რომ ამ სამყაროში მასზე პატარა და უსუსური რაღაც არსებობდა, ისეთი სუსტიც კი, რომ მას ემორჩილებოდა. ამან ძალიან გაახარა. მისი საყვარელი საქმიანობა ფოთლების მოწყვეტა გახდა.

ღამე ჩემ გარეშე არ იძინებდა. ზღაპრებს ვუყვებოდი. განსაკუთრებით ერთი ზღაპარი უყვარდა სპილოებზე. ამ ზღაპარს ყოველდღე სხვადასხვანაირად ვყვებოდი, რადგან ჩემი მოგონილი იყო და მავიწყდებოდა. სამაგიეროდ, ანდრიას ახსოვდა ყველაფერი და მიბრაზდებოდა, როცა რაღაცას შევცვლიდი. ისეთი საყვარელი იყო, როცა მიბღვერდა, რომ ვცდილობდი მომეგონებინა, რა გადახდათ სპილოებს. ერთხელ კი სადღაც მოვისმინე სპილოებს შორის განქორწინება 17%-იაო, სპილოების და პინგვინების განქორწინებაზე ფიქრი მახალისებდა, ანდრიას ზღაპარშიც სპილოები ხან შორდებოდნენ, ხან ქორწინდებოდნენ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ძალიან უყვარდათ შვილები. ალბათ ამიტომ ამოიჩემა ანდრიამ სპილოები. მარტო სპილოებს ხატავდა. და თუ ზღაპარში სპილოები არ იყვნენ, ანდრიას ის ზღაპარი აღარ აინტერესებდა.

არ მასვენებდა ანკეტაში ამოკითხული „მგონი ყრუა. „მგონი მაგიჟებდა, ძარღვებში სისხლს მიყინავდა. ბავშვთა სახლის ექიმის პროტესტის მიუხედავად, ჩვეულებრივ ბავშვთა კლინიკაში წავიყვანე ექიმთან. ორი საათი ველოდეთ რიგს. ექიმმა გასინჯა და თქვა, ყრუ კი არა, ანდრიას ყველაზე მეტად სწორედ ყურები აქვს განვითარებულიო. სითბოს და ყურადღების ნაკლებობის გამო უბრალო სენსორული დარღვევა ჰქონდა. მალე ანდრია საუკეთესო ბავშვი გახდა — ლაპარაკობდა, თამაშობდა, იცინოდა, მღეროდა, სრულიად გამოჯანმრთელდა. მთელ დღეებს მასთან ვატარებდი. შინ თითქმის არ მივდიოდი. ასე გავიდა ორი წელი.

ერთ დღეს დერეფანში თეთრხალათიანი, ის საშინელი ქალი დამხვდა და მკაცრად მითხრა, ჩემთან შემოდით, საქმე მაქვსო. გული მომეწურა. თვალებში შავი წერტილები აკიაფდნენ. ყოველთვის ვფიქრობდი ამ წუთზე, ათასჯერ წარმოვიდგენდი, მაგრამ რეალობა იმდენად მწარე იყო, ნერწყვს ვერ ვყლაპავდი.

შევედი თეთრ ოთახში. თეთრხალათიანი მაგიდასთან იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და მაკვირდებოდა. კართან დავდექი. მინდოდა, რაც შეიძლებოდა მალე გავქცეულიყავი ამ ოთახიდან. ეს ქალი კი თვალს არ მაცილებდა, ისეთი გამჭოლი მზერა ჰქონდა, მუცელი ამტკივდა, ცოტაც და იქვე ჩავიკეცებოდი. სადღაც შორიდან ჩამესმა მისი სიტყვები — ერთი ოჯახი მოვიდა, ანდრია ძალიან მოეწონათ, გაშვილდება.

ანდრია — ერთი ჭიქა წყალი უდაბნოში — გაშვილდება, გაშვილდება, გაშვილდება... თვალწინ სპილოების მთელ ჯოგს ვხედავდი, ისინი ხან ზღაპრებიდან გადმოდიოდნენ, ხან ანდრიას ნახატებიდან. თითქოს მთელი გუნდი მოდიოდა ჩემს ჩასაქოლად. ყველგან სპილოები იყვნენ — წინ, უკან,

მარჯვნივ, მარცხნივ. თავბრუ დამეხვა და გონება დავკარგე. ის საშინელი ქალი კი მსაყვედურობდა, ხომ გაფრთხილებდით, ასე არ უნდა შეგყვარებოდათ, შეცდომა დაუშვითო. მინდოდა ეს ქალი მიმეხრჩო. საშინლად მეზიზღებოდა მისი ინდიფერენტული სახე.

მიმღებ ოჯახს სურდა ანდრია აღარასდროს მენახა, რათა სამუდამოდ გაეწყვიტა კავშირი ბავშვთა სახლთან. ხელშეკრულებაზე ხელი მოვაწერე. სახელი არ შეუცვალოთ — ვთქვი ისე ჩუმად, რომ მე თვითონ ძლივს გავიგონე საკუთარი ხმა. მგონი საერთოდაც არაფერი მითქვამს და უბრალოდ გამშრალ ტუჩებს ვამოძრავებდი.

ანდრიას ოთახში შევედი, არ ეძინა. ჩემი დანახვა გაუხარდა, ჩამეხუტა. არ მინდოდა ცრემლიანი ვენახე, მაგრამ თავს ვერაფრით ვიკავებდი. ვიცოდი, რამდენი წელიც უნდა გასულიყო, ვერასდროს დავივიწყებდი მისი კანის სითბოს, სუნს და ჩახუტებას, ტკივილის ტბებით სავსე თვალებს. ვუთხარი, რომ ყველაზე მეტად მიყვარდა, როგორც სპილოებს პატარა სპილოები. ბოლოჯერ მოვუყევი ზღაპარი და როცა დავასრულე, ანდრიას უკვე ეძინა. მძინარეს კიდევ დიდხანს ვუყურებდი და ვფიქრობდი — როცა ცხოვრება შეგინებულ ზღაპარს დაემსგავსება, ან ზღაპრების არ უნდა გჯეროდეს ან უკეთესი ზღაპარი გამოიგონო-მეთქი. მძინარე ანდრიას ფოტო გადავუღე და ოთახიდან გამოვედი. მანქანაში ჩავჯექი და ძალიან დიდი სისწრაფით უმისამართოდ გავქანდი.

არ ვიცოდი, სად მივდიოდი, შინ წასვლა არ მინდოდა, არც ვინმეს ნახვა. წვიმდა, წვიმის წვეთები საქარე მინას ეხლებოდა, გზას საერთოდ ვერ ვხედავდი. მინდოდა საქარე მინის საწმენდივით ყველაფერი წამეშალა. დამევიწყებინა, რაც ამ ორი წლის განმავლობაში მოხდა. გვიან მოვედი გონს. წვიმას გადაეღო. მანქანა გავაჩერე, გადმოვედი. შუა ტრასაზე, ასფალტზე ზუსტად თეთრი ხაზის გასწვრივ დავწექი, მანქანები არ მოძრაობდნენ. თვალები დავხუჭე. თეთრი კაბა მეცვა და თვალებშიც სითეთრეს ვხედავდი. უეცრად ერთი მანქანა გამოჩნდა. არ გავნძრეულვარ. მანქანა მიახლოვდებოდა. არ ვდგებოდი. გვერდზე ჩამიარა. რამდენ ხანს ვიწექი ასე, არ მახსოვს, არც ის მახსოვს როგორ დავბრუნდი შინ.

მობილურს დავხედე — 7 Missed Calls, 11 Unread messages. სავსე, მე ცარიელი... მობილური გამოვრთე. რა გაეწყობა — დედამიწა სავსეა მარტოობითა და ტკივილით. მეორე დღეს განცხადება დავწერე და სამსახურიდან წამოვედი. აღარასდროს მივბრუნებულვარ. ყოველ ღამე მესიზმრებოდა ბავშვთა სახლის თეთრი კედლები და ბავშვები, რომლებიც არაადამიანურად ტიროდნენ.

...

სამი წელია ცნობილი კომპანიის PR-მენეჯერი ვარ. ისევ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები მაცვია და როცა ფეხები ისე მტკივა, რომ მზად ვარ გავიხადო და ყველას თვალწინ ფეხშიშველმა ვიარო, ჩემს თავს ვუმეორებ — ესეც სიდამპლის ნიშანია!..

დღეს შობაა და ერთ-ერთ სკოლაში მიგვიწვიეს. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების წყალობით დაგვიანებით მივედი. შეხვედრა უკვე დამთავრებულიყო. ვხედავ, კლასის დამრიგებელი მიახლოვდება მოსწავლესთან ერთად და მეუბნება — ეს საუკეთესო მოსწავლეა, თქვენმა კომპანიამ მას კომპიუტერი აჩუქა და სურს მადლობა პირადად გადაგიხადოთო. არ არის საჭირო — ვამბობ ღიმილით და მოსაფერებლად ბავშვისკენ ვიხრები. ჩემ წინ 7 წლის ანდრია დგას, ისევ ისეთი ტკივილის ტბებით თვალებში. ტუჩებზე ორივე ხელს ვიფარებ, რამე რომ არ წამომცდეს.

მიცანიიიიიიი... მიცანიიიიიი!!! ყვირიან ჩემი თვალები.

ანდრია დგას და მიყურებს...

ზუსტად ვიცი — მიცნო!

End In Burgh

ციმერმანი ედინბურგის ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა. ქალაქი დიდი არაფერი, დეპრესიული, მკვდარი ქუჩებით იყო სავსე — ასე ამბობდა ციმერმანი და მას ეს ქალაქი საციცოცხლოდ ეკიდა. ისევე როგორც კურსელები და მშობლები, რომლებსაც მხოლოდ დღესასწაულებზე ეხმიანებოდა. შობას, ახალ წელს ულოცავდა და იშვიათად დაბადების დღეებს. ციმერმანი ასე აღწერდა თავის ოთახს — „უფანჯრო Box Room-ში მძინავს, ოთახში ლოგინის და კარადის გარდა ერთდროულად მხოლოდ მე და სამზარეულოდან მოსეირნე სუსტი თაგვი ვეტევით. სულ შვიდ კვადრატული მეტრის ფართობზეა საუბარი. ცარიელი კოკა-კოლის ბოთლები, ჩიპსების ნარჩენები და დიდი რაოდენობით წიგნები. აი, სულ ეს არის ჩემი ოთახი“. ციმერმანი უცნაური ტიპი იყო, უცნაური და საინტერესო.

არ იცოდა, რა უნდოდა ეკეთებინა ცხოვრებაში. პერმანენტული მარტოობა და დეპრესია არაფრისაკენ მიაქანებდა. პერიოდულად წიგნებს წერდა, დახეტიალობდა ლონდონში, რიგაში. არ სწამდა ღმერთის, როგორც ყველა ჭეშმარიტ სოციოლოგს, თუმცა სწამდა სულის არსებობისა. როცა გავიცანი, წუხდა, სული გამიუხეშდაო და მთხოვდა მესწავლებინა, როგორ დამელბო მისთვის სული. აი, ხომ არსებობს წიგნები: „როგორ გავხვდეთ მილიონერი“, „როგორ შევიძინოთ მეგობრები“, „როგორ ვისუნთქოთ“ და ათასი მსგავსი სისულელეები. მე კი მისთვის უნდა მესწავლებინა, როგორ დაელბო სული.

ბევრს ვსაუბრობდით ლიტერატურაზე. ერთხელ ვკითხე საყვარელ წიგნზე, მიპასუხა, რომ წაკითხული არ მექნებოდა. მე მაინც ვთხოვე, დაესახელებინა. ციმერმანის საყვარელი წიგნი პიერ პეჟუს „პატარა შარტრეზი“ აღმოჩნდა, რომელიც არა მარტო წაკითხული მქონდა, ჩემს საყვარელ წიგნებშიც შედიოდა. ამან ციმერმანი აღაფრთოვანა. მერე უეცრად მომიბრუნდა და მკითხა ციმერმანი თუ წაგიკითხავსო? სწორედ მაშინ გავიგე, რომ მწერლობდასავით (როგორც თვითონ ამბობდა). შინ დაბრუნებულმა მისი მოთხრობები მოვძებნე, წავიკითხე და ძალიან მომეწონა. ციმერმანი ხშირად მიყვებოდა თავის მეგობარ გოგოზე ალისაზე, რომელიც ძალიან უყვარდა.

ალისა და ციმერმანი ორი წელი ცხოვრობდნენ ერთად. ალისას ჯეინ ეარივით ბავშვობა ჰქონდა. მშობლებმა კერძო გოგონათა პანსიონში მიაბარეს, სადაც სულ სცემდნენ და აიძულებდნენ მკაცრი წესების დაცვას. ბავშვები ღამე არ აძინებდნენ, საწოლში ათას საზიზღობას უტოვებდნენ და ალისას მთელი ღამე შიში და მოჩვენებები სტანჯავდა. სამჯერ სცადა პანსიონატიდან გაქცევა და სამჯერვე მიაბრუნეს. ციმერმანი ალისაზე საუბრისას რაღაცნაირად სევდიანი ხდებოდა, არაამქვეყნიურად. თუმცა ეს სევდა მის უცნაურობას მივაწერე.

ციმერმანი ხშირად ჰყვებოდა ნამდვილ და ხანაც გამოგონილ უცნაურ ამბებს. განსაკუთრებით აჩემებული ჰქონდა ერთი ამბავი. მისი თქმით, ლონდონის მაღაზიებში იყიდებოდა სარეცხი საშუალება სითხის სახით, მაგრამ ეს სითხე დიდი რაოდენობით საწამლავი იყო. ერთ მაღაზიაში ბევრი არ უნდა გეყიდა ეჭვი რომ არ აეღოთ. სხვადასხვა მაღაზიაში შეიძენდი ბევრს, აბაზანას გაავსებდი ამ სითხით, ჩადებდი შიგ გვამს, ერთ კვირაში გვამი დაიშლებოდა და ტრაპიდან გაიწოვებოდა. ეს იყო დანაშაული, რომელსაც პოლიცია ვერ ხსნიდა, რადგან კვალი არ რჩებოდა. არ მომწონდა ასეთი საშინელებების მოსმენა და ვეუბნებოდი, ნუ მიყვები-მეთქი. თან მიკვირდა ეს სითხე როგორ შლიდა ადამიანის სხეულს, თმასა და ძვლებს. თუმცა ციმერმანი ამას ისე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ კინაღამ ვკითხე, საკუთარი გამოცდილებით ხომ არ ამბობდა ამას. ციმერმანი ლონდონში აპირებდა დაბრუნებას.

წასვლამდე კიდევ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს. ჩემი საყვარელი მწერლების ნაწარმოებები გადავეცი სულის დასალბობად. მან ლურჯ ფურცლებიანი ფრანგული წიგნი მაჩუქა — ფრანგულის სწავლა ხომ გინდოდა, ეს კიდევ ერთი მიზეზი იქნებაო.

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და ჩემი ცხოვრება მოწყენილობის ჭაობში იძირებოდა. ვფიქრობდი, საერთოდაც მოწყენილი ხომ არ დავიბადე-მეთქი. უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი მოწყენილობის თეორიის ჭეშმარიტებაში. მოწყენილობის თეორიის მიხედვით, ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდება, მოწყენილობის გამოა: მოწყენილობის გამო უყვარდებათ, მოწყენილობის გამო აკეთებენ დიდ აღმოჩენებს, მოწყენილობის გამო აწყობენ ტერაქტებს, მოწყენილობის გამო ომობენ. მერე გამოვლენ ევროკავშირის ან ნატოს წარმომადგენლები და დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით გამოთქვამენ შეშფოთებას, თუ გაგიმართლა, აღშფოთებასაც კი. ისაუბრებენ „მჭიდრო თანამშრომლობაზე“, „ურთიერთდახმარებაზე“, „ოკუპაციაზე“, სუვერენიტეტზე“ და ა.შ. ა.შ.

იქნებ ყველაფერი მართლაც მოწყენილობის გამო დაიწყო. მოიწყინა ღმერთმა და შექმნა სამყარო. თუმცა მერე სრულად ვერ გაიქრო ეს განცდა და შექმნა პირველი ადამიანი — ადამი, ჩვენი დიდი წინაპარი. მოიწყინა ადამმა და შეუქმნა ევა. მოიწყინეს სამოთხეში და აეკრძალათ ხე ცნობადის გასინჯვა და ასე დაუსრულებლად დღემდე...

მოწყენილობის გამო ნერონმა რომი გადაწვა. მე კი საკუთარი რომის გადაწვა მინდოდა.

მივხვდი, ჩემი მოწყენილობა არ იყო ჩვეულებრივი. ის ჯერ ღრმა დეპრესიაში გადაიზარდა, შემდეგ კი სრული ფრუსტრაციის შეგრძნებაში. არ მყოფნიდა საკუთარი თავი. არც დრო. არც ნერვები. არც მოთმინება. დრო არ მყოფნიდა, რადგან ყველაფერი აწმყო იყო, აწმყოში კი წარსული მტკიოდა.

მოწამლული სისხლი ვენებიდან უნდა გადმომეღვარა, მთელი სხეული რომ არ მომწამვლოდა. მერე სადღაც წავიკითხე: „უნდა შეგეძლოს ცუდი ფილმიდან გამოსვლა, მოსაწყენი წიგნის დახურვა და უინტერესო ადამიანებთან ურთიერთობის გაწყვეტა. ცხოვრება ერთია — არ უნდა დახარჯო ის მეორეხარისხოვან ნივთებზე“. გადავწყვიტე ჩემი მოსაწყენი ცხოვრების ფილმის დაპაუზება. მივხვდი, რაღაც უნდა მეღონა. რჩევისთვის ციმერმანს დავურეკე. ციმერმანმა მირჩია, ვინმეს ცხოვრება გაუცვალეო. მისი რჩევა საინტერესოდ მომეჩვენა და გონებაში ჩემს მეგობრებს გადავავლე თვალი: ერთი სუიციდით დაინფიცირებული იყო, მეორე შეყვარებულმა მიატოვა, მესამეს აუტანელი ოჯახი ჰყავდა. გონებაში delete დავაწკაპუნე. სოციალურ ქსელში facebook-ში შევედი.

„facebook”-ი ჩვენს ცხოვრებაში ყოველგვარი „friend request”-ის გარეშე შემოიჭრა. ციმერმანის იდეა, ერთად გამოვფაცებოოკდეთ, მეც გავიზიარე. 300-ზე მეტი ფრიენდს მყავდა, მაგრამ მათგან არც ერთი იყო ნამდვილი friend. 3 საათი ვეძებდი ვინმეს, ვისაც ცხოვრებას გავუცვლიდი და ვერ ვიპოვნე. სასოწარკვეთილმა ისევ ციმერმანს დავურეკე. ციმერმანი, როგორც აღმოჩნდა, ახალი ჩაძინებული იყო. ვუთხრი, რომ ვერავის ვუცვლიდი ჩემს ცხოვრებას.

ყურმილში სიჩუმე ჟელესავით გაიწელა. უკვე ვნანობდი მასთან ხელმეორედ დარეკვას. ვიფიქრე, ახლა მისი რისხვა არ ამცდება, თუ რამ გინება იცის, ყველაფერს ერთად მომახლისმეთქი, ყურმილის დაკიდვას ვაპირებდი, როცა მისი ხმა გაისმა — მე გაგიცვლიო. არც ჰო მითქვამს, არც არა. „ჰო“-ს და „არა“-ს შორის მყოფს ყურმილის იქით ზუმერის ხმა მომესმა. ციმერმანს ყურმილი დაეკიდა და მშვიდად ძილს აგრძელებდა.

ასე გავცვალეთ მე და ციმერმანმა ცხოვრება. ცოტა გამიკვირდა, რატომ დამთანხმდა ასე მოულოდნელად ცხოვრების გაცვლაზე.

მე ჩემი მოწყენილი ცხოვრების გაცვლა მინდოდა, ციმერმანს რა უნდოდა, ეს ჩემთვის უცნობი იყო, თუმცა ამაზე დიდხანს არ მიფიქრია. ლონდონში წავედი, ციმერმანი საქართველოში დაბრუნდა. ჩემი ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება. ცხოვრობდა ჩემს სახლში, სარგებლობდა ჩემი მანქანით, საკრედიტო ბარათით და ყველა იმ ნივთით, რითაც მე. მას გადავაბარე ჩემი აკვარიუმი, დავუბარე როგორ ეჭმია ყოველ დილით თევზებისთვის. მივეცი

მხატვარი თამარ მინაშვილი

კომუნალური გადასახადების ერთტომეული ქვითრების ინსტრუქცია, გამოვიხურე კარი და ერთი ჩემოდნით პირდაპირ ლონდონში ამოვყავი თავი. ციმერმანის ბინაში დავიწყე ცხოვრება.

ციმერმანი თავისი ახალი წიგნის გამოცემას აპირებდა, „ედინბურგის ჩანაწერები“, სავარაუდოდ „dinburgh“ — „End In Burgh“ დარქმევას აპირებდა.

მე კი გადავწყვიტე, „დას“ მაგივრად „დასასრული“ ყოფილიყო და „And In Burgh“ დავარქვი. 400-გვერდიანი ჩანაწერები მთლიანად შევცვალე. მთავარი პერსონაჟებიდან დაქორწინებულები დავაშორე, გაშორებულები შევარიგე. მთავარ გმირს პროფესია შევუცვალე. კლერკის მაგივრად ახლა ის მხატვარი იყო, რომელიც მოგზაურობდა და ცდილობდა საკუთარი სულის შეცნობას. წიგნის ყდა, დიზაინი და ილუსტრაციებიც, რა თქმა უნდა, შეიცვალა, არ შეცვლილა მხოლოდ წიგნის ავტორის, „ციმერმანის“ გვარი. ერთი კვირის შემდეგ, როცა შემთხვევით წიგნის მაღაზიაში შევიარე, ციმერმანის წიგნი ვიკითხე. გამყიდველმა მითხრა, რომ მთელი ტირაჟი გაიყიდა და სურდათ ავტორს დაკავშირებოდნენ და ეთხოვათ ტირაჟის გაზრდა. არ ვიცი ციმერმანი ჩემი ცხოვრებით როგორ ცხოვრობდა, მაგრამ მე მისი ცხოვრებით სრულიად კმაყოფილი ვიყავი. არ მიწევდა მოსაწყენ ადამიანებთან საათობით სამსახურის საქმეებზე საუბარი. უპასუხისმგებლო თანამშრომლების საქციელზე ნერვების შლა. კვირაში ერთხელ ძველ ნაცნობებთან ერთად რესტორანში სიარული. გაუთავებელი ვალდებულებების შესრულება. „ხალხი რას იტყვის“, „უნდა“, „ასეა საჭირო“, „აუცილებელია“. თუმცა ჩემი მყუდროება დიდხანს არ გაგრძელებულა.

ერთხელაც შუაღამისას კარზე კაკუნი გაისმა — „გააღეთ პოლიციაა!“ კარი გავაღე და სამი პოლიციელი შემოცვივდა. ერთმა იარაღი დამიმიზნა, მეორემ ხელბორკილი დამადო, მესამე ჩემს უფლებებს მაცნობდა: „თქვენ ეჭვმიტანილი ხართ ალისა ვანინჰოფის მკვლელობაში. თქვენ ის ეჭვიანობის ნიადაგზე მოკალით, შემდეგ კი მისი გვამი აბაზანაში სპეციალური სითხით გააქრეთ. თქვენ გაქვთ დუმილის უფლება, ყველაფერი რასაც იტყვით, შესაძლებლია გამოყენებულ იქნას თქვენს წინააღმდეგ. თქვენ გაქვთ ადვოკატის ყოლის უფლება. თქვენ გაქვთ ერთი ზარის უფლება.

მინდოდა მეყვირა, არავინ მომიკლავს, ციმერმანი არ ვარ-მეთქი. ციმერმანს მხოლოდ მოწყენილობის გამო გავუცვალე ცხოვრება. ციმერმანიც არ იყო ციმერმანი, ისიც სხვას უცვლიდა ცხოვრებას, ის სხვა კიდევ სხვას და ასე დაუსრულებლად. მაგრამ მივხვდი, არ დამიჯერებდნენ. ციმერმანის მაგივრად სასჯელის მოხდას ისევ ჩემი მოწყენილი ცხოვრება მერჩივნა, თუმცა უკვე გვიან იყო...

ეჟენ დაბი

დედაბერი

დედაბერი ყოველ საღამოს თავის პოსტზეა, მეტროს შესასვლელთან, გრძელ ქუჩაზე, რომელიც 5 საათის შემდეგ გამაყრუებელი ხმაურით ივსება. ამაღლებულ თუჯის მოაჯირს დაყრდნობილი თავს ისე გრძნობს, თითქოს თავშესაფარში იყოს; კუთხეში ატუზული დედაბრის ირგვლივ ყველაფერი იცვლება და მოძრაობს. მეზობელ კაფედან ოფიციანტმა სკამი გამოუტანა, ზედ სწრაფად დაალაგა გამანაწილებელი პუნქტიდან წამოღებული საქონელი. ახლა დედაბერი უკვე მზადაა, დისტრიბუტორთან ნაღდ ფულზე შეძენილი ორასორმოცდაათი გაზეთის გაყიდვა დაიწყოს — პირველ მუშტარს უღიმის.

აი, უკვე რამდენი წელია ეს ხალხმრავალი კუთხე აქვს დაკავებული. მას ცნობენ, როგორც ტროტუარის ნაწილს ან რომელიმე შენობას. ყველა ეხმარება. ოფიციანტებს მისგან გაზეთები მიაქვთ კაფეში თავიანთი მუდმივი კლიენტებისთვის; გაზეთების დამტარებლებს ახლოს არ იკარებენ, ისინი ხომ სიამოვნებით გაჩერდებოდნენ ტერასაზე, ამ საუცხოო კაფეს წინ და შიგ შეხედვასაც მოისურვებდნენ. დედაბერსაც ჰყავდა საკუთარი ერთგული კლიენტები, რომლებიც „პარი-სუარს“ ან „ენტრანსიჟანს“ ყიდულობდნენ. კარგი ადგილი იყო და კბილებითა და ფრჩხილებითაც იცავდა. როცა აქ არის, ქალაქის ხმაურიან ცხოვრებას შეიგრძნობს, აღარ შეუძლია ამ მოძრაობის და ხმაურის გარეშე ყოფნა, ჰო, ნამდვილად საშინელება იქნებოდა, ჩაკეტილს რომ ეცხოვრა, თავის ოთახში...

მეტროს შესასვლელთან ჯიხური დგას, რომელშიც ქალი ვაჭრობს, მასთან დედაბერს კარგი ურთიერთობა აქვს. ეს ქალბატონი ყოველკვირეულებს, ჟურნალებს, ილუსტრირებულ გამოცემებს ყიდის, რომლებზეც გამოსახული შიშველი სხეულები გამვლელთა მზერას იტაცებს; ამ ფოტოების და პრიზების ხარჯზე ისინი უკეთ იყიდება, ვიდრე საღამოს გაზეთები. აქ ყველა ფერს გაარჩევთ, როგორც დროშებზე, რომელთაც ხან ქარი აფრიალებს და ხანაც წვიმა ასველებს. ოდესღაც დედაბერი აპირებდა ჯიხურის დაქირავებას, სადაც ყველანაირ ამინდში შეიძლებოდა მუშაობა, აქ ხომ კლიენტი მუდამ ირეოდა, იმის მიუხედავად, ამინდი ცუდი იყო თუ კარგი, ხალხი ან მეტროში ჩარბოდა ან გაზეთების შესაძენად შორი გზიდან უვლიდა.

ოქტომბრის ბოლოა, ნამდვილი ზამთრის დღე. შავი ღრუბლებიდან წამოსული სველი სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. დედაბერს თბილი ტანსაცმელი ჩაუცვამს, რომელსაც ზამთრის ცივ დღეებში უნიფორმასავით მოისხამს ხოლმე: გრძელი და განიერი მოშავო ფერის ძალიან თხელი მანტო, რომელზეც თავსაფარი მოუხურავს, თათმანები, თავისი ვაჟისთვის მოქსოვილი შალის ქუდი, რომლის გაგზავნაც ვერ მოესწრო, რადგან საცოდავი მოუკლეს. კოფთასა და თბილ თეთრეულში შეფუთულს მაინც ყველაზე მეტად ახლა სციოდა. ასეა ყოველი ზამთრის დასაწყისში, უნდა გაეძლო ძაღლური ამინდისთვის, წლიდან წლამდე კი უფრო და უფრო უძნელდებოდა სიცივის ატანა.

— „პარი-სუარ“! „ლიბერტე“! „ლენტრან“! – გაჰყვირის ჩახლეჩილი ხმით, მაგრამ ხშირ-ხშირად აღარ შეუძლია, სუნთქვა არ ყოფნის. დღეს კი ყვირილმა მკერდი ატკინა, დაასუსტა და თითქოს ცეცხლის ალში გახვია. კაცმა რომ თქვას, რა აზრი ჰქონდა კლიენტების მოხმობას, როცა ისედაც ჩანდა, ასეთ მშვენიერ კუთხეს რომ დაჰპატრონებოდა. მის გვერდით გაზეთების გამყიდველები დარბიან. ყველას დედაბერზე ძლიერი ხმა აქვს, რომელსაც ავტომანქანების ხმაც ვერ ახშობს და ასევე — ძლიერი ფეხები.

— „ლიბერტე“? — ინებეთ!

ეს ერთი კარგი მუშტართაგანია.

— ხურდა დაიტოვეთ, დეიდა.

ასეთები ბევრია, ვინც ორმოცდაათ სანტიმს ან ფრანკს აწვდის და ხურდას აღარ ელოდება, მიდის, მხიარულ და საქმიან პარიზს უერთდება. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მოწყალებას გასცემენ. მაგრამ სიამაყე ფუფუნებაა, ისეთი ფუფუნება, რომელსაც დედაბერი, სხვების მსგავსად, არ სცნობს. ასეთ კლიენტთა წყალობით გაჰქონდა თავი, როცა საქმეები ცუდად მისდიოდა. ერთი წელია, რაც უმუშევრებმა და უცხოელებმა გაზეთების გაყიდვას მიჰყვეს ხელი. უმუშევრები, თავიანთი გაჭირვების გამო, და ახალგაზრდები, რომელთაც ქარხანაში მუშაობას გაზეთებით ვაჭრობა ურჩევნიათ, კონკურენტებად ექცნენ. როცა გაზეთები არ ეყიდება, დედაბერს თავისი აგენტი საყვედურებით ავსებს.

დედაბერთან მყიდველთა ჯგუფი მიდის, მას რწმენა უბრუნდება, ახსენდება, როგორ დაიწყო ვაჭრობა. კი, 1914 წელი იდგა! ომი რომ დაიწყო, უკვე ქვრივი გახლდათ, როგორც ბევრი სხვა, თუმცა, საბედნიეროდ, ვაჟი უკვე შეგირდად მუშაობდა. იგი რაღაცნაირად ჩაერთო ომში, ომით ცხოვრობდა, თუმცა არც ისე ბედნიერად, რომ შავი დღისთვის ორიოდ სუ გადაენახა. გაზეთების გამყიდველები მაშინ ცოტანი იყვნენ და მუშტარი მას დამშეულივით ესეოდა. ეს უმშვენიერესი ხანა გახლდათ, საუკეთესო მისი არსებობისას, რომ არა 1918 წლის აგვისტო, როცა შვილის დაღუპვის შეტყობინება მოუვიდა. მას შემდეგ იძულებულია გააგრძელოს თავისი პატარა ბიზნესი. არა, თავის ხელობაზე არ წუწუნებს, თითო გაზეთიდან დარჩენილი ორი სუ ყოფნის საცხოვრებლად; როდესაც კარგ გუნებაზეა, იმ დღეს აცხადებს, ეს ზარმაცების საქმიანობაა.

— „პარი-სუარ“!

ამას ისე დაუფიქრებლად გაჰყვირის, როგორც დაუფიქრებლადაც სუნთქავს. 7 საათია. დაწესებულებიდან გამოსული ხალხი, ქალები, კაცები მეტროსკენ მიიჩქარიან. ზოგი ჩერდება, გაზეთს ყიდულობს და ესალმება: „საღამო მშვიდობის, დეიდა“ — და თავის გზას აგრძელებს. ამ დროს დედაბერი ყველაზე კარგად ვაჭრობს, ამიტომ საჭიროა ასი ყურისა და თვალის გამოსხმა, ხურდის სწრაფად დაბრუნება. ახალგაზრდა წყვილები მოაჯირს ეყრდნობიან და ერთმანეთს ეჩურჩულებიან. დედაბერი არ უყურებთ, თუმცა მათ არც განათება ადარდებთ, არც გამვლელები. ერთი კვირა უცქერის, შემდეგ სხვები მოდიან, ერთმანეთს კოცნიან, ხან კინკლაობენ — შეყვარებულები! დედაბერი წარსულში იქექება, საკუთარ თავგადასავალს იგონებს. ქმარი ორმოცდაორი წლისა მოუკვდა ტუბერკულოზით. შემდეგ არაფერი ყოფილა სიყვარულის მაგვარი, დაღონების დროც არ ჰქონია, ყოველდღიურ პურის ფულზე ფიქრობდა.

ახლა კი დედაბერი ცხოვრების მიღმაა დარჩენილი, მისი ყველა სიამტკბილობისა და უბედურების მიღმა. ამ ბრწყინვალე ქუჩაზე მი-

მავალ ცხოვრებას ისე უყურებს, თითქოს დიდი მდინარის ნაპირას იდგეს. მუდმივად მუნჯი და უძრავი, დინებას გვერდით გაურიყავს. იგი არ ცნობს სიხარულს, სინაზეს, იმედს — მხოლოდ ტანჯვასა და უკიდურეს მარტოობას, რადგან ამ ზღვა ხალხშიც თავს მარტოსულად გრძნობს.

რვის ნახევარია. შეყვარებულები გაქრენ. კიოსკი დაიკეტა. კაფეს ტერასა დაცარიელდა, ავტომანქანებიც შეთხელდნენ. სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ გვიანი მგზავრები მოძრაობენ, მათ შორის მისი მუშტრები. დედაბერი გაზეთებს ითვლის. დარჩენილა 40... 50... 62... ბევრია! ხომ არ ეშლება. ვერც თავიდან გადათვლას ბედავს, ვერც თავს ჰკითხავს, რატომ იყო დღეს ასეთი ცუდი ვაჭრობაო. დედაბერი აბარგებას იწყებს. გაზეთების შეკვრას მაუდის დიდ შავ ჩანთაში ალაგებს, რომელსაც გარედან ჯიბე აქვს ხურდა ფულისთვის. გაზეთებისა და ფულისგან დამძიმებული ჩანთა დედაბერს წელში ხრის.

მხატვარი ნინო მამაცაშვილი

— გარსონ, აიღეთ თქვენი სკამი.

შემდეგ დედაბერი კაფეში შედის. სახეზე კმაყოფილი ღიმილი ეფინება. ხომ არ ჩამოჯდეს? მაგრამ დაჯდომა უფრო ძვირია! ამიტომ დახლთან მიდის და ეყრდნობა, ოფიციანტს ნაღებიანი ყავა მიაქვს, თან ეკითხება:

— როგორ მიდის ვაჭრობა?

დედაბერი პასუხად რაღაცას გაუგებრად ჩაილუღლუღებს და ყავას მოსვამს. ყავა გულმკერდს უთბობს და ოქტომბრის საღამოს სიცივეც ქრება. „კარგი იქნებოდა აქ დარჩენა“ — ფიქრობს დედაბერი განათებულ კაფეში, სადაც ზაფხულივით თბილა. მაგრამ დახლთან ახალგაზრდები მიძვრებიან და ხელს კრავენ. დედაბერი პურის ნატეხს ყავაში ასველებს და პირში იდებს, თუმცა როცა ყლაპავს, ყელი ეკაწრება. სარკეში იყურება, ეს ბებერი ნუთუ თვითონაა? კეხიან და თხელ ცხვირზე სათვალით, თეთრი, ჩაცვენილი და დაღმეჭილი ლოყებით, სამგლოვიარო მანტოდან გამოჩრილი პატარა, სასაცილო თავით. ეჩვენება, თითქოს იგი არასდროს უნახავს, თითქოს უცნობ დედაბერს უყურებს. ქუდის ქვეშ ჭაღარა გარეულკულულებს მალავს, თავს აბრუნებს, რომ დაივიწყოს ის ბებერი, რომელიც შავი ლაქასავითაა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე სახეებსა და თვალისმომჭრელ ქალებს შორის. „ყველანი ბოზები არიან, — ამბობს თავისთვის, — ასეთები არ გვაკლია უბანში“. კი, ბოზები, მაგრამ ამ ცხოვრებაში რა ხეირია პატიოსნად ყოფნა? დედაბერი თავს ხრის და ფინჯანს ცლის, ბოლო წვეთამდე.

ახლა ქუჩა ისეთივეა, როგორც ყველა სხვა ქუჩა ზამთარში. გამვლელები ქალების შებმას აპირებენ, მაგრამ ნურას უკაცრავად! დედაბერი ჩანთის სიმძიმეს გრძნობს, ჩანთის თასმა კისერზე აწვება და კეფას უხეხავს. პატარა ნაბიჯებით ბულვარს დაუყვება, მარჯვენა ხელში გაზეთი უჭირავს, მარცხენათი ჩანთა მოაქვს. მიდის წინ გადახრილი, მიდის ყურადღებით, მიუხედავად ყველაფრისა, შეწუხებული და ქუჩის ჰაერს იყნოსავს, როგორც ნამდვილი პარიზელი ქალბატონი. ზოგჯერ კაფეს კარს აღებს, სადაც პატრონები მაგიდას უსხედან; ხან გზაჯვარედინთან ჩერდება და სიჩუმეში იძახის:

— „პარი-სუარის” ბოლო გამოშვება, იყიდეთ „ლენტრანი”, „პარი-სუარი”, — მაგრამ გაზეთს არავინ ითხოვს, ქუჩა, სადაც 5 საათზე ძნელად თუ გაივლიდით, ახლა დაცარიელებულს ჰგავს, თითქოს მხოლოდ მას და თითო-ოროლა ავტომანქანას ეკუთვნის.

„თუ რომელიმე გამიტანს, დიდი დანაკლისი არ იქნება“, – ფიქრობს იგი. ბელვილში, სადაც ცხოვრობს, მეზობლები ალბათ შეწუხდებიან და მის დას გააგებინებენ პროვინციაში...

ქუჩა გადაჭრა, ახლა ტროტუარზეა და ნელა მიათრევს ფეხებს. თუ მოკვდება, აღარ იზრუნებს ყოველ საღამოს გაზეთების უდანაკარგოდ გაყიდვაზე, აღარ იგრძნობს დაღლილობას, არც სულის ხუთვას, არც სიცივით დაიტანჯება, მწვავე და გულისგამაწვრილებელი სიცივით, რომელსაც ვერ უმკლავდება, ვიდრე მეტროს შეაფარებდეს თავს.

დედაბერი იქ აღმოსავლეთის ვაგზლიდან შედის. მეტროს სადგური სავსეა უმუშევრებით, მათხოვრებით, რომელთაც სიცივისა ეშინიათ, რადგან მისი მოსარევი ფული არ გააჩნიათ. ისინი შავ, მწუხარე და მოუქნელ ჩიტებს გვანან, რომელთაც ყოველდღიური მოგზაურობა თორმეტი სუ უჯდებათ.

დედაბერი გადასასვლელებზე გადადის, სადაც მძაფრი ქარი უბერავს, შემდეგ პლატფორმაზე დგება. თბილი ჰაერი სახეზე ხვდება, მკვეთრი სინათლისგან თვალებს ხუჭავს. „აქ კარგია, როგორც კაფეში” — ბუტბუტებს დედაბერი. მუშაობა განახლდა, ეძახიან. მიწისქვეშ ხალხი მოწყენილია, და მეტროს მოლოდინში ზოგი გაზეთს ყიდულობს, სადაც მსოფლიოს ოთხივე კუთხიდან მოსული ამბებია.

დედაბერმა არ იცის, რა წერია გაზეთებში. ომის დროს კი კითხულობდა, შვილის გამო. იმას ხვდება, რომ როცა ზოგჯერ გაზეთებს ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ, ესე იგი, ან მთავრობა გადადგა ან ცნობილი პიროვნებაა მოკლული, ან სადღაც ომობენ. დიახ, მკვლელობები, კრიმინალი, სკანდალი და კიდევ – ომი, აი, რაზე წერენ გაზეთები. ორი-სამი წელია, სურვილიც არა აქვს წაიკითხოს, გაზეთები ფოტოებითაა სავსე, და როგორც კი თავის უშველებელ სათვალეს მოიმარჯვებს, ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდება, მის სახეზე იბეჭდება; ხედავს მწყობრად მიმავალ ჯარისკაცებს, კიდევ სხვა ჯარისკაცებს, ცეცხლმოდებულ ხომალდებს, თითქოს კინოში იჯდეს — სადაც არასდროს მიდის. ამ საღამოს, ჩანს, არაფერი ხდება მსოფლიოში მნიშვნელოვანი, ან ხალხს მობეზრდა ეს ყველაფერი, რადგან დედაბერს ვერაფრით მოუშორებია თავისი გაზეთები, რადგან ხელში ჯერ კიდევ მთელი დასტა უჭირავს! და მაინც, ერთი სული აქვს, როდის წავა შინ, როდის ჩაწვება საწოლში. როცა მისი პატარა ვაჭრობა კარგად მიდის, აღარ ელოდება ბოლო მატარებელს ან მეტროს რომელიმე მორიგეს. დღეს კი, ჩანს, დიდხანს მოუწევს ხეტიალი.

— უკანასკნელი ცნობები...

გვირაბიდან გამოსული მატარებელი მის ხმას ახშობს. მგზავრები ჩქარობენ, ხელს კრავენ. ის კი ბაქნის თავსა და ბოლოს ტკეპნის მუცელთან ჩამოკიდებული ჩანთით, ხელში

გაზეთები უჭირავს და გამვლელებს სევდიანად უმზერს. თითქოს საკუთარ თავს სთავაზობდეს ღატაკ წარსულთან ერთად — ისე, როგორც ბულვარში მოსეირნე ქალები, კლიენტებზე რომ ნადირობენ, უხალისოდ. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ უნდა იცოცხლო, პურის ფული იშოვნო. ძნელია კაცებს წაგლიჯო, რომლებიც ან გატყუებენ ან გჩაგრავენ. აი, იმას, გაზეთს რომ თვალი დაჰკრა, განა არ შეეძლო ერთი ცალი მაინც აეღო? ახალგაზრდავ, გაზეთი მხოლოდ ხუთი სუ ღირს!

დედაბერი ბუზღუნებს. სკამზე ჯდება და ზურგით სათამაშო ავტომატს ეყრდნობა — სკამის მეორე მხარეს ვიღაც კაცი ზის გრძელ მომწვანო პალტოში. დედაბერი ძალიან დაიღალა. გოგონა, რომელსაც ბოშის გარეგნობა აქვს, რამდენიმე დღეა „მის ბაქანზე" დაწრიალებს და გაზეთების გაყიდვას აპირებს, იგი მის დანახვაზეც არ გაინძრეოდა და პოლიციელიც ვერ აიძულებდა ადგომას. ქუთუთოები ეხუჭება, მაგრამ გამაყრუებელი ხმა აღვიძებს. გვერდით სკამზე კაცი საყვირზე უკრავს, წინ ხალხი შემორტყმია. სამხედრო მუსიკას აჟღერებს, შემდეგ პატრიოტულ სიმღერას — „ყოჩაღ მეზღვაურებზე". გიჟია ან კიდევ ერთი უბედური, ფიქრობს დედაბერი და გაჭირვებით დგება ფეხზე.

— „ლიბერტე"... „პარი"...

მაგრამ ბგერები მეტად ვეღარ ამოდის ბაგედან. მგზავრები მხიარულ მუსიკას უსმენენ და არა დედაბრის ხრინწიან ხმას. დაწყევლილი საღამოა. როგორც კი ვაგონი ჩამოდგება, შედის და ჯდება. ვაგონი ანჯღრევს წინ, გვერდით, მაგრამ მისი მზერა გატენილ ჩანთას არ შორდება. თუმცა ყველაფერი სულერთია; ერთადერთი სურვილი აქვს, დაწვეს. მგზავრები თითქოს ბურუსით არიან მოსილნი, თითქოს სიზმარშია, როცა უეცრად ვიღაც მხარზე ურტყამს. ბოლო კლიენტია ამ შეჩვენებულ საღამოს. ეჰ, ნეტავ საერთოდ უკანასკნელი იყოს...

სუფთა ჰაერზე გადის, დაცარიელებულ მოედანზე, რომელსაც სიბნელეში მოლურჯო, ქუჩის ლამპიონებთან კი მოწითალო ფერი დაჰკრავს. პატარა ქუჩებს მიუყვება, ნაბიჯები ნაკლებად მერყევი აქვს, თითქოს სიბნელიდან სინათლისკენ გამოდიოდეს. „თავის სახლს" ხომ არ ნახულობს, ნამდვილ ცხოვრებას? ალაყაფის კარს მიადგა, ბნელ, მყრალ და გაყინულ კიბეს აუყვა. საფეხურები გვარიანადაა გაცვეთილი, მაგრამ მისთვის საკმაოდ მაღალია. მეოთხე სართულზე ცხოვრობს, ვიდრე იქამდე მიაღწევს, უნდა შეჩერდეს, რომ სული მოითქვას. ხელისცეცებით აღებს კარს და მაგიდაზე ასანთის კოლოფს ნახულობს, ღერს იღებს და ნავთის ლამფას ანთებს.

სიბნელიდან უცებ მისი ოთახი გამოჩნდება, ღატაკი, მოცუცქნული, ვიწრო, სადაც ისევე ცივა, როგორც ქუჩაში. ღუმელს მხოლოდ ყინვაში ანთებს. მოძრაობით თბება, ამიტომაც მოძრაობს. დედაბერი იხდის ქუდს, მანტოს, ჩანთას მაგიდაზე აგდებს, ოხრავს და სიმძიმისგან გათავისუფლებული წელში სწორდება. სადილს შინიდან გასვლამდე ამზადებს, საჭიროა მხოლოდ შეთბობა სპირტქურაზე. ამას ბევრი დრო არ სჭირდება! მაგრამ დღეს საქმეს დიდხანს მოუნდა, ეძინება, დასვენება, ყველაფრის დავიწყება უნდა, რომ მშიერია, იმისიც... ისე, როგორც უწინ ...

გაუყიდავ გაზეთებს აწყობს.

— ღმერთო! რა ზარალია.

გაზეთები მთელ მაგიდაზეა მიყრილი. კი, აქაა, ამ საშინელი გამოსახულებებით, სათაურებით, რომლებიც იმუქრებიან, თავისი ცდუნებებით, ყვირილით, და უეცრად ისინი საშინლად შეზიზღდება, გაზეთები, რომლებსაც არ შეუძლიათ, რომ იგი აცხოვრონ და ულმობელი დღეების დადგომას წინასწარმეტყველებენ. ყველა უნდა დაიწვას, ცეცხლში, ცეცხლში! სტამბის საღებავით გაშავებული, მშრალი და დახეთქილი ხელებით, რომლებითაც ოდესღაც თეთრეულს რეცხავდა, გაზეთებს ჭმუჭნის.

როდესაც მთელი ცხოვრება ძაღლუმადურ შრომას ეწევი, რომელიც მხოლოდ ბნელ პერსპექტივას გთავაზობს ასეთი ოთახის სახით, სადაც მარტოობაში უნდა აღმოგხდეს სული, მაშინ აღშფოთებული წყვდიადში ეძებ შენი უბედურების მიზეზებს. და დედაბერს ეჩვენება, რომ მათ ხედავს, მათზე შურს იძიებს, რომლებიც ამაყად იყურებიან გაზეთებიდან. ბინძური გაზეთებიდან უშველებელ ბურთს აკეთებს და ველური მოძრაობით სიცარიელეში მოისვრის.

— რა არის, რა დამემართა — ლუღლუღებს დედაბერი — სიცხე ხომ არ მაქვს?

უეცრად დუნდება, ბედს დამორჩილებული, მდუმარე. ნავაჭრს ითვლის და საწოლისკენ დინჯად მიემართება. ფიქრობს, რომ გაზეთებით ვაჭრობა მეტნაკლებად მისაღები ხელობაა ღარიბი ადამიანისთვის. მაგრამ ახლა ძალიან ბევრია ღატაკი, გამყიდველიც ბევრია, მათ შორის ახალგაზრდები, რომლებიც ნაადრევად შეეჯახნენ სიღარიბეს. ზოგჯერ, როცა მათ ხვდებოდა, აღშფოთებული ლანძღავდა კიდეც. ახლა კი ფიქრობს, თუ თავის კუთხეში შეეცილებოდნენ, მაშინ სიცოცხლესაც დაამთავრებდა და მუშაობასაც.

ზეწარი ბრწყინავს, თეთრი და რბილი, გაწკრიალებული. დედაბერი ირგვლივ იყურება: მაგიდა მილაგებულია, ოთახი მოწესრიგებული, ყველა ნივთი თავის ადგილზეა. ნივთები ნახმარია, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსადეგი. ოთახი არასდროს ჰგავდა ძაღლის ხუხულას. ყველაფერში წესრიგი იგრძნობა. ხელ-პირი დაიბანოს, პარიზის ჭუჭყი და სუნი მოიშოროს? ოჰ, ხვალ, ახლა — ძილი. მაგრამ დედაბერი უეცრად წამოიყვირებს. თავგზა აბნევია, დეიდა ბიგოს, მისი მეზობლის კარის წინ, ჭილობის ქვეშ გაზეთის ჩადება დავიწყნია, რომელსაც იგი დილით მონახავდა.

— უჰ, სულ გამოვტვინდი! — იმეორებს და თან გახურებულ შუბლზე ხელს იდებს.

თავი ხან თითქოს ტყვიასავით აქვს დამძიმებული, ხან თითქოს დაცარიელებულია. ეს რაღაც ახლის, უცნობის, საშინელის გაჩენას წააგავს. დედაბერს აკანკალებს. ორი დღეა საღი აზრი არ მოსვლია, ფეხებს მიათრევს, თითქოს სიმძიმეები ეკიდოს.

— ნუთუ ავად ვარ? — ამბობს ხმაჩავარდნილი — მოდი, გასაღებს გაზეთში, კარის წინ, ჭილობში ჩავდებ.

რაც უნდა მოხდეს, დილით დეიდა ბიგო იპოვის გასაღებს და თავის მეგობრის სანახავად შევა. ლამფას აქრობს, დასუსტებული მოძრაობით ტანზე იხდის, მაგრამ მთლიანად არა, რომ დიდი ღამის სიცივემ არ გათოშოს. კიდევ ერთხელ თავს ძალას ატანს, რომ საწოლზე ავიდეს, ზედ გაიშოტოს და მის სიღრმეში ჩაიკარგოს. გაუნძრევლად წევს. თავში ფიქრები უკანასკნელად უტრიალებს: სიბნელეში მოძრავ, ამღვრეულ გამოსახულებებს ხედავს, პარიზის კუთხეს, სადაც გაზეთებით ვაჭრობს, მეტროს სადგურის ბაქანს, სადაც დახეტიალობს, როგორც მარადი ურია — რომლის ამბავს ძილის წინ უყვებოდნენ ბავშვობაში — მასაც ჰქონდა ბავშვობა. მარადი ურია, რომელიც ღამის გაზეთებს ყიდის. მშვიდად და წყნარადაა, ფიქრები, საქმიანობა, მოგონებები უკვე შორეულ ცხოვრებად ეჩვენება, ზედმეტად მკაცრად, რომ დასაჯერებელი გახდეს; და ამ უცნაურ ძილში შესვლისთანავე აბიჯებს სამყაროში, სადა არა არს სიცივე, შრომა, შიმშილი, არც ადამიანები, სამყაროში, სადაც ჭეშმარიტი ცხოვრება იწყება.

ფრანგულიდან თარგმნა
ტარიელ ნამორაძემ

დაუვიწყარი ხანძარი

მსოფლიოს ბედი 1940 წლის შემოდგომაზე ინგლისის ცაში წყდებოდა. ერთადერთი გზა დიდი ბრიტანეთის დასაჩოქებლად მისი სამხედრო მრეწველობისა და საზღვაო ფლოტის მოსპობა, ქალაქების გაცამტვერება და მოსახლეობის დემორალიზება იყო. ნაცისტური გერმანიის ავიაცია დაჟინებით და მეთოდურად უტევდა ქედუხრელ ქვეყანას, რომელიც საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ ერთი ერთზე ერკინებოდა კბილებამდე შეიარაღებულ გერმანიას — თითქმის მთელი ევროპის ბატონ-პატრონს. შეერთებულ შტატებში არ ჩქარობდნენ ევროპულ ომში ჩარევას, ხოლო საბჭოთა კავშირის მტრული ნეიტრალიტეტი სასიკეთოს არაფერს უქადდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ინგლისს.

ლონდონის მოსახლეობა ვაჟკაცურად უძლებდა გერმანელ მფრინავთა დაუსრულებელ რეიდებს. ერთხელაც ვეებერთელა ბომბმა ქალაქის ძალზე ღარიბულ უბანში მთლიანად დაანგრია ოცდაათამდე სამსართულიანი სახლი და ვრცელი ტერიტორია ლამის უდაბნოდ აქცია. პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი დაუყოვნებლივ ეწვია დაზარალებულ რაიონს, სადაც ნანგრევებს შორის უკვე აეფრიალებინათ პაწია ეროვნული ალმები — ნიშნად სულიერი სიმტკიცისა და ძვალ-რბილში გამჯდარი ოპტიმისტური რწმენისა. ჩერჩილის ავტომანქანა იცნეს და ყოველი მხრიდან მისცვივდნენ. მალე ათასკაციანი ჯგრო შემოერტყა გარს. ძალზე აღგზნებულნი იყვნენ და ცდილობდნენ გამოემჟღავნებინათ თავისი კეთილგანწყობა, ლამობდნენ ხელით შეხებოდნენ პრემიერ-მინისტრს, თითქოსდა ეწადათ, რომ მისი სიდიადე გადასდებოდათ. ჩერჩილი წერს: „კაცი იფიქრებდა, რომ მათთვის რაღაც დიდი წყალობა გავიღე, რომელიც მძიმე ხვედრს შეუმსუბუქებდათ“. ჩერჩილს გული ასჩუყებია და ატირებულა. პრემიერ-მინისტრის მხლებელს ყური მოუკრავს ერთი ხნიერი ქალის ნათქვამისათვის: „ხედავთ, მას მართლაც ვებრალებით. ხედავთ — ტირის!“ ჩერჩილის სიტყვით, ეს მწუხარების ცრემლი არ ყოფილა, ეს იყო გაოცებისა და აღტაცების ცრემლი. ხალხის საბრძოლო სულისკვეთება კიდევ უფრო ამხნევებდა ნაცისტური ურჩხულის დაუძინებელ მტერს. გატანჯული ინგლისელები ქვეყნის ლიდერს ეუბნებოდნენ: „გადაუხადეთ სამაგიერო! დაე, მათაც განიცადონ ის, რასაც ჩვენ განვიცდით“.

ჩერჩილი დასძენს: „მაშინ დავიფიცე, რომ შევასრულებდი მათს მოწოდებას და ფიცი არ გამიტეხია. ათმაგად, ოცმაგად გადავუხადეთ ვალი გერმანიის ქალაქების უწყვეტი დაბომბვით“.

14 ნოემბერი, ალბათ, ყველაზე შავ დღედ ჩაიწერა ინგლისის ახალ ისტორიაში. გერმანელთა ხუთასამდე თვითმფრინავმა თითქმის მიწასთან გაასწორა ქალაქი კოვენტრი. ინგლისური ენის ლექსიკაში დაიბადა ახალი ზმნა „კოვენტრეიტ“ (დაკოვენტრება!). ხოლო ჩერჩილს ნამდვილად არ გაუტეხია თავისი ფიცი, უჩუმრად თქმული და სადა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა ქალაქ დრეზდენის (უმშვენიერესი ქალაქის — „გერმანულ ვენეციად“ წოდებულისა!) დაბომბვა 1945 წლის თებერვალში, რასაც ასი ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. ეს გახლდათ ევროპული ჰიროსიმა, არნახული და არგაგონილი.

ინგლისელ მფრინავთა თავდადება და საჰაერო ბრძოლებში გამოვლენილი ოსტატობა, ისევე როგორც ლონდონელთა შეუპოვრობა და გამარჯვების წყურვილი, მართლაც რომ ამოუწურავი იყო, მაგრამ მთავარი საფრთხე სრულიად სხვა მხრიდან მოიწევდა. ქვეყნის ფინანსური რესურსები იწურებოდა. ამერიკიდან მოწოდებული შეიარაღება უკვე ოთხნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდათ. ბრიტანეთის ლომს ჯიბეში ორი მილიარდიღა დარჩენოდა. ამ თანხის უმეტესი ნაწილი ირიცხებოდა კაპიტალდაბანდებებში და მრავალი მათგანის სწრაფი რეალიზება შეუძლებელი იყო. ომის საფასური კი უფრო და უფრო იზრდებოდა.

შეერთებული შტატების მთავრობას, ცხადია, მშვენივრად მოეხსენებოდა შექმნილი ვითარება და დაუღალავად ეძებდა მტკივნეული პრობლემის გადაჭრის გზებს. და ერთ მშვენიერ დღეს მარტივსა და, იმავდროულად, გენიალურ გამოსავალს მიაგნეს.

აშშ პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა სასწრაფოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „წარმოიდგინეთ, რომ ჩემი მეზობლის სახლს ცეცხლი მოედო. მე კი ვცხოვრობ ოთხასი-ხუთასი ფუტის დაშორებით და ბაღის სარწყავი შლანგი მაქვს. თუკი ჩემი მეზობელი აიღებს შლანგს და მიუერთებს თავის ტუმბოს, ამით შევეწევი, რომ ჩააქროს ხანძარი. როგორ უნდა მოვიქცე? ამ ოპერაციის დაწყებამდე ასე როდი ვეტყვი: „მეზობელო, ეს შლანგი დამიჯდა 15 დოლარი, შენ უნდა გადამიხადო ეს თანხა“. არა, ამას არ ვეტყვი. არავითარ შემთხვევაში არ ვეტყვი! მაშ როგორი გარიგება მოხდება? მე არა მჭირდება 15 დოლარი, მე მხოლოდ ისა მჭირდება, რომ დამიბრუნოს ჩემი შლანგი მას მერე, როდესაც ხანძარს ჩააქრობს“.

ხანძრის მეტაფორა შემთხვევით როდი მოადგა ენაზე შეერთებული შტატების პრეზიდენტს. თითქმის მთელი ევროპა ცეცხლის ალში იყო გახვეული. იფერფლებოდა ქოხებიც და სასახლეებიც, ნაცისტთა მიერ გაჩაღებული ტოტალური ომი აღარ ინდობდა აღარც ქალსა და ბავშვს, აღარც მოხუცსა და სნეულს. თანამედროვე ავიაცია და არტილერია არ არჩევდა ადამიანთა სქესსა და ასაკს, დამნაშავესა და უდანაშაულოს, მონარქისტსა და კომუნისტს.

ამიტომაც იყო, რომ ჰიტლერთან მეომარი ქვეყნების შეიარაღებისას ამერიკელებმა თავისი სათაყვანებელი დოლარი გააუქმეს და დააკანონეს ლენდ-ლიზის აქტი (გასესხება და იჯარით გაცემა). მათი გამოანგარიშებით, საბჭოთა კავშირმა ლენდ-ლიზით მიიღო 11 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელი.

1945 წელს იალტაში, „დიდი სამეულის“ კონფერენციაზე, სტალინმა რუზველტს უწოდა „მთავარი მჭედელი იარაღისა, რომელმაც მოახერხა მთელი მსოფლიოს მობილიზება ჰიტლერის წინააღმდეგ“, ხოლო ლენდ-ლიზის აქტი მოიხსენია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მიღწევა პრეზიდენტისა ანუ ამერიკის ეროვნული ინტერესების უაღრესად ღრმა გაგების მჭევრმეტყველი საბუთი.

ხანძარი ემუქრებოდა დედამიწის ორივე ნახევარსფეროს, ყველა კონტინენტსა და ქვეყანას. „მიხაკისფერი ჭირი“ მთელი მსოფლიოს ცივილიზაციას უქადდა მოსპობას. თავისუფლებას ცვლიდა მონობა, ბუხარს — კრემატორიუმი, სიმფონიურ მუსიკას — სამხედრო მარში. ბიბლიოთეკათა განძი უხვად იყრებოდა დიდ მოედნებზე აბრიალებულ კოცონებში და მთელი ევროპა, დიდებული გერმანელი მწერლის ჰაინრიხ ბიოლის გამოთქმით, აყროლებული იყო ყაზარმის ქვაბების სუნით. ხალხები იყოფოდნენ „წმინდებად“ და „უწმინდურებად“.

მაინც ვინ მიიყვანა კაცობრიობა ესოდენ შემზარავ სასაკლაომდე, რომელმაც 55 მილიონი სული შეიწირა (ექვსჯერ მეტი, ვიდრე პირველ მსოფლიო ომში).

„პერესტროიკის“ კალმოსანთა და მათი დასავლელი სპონსორების მტკიცებით, საბჭოთა კავშირმა ნაცისტურ გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერით გზა გაუხსნა მეორე მსოფლიო ომს.

მაგრამ ახლა ვნახოთ, რას წერდა ჩერჩილი: „ის ფაქტი, რომ შესაძლებელი გახდა ამგვარი ხელშეკრულება, მოწმობს ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკისა და დიპლომატიის ჩავარდნის მთელ სიღრმეს ბოლო წლებში. საბჭოეთის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობა იყო, დასავლეთისკენ რაც შეიძლება შორს გადაეწია გერმანიის არმიათა საწყისი პოზიციები, რათა რუსებს მოეგოთ დრო და მოეკრიბათ ძალები თავისი კოლოსალური იმპერიის ყოველი მხრიდან. მათ ძალით ანდა მოტყუებით უნდა დაეკავებინათ ბალტიის სახელმწიფოები და პოლონეთის დიდი ნაწილი, ვიდრე გერმანია თავს დაესხმოდათ. თუმცა მათი პოლიტიკა გულცივად ანგარიშიანი იყო, იმ მომენტში ფრიად რეალისტურად გამოიყურებოდა“.

ორი წელიც არ გასულა და ჰიტლერმა დაარღვია თავდაუსხმელობის პაქტი.

საბჭოთა კავშირს — ნაცისტური გერმანიის ახალ მსხვერპლს მყისვე გამოექომაგა თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა, რის სიმბოლურ გამოხატულებად ჟღერდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისს საღამოს 9 საათზე. ჩერჩილი ამბობდა:

„ნაცისტურ რეჟიმს ახასიათებს კომუნიზმის ყველაზე მახინჯი ნიშნები. მას არ გააჩნია არავითარი ზნეობრივი საფუძვლები და პრინციპები, გარდა სიხარბისა და მსოფლიო ბატონობისკენ სწრაფვისა. თავისი სისასტიკითა და მძვინვარე აგრესიულობით იგი აღემატება ადამიანური მანკიერების ყოველგვარ ფორმას. უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე არავინ ყოფილა ჩემზე მეტად თანამიმდევრული მოწინააღმდეგე კომუნიზმისა. უკან არ წავიღებ არც ერთ სიტყვას, კომუნიზმის შესახებ რომ მითქვამს. მაგრამ ყველაფერი ეს ფერმკრთალდება ჩვენს თვალწინ გადაშლილი სურათის წინაშე. წარსული თავისი შეცდომებით, შეშლილობითა და ტრაგედიებით ქრება ჩვენი მეხსიერებიდან“.

ჩერჩილი ლაპარაკობდა და ცდილობდა, რომ მსმენელს გონების თვალით დაენახა რუსი ჯარისკაცები, რომლებიც იცავდნენ იმ მინდვრებს, მათი მამა-პაპანი რომ ხნავდნენ უხსოვარი დროიდან, რომლებიც იცავდნენ საკუთარ სახლ-კარს, სადაც მათი დედები და ცოლები ლოცულობდნენ თავიანთ ახლობელთა გადარჩენაზე, თავიანთი მარჩენლისა და ქომაგის შინ მშვიდობით დაბრუნებაზე. მომავალ ნობელიანტს (მწერლობაში!) როდი გასჭირვებია მხატვრული სახეებით აემეტყველებინა თავისი გამოსვლა. მსმენელს, ალბათ, ცრემლი მოადგებოდა თვალებში, როდესაც წარმოიდგენდა ათიათასობით რუსულ სოფელს, სადაც ასეთი გაჭირვებით მოჰყავდათ ჭირნახული, მაგრამ სადაც სუფევდა მარადიული ადამიანური სიამენი, სადაც კისკისებდნენ ქალიშვილები და ცელქობდნენ ბავშვები, და უახლოეს დღეებში ყოველივე ეს უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა, რადგანაც მძვინვარე ჰუნთა მხედრიონის ჩლუნგი, გაწვრთნილი და მორჩილი მასა კალიის ხროვასავით მიედინებოდა აღმოსავლეთისაკენ.

ჩერჩილმა თავისი გამოსვლის დასასრულს თქვა:

„საფრთხე, რომელიც ემუქრება რუსეთს — ესაა საფრთხე, ჩვენც და შეერთებულ შტატებსაც რომ ემუქრება, ისევე როგორც საქმე ყოველი რუსისა, რომელიც იცავს თავის ოჯახსა და სახლ-კარს — ეს არის თავისუფალ ადამიანთა და თავისუფალ ხალხთა საქმე დედამიწის ყოველ კუთხეში“.

ცამდე მართალი ბრძანდებოდა ამ სიტყვების ავტორი. მოსკოვსა და სტალინგრადთან წყდებოდა მსოფლიო ცივილიზაციის ბედი. მთელი დემოკრატიული სამყარო მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირს და შეძლებისდაგვარად უწევდა დახმარებას, რათა დაესამარებინათ ჰიტლერელთა ოცნება მთელი მსოფლიოს დაპყრობაზე.

ნაცისტთა პროპაგანდისტული მანქანა შთაგონებით ამტკიცებდა, რომ ჰიტლერის არმიები ესწრაფვიან ბოლშევიკური უღლიდან თავისუფლებამოწყურებულ ხალხთა ხსნას.

მიხეილ კვესელავა, მონაწილე ნიურნბერგის პროცესისა, აღნიშნავს, რომ ფიურერისათვის კავკასია წარმოადგენდა ნავთობის უზარმაზარ რეზერვუარს, იქ ფეხის მოსაკიდებლად უმკაცრეს ღონისძიებათა გატარებას ქადაგებდა და დასძენდა: „თორემ ვერაფერს გავხდებით ამ სისხლის აღებით დაორსულებულ მხარეში“.

„გარდამავალ პერიოდში“ ჰუმანური მოპყრობის გეგმა ამგვარად გამოიყურებოდა: „სხვა ხალხებისგან განსხვავებით კავკასიელებს პირველ ხანებში უფლება უნდა მივცეთ, ჩაიცვან ეროვნული ტანისამოსი, შეასრულონ ძველი ადათ-ჩვეულებანი, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და იმღერონ ეროვნული სიმღერები“.

შესანიშნავად ესმოდათ კავკასიის ხალხთა ეროვნული ფსიქიკის ნიუანსები! პირველ ხანებშიო... გულუხვად, უშურველად — თავისუფლების მარგალიტები. საბოლოოდ კი, კავკასიაში დამყარდებოდა გერმანელთა სამუდამო ბატონობა და ჩატარდებოდა მისი ზოგიერთი ტერიტორიის (კერძოდ, საქართველოს) „განხალხება“.

ოკუპირებული უკრაინის მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს ნაცისტურ პროპაგანდასა და რეალურ სურათს შორის არსებულ უფსკრულს.

ემიგრაციაში მყოფი ყოფილი საბჭოთა ისტორიკოსების მიხეილ ჰელერისა და ალექსანდრე ნეკრიჩის წიგნში „უტოპია ხელისუფლების სათავეში“ (ლონდონი, 1989), რომელიც ანტისაბჭოთა სულისკვეთებით არის დამუხტული, ვკითხულობთ შემდეგს: „თუკი მოსახლეობის იმ ნაწილს, უკმაყოფილო რომ იყო საბჭოთა რეჟიმით, რომელიც საკმაოდ სტანჯავდა და თრგუნავდა ოცი წლის განმავლობაში, მოეპოვებოდა რაღაც ილუზიები მათი ცხოვრების გაიოლების შესაძლებლობაზე, ხოლო უკრაინის ზოგიერთ ადგილებში გერმანიის არმიას ომის პირველ დღეებში ყვავილებით ეგებებოდნენ, როგორც განმათავისუფლებელთ, ძალზე მალე ეს ილუზიები გაიფანტა. გერმანელთა ხელისუფლება საბჭოთა ხელისუფლებაზე არანაკლებ მძვინვარე გამოდგა. გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლება, ასე თუ ისე, მაინც თავისიანი იყო, გერმანელები კი უცხონი იყვნენ, უცხოელები იყვნენ და ზიზღით შეჰყურებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ისინი არა მარტო ძარცვავდნენ, არამედ ყოველ ნაბიჯზე ამცირებდნენ კიდეც ადგილობრივ მკვიდრთ. ნაცისტები ადამიანებად არ თვლიდნენ დამარცხებულთ და ეს იყო ყველაზე შეურაცხმყოფელი რამ“.

როგორც აღნიშნავენ, ერთხელაც გერინგს უთქვამს: „ყველაზე კარგი ის იქნება, რომ უკრაინის ყველა მამაკაცი ამოვხოცოთ ან დავასაჭურისოთ, მერე კი იქ გავგზავნოთ ესესელი აჯილღები“.

ნაცისტთა პოლიტიკური დოქტრინა წინასწარვე უკუაგდებდა თანასწორუფლებიან თანამშრომლობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან. იგი აღიარებდა მხოლოდ ურთიერთობას გერმანელ ბატონებსა და საბჭოთა მონებს შორის. ეს თვალსაზრისი, არაერთხელ გამოთქმული ჰიტლერის მიერ, წარმოადგენდა დირექტივას ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე პრაქტიკული პოლიტიკისა და იმ ანტიკომუნისტურ ძალებთან ურთიერთობისათვის, რომლებიც ეძიებდნენ გერმანიის მხარდაჭერას და მზად იყვნენ ეთანამშრომლათ ნაცისტებთან, რათა მოეხდინათ კომუნისტური ხელისუფლების ლიკვიდაცია.